

# რეტენატურა და სეროვნება

N1  
1/2010

1522  
2010



გურამ დვინაძე

ქართულულთა

მისაგონება

საგარეო ურთიერთობების

„მედიის სტრატეგია“  
საგარეო ურთიერთობების

ილია ჯანაშიაძე

საგარეო ურთიერთობების

საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

თეიმურაზი

საგარეო ურთიერთობების

თეიმურაზი  
სამსახური





ილია პაკაშვილი

შობა



ილია პაკაშვილი

სულის სავანე





# ლიტერატურა და ხელოვნება

N1(49)

1/2010

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:  
**vaja otarashvili**  
**Literature And Art**

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:

**ვაჟა ოთარაშვილი**

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი  
მდივანი

დავით კახაბერი

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

ილია პატაშური

125

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი  
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;  
(+995 32) 31 70 47;  
(+995 99) 25 60 14.

E-mail: litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge

## ს ა რ ჩ ე ბ ი

### ქრონოსი, ქოროსი

- 3. ლეილა მესხი - მთავარი სასაქონლო ქეჩა
- 23. გენი დოლიძე - ლექსები
- 25. თინათინ ბიგანიშვილი - უკან ითავაში (დასან.)
- 39. თამაზ მახაჩიძე - ლექსები
- 41. მამუკა ვაშაყიძე - იანთის ბაქანზე აღახ ჩეხება მატახებელი
- 45. სალომე ბენიძე - ლექსები

### ქალბატონი ქოროსი

- 47. გიგა ლაბაძე - ლექსები

### თარგმანი

- 49. ო. ჰენრი - საქმით გათანგული ბოხეის ქონების ამბავი (ინგლისურიდან თარგმნა სოფიკო დაუვიძმა)

### წერილები

- 51. ზაად ბოტაოვიძე - ქაბუა ამიხეიბი-კოლხის ჩვენი ზნეობიობისა

### ლიტერატურული გამოკვლევები

- 53. ოლიუო ვლენტი - ტახადია გიგანდ ოტელში

### ქორეოგრაფია

- 59. თენგიზ უთმეიძე - ხესთაველი - 800

### პუბლიკა

- 66. მაჩიამ ვოხოლაძე - სიმლეხა მთელი ჩემი ცხოვრება...

### თარგმანი

- 69. ნეკა ბაღდაძე - თეატრალური შემოდგომა

### საერთაშორისო ჟურნალი

- 76. თამაზ მჭედლიანი - ჯვარი ქართული ეკლესიების ფასადზე

### შეფარება

- 80. ელენა ამბუჯელი - დიდი ფეხმენი
- 81. ქეთევან ჯინჯიყაშვილი - ფეხბოლიანი ქეთევან ოცნება (ილია პატაშური)

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთავაზობთ რეკლამის განთავსებას ჟურნალის ფურცლებზე. დანერვილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

ტელ: 31- 70 -47;  
მობ: 899 25 60 14;  
893 58 95 44;



# გილოცავთ შობა-ახალ წელს!

\* \* \*

„ჩოგონიკ უფალო, სამშობლო, ერისა ქვეყანაზედა!“

ჩაფიქვლ ერისთავა

## საკონსულტაციო საბჭო:

ჭაბუა ამირეჯიბი, ბაჩანა ბრეგვაძე, მერაბ ბერძენიშვილი,  
მაყვალა გონაშვილი, ზურაბ ქაფიანიძე, თენგიზ უთმელიძე,  
გივი სიხარულიძე, ოლიგო ელენტი, ჯანსუღ ჩარკვიანი,  
თამაზ ჩხენკელი, გოგი წერეთელი

## საუკუნის გამოცემა!

გამომცემლობა „ეროვნულმა მწერლო-  
ბამ“ საზოგადოებას მიაწოდა „შახლესი  
ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ უნიკალ-  
ური გამოცემა.

ანთოლოგია მოიცავს პერიოდს 1978 წლის  
14 აპრილიდან (ქართული ენის დასაცავად  
ივართა ერთად დღომის დღ იდან) დღევან-  
დელობამდე.

წიგნი 800 გვერდინია, მაღალი კოლი-  
ბრაჟიული დონის. ანთოლოგიაში კოეტურ  
ქმნილებათა გარდა წარმოდგენილია გამო-  
ჩენილ ქართველ მხატვართა ნამუშევრების  
შერადი ილუსტრაციები.

იღვის ავტორი და მთავარი რედაქტორია  
ვაჟა ოთარაშვილი.


ანთოლოგია დაიბეჭდა ქ.თბილისის მერი-  
ის თანადგომითა და ხელშეწყობით.



გამოვიდა ვაჟა ოთარაშვილის მიერ შედგენი-  
ლი მცირე ანთოლოგია – „დედა ქართულ პო-  
ეზიაში“ (მეორე სრული გამოცემა), რომელშიც  
შეტანილია დედა-შვილობის თემაზე შექმნილი  
რჩეული ლექსები და ქართველ შერამვერთა ნამუ-  
შევრები.

წიგნის შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით:

მობ: 899 25 60 14;





თავი I



ლოლა მესხი

მთავარი სასაქონლო ქაჩა

„რუსთაველის პროსპექტი - თბილისის ღერძი, მისი სიშვენიერე, მისი კულტურისა და თანადროობის გარკვეული გარდა ამისა, ის თბილისელი საზოგადოების სანაპირდოა: ამ კეთილშობილურ სიძველეს, ამ ნაღვდებზე ფულზე ყოველგვარი ნიჭი; ამ წყდებზე სახარტოვლოს და მსოფლიოს პრობლემები სადილის ჭამის და პაპირონის ნიჭის დროს... დაკოლოს, ამ იხვეჭენ სახელს... ამ პოპულარულ უფლებას ატარონ პორტფული, მაშინაც კი - როდესაც ის არაკვიტარ საჭიროებას არ წარმოადგენს, აცდუნონ თვალი უღირსს, ან ცუდდეთ ჩაცმულ ნაცნობებს, რომელთა მდგომარეობა არ ხდის სავალდებულოდ მათ ცნობას. და არ იხვეჭენ სახეზე თავაზიან და გულს მოსაგებ ღიმილს...“

კოლაუ ნადირაძე, 19255.

რუსთაველის პროსპექტზე მათი საყვარელი ჭადრის ხე ხმებოდა...

მრავალჯერ გადაბელილმა, მრავალგზის ჩაჩეხილმა, მაინც გაცოცხლებულმა და ხელახლა ამწვანებულმა, (შუა გაზაფხულზე) ერთბაშად ხმოზა იწყო. გამოშრა ხე, ქერქი აქერქცლა, კანი დაუსკდა... ფართომინიან ფანჯრებთან თუთიყუშებივით ჩამომსხდარი ქალები გულისწყვეტით შესჩერებოდნენ გასახმობად გამზადებულ ხეს, მის ბოლო თრთოლას, სიკვდილის წინა გაბრძოლებას თუ გაკანკალებას...

ისინი წიგნის გამომცემლობის თანამშრომლები იყვნენ...

ქუჩაში მოსივრნე ადამიანები ძნელად ამჩნევდნენ ხის გასაჭირს, ზემოთ არც იხედებოდნენ (რა დარჩენოდათ!), უცხოურ მანქანებში საპატიოდ ჩასვენებულნი კი საერთოდ ვერავის ამჩნევდნენ — ვერც ხეს, ვერც ადამიანებს... არადა, ხმებოდა ჭადარი... ბეჩავდებოდა, ილეოდა. არც თანამშრომლები იყვნენ კარგ გუნებაზე. სამსახურში, სადაც ამდენი წელი გაატარეს, ცუდად იყო საქმე, საცა იყო დაითხოვდნენ. გამომცემლობა არსებობას წყვეტდა!

ჩუმი მოლოდინით შეჰყურებდნენ მომავალს... მათი რედაქტორობით მრავალი საინტერესო წიგნი, კრებული გამოსულა... უყვარდათ თავიანთი საქმე!.. ახლა ყველაფერს უნდა შელეოდნენ. უმშვევრები რჩებოდნენ!.. ეს კი ძნელი იყო. უსიამოც. ერთმანეთთან დაშორება ხომ ეძნელებოდათ, რუსთაველის პროსპექტსაც ვერ შელეოდნენ, ყველაზე საამაყო, ყველაზე თვალსაჩინო ქუჩად მიაჩნდათ... ასეც იყო.

საყვარელი ჭადრის ხესავით ნელ-ნელა ჭკნებოდნენ ქალები, დარდისგან იფიტიებოდნენ. ორი მათგანი, სასამართლო პროცესის დაწყებამდე გარდაიცვალა, (გამომცემლობის მესვეურებს უჩივლეს). იმათაც მოხერხებულად დაიძვრინეს თავი (წიგნები არ იყიდება, მკითხველი არ არის, ქაღალდი გაძვირდა, სტამბის ფული გადაუხდელი გვაქვს, ხელფასს ვერ ვარიგებთ...) იმდენი მიზეზი გამოძებნეს, რომ დაიბნა ახალგაზრდა მოსამართლე... სიმართლის გარკვევა გაუძნელდა. სამსახურში დაბრუნების ყოველგვარი იმედი დაკარგეს... მაშინ იყო ის ორი თანამშრომელი რომ გარდაეცვალათ. ორივე ფარულმა მღელვარებამ შეინირა...

კიდევ უფრო განაწყენდნენ. ახლა სხვა სასამართლოში შეიტანეს საჩივარი, ადვოკატიც გამონახეს; ერთი მათგანის ბიძაშვილი აღმონდა. თავდაპირველად დიდ იმედს იძლეოდა ის კაცი, არც გამოცდილება აკლდა და არც ბრძოლის ჟინი. ამ საქმეს უეჭველად მოვიგებო, ხალხის ქუჩაში გაყრის უფლება არა აქვთო, მერე ერთბაშად ჩაჩუმდა, — ქვეყანა ჩალით ყოფილა დახურული... და უცებ ჩამოყარა ყურები...

მიხვდნენ, განწირულები იყვნენ... ნელ-ნელა ბარგის შეკვრა იწყეს. თუმცა, რა

27 406

საქართველოს  
პარლამენტის  
პროცესული  
ბიბლიოთეკა



ბარგი ჰქონდათ — ძველი წიგნები, ხელნაწერები, ყავის ფინჯანი, თეფში, კოვზი და... დამთავრდა მათი ავლა-დიდება!

გამომცემლობაში ორმოცი თანამშრომელი მუშაობდა. უმეტესობა ქალები იყვნენ: რედაქტორები, კორექტორები, სტილისტები... (უპირველესად კორექტორები გაუშვეს,) დანარჩენებს ნელ-ნელა აგუებდნენ, აჩვენებდნენ... ხელშეკრულებები გაუფორმეს. ესეც თავისებური ხერხი იყო, უფრო სწორად, ჩუმი აფიორა, მათ დასაშოშმინებლად გამიზნული.

პირველ ხანებში ჩვეულ საქმეს აგრძელებდნენ ისინი: ფაცი-ფუცობდნენ, კორექტურას კითხულობდნენ, დედნებს ასწორებდნენ, საქმიან იერს იღებდნენ... მერე ოთახების გამოთავისუფლება რომ დაიწყეს და ნახირივით ყველანი ერთ ოთახში შერეკეს, არც ამაზე უთქვამთ უარი. თავს ვერ ვირჩინებ, ხელფასებს ძნელად ვცემთ, ოთახები უნდა გავაქირაოთ... — დირექტორმა ბრძანა. კი, ბატონო! არ იყვნენ უარს. ათი ოთახი — მეორე სართულზე, ათი — პირველზე. ამას ემატებოდა ვეებერთელა სარდაფი, ბიბლიოთეკა, საგამოფენო დარბაზი. მოკლედ, საკმაო ფართი გააჩნდათ... შუა რუსთაველის პროსპექტზე (საუკეთესო ადგილას), ამოდენა ფართის გაქირავებაზე ვინ იტყოდა უარს. ბოლო წლებში ფასებმა თუ მოიმატა, თორემ არ მოიკლო...

მონაცდა მსურველი: ოქროულობის მაღაზიო, ოპტიკა, ელექტროხელსაწყოები, დოღარების გადახურდავება... სულო და გულო! ყველას რუსთაველის პროსპექტზე სურდა ფირმის, ოფისის თუ მაღაზიის განთავსება. სათითაოდ დაინანილეს ოთახები. განსაკუთრებით სოკოსავით მომრავლებული ფირმები აქტიურობდნენ, საზღვარგარეთ სამოგზაუროდ რომ ეპატიჟებოდნენ ხალხს: „თეთრი რაში“, „ოქროს სანმისი“, „მედეა“. (სახელწოდებები კი შეერჩიათ!) ერთობ საეჭვო რეპუტაციის ქალები თუ კაცები ტრიალებდნენ. იყო გაუთავებელი ხორხოცი, სიცილ-კისკისი, სიგარეტის ბოლება, მობილურების რანკა-რუნკი...

წიგნის გამოცემის საპატიო საქმე გვერდზე გადაიდო. ერთ დროს მშვიდი, უწყინარი სივრცე ერთბაშად შეიცვალა, უცხო სურნელმა დაჰქროლა. მოხვეჭის, მოპოვების ჟამი დამდგარიყო. მათთან გამკლავება ძნელი იყო!.. ვერც გაუმკლავდნენ... მდინარის მღელვარე ტალღა რომ მოასკდება ნაპირს და ყოველივეს ჩარეცხავს... იმგვარად.

უხმოდ მიმოდინდა გამომცემლობის დირექტორი, მრავალ თოკზე გადანახტომი კაცი, ბატონი რაფო... (რაფიელ ერისთავი არ გეგონოს, მკითხველო! არც რაფიელ კორკიმელაშვილი). მუდამჟამს უსიამო ფერი ედო სახეზე. (ადრინადად დამჭკნარ ხილს აქვს ამგვარი ფერი). მოკლედ, რაც იყო, ის იყო! მაღიმაღ მკერდზე ნაივლებდა ხელს, გულს იტკიებდა. „ჩემი მღელვარება არ შეიძლება!“ — აფრთხილებდა თანამშრომლებს. „ოპერაციას მირჩევნ, მაგრამ... მეშინია!“ —

საბრალოდ ჩახრიდა თავს. გულის უკმარი-სობა, იშემია, კუნთის განღვება... ყველაფერი მას ანუხებდა. თუმცა, დღესაც საღსალამათი გახლავთ. მეგობრებიდან (ჯგუფ-ჯგუფად რომ უსხდნენ კაბინეტში) აღარავინ არის ცოცხალი. თანამშრომლებიც, ზოგი თავისი ნებით, ზოგიც — ბუნების ძალით, რა ხანია გაჰყვნენ იმქვეყნის გზას. ეს „ავადმყოფი“ კაცი კი დღესაც ჭარმაგად გრძნობს თავს, მოსახვეჭი — მოიხვეჭა, მოსაპოვებელიც რა ხანია მოიპოვა...

ჰო, იმას მოგახსენებდით, ბატონმა რაფომ, ოთახების გამოთავისუფლება ბრძანა — იძულებული ვართ შევიწროვდეთ, ყველანი ერთად დავსხდეთ და ვიმუშაოთ, ოთახები გავაქირაოთ... ვინ გაანბნებდა, მით უმეტეს, ხმა-მალა განაცხადა, შემოსულ თანხას ყველას გაგინანილებთო. (შემოსავლის ზუსტი ციფრი არასდროს დაუსახელებია), არც იცოდნენ დამქირავებლები რამდენს იხდიდნენ... ყოველივე საიდუმლოდ დარჩა!..

ჩემს კაბინეტში შემოდით — ბრძანა რაფომ. მართალია, დიდი ოთახი ჰქონდა, სავარძლებით ამოვსებული, მაგრამ ორიოდე ქალის გარდა (შეფთან შეკრულ-შეტმასნილი ქალბატონები გახლდათ!) დანარჩენებმა შესვლა ვერ გაბედეს... თანამშენებლის ოთახებს მიაშურეს.

ორი თანამშენებელი ჰყავდა უფროსს. წიგნის გამოცემა-გასაღების საქმეში — კბილჩოღერა, ღარღალა კაცი ემზარ ჩალაბაძე, იგივე „ჩალხო“. (მასთან შესვლა რატომღაც არ ისურვეს ქალებმა!) და მეორე — თმაჭალარა, ენამოსწრებული, მომღიმარი კაცი, თავისი აზრით, ცნობილი პოეტი — ბატონი „ალხო“. (ზედმეტსახელების სიუხვემ არ გაგაოცოს, მკითხველო!)

მხიარულად მოალო კარი, სათითაოდ მიიწვია თანამშრომელი ქალები, (ასეთები არ ეშლებოდა!) გვერდიგვერდ დასხა. თავდაპირველად მოეჩვენა, ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ, ჩაცმულობით, ფერმკრთალი სახეებით, გაჟღალებული თმით, სამოსიც კი ერთნაირი ეცვათ.

თანამშენებელი გვარად ალხანიშვილი გახლდათ. ყმანვილ-ბიჭობაში შერქმეული — ზედმეტსახელი ბოლომდე შერჩა. ლექსიც იყო ასეთი — ორი ძმა ჰყავს რაფოს — ალხო და ჩალხო, დრო დაუდგათ ბიჭებს — ზუსტად სათავისო... დათრეული შენობა უნდა გაასხვისოს! — მხატვრული დონე არ გააჩნდა ლექსს, მაგრამ... უფროსებს რატომღაც გულზე მოხვდათ... ავტორი მოიძიეს, ვერ გაარკვიეს. ბოლოს დაასკვნეს, ალბათ, თანამშრომლებმა დანერეს, სტრიქონი სტრიქონს გადააბეს, რაც გამოვიდა, თავად ნახეთო... გემოვნებაზე არ დაობნო... ვითომ არაფრად ჩააგდეს, მერე კარზე რომ ნაუნერეს რაფოს, მაშინ კი განაწყენდა, სულ ცოფები ჰყარა — რა უკუტულურობააო! ყვიროდა.

ჰოდა, სათითაოდ მიიწვია ალხომ თანამშრომლები, გვერდიგვერდ დასხა. თავდაპირველად მოეჩვენა, თითქოს ერთბაშად ჩაიხუთა ოთახი, სუნთქვა გაძნელდა, მაგრამ სიტყვა არ



დაძრა, მოთმინებით გაიყვანა წუთები... თავდახრილი იჯდა თვითონ, ფურცლებს აშრილებდა, საქმიან იერს იღებდა. მოკლედ, რაც ზემოთ იყო, ორი იმდენი მიწაში გახლდათ.

ზოგჯერ შორს გაექცეოდა მზერა, (ნეტავ რამდენ ხანს აპირებენ ამ ოთახში ჯდომასო, ფიქრობდა, ალბათ.) მაგრამ მაგისი ჩიტი იყო, თავი გაეცა და საფიქრალი გაემხილა! მით უმეტეს, ზამთარი იყო, ციოდა... გამათბობელი ძლივს ბუუტავდა, ძნელად ათბობდა ოთახს. ქალებიდან ორნი პირველსავე კვირას გახდნენ ავად. მესამემ რალაც მოიმიზეზა და სიარული შეწყვიტა. მეოთხე არ შეეპუა მკაცრ პირობებს, თავჩაღუნული წერდა და კითხულობდა... მკერდასვე, ტანმალალი ქალი იყო. ქალაქის ბოლოში ცხოვრობდა (ყოველ დღე ორ-ორ ტრანსპორტს იცვლიდა), თოვლ-ჭყაპიან ამინდში, ნახევრად სველი ფეხსაცმლით ამოჰყვებოდა კიბეს... სამსახურს მაინც არ აცდენდა... თავისი ჭკუით, სისხლს უშრობდა ალხოს... მასაც მოთმინება მართებდა და ითმენდა კიდეც. მალე მათ ხელშეკრულებებს ვადა გაუვიდოდა და გაუგრძელებდნენ თუ არა, არავინ იცოდა. არც გაუგრძელეს. ერთბაშად შეუწყვიტეს.

ეს ყველაფერი შემდეგ მოხდა, უფრო მოგვიანებით...

\*\*\*

ყველანი მოლოდინში იყვნენ... თუმცა, სასიკეთოს ნაკლებად ელოდნენ! ყოველნაირ სიხალეს, უპირველესად, დირექტორის კაბინეტში თავშეფარებული ქალები იგებდნენ. სიტყვა-სიტყვით გამოჰქონდათ, ავრცელებდნენ. მგონი, გაფრთხილებულიც იყვნენ, წინასწარ ემცნოთ თანამშრომლებისთვის რა ელოდათ, რომ ჭირსა და ვარამს ადრიაანად ყოფილიყვნენ შეგუებულნი...

იმ ორი ქალიდან, ერთი რაფოს მეგობარი გახლდათ, მისი წიგნების რედაქტორი. (ბატონი რაფო ცნობილი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და ორატორი იყო). მწერლების წინაშე უყვარდა ხშირი გამოსვლები, დინჯი საუბრები... მალაფარდოვანი აზრების მოშველიება. მერე ყველა თავის გამოსვლას ერთად შეკრებდა და წიგნად გამოსცემდა. რედაქტორიც იქვე ჰყავდა, ტექსტის გამსწორებელ-გამშალაშინებელი. მოკლედ, „ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“, ასე იყო მათი საქმე. თავისას უბერავდნენ!

ოლონდ! ერთ დროს კეკლუცი, მოდისმიმდევარი ქალბატონი, ერთბაშად დაბერდა, სახე დაუნაოჭდა, სხეული მოჩვარა. მართალია, კვლავაც თავმოწონედ დადიოდა – ჯაჭვების და ყელსაბამების ჩხარა-ჩხურით, მაგრამ... ვირს შვენის კრიალოსანი?! ფერმკრთალი სახით, კბილის პროტეზის რაკა-რუკით, ბეჭებში ნახრილ-ნაფერდებული ქალი სანყოფის მაცუცქ თავგს დაემსგავსა. წინანდელ ქალბატონთან ალა-

რაფერი ჰქონდა საერთო (დაუნდობელია ცხოვრება!). ამას დაერთო მეორე უცნაურობა, კანტი-კუნტად მომსვლელმა მწერლებმა (უმეტესად ახალგაზრდებმა,) ვისაც მისი „ლამაზქალობა“ არ ენახა, კუდიანი დედაბრობა ვერ აკადრეს, მაგრამ „ასინეთა“ კი შეარქვეს. ჭაბუა ამირეჯიბის ახლად დასტამებული რომანის „დათა თუთაშხიას“ პირველი რედაქტორიც ეს ქალბატონი გახლდათ. (კარგა ხანს ინონებდა თავს!) ახლა კი „ასინეთას“ ეძახდნენ, რომანის სამახსოვრო გმირის — ენატანია, ყოვლისმცოდნე, გაურკვეველი ვინაობის ქალის სახელს.

შემთხვევით არაფერი ხდება ამ ქვეყანაზე!

ის დირექტორის მაგიდის პირდაპირ, რბილ სავარძელში იჯდა, სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდა, ძველ და ახალ ჭორებს ერთმანეთში ურევდა...

ბატონი რაფო, უმეტესად, არ დადიოდა სამსახურში („ასინეთა“ იყო სტუმრის მიმღები და გამშვები), გარე საქმეებს იმიზეზებდა, მაღალ ინსტანციებში დარბოდა, მოკლედ, სამომავლო საქმეებს აკვარახჭინებდა...

მეორე ქალი, ვინც უფროსის კეთილგანწყობითა და მფარველობით სარგებლობდა, ქალბატონი ზარო იყო. — სტამბის, ბეჭდვის, ქალაქის, წიგნის გამოცემის მცოდნე. ადვილად ვერ შელეოდნენ მას. სხვას რომ თავი დავანებოთ, საკუთარი წიგნები ჰქონდათ გამოსაცემი... შავგვრემანი, ფართოთვალეზიანი ქალი საქმიანი იერით მიმოდიოდა. ამბობდნენ, მისი ეშინია დირექტორსო, პირში მთქმელი და დაურიდებელი ჩანდა. მოკლედ, ვერაფერი შებედეს!

მესამეც იყო, ბატონი ალხოს პირადი რედაქტორი — საგამომცემლო საქმეზე შენიღული, ნაზი, ფერმკრთალი ასული, სათნო მზერით რომ შესცქეროდა ყველას. მის გარეშე წიგნის გამოცემა ვერ წარმოედგინა ალხოს (ყოველ წელს თითო პოეტურ კრებულს სცემდა!). თუმცა, რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, როგორც კი დანარჩენი თანამშრომლები დაითხოვეს, თავად არ ინდომა ქალმა დარჩენა (ახალი სამსახური მოიძია), ნაკითხული მასალა სასტამბოდ გაამზადა, განცხადება დანერა და პასუხსაც არ დაელოდა, ისე წავიდა...

\*\*\*

გამომცემლობაში შუქი არ ენთო. თუმცა, ნახევარი ქალაქი სიბნელეში იყო ჩაძირული... ხელის ცეცებით შემოდიოდნენ თანამშრომლები. წვალეებით აჰყვებოდნენ ვიწრო და მეტისმეტად დაქანებულ კიბეს. ყოველ წამს ნაქცევას და კისრის მოტეხვას ელოდნენ. მხოლოდ დირექტორის კაბინეტის წინ ბუუტავდა სანთელი.

იმ სანთლის იმედი ჰქონდა ყველას...

ხუთ საათამდე შუქს არ ჩართავდნენ. ამიტომ სიბნელეში უწევდათ ჯდომა... კერძო ფირმებს, მალაზიებს საკუთარი განათება ჰქონდათ. გაბჟღავნებული იყო იქაურობა. შეიძლება, ყოვე-



ლივე განზრახ ხდებოდა, წინასწარი გათვლით, თანამშრომლები რომ დაეფრთხოთ, სამსახურში მოსვლის სურვილი დაჰკარგოდათ. ამიტომ იყო, თანდათან მიიღია მომსვლელის ფეხის ხმა. სიბნელეში ცხვირ-პირის დამტკრევა არავის სურდა...

თუმცა, არც ერთი დღე არ გაუცდენიათ ასინეთას და ზაროს. ისხდნენ, სანთლები ენთოთ, (ლოცვით ნაკლებად ლოცულობდნენ) უმეტესად ყავას სვამდნენ. საკუთარ თავს „ყავისტებს“ უწოდებდნენ. წინათ ზოგიერთები „ზვიადისტებად“ რომ მონათლეს, ჩვენ „ყავისტები“ გახლავართო, — განაცხადეს ვითომ ხუმრობდნენ!

კიბეზე ასვლა ხომ ძნელი იყო, ჩამოსვლა — უარესი. საპირფარეოში მოხვედრა სატანჯველად ექცათ. სრული სიბნელე და არსაიდან შუქი! ჯგუფ-ჯგუფად ჩადიოდნენ ქალები, ერთმანეთის ნაშველიებით, წახმარებით, სანთებელას ანთებით, ასანთის გაკვრით. კაცებიც ასე ჯოჯოგად ხომ არ ივლიდნენ... მით უმეტეს დირექტორი, ბატონი რაფო. ამიტომ იყო, იმ შავბნელ დღეს, ფეხი დაუცდა და ნესვივით თავი მთელი ძალით გლიჯა კედელს, მერე მოსრილდა და ვიღაცის ნაიმაქნალში ხვავიან-ბარაქიანად ჩაჯდა. ძლივს ამობობდა, მაგრამ ვაი იმ ამობობლებას! მისმა ღრიალმა შენობა შეაზანზარა (ზედა სართულზეც კი გაიგონეს!). შემოცვივდა ხალხი... „ბინძურებო, ფეთხუმებო!“ ღრიალებდა რაფო...

თვალებდაქაჩული კაცი ძლივს ჩაანყნარეს, სასწრაფოდ მანქანაში მიმალეს და შინ გააქანეს. ორ კვირას იავადმყოფა, არ გამოჩენილა. მოადგილე იმართლებდა თავს, — „ქუჩიდან შემოდიან... გარეშეები აბინძურებენო“.

როგორც იქნა, მობრძანდა რაფო... თითქოს მის მოსვლას დაემთხვა, სანამ სავარძელში ჩაეშვებოდა, ვიღაც შაოსანი ქალი მოადგა კარებს. მანამდეც აკითხავდა, დირექტორს სახელით იხსენიებდა, ჩანდა, ძველი ნაცნობი იყო. მერე სამსახურში რომ გამოცხადდა უფროსი და მცირე თათბირის შემდეგ უცნობი ქალი მიიღო, რატომღაც ვერ იცნო...

— ჩემთან, ქალბატონო? — ჰკითხა.

— დიახ. ალბათ ვერ მიცანით... ლალი ვარ, ერგემლიძე. თქვენი დის მეგობარი. — მიჩუმდა.

— მახსოვს... როგორ არ მახსოვს. — აშკარად ჩანდა, დაგინყნოდა. (ყველაზე ადრე ასინეთა მიხვდა.)

— შავეები რატომ გაცვიათ? — გულითადობა გაამჟღავნა კაცმა.

— შვილი გარდამეცვალა... მკვდარი ჩამომისვენეს... აფხაზეთიდან.

— სანყენია... — შეიმშუმნა კაცი, როგორ მოქცეულიყო ვერ მოესაზრებინა.

— სამი შვილიშვილი მყავს... რძალი ავადმყოფობს... — კიდევ უფრო მოიქუფრა კაცი. — ერთი რამ უნდა ვთხოვოთ...

— ბრძანეთ!

— ეგებ, რაიმე სამსახური გამომიძებნოთ.

სამი წელია უმშუვეარი ვარ. მუსიკატმცოდნე დღეს არავის ჭირდება. ყოველგვარ სამუშაოზე თანახმა ვარ, ოღონდ ორიოდე კაპიკი მიუფტანო ბავშვებს. დამლაგებლად ვიმუშავებ... საღამოს მოვალ და დავასუფთავებ აქაურობას... თავმოყვარეობას არ დავეძებ!

სტუმრის ყოველი სიტყვა თითქოს ძალას აცლიდა რაფოს, ანადგურებდა, სავარძელში ჩაშვების სამუალებას არ აძლევდა. ისევ ასინეთამ ივარგა, მიხვდა უფროსის გასაჭირს... დამლაგებლის შტატი რა ხანია გააუქმეს, ოთახებს თვითონ ალაგებენ... არადა, ისე მოხედა რაფომ, თითქოს მიშველეო, თხოვდა. უარის თქმა და უცნობი ქალის კინისკვრით გარეთ გაგდება, ჩანს არ სურდა. ეს ქალი თავისი პიროვნებით, სიყმანვილის წლების მოგონებით, რაღაც ისეთს ახსენებდა, რომლის უარყოფაც არ შეეძლო...

— თქვენ რომ ბრძანეთ, იმ დღეს... — ჩაერთო ასინეთა.

— რა? — უმაღ ნაებლაუჭა კაცი.

— ქვემოთ, შემოსასვლელში, ლამფა დაედგათ, ხალხი ცხვირპირს იმტკრევსო...

უმაღ გონს მოეგო რაფო, ხმაურით ჩაისუნთქა, ისეთი სახე მიიღო, თითქოს თავად მიხვდა...

— დამშვიდდით, რაც შემიძლია ყოველნაირად დაგეხმარებით...

მგლოვიარეს მკერდზე მედალიონი უჩანდა, სურათიდან მომღიმარი ვაჟი იცქირებოდა.

— მოუკვდა დედა, ნეტავ რად ვარ ცოცხალი...

— ძლიერ მერიდება, მაგრამ...

— ნუ გერიდებათ, ეხლა მიჭირს თორემ, მერე პენსია დაენიშნებათ ბავშვებს...

— ჰო, პენსია კარგია, თავიანთი მამის ფული ექნებათ, — ჩაილაპარაკა კაცმა. მარჯვნივ გამოალო და ქალადღის პარკი მიანოდა.

— ლამფა და ნავთი იყიდეთ.

— ნავთი? — გაოცდა ქალი.

— კარებთან დაჯექით. უცხოს ნუ შემოუშვებთ, ლამფა ანთეთ. სიბნელეში ცხვირპირს იმტკრევს ხალხი (საკუთარი გასაჭირი არ გაამხილა).

უცნობმა ქალმა ვერაფერი გაიგო, ნესტოები უთრთოდა, თვალეები ცრემლით ჰქონდა სავსე... უხმოდ გამოართვა ქალადღის პარკი. შარფით სახე დაიფუთნა და... ოთახიდან გავიდა.

— რომ იცოდეთ, რა ლამაზო გოგო იყო... რა არის ცხოვრება! — ამოიხვნეშა რაფომ.

ჩუმად ისხდნენ ქალები, სიტყვა არ დაუძრავთ. იმიტომ კი არ სდუმდნენ, რომ არ იცოდნენ, რა ეთქვათ, უფროსის ნასვლას უცდიდნენ, რომ ერთმანეთში ეჩურჩულათ, გასამხელი გაემხილათ... ამ ქალზე ყველაფერი იცოდნენ, მის წარსულზე, მომავალზე... თუმცა ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

— ეკონომიკის სამინისტროში მივდივარ! — დაიბარა რაფომ.

ყოველდღე ესმოდათ ქალებს: პრივატიზე-



ბა, დაკანონება, შესყიდვა, გაფორმება, გამომცემლობის შენობის გაყიდვაზე მსჯელობა ნელ-ნელა ჩვეულებრივ ამბად იქცა, ყოველი ნაბიჯი გათვლილი და გაანგარიშებული ჰქონდათ.  
ერთობ ჩქარობდნენ!

\*\*\*

საკუთარი თავი ცნობილ მგოსნად მიაჩნდა ალხოს.

ციდილობა, სხვებიც დაერწმუნებინა ამაში. ყველა ნაბიჯი გათვლილი ჰქონდა... დილით, პირველსავე გამოჩენაზე, თანამშრომლებზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით, ან ვითომ, ფეხდაფეხ ადევნებული ლექსის ფურცელზე გადატანის სურვილით, ჯერაც ნედლი, გაუმალამინებელი სტრიქონების ხმამალა კითხვას იწყებდა. ერთობ კმაყოფილი იერი ჰქონდა... უსმენდნენ ქალები, უწონებდნენ კიდეც. პოეზიის ხუთ ნუთს რომ მოილევედა, პიჯაკის ღილებს ბოლომდე შეიკრავდა და უფროსის კაბინეტისკენ გასწევდა. ქალებისთვის გამიზნულ მეოცნებე იერს უმალ ჩამოირეცხავდა სახიდან და ჭეშმარიტ „ალხოდ“ იქცეოდა... გასაგებს – გაიგებდა, გასარკვევს – გაარკვევდა.

კომისიამ უკვე განიხილა საბუთები. შენობის პრივატიზება მოხდა... ეს ამოდენა შენობა, რამდენიმე კაცის საკუთრებად იქცა. ისე გაინანილეს, თითქოს „პაპა არტაშას“ დანატოვარი ყოფილიყო!.. ასე რომ, ასაღელვებელი არაფერი ჰქონდათ.

საზეიმო სუფრაზე ტორტს რომ დაჭრიან, ზოგს მოზრდილი ულუფა შეხვდება, ზოგსაც — მომცრო, ასე გაინანილეს. ყველაზე დიდი ნაჭერი ბატონმა რაფომ დაითრია, როგორც დირექტორ-განმკარგულებელმა, არანაკლები ულუფები ერგოთ მოადგილეებს, ბატონებს — ალხოს და ჩალხოს, ამათ დაემატა ცნობილი ლიტერატორი, ერთობ საპატიო პიროვნება, (თავისი შეგნებული ცხოვრება ერის ერთგულ შვილად რომ მიაჩნდა თავი! თუმცა მაცდუნებელმა ლუკმამ უმალ გაამყდავნა მისი ცრუ ეკობა) მსუყე ნაჭერი უმალ თავისკენ მიითალა...

„თუ ფული არ გაქვს, კაცი არა ხარ და თუ კაცი ხარ, ფული არა გაქვს“-ო, — ერთი ქართველი პოეტი ამბობდა, ასე იყო მათი საქმეც, უფულობას ფულიანობა ამჯობინეს, „ანგარიში ძმებშიც მოდის“-ო, ნათქვამია, ოთხი მათგანი „მსხვილნილიანი“ იყო, დანარჩენი — „მცირენილიანები“ გახლდათ (რაც შემდგომ „ნილიან-ტილიანის“ სინონიმად იქცა!).

მოკლედ, რასაც გაძლევთ, დასჯერდითო...

კიბესთან ახლოს ვინრო მაგიდა დადგეს და შაოსანი ქალი დასვეს. წინ ანთებული ლამფა დაუდეს. უხმოდ იჯდა ქალი. კრძალვით ჰკითხავდა მომსვლელს — „სად მიბრძანდებით, ბატონო! ვინ გნებავთ?“ რამდენი ვინმეც შეაჩერა

და ჰკითხა, იმდენი თანამშრომელი აღმოჩნდა. გაიტანჯა ქალი. ქუჩიდან შემომსვლელს ადგილობრივისაგან ვერ არჩევდა. სანამ ქალი გაარკვევდა, მომსვლელის ვინაობას, უკვე გვიან იყო... შარვალჩახდილ კაცს უკან ხომ არ მოაბრუნებდა...

ახლა ტულეტისკენ გადაინაცვლა, იფიქრა, აქ მაინც შევაჩერებ მომსვლელსო... შენც არ მომიკვდე! ეგრევე, მაგიდაზე უყრიდნენ ხურდა ფულს. განვალდა ქალი, ვისთვის გაემხილა თავისი გასაჭირი ან ფულისთვის რა ექნა, დირექტორს ხომ არ შეუტანდა ხურდით სავეს პარკს კაბინეტში... არც რაფო დაინტერესებულა დიდად მისი შემდგომი ბედით. მხოლოდ ერთხელ იკითხა, ტელეფონით, ასინეთას ჰკითხა; „მოვიდა ის ქალი?!“ და მორჩა, მეტი არც მოუძიებია...

თანდათან შევიწროვდა წრე. ყველაზე დიდი მოთხოვნა თავისუფალ ოთახებზე იყო. მადა გაეხსნა ხალხს. ყველამ რუსთაველის პროსპექტზე მოინადინა ოფისის გახსნა, თავიანთი საქმეების მოკვარახტინება. დღე ერთი იყო და ათჯერ შემოაღებდნენ კარს... ფართს ითხოვდნენ, ფასსაც უმატებდნენ... ჭკუას მოუხმომ რაფომ, ვრცელი ოთახები ახლა შუაზე გააჰყო და ისე გააქირავა...

შუაზე გადატინრულ, გრძელ ოთახში, ერთ მხარეს ტურისტული სააგენტო „თეთრი რაში“ მოთავსდა, ხოლო მეორე მხარეს, ნახევრად ბნელ სათავსოში — გამომცემლობის მხატვრები, ნიგნების დამხატველ-დამსურათებლები, ნლობით ნაღვანი ადამიანები.

უფროსი მხატვარი — ტანდაბალი, ფართოშუბლიანი კაცი, ორი ვაჟიშვილის მამა და თორმეტი შვილიშვილის პაპა. (არ გაიკვირვო მკითხველო!) ვაჟები ხატმწერები ჰყავდა, მორწმუნეები. იმდენი შვილი გააჩინეს, რამდენიც უფალმა ინება. არადა, მათ ნახვას არაფერი სჯობდა, ლამაზები იყვნენ, ერთმანეთზე უკეთესები... ბაბუას, (დამსახურებულ მხატვარს,) ირგვლივ რომ შემოეხვეოდნენ, ნახვად ღირდა! იქვე იჯდა მეორე მხატვარიც, საშუალო ტანის, ჭალარა კაცი (ჩურჩულით მოსაუბრე ცოლი რომ ჰყავდა). ნაზ, ფერმკრთალ ქალს ხმის იოგები დაზიანებოდა... დაბალი ხმით ლაპარაკობდა. ცოლქმრის დუეტი საოცარ ჰარმონიას ქმნიდა...

მაღე მხატვრებს, განყოფილების გამგე შეუსახლეს — შავგვრემანი, (შავყვითელა) კაცი... ცნობილი მწერალი. შესანიშნავი ნოველების ავტორი (ნათელში იყოს მისი სული!). მხატვრებთან ყოფნა უყვარდა, მათთან მიეთ-მოეთი, მცირე სუფრასთან ჯდომა... შენობის პრივატიზებისას სამი პროცენტი არგუნეს. ამიტომ იყო ხუმრობით, თავის თავს „ნილიანს“ რომ ეძახდა. თუმცა, არც ამას აძლევდა დიდ მნიშვნელობას, მისი სიხარული კარგი ნოველა და მეგობრებთან მცირე პურობაზე ყოფნა იყო. ახლობლები უკრძალავდნენ, მაღიმად დაავადებულ გულს შეახსენებდნენ, მაგრამ... შავ, ეშხიან თვალეში იმნაირი სევდა ჩაუსახლდებოდა, ისე გულისწყვეტით



იტყოდა — „რა ვქნა, მიყვარს ეგ მაღლიანი“-ო. —  
ლვინოზე ამბობდა, რომ უნებურად დათანხმდებოდი... ვერ გაანბილებდი.

მომსვლელი არ აკლდათ: ახლო მეგობრები, მწერლები, მხატვრები. ვითომ შემთხვევით შემოვიარეთო, ნახევრად ბნელ ოთახში ჩამოსხდებოდნენ, სანთლის მკრთალ შუქზე ძველ ამბებს იგონებდნენ. წინა საუკუნეების მწერლებს, მხატვრებს, სუფრასთან ხელალებით ინვევდნენ. მათ სადიდებელს ამბობდნენ, ლიტერატურულ ნაწარმოებს თუ ფერწერულ ტილოს საჯილდაო ქვასავით გაიგორებდნენ — აბა, შეებით, თუ ბიჭები ხართო...

როგორც კი შუქი მოვიდოდა (5 საათზე), უმალ ნამოიშლებოდნენ. რატომღაც ბინდებუნდში ჯდომა ერჩიათ, ჩახჩახა შუქი თითქოს აფრთხობდა მათ, ნელი ლაცლაცით ჩამოჰყვებოდნენ კიბეს... კიბის ბოლოს, წიგნებით ამოტენილ სარდაფში, სათაგურში მომწყვდეულ თავუნასავით ჩაკარგულ სანყობის გამგეს შეუძახებდნენ;

— შავლეგ, წავედით...

ისიც ზუზუნით, თითქოს ქვესკნელიდან პასუხობდა;

— უარგად, ბიჭებო!..

თავისკენაც ხშირად ინვევდნენ შავლეგოს, ერთი ჭიქა დაგვილიეო, თხოვდნენ. განა უარს იყო?! თავის წილ სასმელსაც შემოდგამდა, მაგრამ... დიდხანს დარჩენას ვერ ბედავდა — „თქვენი ფილოსოფიის ვერაფერი გავიგე, ისეთ გვარებს და სახელებს ჩამოთვლით, ჩემს სიცოცხლეში რომ არ გამიგონია...“-ო, — ჩიოდა, გენიოს მხატვრებს, მწერლებს გულისხმობდა. — „რა ხდება, მე მიტარებთ ვაკვეთილებს?!“ — იკითხავდა.

დანარჩენი დრო წიგნებით ამოვსებულ სანყობში იჯდა, ითვლიდა, ანგარიშობდა. გასაცემს გასცემდა. ერთ დროს თმაქოჩორა, მხიარული ყმანვილკაცი (ჩალხოს მკვიდრი ბიძაშვილი გახლდათ!) უცებ გაჭაღარავდა. შრომატყუადი საქმე ევალა. ჰო, არ დამავინყდეს! (ზაური ერქვა და შავლეგოს ეძახდნენ.) ყველაზე მეტად ძველი, ქართული სიმღერა უყვარდა „შავლეგ, შენი შავი ჩოხა...“ ხშირად ღიღინებდა... ამიტომაც შეარქვეს!

რუსთაველის პროსპექტზე სამსახური მონდა შავლეგოს, მწერლებთან და მხატვრებთან მეგობრობითაც ინონებდა თავს. მათთან მიეთ-მოეთი სიამოვნებდა. არბოდა და ჩამობოდა კიბეზე. წიგნების შეკვრებს ეზიდებოდა. — „მკლავებს მანყვეტს წიგნები“-ო — იტყოდა. — „რას წერენ ამდენს?“-ო. — წყრებოდა.

მცირედი ჩამუხვლის ჟამს, ორ ჭიქას რომ დალევდა... გულისწყვეტით იტყოდა; „9 აპრილმა დამღუპა, იმან მომიღო ბოლო.“ დამსწრეთაგან ბევრი ვერ ხვდებოდა რას გულისხმობდა, ალბათ, 9 აპრილის გამოსვლებში მიიღო მონაწილეობა და მოინამლა, ან დაჟეჟესო. ვინც იცოდა სინამდვილე, ჩაეღიმებოდა... შავლეგო წიგნს გულისხ-

მობდა, „9 აპრილს“. საგანგებოდ გამოცემულს, ხუთსაგვერდიან კრებულს. დაუხარელმა შემდგენელებმა ყველა სტატია, ლექსი, მოთხრობა, პამფლეტი, ხეზე გაკრული ფურცლებიც კი გადაინერეს და კრებულში შეიტანეს. ამას დაუმატეს ამონაწერები გაზეთებიდან, ჟურნალებიდან. ფოტოსურათები — მოყვარულთა თუ პროფესიონალთა მიერ გადაღებული, დემონტრანტთა სახეები, ლიდერები... ზვიადი და მერაბი... (იმ წლებში მათი პოეტური კრებულებიც გამოსცეს), გამლილი ხელები, ანთებული თვალები, დაჩოქილი ხალხი, სანთლები, პატრიარქის სტუმრობა, დარბევა, ხელკეტები, ტანკები, გაზით მოწამლულები, მიცვალებულები...

ყველაფერი დაიტია ამ ერთმა წიგნმა.

თავდაპირველად, სასინჯად, ათი ათასი ცალი დაბეჭდეს. იმავე დღეს გაიყიდა. მალაზიებს მოაწყდა ხალხი. გადამყიდველებმაც მოითბეს ხელი. ასე არ უნდაო, უფროსს თუ მის თანაშემწეს არასდროს შემლიათ ქვიდან ზეთის გამოდენა. უმალ იყნოსეს, სარფიან საქმეს რომ წამოჰკრეს ხელი. მოგების ჩარხი დაატრიალეს. ათი ათასი ტირაჟი ასი ათასად აქციეს. ფასიც მოუმატეს. ამასაც არ დასჯერდნენ, მეტი და მეტი მოინდომეს! ფაბრიკა-ქარხნებიდან, სკოლებიდან, ინსტიტუტებიდან წარმომადგენლები მოდიოდნენ, თანამშრომელთა სიები და შეკრებილი თანხა მოჰქონდათ...

წიგნების შემოზიდვას თუ გაცემას ვეღარ აუდიოდა შავლეგო, ფულის დათვლამ დაღალა კაცი... (მოზრდილ ყუთში ჰყრიდა!) ერთ ნელინადში ლამის დაბერდა, მუხლებს იტკივებდა, შავ გრუზა თმაში ჭაღარა გაერია. არადა, სიგიჟე შეჰყროდათ უფროსებს — რაც მეტს იღებდნენ, უფრო მეტი უნდოდათ! თითქოს ოქროს მდინარეში იდგნენ და ბადით ამოჰქონდათ ნანატრი განძეული.

მამინ იყო, ის უცნაური ჩვევა რომ დასჩემდა რაფოს, ფული პარკით უნდა მიერთმია შავლეგოს. ზედ ციფრები იყო გამოყვანილი: რამდენი წიგნი გაიყიდა და რამდენი შემოვიდა, აქედან შეფს რამდენი ეკუთვნოდა. ერთს დახედავდა რაფო, ფულს არც დაითვლიდა, სეიფის კარს გამოაღებდა და შემალავდა.

კონვერტ-ქისებიც თავად შემოიღო.

ერთ დღეს ჩვეულებრივად დაიბარა შავლეგო და კონვერტ-ქისების მოზრდილი შეკვრა მისცა — ფული ამ პარკით შემომიტანეო. ამგვარი დავალების შესრულებას რა უნდოდა, მით უმეტეს, თუ უფროსის გულის მოგება გასურდა... იმ პარკებიდან, რამდენი შეინახა თუ გაანიავა რაფომ, არავინ იცის. თუმცა სულ მალე, ლურჯ მონასტერთან ცხრასართულიანი სასტუმროს მშენებლობა წამოიწყო. მარიფათიანი, მიხვედრილი კაცი გახლდათ და ზუსტად გათვალა, რომელ საქმეში სჯობდა ფულის დაბანდობა.

თუმცა, მარტო დაბანდობაზე არ იყო საქმე. როგორც ყველა ხეს, მასაც ჰყავდა თავისი მატლი, ჭია... თანაც ერთი კი არა, ორი — უსაყვარლე-



სი ვაჟიშვილი (პირველი ცოლიდან) — განათლებულები, ხარისხიანები, ცოლშვილიანები.

სკოლიდან დაბრუნებული ცელქი ბიჭუნები რომ შემოუვლიან ხოლმე მამას სამსახურში და ნაყინის ფულს მოსთხოვენ, ამგვარად შემოუვლებდნენ კარს: ხან ერთი გამოჩნდებოდა, ხან — მეორე. რბილ სავარძლებში ჩაემგებოდნენ, სტუმრებთან მასლაათს გააბამდნენ... (თავიანთი ჭკუით საქმეებში ერეოდნენ). ნასვლისას, მამა ხან ერთს ჩაუცურებდა ჯიბეში ფულიან კონვერტს, ხან — მეორეს.

ამგვარი მოკითხვები ერთგვარ ტერორს წააგავდა...

\*\*\*

გამომცემლობას ორი განყოფილების გამგე ჰყავდა. ერთზე ხომ გიამბუთ, შავგვრემან-შავვეითელა კაცზე, „წილიანი“ ვარო, რომ ხუმრობდა, (ძნელად გამეტებული პროცენტების გამო)... თუმცა, თავად ადვილად შეელია, უხმოდ დათმო თავისი წილი... მოგვიანებით მხატვრების გრძელ, ნახევრად ბნელ ოთახს რომ მიადგნენ გასაქირავებლად, „ლოთობთ, ავყაობთ, მწარე სიტყვებს ისვრით“ და ყველანი ქუჩაში გაჰყარეს, ისიც თან გაჰყავა. ერთხელაც არ მოუხედავს უკან, არც დანანებია, თავისი წილაც გაასვსია...

ხოლო მეორემ, ასევე „წილიანმა“ განყოფილების გამგემ, დაბალმა, მელოტმა კაცმა, ემ-მაკურად მზირალი, ჭუტალა თვალები რომ ჰქონდა და ბრტყელ-ბრტყელი ფრაზეებით საუბარი უყვარდა, რატომღაც მხატვრებთან დაჯდომა არ ინება, (არც იმათ მიუწვევიათ!), პირველ თანაშემწესთან, ბატონ ალხოსთან გადაბარგდა, ეგებ თავი გადავირჩინო, ფიქრობდა, ალბათ... რაც უნდა იყოს, ორივენი პოეტები იყვნენ! (მართალია, ალხოს უფრო მაღალი გემოვნების შემოქმედად მიაჩნდა საკუთარი თავი), მაგრამ ახლა, ამ გადასახედიდან რომ ვუცქერი, დიდ განსხვავებას ვერ ვამჩნევ, მით უმეტეს, გარდაცვალებიდან მოკლე ხანში, იმდენი ვინმე დაივიწყეს, მიაყურისძირეს... თითქოს არც არსებობდნენ, ღირსეულიც არაფერი შეუქმნიათ... ეგებ ასეც იყო!

დრომ ყველაფერი გაასწორა, გააშალაშინა.

მოკლედ, ალხოს ოთახში ჩამომსხდარ ქალების მელოტი კაციც შეურთდა. თავისი ჭკუით, საერთო მარაქაში გაერია. ყველაზე საოცარი ის იყო, ამ დაძაბულობის ჟამს, თანამშრომელთა მხარე კი არ დაიჭირა, პირიქით, განუდგა მათ — „მოეშვით, არაფერი გამოგივათ...“-ო, თავად, საკუთარი წილის გაზრდაზე ოცნებობდა, ღიმ-ილითა და პირმოთნეობით ცდილობდა უფროსების გულის მოგებას. თუმცა, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო... — ნათქვამია. ხომ გვერდიგვერდ ისხდნენ დირექტორის მოადგილე და განყოფილების გამგე, შეხმატბილებულად.

სინამდვილეში მთელი ცხოვრება ატყუებდნენ ერთმანეთს. მოგვიანებით ალხომ ისე გააცურა ეს ხანშიშესული კაცი, რომ ერთხანს გონზე ვერ მოვიდა, საბრალო.

ჯერ ისე, კანტიკუნტად, ჩოგბურთის მოთამაშესავით გადაუგდო სიტყვა: დირექტორი ამბობს, გაქირავებული ოთახებიდან მცირე თანხა შემოგვდის, სტამბის ფულს ვერ ვიხდით, ვერც ხელფასებს ვცემთ, ცუდად არის საქმეო. ურჩია, შენისთანა მცირეპროცენტინამა უმჯობესია დროულად გაყიდოს თავისი წილი, რა იცი, რა ხდება, ვილაცხები ჩივიან, პრემიერ-მინისტრთან შესულან, შეიძლება, საერთოდ ჩამოგვართვან შენობა. გირჩევ, დათმო შენი წილი და ფული დროულად მოიხმარო... მისი გაბრიყვება არ აღმოჩნდა ადვილი, ცოლს დაეთათბირა კაცი. გონიერი აღმოჩნდა ქალი... „ქვეყანა თუ იქცევა, თვითონ რატომ არ ჰყიდის?“ — უკითხავს „მას შენზე მეტი პროცენტები აქვს დათრეული, ალბათ გაბრიყვებას გიპირებს...“

ქვას რომ წყლის წვეთი ეცემა ხანგრძლივად, ისიც კი გაიხვრიტება, თორემ მერყევი კაცის ბუნებას რაღა უნდა. ოჯახში პრობლემები მოეძალა... ერთ დღეს გაიხმო ალხო და ჩემს პროცენტებს ცხრა ათას დოლარად დაეთმო, განუცხადა. თვალეები დაჭყიტა ალხომ:

— ხომ არ გაგიჟდი, მაგდენ თანხას ვინ მოგცემს...

ის ერთი კვირა ერთმანეთისკენ არ გაუხედავთ. კვირის ბოლოს, თვითონ შეეხმიაანა ალხო; მუშტარი არის, თითო პროცენტში ორი ათას დოლარს გადაგიხდისო, სულ ექვსი ათასი იქნებაო. უმაღ დათანხმდა, ჩქარობდა კიდეც. ხელშეკრულება გააფორმეს.

თავდაპირველად ვერც გაიგო, ვინ მისაკუთრა მისი წილი, თუმცა გაუგებარი რა არის ამქვეყანაზე...

მაშ ასე, მონილეები რვანი იყვნენ: ბატონი რაფო, (ხელახლა უნდა ჩამოვთვალო!), მოადგილეები — ალხო და ჩალხო, განყოფილების გამგეები, ანუ მცირე „წილიანები.“ თანამშრომელი ქალები — ასინეთა და ზარო (თითო პროცენტით), ამათ დამატა საპატიო, სახელიანი მწერალი — ჩახლეჩილი ხმით მოსაუბრე ჩოფურა კაცი (სახელმწიფო თუ სახელობითი პრემიების ლაურეატი), რაც მთავარია, ბატონ რაფოსთან ერთად, საკმაოდ ირბინა ინსტანციიდან — ინსტანციაში, ეკონომიკის მინისტრთან მგონი ახლო ნაცნობობაც ჰქონდა. ჰოდა, როგორც ხდება ხოლმე, სადაც უნდა გაეხილათ თვალი, იქ დახუჭეს... ეს ამოდენა ფართი რვა კაცის საკუთრებად აქციეს...

ცნობილი ლიტერატორიც მონილე გახდა!

\*\*\*

— რაღაც უნდა წაგიკითხოთ!... — ისმის ხმა.  
— გისმენთ...



– გრიბოედოვი ერთ თავის წერილში წერს: „რამდენი წელია, ვაკვირდები და უნდა მოგახსენოთ, რომ ქართველები რაც უფრო მეტს სვამენ, მით უფრო ფიზიკურად ძლიერდებიან. დედამინის ზურგზე არ მეგულება მეორე ერი, რომელსაც ღვინო ასე აკეთილშობილებს, აფილოსოფოსებს, აადამიანებს. რასაც სხვები ღვინოში კარგავენ, ქართველები სწორედ ღვინოში პოულობენ“...

– ყოჩაღ!... კარგია...

– შეხედულემა გამომიკეთდა მაგ კაცზე!..

– არასდროს ყოფილა ცუდი...

– პატივი ვეცით, მთანმინდაზე დავკრძალებით...

– სხვები, ამდენ ხანს ცხრაჯერ ამოთხრიდნენ საფლავიდან, მაგრამ ჩვენ ქართველები ვართ! ასეთი რამეები არ გვეშლება...

– ბოლოს და ბოლოს, სიძე იყო ჩვენი.

ხმები გარკვევით ისმის. ჭიქების ნკრიალიც, გაშლილ მაგიდაზე ყველი, პური და ძხვეი მოჩანს. მწვანელიც, მწნილიც, ღვინით სავსე სამლიტრიანი ჭურჭელი ვიღაცას შინიდან მოუტანია.

ბოლო დღეების მოახლოებას გრძნობენ, ალბათ...

დერეფანში შემთხვევით გამოხეტებულ რაფოს გარკვევით ესმის მოქიფეთა (თუ შეიძლება ასე ეწოდოს!) ხმები. რა ხანია, ამ თავყრილობების ამბავი იცის (ალხოსაც მოუხსენებია), ასინეთას ხომ ენაზე არაფერი დაამაგრდება, თავადაც ხშირად შეუყოვნებია ნაბიჯი. მართალია, აშკარად მის წინააღმდეგ არაფერს ამბობენ, მაგრამ მაინც უსიამოვნოა საგამომცემლო დაწესებულებაში ამგვარი თავყრილობები... ზოგჯერ კარებსაც შეუღებს, მცირე პურობაზე ჩამომსხდართ მოიკითხავს, მაგრამ გულში სხვას ფიქრობს, იაფფასიან სასმელსაც ნაკლებად ეკარება... უხმოდ გამოიხურავს კარს.

არც თავად უყვარს ისინი და არც ისინი ფეთდებიან მისთვის!

ერთხელ, კიბეზე ჩასვლისას, თავისი ყურით გაიგონა, სუფრის ერთ-ერთმა წევრმა, სტუმრად მოსულმა გრძელწვერა მხატვარმა, (სულ ახლახან ხმაურიანი გამოფენა რომ ჰქონდა!), როგორ დაიანგარიშა გაქირავებული ოთახების რაოდენობა და ხმამაღლა, ყველას გასაგონად იყვირა: „დასაჭერია, მე მაგის...“ ამასაც არ დასჯერდა, შენობის ნამდვილი ღირებულება დააზუსტა, (რა ფასად შეიძლებოდა გაყიდულიყო!), მერე ის თანხა, თანამშრომელთა საერთო რაოდენობაზე გაყო, (დამლაგებლებიც კი არ დავინწყნია!). ყოველ მათგანს თანხის საკმაო რაოდენობა ერგო.

მოკლედ, ოცნების კომკები ააგეს!

გაავეებული რაფოსეთი სისწრაფით ჩამოჰყვა კიბეს, კინალამ ცხვირ-პირი დაიღუნა...

\*\*\*

საწყობში ვირთხასავით გამომწყვდეულ შავლეგოს, ჯერ ხმები ჩაესმა, თითქოს ვიღაც ჩამოჰყვა კიბეს, მერე კედლებიდან აჩრდილ-

ები გადმოვიდნენ. მიხვდა, წუხანდელი ნაბახუსევის ბრალი იყო, თავი უსკდებოდა... კედელზე გაკრულ წარწერას გახედა. „გიყვარდეთ ღმერთი, გიყვარდეთ ადამიანი, გიყვარდეთ წიგნი, იარეთ ჭეშმარიტების გზით და ჭეშმარიტება მიგიყვანთ უფალთან“. ეს შეგონება თავად დააბეჭდინა შავლეგომ, საკუთარ ოჯახშიც გამოფინა, შვილებმაც სკოლაში წაიღეს... მაგრამ ახლა არაფერი ახსოვდა... აქაურობიდან გაღწევა სურდა, სუფთა ჰაერზე ყოფნა ენადა, მზის სხივები მოენატრა.

მაინც რა დააშავა ასეთი, რა სასჯელს იხდის?!

კარადის კუთხეში არყიანი ბოთლი მოძებნა, სახურავი ახადა და ნახევარზე მეტი დალია, შეხურდა და შეხალისდა. უცებ, ნაბიჯების ნაცვლად, ტირილის ხმა ჩაესმა. მომეჩვენაო, გაიფიქრა, არადა, გარკვევით ესმოდა ქალის ხმა. მიხვდა, ვინც იყო... საპირფარეშოსთან ახლოს, ცივ იატაკზე, განმარტოებით მჯდომი ქალი თავის გაჩენის დღეს წყველიდა... „შვილო, შენ მოგიკვდეს ჩემი თავი“-ო, — მოთქვამდა. გააძაგა შავლეგოს. მიახლოება გაუძნელდა. ვერც შეეხმინა...

ამ დროს იყო, რაღაც ბედად, შემოსასვლელს უცხო კაცები მოადგნენ. სიცილ-ხარხარით მოინევენენ. მგონი მთვრალეები იყვნენ...

– სად მიდიხარ? – ეკითხება ერთი მეორეს.

– წამო, ბიჭო, წამყოფი ვარ...

– სირცხვილია...

– სირცხვილი არა, ერთს მივაფსამ და...

– სიბნელეა, არ ნაიქციე...

შეხმაურება ვერ გაბედა შავლეგომ, ნასვამები ჩანდნენ ქუჩიდან შემოხეტებულები, მთელი დღის ნაშრომ-ნანვალეები, სილასა და ცემენტში ნაგდები მამაკაცები. მათთან შეხლა-შემოხლას მოერიდა.

ისიც დაინახა, ლამფასთან მჯდომი, მტირალი ქალი დაფეთებით როგორ წამოვარდა ზეზე. კარის მიხურვა ვერ მოასწრო, უკვე მოაღწიეს ბანცალ-ბანცალით მომავალმა მამაკაცებმა. კარის უკან მიმალვას შეეცადა ქალი, ვერ მოასწრო... ეგრევე მოადგა ერთი მათგანი, მაღალ-მაღალი, ხმელი კაცი. სანთლის მკრთალ შუქზე გარკვევით დაინახა ერთბაშად ავარდნილი ცხელი ოხშივარი... ლამის იყვირა შავლეგომ, სურდა სიბნელეში მიმალულ ქალს წაშველებოდა, მაგრამ საკუთარი თავი გასჭირვებოდა... სარდაფში ჩამავალ კიბეს მეორე გადმოეყუდა. ირწეოდა, ბანცალებდა... ფეხზე ძლივს იდგა... პირდაპირ მისკენ მომართა... წვეთები კიბის სახელურს ჩამოჰყვა და... შავლეგოს მისწვდა.

ხმა ვერ ამოიღო, წყენამ ლამის გაგუდა კაცი... სიბრაზემ თუ სიავემ შეიპყრო. მიხვდა, სიბნელეში ჯდომას და ვირთხასავით კუდის ქნევას თუ არ შეეშვებოდა, ჰაერზე არ გავიდოდა, მზეს და ადამიანებს არ იხილავდა, მერე ყველაფერი გვიან იქნებოდა... (წყენისაგან ლამის გული გასკდომოდა!). დროულად უნდა გასცლოდა აქაურობას. უპირველესად, ხელ-



პირი დაებანა, შარდით აყროლებული სამოსიც გამოეცვალა. რაღაც უშლიდა ხელს, ყველაზე მეტად შაოსანი ქალის ხილვა არ სურდა, არც მისი ხმის მოსმენა...

უცნობი კაცები რა ხანია მიეფარნენ თვალს. ნელ-ნელა ამოჰყვა კიბეს, სანწყობის კარი არ ჩაუკეტავს, მოფრიალებული დატოვა. ბედი უნდა ყველაფერს, ზედ კარებში შეეჩეხა იგი, თავისი სისხლი და ხორცი, ალალი ბიძაშვილი, ჩაღბო. მერიიდან მობრუნებულიყო. კარგ გუნებაზე ჩანდა! ახალ პიჯაკში, თეთრ პერანგში ელავდა კაცი...

- მოხდა რამე? - ჰკითხა.
- არაფერი...
- რას გაგხარ...
- მივდივარ... აღარ მინდა აქ გაჩერება...
- რატომ?!
- თუ ციხეში ვარ, გამაგებინე, რამდენი მაქვს მისჯილი?! - იყვირა უცებ.
- რა გაყვირებს, გაჩუმდი... ფუ, რა სუნი აგდის, ჩაიფსი?! - ახითხითდა ბიძაშვილი. - აყოლიხარ ამ ლოთებს...
- შემეშვი!..
- ეგებ გგონია, ვერ ვამჩნევ შენს არყიან ბოთლებს...
- თავი დამანებე...
- მოიცა, შენ გგონი არ ხუმრობ! სად მიდიხარ?!

არ უპასუხა.  
- ვირო, მადლიო — ხომ გაგიგონია...  
არც ბიძაშვილი გამოედევნებია და აღარც თვითონ მოუხედავს უკან. ხალხმრავალ ქუჩას დაფეთებით გაჰყვა. მას შემდეგ აღარ გამოჩენილა შავლეგო...  
შაოსანი ქალის ალარავის უნახავს. თითქოს გაქრა, აორთქლდა.  
მაგიდაზე ლამფა და ასანთი დარჩა.

## თავი II

ორშაბათს, ყველა ნათურა აინთო, განათდა შენობა, შუქი მოვიდა... (დირექტორის ბრძანებით მოხდა თუ „თელასმა“ ინება), არავინ იცოდა...

დილაადრიან ოთახების დაცლა დაიწყეს: სანერი მაგიდები, სკამები, სავარძლები, წიგნის თაროები, ყველაფერი გაზიდეს, მაცივარიც ზედ მიაცილეს. ყვითელხალათიანმა მამაკაცებმა კარებთან მომდგარი ვეება მანქანა პირთამდე აავსეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიღეს (ყოველივეს ჩაღბო ხელმძღვანელობდა).

თეთრთმეტ საათზე, ჩვეულებრივსამებრ, რედაქტორები და მხატვრები რომ გამოცხადნენ სამსახურში, კარი შეაღეს და სამუშაო ოთახებს მიაშურეს... გაცივებისაგან ადგილზე გაშეშდნენ! ცარიელი დახვდათ, არც ერთი მაგიდა, სკამი, თარო თუ სავარძელი არ ჩანდა. იქაურობა მიესწორ-მოესწორებინათ. კარებზე, დირექტორის განცხადება ფრიალებდა — „ხელშეკრულებ-

ის ვადა ამოიწურა, თუ დაგვჭირდებით, გამოგიძახებთ“-ო.

მოკლედ, მიბრძანდითო!

პასუხის გამცემი არავინ იყო, უფროსებიდან არავინ გამოჩენილა. ერთად შეჯგუფულმა თანამშრომლებმა კარგა ხანს იყაყანეს, იდავეს, მერე განცხადება გადააბრუნეს და ზედ წაანერეს: „ორი ძმა ჰყავს რაფოს, — ალხო და ჩაღბო. დრო დაუდგათ ბიჭებს, ზუსტად სათავისო — დათრეული შენობა უკვე გაასხვისეს!!!“

მოგვიანებით ფურცელი ძირს ჩამოვარდა, ვილაცამ ზედ გადაიარა... ლანჩის ანაბეჭდი დამღასავით დააჩნდა.

სულ მალე მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო დანიშნული.

დილიდან ფუსფუსებდნენ ქალები — ასინეთა და ზარო. ქალაქის ნაგლეჯები აკრიფეს, ოთახები დაგავსეს.

დირექტორის კაბინეტში მაგიდას ექვსნი უსხდნენ: ოთხი მამაკაცი და ორი ქალი. ყველაზე დინჯად სახელიანი მწერალი იჯდა, თეთრი თმა ლომის ფაფარით ადგა თავზე, დუმდა. მთელი თავისი ცხოვრება მხატვრული ნაწარმოებებით თუ მათზე გადაღებული კინო-ფილმებით იმ უმსგავსოებას ებრძოდა, რომლის მოლოდინშიც ახლა აგრერიგად გატრუნულიყო... თავის წილ ულუფას ისე ელოდა, როგორც ღირსეულად მიკუთვნებულ ჯილდოს და პრემიას.

ამ ცხოვრებას ვერაფერს გაუგებ!

არადა, მაჯის საათის ცქერას უმატეს. პირველმა ასინეთამ შეამჩნია, შესასვლელთან შეჩერებული უცხოური მანქანა.

- მოვიდნენ! - უჩურჩულა უფროსს.

თეთრთმიანი ლიტერატორი დიდად არ დაფეთებულა, არც წამომდგარა, აღარც ფანჯრისკენ გაუხედავს. ალხოც სიდინჯეს ინარჩუნებდა, გაზეთი გაეშალა და თავდახრილი კითხულობდა... სტუმრებს ჩაღბო შეეგება. ის იყო მთავარი მომრიგებელ-მომლაპარაკებელი, კლიენტის მომძებნი, ფასიც მან დაასახელა, მის ნათქვამ სიტყვას დიდი ძალა ჰქონდა. რაც მთავარია, ფულიან-დოვლათიან ხალხში ავტორიტეტით სარგებლობდა. ეს კი ბევრს ნიშნავდა. ღიმილით მიეგება სტუმრებს.

რომ ელოდნენ ბრძენი, ჭარმაგი მამაკაცები, ცნობილი ბიზნესმენები, ფულის ტომრები მოვიდოდნენ, შენც არ მომიკვდე! ღია კარებში ერთმანეთის მიყოლებით ორი ახალგაზრდა ვაჟი შემოვიდა: მალლები, თხელები, ნაცრისფერები. ხეირიანად ვერ გაარჩიეს, თავად იყვნენ ნაცრისფერები თუ სამოსი ეცვათ ასეთი. იაპონური საათებით, მობილურებით, დაჯერებული მზერით, 24-25 წლისანი იქნებოდნენ, შეიძლება — მეტის. სათითაოდ ჩამოართვეს ხელი.

მონილები წარუდგინა ჩაღბომ — გვართ, სახელით, თანამდებობით. დიდად არ დაფეთებულან, მგონი, არც აინტერესებდათ. ცნობილი ლიტერატორის წარდგენისას, (ლამის მისი ყველა პრემია ჩამოთვალა), დიდად არ აღფრთო-



ვანებულან, მგონი, არ იცნობდნენ... ქართულ ლიტერატურასთან მწყრალად იყვნენ. არც ძველი კინო-ფილმები ახსოვდათ, (სცენარის ავტორი ეს ლიტერატორი გახლდათ). რუსული გემოვნებით შექმნილ, კომუნისტური აზროვნების ფილმებად თვლიდნენ, ალბათ... რას იზამ, სხვა გადასახედიდან უცქერდნენ ქვეყანას, ადამიანებს. თქვენ წარმოიდგინეთ, — რუსთაველის პროსპექტსაც... მანჰეტენზე ნახეტილები ყმანვილკაცები, ნიუ-იორკის ცათამბჯენების შემყურენი, რუსთაველის პროსპექტს პროვინციული ქალაქის ვინრო ქუჩად მიიჩნევდნენ.

მათთან პაექრობა ძნელი იყო, არც უფიქრი-ათ...

ერთ-ერთმა ვაჟმა „ნოუთბუქი“ გახსნა, ციფრები აკრიფა, მერე რბილი, დამთმობი ხმით (უცხო ინტონაციით), საუბარი წამოიწყო... გასაგებად მეტყველებდა, გაცივებისაგან ლამის პირი დააღეს. ეს ნაზი, მარმელადივით ბიჭი მილიონებს ისე ასახელებდა, ისე იოლად და ხელაღებით, თითქოს კაპიკებთან ჰქონდა საქმე. თითოეულ კვადრატულ მეტრს იძიებდა, ზედა და ქვედა სართულებს, სარდაფს, ეზოს, მანქანების დასაყენებელ ადგილს, საერთო ფართს, სახურავს, მეზობლების უფლებებიც გაარკვია... სახელმწიფო რეესტრში გატარების თარიღიც... არაფერი შეშლია.

შეხვედრის დასასრულს თითოეულის მონაცემები ჩაიწერა: კოორდინატები, ბანკის ანგარიშის ნომრები, პირადობის დამადასტურებელი მოწმობები. ყველაფერი უბრალოდ და ჩვეულებრივად ხდებოდა, ყოველგვარი გართულების გარეშე. რომ ელოდნენ, გაჭიანურდება შეხვედრაო, ადრინადა დასრულდა...

შემდგომი დღეები უფრო დაძაბული აღმოჩნდა... ელეთ-მელეთი შეწყროდათ... მალი-მალაკითხავდნენ ბანკს. საკუთარ ანგარიშზე ფულის დარიცხვას ელოდნენ... როგორც იქნა, მოვიდა ის დღე... ჩანკნიკებულმა ციფრებმა გააოგნა მენილეები, თავგზა აუბნია.

კარგა ხანს გათიშულებივით იდგნენ სალა-როსთან...

\*\*\*

ყველაზე მსუყე ლუკმა ბატონ რაფოს ერგო. ეკუთვნოდა კიდევ, ორი ათეული წელი გამომცემლობას შეალია... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამდენი გიჟის მიღება და გასტუმრება არ იყო იოლი... ლექსის დამწერი არასდროს მოკლებია, დღე ერთი იყო და ათი შემოუღებდა კარს... ნაცნობები, უცნობები, ქუჩიდან ალაღბედად შემოხეტებულები. ყველას ნიგნი უნდოდა, ყველა ავტორობას ჩემულობდა...

ბოლო ჟამს ყველაფერი მობეზრდა. საკუთარი კრიტიკოსობაც დაივიწყა, მწერლებს, რომელთა შემოქმედებას ამდენი ქება-დიდება უძღვნა, უკვე ეჭვის თვალთ უცქერდა. დრო-ჟამის მღვრიე მდინარემ, თითქოს წალეკა მათი

სახელები... გამოდის, რომ ტყუილ-უბრალოდ უშრომია.

შენობა გასასყიდად რომ მოამზადეს, საკუთარ არქივს მიხედა რაფომ — ხელნაწერებს, გამოცემულ წიგნებს. უხვად ენყო თაროებზე, უჯრებში, მრავალჯერ დასტამბული და ძნელად გასაღებული კრებულები. რამდენიმე ცალი თავისთვის დაიტოვა, დანარჩენი ქველმოქმედების მიზნით, უპატრონო ბავშვთა სახლში გაგზავნა. ნეტავი, ვის რად უნდოდა!

ანგარიშზე მოზრდილი თანხა რომ გადმოერიცხა რაფოს, იმ დღეებში, არც ერთი ვაჟიშვილი არ გამოჩენილა. რატომღაც მამასთან სიარული შეწყვიტეს. ეტყობა, ყური ნაჰკრეს და ახალ სტრატეგიულ გეგმას ამუშავებდნენ... ამდენ ხანს ცალ-ცალკე რომ შემოუღებდნენ კარს, ახლა შინ ესტუმრნენ. საღამო ჟამს (მეორე ცოლთან ცხოვრობდა რაფომ), ღმილით მიიღო შვილები. ისაუბრეს, აქეთური და იქეთური... ჯერაც ვერ მიმხვდარიყო, ფული იყნოსეს შვილებმა თუ უბრალოდ მამა მოენატრათ...

უფროსმა ვაჟმა, ექიმი ვარო, თავი რომ მოსწონდა, (თუმცა მისი მორჩენილი ავადმყოფი არავის ენახა!), გამოცდილი კაცის იერით გაუცხადა:

— მამი, დედაჩემის დიაგნოზი არ მომწონს, პროფესორს გავასინჯე და... საოპერაციაო... ლაიპციგის სამეცნიერო ცენტრში ადგილი უკვე დავჯავშენე...

— რა ღირს ოპერაცია?!

— ოცდაშვიდი ათასი დოლარი. ნასვლა-ნამოსვლა...

— „ჰაი, გიდი — გაიფიქრა რაფომ. — ეტყობა, გაიგეს.“

აქეთ უმცროსი ანუნუნდა, გაიზარდა ნანუკა (ბაბუას საყვარელი შვილიშვილი.), ცალკე ოთახი სჭირდება, ჩვენი ბინა ისე ვინროა. „მოზრდილ ბინას ითხოვს... იცის მხარჯველმა და არა — მჭამელმა“. მერე უფროსი ახირილდა: „უბანში ბიჭები დამცინიან, შენს მანქანას ჯართშიც არ ჩაიბარებენო... არადა, ორი წლისაც არ იყო მანქანა!“

იმ დამით არ უძინია რაფოს, წყენამ, სიავემ, მოუთმენლობამ შეიპყრო... თუმცა, გაცემა ამჯობინა, (ცოლმაც ურჩია), გამოსადენი სისხლი სჯობს გაიღო.

მეორე დღეს ბანკიდან ფული გამოიტანა და შვილები თავისთან დაიბარა.

კვირა დღე იყო. გემრიელი სადილის შემდეგ, ტელევიზორის წინ ნახევრად შიშველი, ნიფხვით, ტახტზე წამოგორებულიყო რაფომ: გაზეთსაც კითხულობდა და ტელევიზორსაც უცქერდა. ცოლი სამზარეულოში ტრიალებდა. თეფშების ჩხრიალი ისმოდა. რადიოში მექსიკურ სიმღერებს გადმოსცემდნენ...

ზარმა გაინკრიალა. გაზეთის კითხვა არ შეუნყვეტია რაფოს. სტუმრის მიღება თუ გასტუმრება არასდროს შეშლია ცოლს. გაზის თანამშრომლები აღმოჩნდნენ, რაღაც დავთრები



ეჭირათ ხელში, ორნი იყვნენ. ერთხელ გახედა რაფომ და მეტად აღარ დაინტერესებულა. უნებლიეთ, ერთ-ერთ მათგანს ნაჰკრა მზერა. მალალი ტანის, ნავარჯიშევი ახალგაზრდა ჩანდა, სპორტულ შარვალსა და თეთრ ბოტასებში. სახე ვერ დაუნახა. ფიქრი გაიყოლა მხოლოდ... როდის იყო გაზის თანამშრომლები სპორტული სამოსით დადიოდნენო, თუმცა, ამისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია. გაზეთში, რალაც სტატიამ დაინტერესა და მთელი გულისყურით შიგ ჩაეფლო. არ გაუგია, ნავიდნენ ინკასატორები თუ დარჩნენ, არც კარის მიხურვის ხმა გაუგონია. ცოლის ლილინი და ჭიქა-საინის ჩხრიალიც მინელდა, ამან გააოცა, ის იყო თავის წამონვეა დააპირა, რომ საფეთქელთან რალაც ცივი უსიამოდ შეეხო, იარალი იყო. შიშისაგან ლამის გული გაუჩერდა...

- ჩუმად იჯექი, იცი რისთვისაც მოვედით. აბა, ცოცხლად!..

უცნობმა ვაჟმა სპორტული ჩანთა ფეხებთან დაუგდო. ჩანთა ცარიელი იყო.

უგუნებობაზე მეტად, უძალობა შეჰყროდა რაფოს... მუხლები უკანკალებდა. წამოდგა. სეიფი გააღო და ფულის შეკვრები გამოიღო. ერთი, მეორე, მესამე... უხმოდ ჩაუძახა ჩანთაში — პირველი ცოლის სამკურნალო ფული, საყვარელი შვილიშვილისთვის გამეტებული თანხა, უფროსი ვაჟიშვილის ახალი ჯიპი. ერთხელ და სამუდამოდ მათი მოცილება სურდა... ახლა კი...

ხელის სწრაფი მოძრაობით უცნობმა ვაჟმა ჩანთა დაკეტა. რევოლვერი ჯიბეში მიმალა. (მოგვიანებით გაარკვია, ახალგაზრდას სათამაშო რევოლვერი სჭეროდა ხელში. ნაგვის ბუნკერთან იპოვეს.). რაფომ კიდევ შიშისაგან — ლამის ჩაისვ...

კარებისკენ გაემართა ვაჟი. კედელთან აკრულ, მღელვარებისგან გაფერმკთალეულ ქალს, თავი ოდნავ დაუხარა და დაბალი ხმით უთხრა:

- ერთი საათის შემდეგ შეგიძლიათ კარი გააღოთ. გირჩევთ, პოლიციას არ გამოუძახოთ!

- გასაგებია... - უპასუხა ქალმა.

- პარდონ, მადამ... (უკაცრავად, ქალბატონო!) — ოდნავ მხიარული ხმა ჰქონდა ვაჟს. ალბათ საკუთარი წარმატების თავადაც არ სჯეროდა!

- პარდონ... — უპასუხა ქალმა. იგი უნივერსიტეტში ფრანგულ ენას ასწავლიდა. მოლაღურივით ხმატკბილი ქალი ერთიანად ცახცახებდა...

ყელი გაშრობოდა რაფოს, მხრებზე ცოლის ვარდისფერი ხალათი მოესხა, მსუბუქი, ჰაეროვანი ქსოვილი. წყლიდან ამოყვანილი თევზივით აფჩინდა პირს. რბილ ტახტზე, ყურთბალიშებს შორის, მხარნაცქევივით იჯდა...

\*\*\*

რაც შეეხება ალხოს, იგი ცალკე თემაა.

და-ძმებს შორის გამორჩეულს, საკუთარ ნიჭსა და უნარზე დიდი წარმოდგენის მქონეს, ერთი სისუსტე სჭირდა... ქალები უყვარდა, მათი ტრფიალი გახლდათ! ჩემი მუზები არიანო, იცოდეთ ქმა. ისინი რომ არ მყავდნენ, დაღუპული ვიქნებო. ლექსებს ისინი მანერინებენო... ამაში გასაოცარი არაფერი იყო, ოდითგან ასე ჩვეოდათ მუზის ოსტატებს.

ახალგაზრდა პოეტი ქალები მოსწონდა ალხოს — პირველი ლექსის ავტორები, ფარვანებივით რომ ეხვეოდნენ გარს. გემოვნებიან, განათლებულ კაცად მიაჩნდა თავი. მალარმეს, კაფკას, პრუსტს ისე უბრალოდ და შინაურულად ახსენებდა, თითქოს ახლო ნაცნობობა ჰქონოდა მათთან. საკუთარ ლექსებს განცდით კითხულობდა, დამაჯერებელი ხმა ჰქონდა, მსუყე ბარიტონი.

თანამოკალმეთა ლექსებზე ქირქილი უყვარდა, ცხვირის აბზუება. სახელგანთქმულ მწერლებთან არჩევდა მეგობრობას, მათ წიგნებს რიგგარეშე სცემდა. ქებასაც იმსახურებდა. ის კი არა, ერთმა ცნობილმა მწერალმა, სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, თავისთან დაიბარა ალხო და გრიგოლ რობაქიძის ანდერძის მსგავსად („ყოველ მ ოქტომბერს, ჩემი დაბადების დღეს, სვეტიცხოველში, მივიდეს ვინმე ქართველი დედა და ჩემს სახელზე სანთელი აანთოს“-ო) ცხოვრებაში ბოთლი ღვინო რომ არ ჰქონდა ნაყიდი და სულ სხვის გაშლილ სუფრაზე უყვარდა თავმომწონეობა, დაუბარა: „ჩემი დაბადების დღეს, მეგობრები შეიკრიბეთ და მოსაგონარი დალიეთ“-ო. რამდენად აღასრულებდა ალხო დანაბარებს, არავინ იცოდა. დიდად არც მეგობრები უმტკრევდნენ კარს და არც თავად უყვარდა სუფრის გაშლა. ოღონდ, ანდერძის შინაარსს ყველას უამბობდა... თავს იწონებდა!

ალხოს სასიყვარულო თავგადასავლებზე ხომ არაკები დადიოდა... „სიყვარული ბრმაა“-ო, „სირცხვილი არ იცის“-ო... მოკლედ, იმ ხანებში, ალხო ერთ ნაზ, ჰაეროვან ასულზე იყო შეყვარებული. ერთობ გატაცებული ჩანდა! თვალები უელავდა. ლამის დნებოდა კაცი. არც ქალი იყო მწყრალად. მამაკაცის ხავერდოვანი ხმის გაგონებაზე ძალა ეცლებოდა, აღარაფერი ახსოვდა, არც ის, რომ ამ საფეთქელმეფიფქულ მამაკაცს კარგა მოზრდილი შვილებიც ჰყავდა და ცოლიც — უხმო, ერთგული ქალი.

თუმცა მათ სიყვარულს უკვალოდ არ ჩაუვლია, ლექსებს ლექსებზე უძღვნიდა ალხო, განუწყვეტლივ ეძებდა ქალს, ელოდა. საათს შესცქეროდა, თუმცა იქვე ჰყავდა, მეოთხე სართულზე, იმავე შენობაში, რომელიც რედაქციაში. ბაკა-ბუკით ჩამოირბენდა ქალი კიბეს და კარს შემოაღებდა... დიწჯ იერს ინარჩუნებდა ალხო, საუბარს განაგრძობდა, სტუმრებს გაისტუმრებდა და... ჩაიკრავდა ქალს, მომენტურეო, ყველგან შენი ხმა მესმისო, უშენოდ ცუ-



დად ვარო. — მოკლედ, დნებოდა კაცი...

მოგვიანებით, თანამშრომელი ქალები რომ შეუსახლეს ალხოს, სატრფო შემოსვლას ვეღარ ბედავდა. შორიდან უთვალთვალდებდნენ ერთმანეთს. ეზოში ჩასვლა, კაცის მანქანასთან მიახლოება და... როგორც პეპელა, უძალო და ფრთახატულა, ისე მიასკდებოდა კარს, მინის ამონევისას ვერ ასწრებდნენ...

თავის ქუთაზე აღარ იყვნენ! და იწყებოდა, გაფრენა-გასეირნებები — კოჯრის ტყე, წყნეთის პარკი, ლისის ტბა... გვირილებით მოფენილი ველი. ხომ გითხარით, თუკი რამ საუკეთესო ლექსი დანერა ალხომ, იმ დღეებს ეკუთვნოდა... ყველაფერი მოასწრეს, საკუთარ აგარაკზეც ეპატივებოდა ქალს. ღიღინით აუყვებოდნენ აღმართს, ყვავილებს კრეფდნენ, ნარგავებს რწყავდნენ, ეზო-კარს უვლიდნენ, მეზობლებსაც ესალმებოდნენ... ჰო, არ დამავეინყდეს! იქვე ახლოს, გამომცემლობის ძველი თანამშრომელი, მის ოთახში მჯდომი ტანმალალი ქალი, მეუღლესთან ერთად სააგარაკე სახლს აშენებდა. მთელი დღე თავდახრით შრომობდა ცოლ-ქმარი... ალხო რომ ჩამოვივლიდა მანქანით, სატრფოსთან ერთად, ბედნიერი კაცის ღიმილით, ვითომ ვერ ამჩნევდა ქალი, ზედმეტი არასდროს არაფერი ნასცდენია... სანამ...

ერთ დღეს, ცოლ-შვილი არ ნამოადგა ალხოს თავზე. მეუღლე, ვაჟიშვილი და მამასავით შავთვალა ქალიშვილი. ცუდად გახდა კაცი! ერთბაშად შემოაღეს ჭიმკარი... პოეტი ქალი ეზოში დასეირნობდა, ყვავილებს კრეფდა...

რა მოხდა იმ დღეს, რა თქვეს, ვის რა აკადრეს, არავინ იცის... ოჯახურ საიდუმლოდ დარჩა... ამას დაერთო ახალი განსაცდელი — შენობის პრივატიზაციისთვის სასწრაფოდ თანხა უნდა შეეტანა ალხოს, (თავისი წილი), შემდეგ ათმაგად და ასმაგად რომ ამოეგო. ჰოდა, აგარაკის გაყიდვა გადამწყვიტა. (ყველაზე მეტად თავისი ხელით დარგული ვაშლის ხეები დაენანა!) რა ექნა, ფული სასწრაფოდ სჭირდებოდა...

ჰოდა, ვერ მოიცალა იმ დღეებში, თვალი ვერ მიაღვენა, უბრალოდ, მომენტი გაუშვა ხელიდან და... ის ქალი — სატრფო, უცებ გაუფრინდა... ორ კვირაში გაცნობილ, უცხო ვაჟს გაჰყვა ცოლად.

მათი სიყვარულის მზე ჩაესვენა... დარდს გადაჰყვა ალხო-თქო, ვერ ვიტყვი... სულზე მიუსწრო გადმორიცხულმა თანხამ, პირველად რომ ჩაიხედა ბანკის ანგარიშში და ჩანკნიკებულ ციფრებს მიაღვენა თვალი, გული კინაღამ გაუჩრდა... განა არ ელოდა?! დღედაღამ ანგარიშობდა, ყოველ კაპიკს ითვლიდა, აზუსტებდა, მაგრამ ესოდენ დიდ თანხას ნამდვილად არ ელოდა... დაფრთხა კაცი... მარტო ტუზის დაცემა კი არ იყო, ან კოჭის აღჩუზე დაჯდომა, ბედისწერის თამაშს ჰგავდა — ნაკლებად სანდოს. ამიტომ იყო, ცოლთან და შვილებთან გამხელა ვერ გაბედა. როგორც ძუნწი ინახავს ხოლმე ქოთანში ოქროს მანეთიანებს და მინაში ფლავს, ასე მაგიდის

უჯრაში მიმალა სალაროს წიგნაკი. დახარჯვა ვერ გაბედა, მცირედიც ვერ მოაკლო...

შიში კლავდა, ვაი, რომ საქმე წახდეს, ყველაფერი აირიოს, ვინმემ იჩივლოს, ფული უკან მიმატანიონ ან მყიდველმა გვიტყვოს პირო. იმ ბაჭალ-ბუჭალა ბიჭების უკან რა იცი, ვინ დგას, ვინაა ნამდვილი პატრონი. მერე რით აპირებს ამოდენა თანხის დაფარვას, სახურავთან შეკიდებული სამი მცირე ოთახით?! (მეცხრე სართულზე ცხოვრობდა.) მთლად რომ გაყიდოს მამისა თუ და-ძმების შეძენილი ქონება, ყოველი კაპიკი ერთმანეთს დაადოს, ფსკერსაც ვერ მოუფარავს ვალს...

ამიტომ იყო, იმ ფულს კაპიკი არ მოაკლო, შაურიანიც არ გამოუყენებია. მხოლოდ პროცენტები გამოჰქონდა ბანკიდან, ისიც კანტიკუნტად.

ამას დაემატა მეორე უბედურება: რაფო დააყაჩაღეს. დღისით, მზისით. სპორტული აღნაგობის ახალგაზრდებმა სახლის კარი შეუღეს და ერთიანად გაფცქვენეს კაცი. თუმცა ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა, (რაფოს პოლიცია არ გამოუძახებია!). წყენა უხმოდ გადაყლაპა. ეგებ ეჭვობდა, ქუჩაში გაყრილი თანამშრომლების შვილებმა თუ შვილიშვილებმა გამოიძვეს, ალბათ, თავი და სამაგიერო გადამიხადესო...

ამას დაერთო სხვა, უფრო ამაფორიაქებელი ამბავი — უკვე დაფინყებული სატრფო, პოეტი ქალი... მოულოდნელად იხილა. (მასზე დანერვილი ლექსები რა ხანია გამოაქვეყნა და წიგნადაც გამოსცა). ქალიც გამოიგლოვა. თავს მშვიდად გრძნობდა და სრულიად მოულოდნელად... გაჩერებაზე მოჰკრა თვალი, ფერადი ქოლგით, მოკლემკლავებიანი ვარდისფერი კაბით, მთლად ჰაეროვანი, მთლად ნატიფი... რომ ეგონა, ქმართან ერთად საზღვარგარეთ ცხოვრობდა. უცებ იხილა!

გააკანკალა კაცს, იგრძნო, როგორ მონატრებოდა იგი, გული მისკენ ენეოდა. მოეჩვენა თუ მართლა, მსუბუქმა ნიავმა, ქალის სხეულის სურნელი სულ ახლოს მოუტანა. ცუდად გახდა... მის ფეხებთან გააქვავა მანქანა, არც კარი გაუღია. უსიტყვო მზერით შეაჩერდა, თითქოს შეევედრა — ჩაჯექიო...

უხმოდ გამოალო ქალმა კარი და ჩაჯდა... სულ ახლოს იგრძნო მისი სხეულის საამო სურნელი, სიგრილე და სინატიფე... გულში ჩაეკრა სურდა, ხარბად ჩაეკოცნა. უმაღ მოერია საკუთარ სურვილს. მანქანა აამუშავა და წინ გავარდა.

ერთხანს დამუნჯებული ისხდნენ, სანაპიროსთან, ხიდქვეშ. გაჩერება თხოვა ქალმა, — ბოლო შეხვედრააო, — უთხრა. — რა ხანია გულიდან ამოგიღეო... ქმარი მიყვარსო... სიცოცხლეს მორჩევნიაო... მასთან თავს ბედნიერად ვგრძნობო... მოკლედ, შემეშვიო... ზედიზედ მიაყარა სიტყვები, მერე გადავიდა და წავიდა. მის დასან-



ახად გააჩერა ტაქსი, ერთხელაც არ მოუხედავს უკან, ისე მიიძალა. და დარჩა კაცი უკბილო ხუმრობასავით, უეცარ გალანუნებასავით, უგერგილო ოხუნჯობასავით, უადგილო ადგილას სულით-ხორცამდე შეძრული... მოეჩვენა, თითქოს ვიღაცამ მთელი ძალით გაულანუნა... (ბოლო ჟამს დასჩემდა ამგვარი განცდა!).

სალამოს, შინ მობრუნებულმა, რესტორანთან მანქანა გააჩერა და კონიაკი იყიდა. ძვირფასი, ფრანგული, ხის ბოთლით, ოქროსფერი წარწერით. საგულდაგულოდ შეფუთული. ის იყო საწერი მაგიდის უჯრაში მიძალა, რომ... გაახსენდა, ორიოდ დღის წინ ნაცნობ ლიტერატორს გადაეყარა, თეთრთმიან, ხლიჩინა ხმით მოლაპარაკე კაცს, იმ დღის შემდეგ, რაც თანხები გაინაწილეს, არ ენახა. ახალთახალ „ტრიოტა კამრში“ იჯდა, იაპონურ, ძვირადღირებულ მანქანაში. ქამელეონის მინებით, კოსმიური დაცვით, ასეთი მანქანები ერთეულებს ჰქონდათ თბილისში. მასავით კი არ უკანკალია, იყიდა და გაიხარა...

კონიაკის ბოთლი მოიძია, „მუტონის ვენახებიდან“ ამოიკითხა წარწერა. შაბლი. ფრანგული ქალაქი, შამპანთან ახლოს. ბურგუნდიული ღვინოები, 1992 წლის ჩამოსხმა. წითელმიწოვან ფერდზე ვენახების მწკრივი მოჩანდა...

ნელ-ნელა სვამდა, ნეტარებით. ფრანგული სასმელის სიმსუბუქე და სილალე იგრძნო. საკუთარ თავს ყველა მოგონება აუკრძალა... ვარდისფერსამოსიანმა არსებამ (საამო სურნელი რომ ჩაუტოვა მანქანაში.) თითქოს ბანგი შეასვა და გააბრუა. ნაზი და შემპარავი ჩანდა სასმელი... ქალიც. ერთბაშად მოეკიდა.

შუალამე იყო, ოჯახის წევრებს ეძინათ. ბარბაცით წამოდგა. ჯერ კედელს მიენარცხა, მერე სკამი გადააყირავა... სუნთქვაგახშირებულმა და უცნაურად ამღვრეულმა საკუთარი თავი სარკეში დალანდა, ვედარ იცნო... შუბლი დაღარვოდა... სახე დაბერებოდა... უიღბლობის ელფერი ედო.

- ჰეი! — იყვირა. — არ გესმით?!

- რა მოუვიდა ამ კაცს? — ცოლის ხმა ჩაესმა.

- ზახრუმა!

- მამი, ხომ კარგად ხარ? — იძიებს ქალიშვილი, ეტყობა წამოდგომა ეზარება.

- გამოდით ყველა, ჩქარა!..

- რა გჭირს?!

- ადექით, თქვენი!..

იკადრეს. ნელ-ნელა წამოიშალნენ. მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ. ხალათმოხურული ცოლი (გამხდარი და გალეული) ამდენ ხანს არ შეუმჩნევია, მარტო თვალებილა დარჩენილა... ქალიშვილი რედაქციაში მუშაობს, კორექტურის კითხვით ამოღამებია იმასაც თვალები..

- ახალი ლექსი დანერგე? — მიქნარებით ეკითხება.

- ლექსი არა!..

ვაჟიშვილიც გამოჩნდა, ნახევრად თვალებდახუჭული, ნავარჯიშევი მხრები უჩანს. „რა

უცებ დაკაცდა“.

— შეგცივდება, მოიცვი რამე... — ეჩურჩულება დედა.

- შემეშვი! — უბღვერს ვაჟი — რა გინდა მამი, რატომ წამოგვყარე?!

- ფურცელი და კალამი მოიტანეთ...

- მამი, ცუდად ხომ არა ხარ?! — იძიებს ქალიშვილი.

- არა, კარგად ვარ! უბრალოდ, ნასვამი ვარ...

- მაგას ჩვენც გატყობთ... — ჩაიცინა ცოლმა.

- სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს იცნობთ?

- აუ, ეს კაცი არ არის კარგად...

- გეუბნებით, იცნობთ თუ არა!.. — ფეხზე წამოდგა, ირწვევა.

- ფანჯარა გააღე, ეგებ გონზე მოვიდეს. — დედა ეჩურჩულება ქალიშვილს.

- არ მინდა, ფანჯარა არ გააღო! — ყვირის. — ფურცელი და ფანქარი მოიტანეთ?

- აგერ, ბატონო....

- ჩამოწერეთ... — უხმოდ შესჩერებთან. — ახლა, ამ წუთში, თორემ შემდეგ გადავიფიქრებ, მხოლოდ ახლა ვარ ამ ხასიათზე, ამ განწყობაზე... შენ რას ინატრებ?.. — ეკითხება ვაჟს.

- ახალი წელია?!

- თქვი!..

- თუ ასეა, მანქანა მინდა... — ასახელებს ფერს, გამოშვების თარიღს.

- რა ღირს?!

- ძვირია...

- თქვი...

ვაჟი ამბობს.

- შენ რა გინდა?.. — ახლა ქალიშვილს მმართავს.

- თუ ნატვრაა, ნატვრა იყოს... ოროთახიანი ბინა მინდა, თქვენთან ახლოს. — სიცვიისაგან თახთახებს ქალიშვილი, დედას ეკვრის.

- შენ, შე საბრალო? — ცოლს მოხედა. თავის ხალათივით გახუნებულს და ფერშეცვლილს...

ზუსტად მეჯღანუაშვილის ოჯახია... იმოდენა ფული ბანკში აქვს და დასახარჯად ვერ იმეტებს...

- თქვი, რა გინდა?! — ხელახლა მოხედა ცოლს.

ერთ დროს, მხიარული, თვალეზბრილა, კისკისა ქალიშვილი დამჭკნარ ყვავილს ჰგავდა, უწყლობით გამხმარს, მოუვლელს... საბრალოდ ამოხედა ქალმა. ძველი შეუხსენა ქმარს. საძინებელს ნატრობდა, ცოლ-ქმრის რბილ საწოლს, ჩუქურთმებით, ზამბარებით, გადასაფარებლებით. სურდა, დედოფალივით ეგრძნო თავი...

არადა, ცოლის გვერდით წოლას გადაჩვეოდა კაცი. ცალკე საძინებელი მოიწყო, კაბინეტს ეძახდა. ხშირად „შემოქმედებით წვას“ განიცდიდა და მოულოდნელი წამოდგომებით, ფურცლების შრიალით, ძილი რომ არ დაეფრთხო



მეუღლისთვის — „შუალამისას ანთებულმა შუქმა რატომ უნდა შეგანუხოს...“ -ო. — ვითომ ზრუნავდა. არადა, კარგად იცოდა ქალმა, სად იყო ძაღლის თავი დამარხული. ქმრის გატაცებები, მალი-მალ ქალაქგარეთ ქროლვა, ვითომ ნარგავების მორწყვა... მოკლედ, ატყუებდა და... ერთხელ რომ დაიყრუა ყური, ბოლომდე ასე დარჩა.

ახლა უეცარი აღსარების ჟამი დამდგარიყო... სანოლს ითხოვდა ქალი. ქმრის გვერდით ყოფნა ენადა. მისი სუნთქვის მოსმენა, სხეულის სითბო. მამაკაცის სიახლოვის შეგრძნება. ჩაცვინა კაცს, რა პატარა ჰყოფნის ამ საბრალოსო... იმასაც მიხვდა, რაც ქალისთვის საკმარისი იყო — ქალი, ფარდები, თეთრეული, სანოლი, მისთვის არაფერს ნიშნავდა. არც იმ სანოლში აპირებდა ჩანოლას... ჩავლილ დღეებს არამარტო გაეთიშა ცოლ-ქმარი, ურთიერთლტოლვაც განელებულიყო. შენი ნებააო, დანებდა, ვიყიდოთო...

სხვაგვარად არც შეეძლო! ამ ბნელ, ცივ ღამით, მაგიდასთან შემომსხდარ ცოლ-შვილს ყველა სურვილი უნდა აუსრულოს... ყველა ნატვრა...ოცნება. (ვერა და ვერ მოიცოდა არდაზიანის მადლიანი კალმის განწყობა!), კვლავ სოლომონ მეჯღანუაშვილად მიაჩნდა თავი, ხოლო შავადგახუხული, ყოველდღე სამსახურსა და ბაზარში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ნაგდები, პროდუქტების თრევისგან ნელატივიებული ქალი, (გადარჩენილი და მაინც გათელილი), განსაკუთრებით შეებრალა. მოუნდა, მცირედი სიხარული ეჩუქებინა მისთვის...

იგრძნო, არეულად აზროვნებდა. ფიქრს იწყებდა და ვერ ამთავრებდა. შუა მაგიდაზე განაჩენივით გადაშლილი ფურცელი, ჩამონერილი სია — ჩამოთვლილი სურვილები, აღსარებები — მტკივნეული და სულის შემძვრელი ჩანდა. ხელის შეხებაც გაუძნელდა.

ბანცალით გაემართა სანოლისკენ.

გათენდა. სურვილების ასრულების დრო დამდგარიყო. ჩქარობდა კაცი, კარგ გუნებაზე იყო! უკვე ყოყმანობდა ცოლ-შვილი, ნუხანდელი დაპირებების აღარ სჯეროდათ. უაზროდ ედებოდნენ ფეხებში... მერე ბანკიდან თანხა რომ გამოიტანა და მაგიდაზე დაყარა, მღვლვარებისგან გაშეშდა ქალი.

— ვაიმე, ვაიმეო!.. — და ტუალეტისკენ გაიქცა...

უპირველესად გაჟიშვილს გაჰყვა მანქანების ბაზრობაზე. მეგობრებიც ახლდნენ თან. ახალთახალი, წინაღამით შემოყვანილი უცხო ფირმის მანქანა მოიწონეს ბიჭებმა. თუ გრიალი იყო, დაე ბოლომდე ეგრიალათ! უყიდა.

კვირის ბოლოს, ნაცნობი მაკლერი დაიბარა, ენამოსწრებული, მარმანა კაცი. ქალიშვილისთვის ბინის მოძებნა სთხოვა. ქუჩის ბოლოს, მესამე სართულზე, ახლად გარემონტებული ორთახიანი ბინა იყიდება, თავისთვის უნდოდა პატრონს, საჭიროება გამოუჩნდა და გაყიდვას ჩქარობსო... არ უეაჭრიათ, ქალიშვილის სახელზე გააფორმა

ბინა. შამპანურის გახსნით და გასაღების ჩაბარებით აღნიშნეს ახალმოსახლეობა...

ცოლს უკვე შეეთვალეირებინა სანოლები, კარადები, ფარდები, ყოველგვარი ინტიმის გათვალისწინებით. თუმცა, როგორც თქვენ არ დაგიძინიათ იმ სანოლში, ალბოსაც იმ ბალიშზე არ დაუდგია თავი.

ახალი საფიქრალი გასჩენოდა... „კაცი ცხენზე იჯდა და ცხენსა კითხულობდა“-ო, რაკი სანადელის ასრულების დრო დადგა, დაე, თვითონაც აისრულოს ოცნება, რატომ უნდა დაიხიოს უკან. დღევანდელი ბაზრობა მიაქვს უცხოურ ნაწარმს. შეიძინა კიდეც — კომპიუტერი ბოლო მოდელის, ოპერატიული მეხსიერებით, ვინჩესტერით, მონიტორით, სკანერით, პრინტერით, კლავიატურით, ოპტიკური მაუსით, დინამიკებით... — ღამის ჩაიკარგა შიგ!

თავდაპირველად ვერაფერი გაუგო, რომელ ლილაკზე დაეჭირა თითი. სად, რატომ? ინგლისურიც არ იცოდა. ურჩიეს, მასწავლებელი აეყვანა, რომელიმე ფირმიდან მოეწვია. მოვიდა კიდეც. საკმარ თანხაც მოითხოვა. არ დანანებია, კერძო გაკვეთილებს ბეჯითად მოეკიდა. რომ ეგონა გაუძნელდებოდა, ერთბაშით აულო აღლო...

მოკლედ, სამსახური არ ჰქონდა.. გამომცემლობა რა ხანია დაიხურა (გაუქმებას თვითონ შეუნყოხელი!). არსად ეძახდნენ, არც ინვესტორები, თითქოს არც იყო ამქვეყანაზე... ფულიან-დოვლათიანად გაქრა კაცი. კომპიუტერში ჩაიძირა და შთაინთქა... მთელი დღე უჯდა... მაინც რა გატაცება სცოდნია! სტრიქონს-სტრიქონზე კრეფდა, ლექსის პნკარედები გამოჰყავდა. შეცდომებმაც ასწორებდა. ამობეჭდვასაც ახერხებდა. თუ სურვილი ჰქონდა, რედაქციებშიც გზავნიდა. მოკლედ, აანყო საქმე! მუდამ თავისუფალ დროს ნატვრობდა და ახლა თავზე საყრელად ჰქონდა. ამასაც არ დასჯერდა, ინტერნეტის დახმარებით მსოფლიო გაიფინა ფეხქვეშ. თავისი პოეტური კრებულები, წერილები, რომანები განათავსა. თითქოს სხვა სივრციდან შეხედა საკუთარ თავს, საკუთარ შემოქმედებას. საამაყო და თვალსაჩინო ეჩვენა!

მოკლედ, ასე იყო თუ ისე... ცოლმა ორი ღამე გაატარა ახალ სანოლში და ძველ ტახტს დაუბრუნდა. ჩვენ თუ ვერ გამოვიყენებთ, პატარძალს გამოადგებაო, დაიიმედა თავი, საცოლედ შეღერებული ვაჟი ჰყავდა შინ...

\*\*\*

რომ ეგონა ალბოს, ჩაიკეტა და ჩაიძალა, ადამიანებს გაერიდა, დილაადრიან ტელეფონთან იხმეს, ჩალბო აღმოჩნდა. უაზროდ ბუტბუტებდა... ერთიანად შეძრული ჩანდა კაცი.

— რა მოხდა?! — მკვეთრი, მომთხოვნი ხმით ჰკითხა. შიშმა შეიპყრო, მოეჩვენა, რაც საშინელებას იტყოდა. ყველაზე მეტად ხელშეკრულების გაუქმების, ფულის უკან დაბრუნების ეშინოდა.



- ამოთქვი, ბიჭო!..  
- მეოთხე სართულიდან გადამხტარა, ფანჯარა გაუღია და...  
- ვინ?!

სახელიც უთხრა, გვარიც.  
- რას ამბობ?.. - შეიცხადა.  
- წინა საღამოს დამირეკა, ტიროდა, ცოლიც მოკვდომია საცოდავს... გაუბედურებული ჩანდა, გამწარებული. რატომ მომატყუეთო... ის სამი პროცენტი ხელიდან რად წამგლიჯეთ, მეც მქონოდა სიბერეში ორიოდ კაპიკო. არ გაიხარეთო! ინყევლებოდა... - კარგა ხანს ისმოდა ყურმილში ჩალხოს ხმა, ერთბაშად შეწყდა...

დამუნჯებული იდგა ალხო, მთელი ცხოვრება იცნობდა იმ კაცს, მისი პირველი წიგნის რედაქტორი იყო. არასდროს მილოცვა არ დაავინყდებოდა, არც სასიკეთო სიტყვის თქმა, თავისიანად თვლიდა. ერთი მხრიდან იყვნენ! არადა, უკვირს, ამ მშვიდმა, უწყინარმა კაცმა როგორ გადადგა ასეთი მძიმე ნაბიჯი. შუალამისას ფანჯარა გამოალო და გადაეშვა. — „ჭეი!“ - გალაკტიონივით დაიძახა. მისი თანამემამულე იყო! ერთი მდინარე ჰყოფდათ, ქალებიც, მინდვრებიც საერთო ჰქონდათ. რაც ნიჭი და მაღლი გააჩნდა ამ კუთხეს, გენიოსმა პოეტმა შეისრუტაო, იცოდა თქმა, — ჩვენ არაფერი დავგიტოვაო... ვითომ ხუმრობდა. გალაკტიონის შემდეგ ლექსის წერა მკრეხელობაა, როგორ ვბედავ, მაგრამ, გულის ჭიას ვახარებო...

— ამგვარი ჭიები ყველას გვყავსო, — გაეხუმრებოდა ალხო, — ზოგს — დიდი, ზოგსაც — პატარაო, ატყდებოდა ხარხარი...

სინდისის ქენჯნას გრძნობდა ახლა, ერთი სული ჰქონდა, გაუბედურებულ ოჯახამდე როგორმე მიეღწია, საკმაო თანხას დატოვებდა. ეგებ ცოტა დამშვიდებულიყო... მარტო ნასვლა ვერ გაბედა, ცოლიც გაიყოლა. ასდოლარიანი კუპიურები პიჯაკის გარე ჯიბეში ჩაიცურა...

მანქანაში ჩაჯდა. ჰო, კინალამ დამავინყდა! შვილს მანქანების ბაზრობაზე რომ გაჰყვა იმ დღეს დიღომში უყიდა და მეგობრებთან ერთად უკან მოაბრუნა, თვითონ დარჩა, შეყოვნდა. თვალი ვერ მონყვიტა: ნაირ-ნაირი მანქანები გამოეყვანათ გასასყიდად. ფერად-ფერადები, სხვადასხვა მარკის, სულო და გულო! ფული საკმაოდ ედო ჯიბეში. დანგრეული 07-ით სანამდე უნდა ეჩიქჩიქა... თუ შეძენაა, შეძენა იყოს! უცებ გადაწყვიტა. ვილაც გადამყიდველს გადაეყარა, ღიმილიანი კაცი იყო, გაქარული პირისახით. „ხუთი წელია საზღვარზე გადავდივარ და ვადმოვდივარ, ახლახან 10 მანქანა ჩამოვიყვანე, ერთმანეთზე უკეთესები. შენი ასაკის კაცს რომ შეეფერება, ისეთი მანქანა მოფარებულში მიდგას“ -ო.

მაინც როგორი იყო მისი ასაკის კაცისთვის შესაფერისი მანქანა?! ერთობ დაინტერესდა. ცნობილი ლიტერატორის, თეთრთმიანი კაცის თავმომწონე იერი გაახსენდა... იმ დღეს ისე მოჰყავდა მანქანა, თითქოს გარშემო მყოფთ ეუბნებოდა, — „გზა დამითმეთ, ვერ ხედავთ,

მოვდივარ“-ო. ჩაეცინა, საოცარი სურვილი იგრძნო, ახალი მანქანით გაექროლა ქუჩაში... ბევრი არ უფიქრია, იმ ათი მანქანიდან, ერთი (საგულდაგულოდ რომ მიემალა პატრონი,) შეარჩია, ფული გადაიხადა და წამოიყვანა. თავისი ძველი „ნოლშვიდი“ მას დაუტოვა, „ეგებ ვინმემ იყიდოს“-ო... ეს ძველი ჯაბახანა მანქანა წარსულს ახსენებდა, აღმა-დაღმა ხეტიალს, საყვარელი ქალის სიახლოვეს, მის ალერსს... ეჩვენებოდა, მანქანის კარს, ფანჯრებს, სავარძელს ქალის სხეულის სურნელი შემორჩენოდა, (ვარდის სურნელს რომ წააგავდა.) და თავბრუსხვევას იწვევდა...

ახალი მანქანით დაბრუნდა შინ. ცოლმა დაიფეთა. ერთ დღეში ორი უცხოური მანქანის შემოყვანა გააგიჟებს მეზობლებსო. „ერთი მაგათიც“-ო და ისე შეიყვანა ეზოში, გაატარგამოატარა, როგორც სადოლე ცხენს, ჯიშთან ბედაურს გაასეირნებენ ხოლმე, შეუმონმებენ მკერდს, ზურგს, ფეხებს...

უხმოდ იდგნენ მეზობლები, სიტყვა არ დასცდენიათ, არც მიულოციათ...

ამ მანქანით აპირებს ახლა გაუბედურებულ ოჯახში მისვლას?!

ჩიხში შეიყვანა და იქ დატოვა. ფეხით გაუყვინენ გზას.

კიბეს აუყვინენ. პანაშვიდზე მომსვლელთა ნაკლებობა იგრძნობოდა. ორიოდ მეზობელს წაჰკერეს თვალი. ვილაც მაღალ კაცს გატეხილი მინა ჩამოჰქონდა კიბეზე... გზა დაუთმეს.

ღია კარში შევიდნენ.

მიცვალებულისკენ არ გაუხედავს ალხოს, უხერხულად გრძნობდა თავს. კუბოს თეთრი აბრეშუმის ქსოვილი ეფარა, მამაკაცის სახვე სხეულსა და მოკლე ფეხებს აჩენდა. შაოსან ქალებში გარდაცვლილის ქალიშვილი ვერ შეამჩნია. არადა, ვილაცისთვის ხომ უნდა მიეცა ფული...

თავდახრილი იდგა კედელთან. ცოლი სკამზე ჩამოჯდა.

გამოჩნდა ქალიშვილი. მაღალი, თხელი. ნამტირალევი თვალებით. ის იყო, ალხომ ჯიბისკენ ნაილო ხელი, ნახევრად ამოიღო ფული...

— როგორ მენყინა... — მობოდიშებით ჩაილაპარაკა.

ვინ აცალა! გამწყრალი ჩანდა ქალი... იმგვარად დააცქერდა ალხოს, თითქოს ეკითხებოდა, აქ რამ მოგიყვანაო...

— მამამ დამიბარა, ნურავის დაპატიჟებო... — მიცვალებულს გადაემხო და გულამოსკვნით დაატირა:

— მამი, შენ შემოგველე... პატარა ტკივილს ვერ იტანდი... ბავშვივით მიზეზიანობდი... ახლა როგორა ხარ, შე საბრალო, ასე დამსხვრეული... მე რას მერჩოდი, რატომ არ შემიცოდე?!

ატირდნენ სხვებიც... შაოსანი ქალები. ქუდ-მოხდილ მამაკაცებს მზერა ამღვრეოდათ, ახლობლები ჩანდნენ.

— სკამზე ასვლა გიჭირდა, მამი!.. ფეხი მტკივაო... ფანჯარაზე როგორ აბობლდი, შე სა-

27406





ბრალო! რამ აგიყვანა?! ჩემი პარნასიო... აჰა! შენი პარნასიო... – ტიროდა, გულდათუთქული მოთქვამდა ქალი. – არ გამაღვიძე, არ შენუხდესო... წერილი დამიტოვე. დასაფლავებაზე თორმეტი კაცი მოვიდესო... სათითაოდ ჩამომინერე გვარები და სახელები... ვინც გიყვარდა, ვისაც პატივს სცემდი... ენდობოდი... ყველას დავურეკე, მამი! უეჭველად მოვლენ. ნუ გეშინია! – იკივლა და იკივლა ქალმა. შეძრა იქაურობა. კვლავ მიცვალებულს გადაეშო. ორთავე ხელი მოხვია...

(კოლმა მოხედა ალხოს. (იმ თორმეტ კაცში „ალხო“ არ ერია!) უხმოდ უმზირა... სევდა ედგა თვალებში. მერე წავიდეთო, ანიშნა... კიბზე ჩასვლისას, მოეჩვენა... რაღაც არარსებული ძალა ერეკებოდა თითქოს, ერთი-ორჯერ პანდურიც მოუნაცვლა...

თავშიშველა, ჯიბეებში ხელებჩანყობილი ქუჩაში გამოვარდა.

\*\*\*

არც ჩალხო იყო კარგ გუნებაზე...

ემზარ ჩალაბაძე, გონიერი და მიმხვედრი კაცი, ნაადრევმა ზარმა შესძრა. მთელი ეს დღეები თავის ბავშვობას იგონებდა, სიყმანვილეს, ქალაქში ჩამოსვლის პირველ დღეებს, (მამინ არც „ჩალხო“. ერქვა და არც არავინ იცნობდა,) უბრალო ყმანვილკაცი ემზარ ჩალაბაძე იყო... თბილისის ქუჩებში სეირნობა უყვარდა, აღმა-დაღმა ხეტიალი. ტროლეიბუსით მგზავრობდა, უმეტესად ფანჯარასთან იჯდა. ქუჩებს, სკვერებს, ჩიხებს ათვალთვლიდა. აღტაცებული იყო ქალაქით. არადა, გაუგრძელდა შეჩვევის ხანა, ველარც სამსახური იშოვა და ველარც სასწავლებელში ჩაირიცხა. სულ მალე აქაურობა უნდა დაეტოვებინა, მშობლიური სოფლისკენ ექნა პირი. მეგობართან, ვისთანაც ღამეს ათევედა ნაქირავებ ბინაში, მეტხანს ველარ დარჩებოდა. არდადეგები იწყებოდა და ბინა უნდა გაეთავისუფლებინათ. დათვლილი დღეები ჰქონდა... უმატა აღმა-დაღმა ხეტიალს, თითქოს ემშვიდობებოდა ქალაქს... ყველაზე მეტად რუსთაველის პროსპექტზე უყვარდა სეირნობა. თავს ლაღად გრძნობდა. ულამაზეს ქალიშვილებს, გემოვნებით ჩაცმულ-დახურულ ხალხს ხარბი მზერით ათვალთვლიდა.

ხანდახან ხდება ასე, ზუსტად იქ მიგიყვანს გამჩენი, სადაც...

მაღალი შენობის კართან მანქანა მიეყენებინათ... ორი კაცი ქალაქში გახვეულ, თასმით შეკრულ წიგნებს შენობაში ეზიდებოდა. ალაგ-ალაგ კანაფი განყვეტილიყო, ქალაქი შემოცლოდა. ძვირფას ყდაში ჩასმული წიგნები ჩანდა, საუკეთესო გამოცემა. სტამბიდან მოეტანათ, საღებავის, ქალაქის, ნებოს სუნი ტრიალებდა ირგვლივ.

იღრუბლებოდა, სადაც იყო, წვიმას დაუშვებდა. ჩქარობდნენ, ფაცი-ფუცობდნენ, წიგნებს

შენობაში ეზიდებოდნენ, მაგრამ არ გამოუდიოდან. ორი კაცი ამ საძნელო საქმისთვის ერთობ ცოტა იყო. შოფერი — შავუღვაშა, მაღალი კაცი, მანქანაზე იდგა და ზემოდან აწოდებდა წიგნებს, ხოლო მეორე — ასაკიანი, ჭალარა, დამდნარი კაცი, ნაცრისფერი პიჯაკით და სათვალთ, ერთობ უძალო ჩანდა, თითები უკანკალებდა. თავნახური ეზიდებოდა შეკვრებს. შენობის ღია კარში შეჰქონდა. ვაი, ამ შეტანას! უჭირდა კაცს...

სოფლიდან ჩამოსული, სუფთა ჰაერზე გაზრდილი ვაჟი ძალოვანი და მუხლმაგარი ჩანდა. ნაბლისფერი ქოჩორი ბუძგად ადგა თავზე. ძალა და უნარი არ აკლდა. უმალ თვალი დაადგა გამხდარმა. ნაბიჯაუჩქარებლად რომ ჩაუარა ვაჟმა, თავისკენ მოიხმო.

ძლივს სუნთქავდა კაცი, სათვალე მოეხსნა, შუბლზე ოფლის მსხვილი წვეთები ასხდა. (გამომცემლობის უფროსი ბუღალტერი აღმოჩნდა). წიგნები დაგვიანებით მოეტანათ, თანამშრომლები წასულიყვნენ, ახლად ნაავადმყოფარს უწევდა მათი ზიდვა.

– ახალგაზრდავ, ეგებ წაგვეხმარო, საცაა განვიმდებ, მოისპობა წიგნები. — სთხოვა მან.

– კი, ბატონო! – არ დაუზარია, პირიქით, ყველაზე ძნელი საქმე თავად ითავა. ის დამდნარი კაცი გადახურულში დააყენა, თვითონ ოთხ-ოთხი შეკვრა გადმოჰქონდა მანქანიდან. სწრაფად მოძრაობდა, დაუზარებლად, რაც მეტს ეზიდებოდა, თითქოს ძალა ემატებოდა. თოხსა და ბარზე ნაჩვევ ყმანვილკაცს, არ გასძნელებია საქმის ბოლომდე მიყვანა, არც შეუსვენია, არც ჩაუშუხლავს. ასე რომ, წვიმის პირველმა წვეთებმა როცა გაიშაპუნა და ოხშივარავარდნილ ბეჭებზე წკეპლასავით გადაჰკრა, ბოლო შეკვრა ჩამოიღო მანქანიდან.

მძლოელმა უმალ შეხურა მანქანის კარი, აამუშავა და წავიდა.

დასცხო წვიმამ, მაგრამ რა დასცხო! ღია კარებში დარჩენილი უფერული კაცი, არც წინ წასულა და არც უკან მოუხედავს, წიგნებს დასცქეროდა. ერთმანეთზე დაწყობილ, მიჯრით დალაგებულ ტომეულებს. ვაჟიც იქვე იდგა. ნითლად აფერადებოდა სახე, ღრმად სუნთქავდა. მერე დაიხარა და გახსნილი შეკვირიდან წიგნი ამოიღო, გადაშალა. ვაჟა-ფშაველას ტომეული აღმოჩნდა, ახალთ-ახალი გამოცემა. ფურცლებიდან „ალუდა ქეთელაურმა,“ და „ხმელმა წიფელმა“ ამოხანათეს. მოეჩვენა, რომ ახლობლები იშოვა. მათთან ყოფნა ეამა. დედა ოთხწლედის მასწავლებელი ჰყავდა. სკოლიდან დაბრუნებულს, სხვა რომ არაფერი ესწავლა, უპირველესად ლექსებს იზეპირებდა. ბიჭის ომახიანი ხმა (აივანზე გადმომდგარი, ხმამაღლა კითხულობდა) მთელ სოფელს ესმოდა...

ახლა წვიმის თქეშისგან თავგარიდებულს, მხიარულ ხასიათზე მყოფს, რატომღაც ამ ფერმკრთალი კაცის წინაშე თავის მოწონება მოუნდა თუ ვაჟს კრებულმა დააყენა კარგ გუნებაზე,



სამი ლექსი ზედიზედ ლენა... იცინოდა სათვალ-  
იანი კაცი, ჩუმად თავისთვის კუჭკუჭებდა.

– ზუსტად იქ მოხვედი, სადაც უნდა მოსუ-  
ლიყავი, — უთხრა. ვაჟმა ჩაიცინა. მერე გულა-  
ლალად ჰკითხა:

– შემოსასვლელში კი დავანწყეთ ეს წიგნები,  
მაგრამ შიგნით ვინ შეიტანს?

– მე ვარ შემტანი?! – კითხვითვე უპასუხა  
მან.

– მე...

გარეთ ჭექა-ქუხილის ხმა ისმოდა, წვიმა  
თქემად მოდიოდა, არც ფულზე შეთანხმებუ-  
ლან, არც გასამრჯელო უთხოვია, „ვაჟა-ფშავე-  
ლას ხათრით“ — იცინოდა ვაჟი. ძვირფას ყდაში  
ჩასმულ წიგნებს პენს ხომ არ დაუკარგავდა.  
მთელი საღამო იმუშავა, შაქარ-ყინულივით გამ-  
დნარი ის ფერმკრთალი კაცი თბილ, მყუდრო  
ადგილას დასვა, კედელთან ახლოს. რამდენად  
დაუჯერებელიც არ უნდა გეჩვენოთ, ოცი ათასი  
ცალი წიგნი თავისი ბეჭებით შეზიდა. ბოლო  
ჟამს ისე დაელალა მკლავები, თითქოს დაუგრ-  
ძელდა, ლამის მუხლებამდე წვდებოდა. ამასო-  
ბაში ყველაფრის თქმა მოასწრო: მამით ობლობა,  
ხუთი და-ძმა, ქვრივი დედა, რომ სიმინდის ცუდი  
მოსავალი იყო წელს, რომ ქარმა ვაშლი და მსხა-  
ლი ჩამოყარა, რომ...

ერთად გამოკეტეს კარი, ერთად ჩასხდნენ  
„ტაქსში“. მანქანამ ჯერ ვაჟი მიიყვანა, მერე ის  
ფერმკრთალი კაცი.

– ხვალ ათ საათზე გელი, — დაუბარა.

– კი, ბატონო, მოვალ...

მივიდა და... საბოლოოდ დარჩა.

ახლა იმ დღეებს რომ იგონებს, ეჩვენება,  
შემდეგი წლები საერთოდ არ უცხოვრია. ყვე-  
ლაზე შთამბეჭდავი ის წვიმიანი საღამო იყო,  
(ასე ცხოვლად რომ შემორჩა გონებას.) სხვა ყვე-  
ლაფერი ერთფეროვნების ბურუსს დაეფარა...

მოგვიანებით მოხუცი ბულაღტრის დასა-  
ფლავებზე თვითონ იზრუნა, ქელენის ხარჯიც  
თავად გაიღო. ვიღაცეებს მისი ნათესავი ეგო-  
ნათ. ზოგს — დისშვილი თუ ძმისშვილი. სინამდ-  
ვილეში, გზად გამვლელი, უცნობი ახალგაზრდა  
იყო...

იმ უძალო კაცმა ყველაზე დიდი მადლი  
დაუტოვა გულში, ღირსეული კაცობის მადლი.  
თავადაც უნდოდა, მსგავსი რამ ჩაედინა, სიკეთე  
ეთესა, რამდენად მოახერხა, ჯერაც არ იცის.  
არადა, გავიდა წლები, გარეგნობა შეეცვალა,  
დაკაცდა, დაცოლშვილდა. თავდაპირველად  
ყოველ კაპიკზე კანკალებდა, აგროვებდა, დედას  
უგზავნიდა, და-ძმას პატრონობდა. მერე შეწყვი-  
ტა კაპიკებზე კანკალი და საოცარი რამ მოხდა,  
რაც უფრო გამცემი გახდა, მით უფრო იოლად  
იშოვა ფული. მულამსაც მისწვდა, გემოც გაუგო...  
უფროსებში დაფასებული და-სახელიანი კაცი  
გახდა. ყისმათი გაქვსო, ეუბნებოდნენ. ჯიბეში  
მუდამ ედო ფული, რაც უნდა გასჭირვებოდა, არ  
ისესხებდა, მიხვედრები არასდროს შეშლია, არც  
გათვლები. სკოლაში მარტო ლიტერატურა კი არ

უყვარდა, მათემატიკაშიც ნიჭიერი იყო. სწრაფი  
და გამჭრიახი გონება ჰქონდა. ცოდნა თუ მოემა-  
ტა, თორემ არ მოკლებია. არც მიმატება შეშლია  
და არც გამოკლება (იპოლიტე ხვიჩიას გმირის  
არ იყოს), არც გაყოფა...

ჰოდა, შეიყვარეს უფროსებმა. მის ნაფიქრ-  
სა და ნააზრევს თავისად თვლიდნენ. წიგნების  
— „9 აპრილი“, „ეფრემ-ვერდი“ გამოცემა თვი-  
თონ მოიფიქრა. ფულიც საკმაოდ იშოვეს. ცოტა  
გადაამეტეს, ვერ გაძლენ! ზომიერება იყო  
საჭირო! განა მარტო ადვილად გასაყიდი წიგნე-  
ბის გამოცემა, ქვედა სართულების გაქირავე-  
ბა, გარეევაჭრობა, პერიფერიებში მანქანებით  
მათი გადაზიდვა, ახლად დასტამბულ წიგნებზე  
გაზეთებში რეკლამის განთავსება — ყველაფერი  
მისი მოფიქრებული იყო!

შენობის პრივატიზება, კერძო საკუთრებად  
ქცევაც არ იყო იოლი საქმე. დიდი ჯაფა დასჭირ-  
დათ. ერჩია თანხა თანამშრომლებზე თანაბრად  
განაწილებულიყო. არ მოუსმინეს, ზედმეტებს  
შეეშვიო, უთხრეს. მოკლედ, ძნელი იყო მათთან  
გამკლავება. მგლური კანონი მოქმედებდა...

დილით, შინ რომ დაურეკეს და ძველი თანა-  
მშრომლის თვითმკვლელობის ამბავი ამცნეს,  
მოშხამულ ხასიათზე დადგა. მართალია, არც  
მისი პროცენტები შეუსყიდია და არც არაფერში  
მოუტყუებია, მაგრამ თავად ფაქტი იყო უსიამო.  
მით უმეტეს სიკვდილის წინა ღამეს, წყენისაგან  
გაგუდულმა კაცმა, ლამის ჩაბღავლა ყურმილ-  
ში... ხომ შეიძლება, სხვისი ნამოქმედარის გამო  
თავი დამნაშავედ იგრძნო, ასე დაემართა მასაც.

მოეჩვენა, თითქოს უხილავი სანთელი ეჭირა  
ხელში და თავისი ცხოვრების ყოველ მონაკვეთს  
ჩხრეკდა. რატომღაც, დამსხვრეულ სარკეში  
ნაწილ-ნაწილ არეკლილს ხედავდა მათ... ცოლ-  
შვილსაც, ახლად აშენებულ სახლსაც, არაყიშვი-  
ლის ქუჩის ბოლოს თავმოწმონდ ნამოჭიმულს...  
(ყველაფერს, რასაც მისი სახელი ერქვა, მისი  
ნაშრომ-ნაწვალევი იყო.) კედელ-კედელ, კუთხე-  
კუთხე ამოყვანილს და სიმაღლეში აღმართულს,  
ქვითკირის გალავნით შემოღობილს, საიმედოდ  
დაცულს.

სხვასაც ხედავდა, სახლის მთავარ პატრონს  
— თეთრ, ბომბორათავიან ძაღლს, „ჯიგაროს“  
რომ ეძახდა. ნანატრი ვაჟი კიდეც „ჯიგუნას“.  
სამი შვილი ჰყავდა, (ქალიშვილები უკვე სტუ-  
დენტები იყვნენ.) და დედის კალთას ჩაჭიდებუ-  
ლი, ნამლევა ბიჭი. განაწყენებული ჩანდა ქალი,  
იცოლებდა და ვერ იცოლებდა ბავშვს. — „აბაზა-  
ნაში ვერ შევსულვარ, კარებთან დგას და ტირის.  
განუწყვეტილად მეძახის... დამტანჯა.“ ფართო,  
ნამტირალევივით თვალები ჰქონდა ბიჭს, მა-  
მასავით ბუძგა ქოჩორი ( ისიც მათემატიკის ნი-  
ჭით იყო დაჯილდოებული).

და გამოჩნდა მშველელი...

რუსთაველის პროსპექტზე, მალაზიების  
ბუმი რომ შეიქმნა და ყველამ სათავისო ფართი  
შეარჩია, ოქროულობის მალაზიის გახსნა მოი-  
წადინეს, (ერთ-ერთი მენილე თვითონ იყო!).



ოქროვლობა ისრაელიდან ჩამოჰქონდათ. ქართ-ველი ებრაელები იყვნენ, ოდესღაც, ჩვენს მიწაზე ნაცხოვრები. პატივისცემის თუ ახლობლური განწყობის ნიშნად, ერთ-ერთმა (საქართველოში ცხოვრებისას ფიჩხაძის გვარს ატარებდა.) ღიმილით და მხიარული ჩახითხითებით მანქანის სავარძლიდან, თბილ, ღუნღულა შალში გახვეული, ტკბილად მძინარე ლეკვი მოუყვანა. „შენი ბიჭისთვის წამოვიყვანე, დაგენაცვლე, საუკეთესო ჯიშია, თავს არ შეირცხვენს“.

იმწამსვე გული შეუვარდა. ლეკვი შვილს მიუყვანა. თუმცა, არასდროს უნატრია ბიჭს ძაღლი ჰყოლოდა, განუწყვეტლივ დედას ეძებდა, მის კალთას ჩასჭიდებოდა...

ერთი დაამთქნარა ლეკვმა, შალიდან გამოძვრა, ოთახში გაიარ-გამოიარა. თითქოს თავის კუთხე-გარემოს ეცნობოდა. შვილის აღტაცებულმა მზერამ მიახვედრა მამა, ძველ ჩვევებს, დედის კვალდაკვალ დევნას შეწყვეტდა ბიჭი. ახალი სიხარული იპოვა!

მცველი ვუშოვეო, იცინოდა თვითონ. ერთობ ერთგული და საიმედო აღმოჩნდა ძაღლი, სულ ერთად იყვნენ. ეზოში, მწვანე ნარგავებსა და ქვით მოპირკეთებულ ბილიკებზე ბიჭთან ერთად უდარდელად დარბოდა „ჯიგარო“. დაჯერებული მზერა ჰქონდა, ნამდვილ მეპატრონეს ჰგავდა. ავი და საშიში ძაღლიაო, ვერ იტყოდი, ხეირიანდ მისი ხმაც არ გაუგონიათ.

ამ ბოლო დროს, მესამე სართულის დამთავრებას, როგორც იქნა, დააყენა საშველი. ეზოში მუშები მიმოდინდნენ, საშენ მასალას ეზიდებოდნენ, ონკანთანაც ხშირად ისხდნენ, ჩრდილქვეშ, მიეთ-მოეთობდნენ, არც ერთ მათგანს არაფრად აგდებდა „ჯიგარო“, გადრუნჩული დადიოდა, ბიჭს დასდევდა... (თუ ბიჭი დასდევდა!) ძნელი გასარკვევი იყო.

ბოლო ხანებში ბავშვიც მომაგრდა და ძაღლიც, ორივე გაიზარდა, „თავის სახლში ძაღლსაც დიდი გული აქვს“-ო, მხოლოდ ერთხელ ნახეს გაცოფებული ცხოველი, ბალანი აშლოდა, თვალებიდან ბრაზის ნაპერწკლებს ისროდა, რომელიღაც მუშას ჭიშკარი დარჩენოდა ღიად... პლასტიკატებს ეზიდებოდნენ, გრძელ, ყანყალა ფირფიტებს. მოღებულ ჭიშკარს სამი ძაღლი მოადგა, ავად დაძაგრულები, ნათრევ-ნახეტილები, („ჯიგაროს“ ქათქათა ბენვის გვერდით ჩანდნენ ასე უჯიშოები!) მოკლედ, ორნი გარეთ დარჩნენ, ხოლო მესამე — სუნსულა და უტიფარი ეზოში შემოვიდა, ონკანს მოაშურა, ერთხანს წყალი თქელიფა, სული ჩაითქვა. მერე იქვე მიავსა.

წყლის დაღვევა ხომ აცალა „ჯიგარომ“, სულის ჩათქმაც, მაგრამ მწვანე ბალახში, მზით გამთბარ მიწაზე რომ წამოგორდა და გადაითხლაშა, არ ეამა...

ერთბაშად გამოვარდა, ერთი გაელვებით, ისე შეჰყეფა, თითქოს შეეკითხა, აქ რა გინდაო. ქუჩა-ქუჩა ნანანწალები ჩანდა ძაღლი, დაღლილი, შიოდა კიდევ... მოკლედ, გაიზანტა ცხ-

ოველი. ეზოში დარჩენა მოინადინა. დანარჩენი ორიც მზად იყო შემოსასვლელად და გადირია „ჯიგარო“... სულ ცოფები ჰყარა!.. ხმა ჰქონდა, მტრისას!.. მესამე სართულიდან მუშებმა გადმოიხედეს, ოჯახის წევრებიც გამოცვივდნენ. ყველაზე პირველი ბიჭი გამოვარდა... საკუთარ ტერიტორიისთვის იბრძოდა „ჯიგარო“. ადამიანების ნახმარება არ დასჭირვებია. თავად გადაუძღვა. გარეკა მომხვედური. კარგა ხანს იყეფა. ვერ დაშოშმინდა, სანამ ბიჭმა არ ჩაიმუხლა და მისი სველი, საშიში ლამები გულში არ ჩაიკრა. უმალ ჩაჩუმდა ძაღლი.

ყოველივე ამას დამსხვრეული სარკის უცნაურ ნათებაში ხედავდა იგი. ამგვარი ნათებები ერთობ მოეძალა ამ ბოლო დროს... თავის სისხლსა და ხორცს, ბიძაშვილს ზაურა-შავლეგოსაც ხედავდა... განანყენებული რომ გაექცა და მიიშალა, დიდად არ გასდევნებია. დღესაც ვერ მიმხვდარა, რა ბზიკმა უკბინა. თითქოს უხილავ თოკზე ჰყავდა გამობმული ბიძაშვილი, მისი ყველა ნაბიჯი იცოდა. „გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა“-ო, ასე იყო მისი საქმეც. სანამ არ დარწმუნდა, რომ ამ ხმაურიან ქალაქში, უთვალავ მიმსვლელ-მომსვლელში, უდაოდ გაუჭირდებოდა შავლეგოს... მაშინ იყო, ელიავას ბაზრობაზე სავაჭრო ობიექტი შეიძინა და თანსაოფლელი დაასაქმა. იმან კიდევ შავლეგო მიიწვია თავისთან. ყოველივე უხმაუროდ, ჩუმი გათვლით მოხდა.

მზე და ჰაერი მიწადა, დაიჩემა. ადამიანებში ტრიალიო, მისვლა-მოსვლაო, გასაგებია... ალბათ, ჩრდილში ჯდომა ენატრება ახლა... თუმცა, ერთობ გახალისებული ეჩვენა იმ დღეს. სავაჭრო ობიექტის წინ იდგა, ხელებს შლიდა, ქაქანებდა. რაც მთავარია, კარგ გუნებაზე იყო! არც ალებმიციემობა შეშლია, მყიდველებთან საერთო ენის გამონახვაც არ გაძნელებია.

შორიდან უტრიალა, მერე მანქანით სულ ახლოს ჩაუქროლა. არც საყვირი აუხმაურებია, არც მისალმებია. ოღონდ!... სარკეში გარკვევით დაინახა, როგორ გამოვარდა ბიძაშვილი შუა ქუჩაში და... დაედევნა. როგორც ადრე, ყმანვილბიჭობაში იცოდა ხოლმე...

მეხსიერების დამსხვრეულ სარკეში მხატვრებსაც ხედავს. სიბნელეში, მცირე პურობაზე, გვერდიგვერდ ჩამომსხდართ. ის შავყვითელა, ფერმკრთალი კაციც ახსოვს, ცნობილი მწერალი, მაღლიანი პროზაიკოსი. სულ ფული აკლდა, სულ ქესატად იყო. მაღიმაღ მკერდზე ნაივლებდა ხელს (ჭიქა მაინც არ გაუშვია ხელიდან!). ოპერაციია იყო საჭირო, თანაც სასწრაფოდ. თავისი ნილის შესყიდვა თვითონ შესთავაზა მწერალმა, — „მგონი მივდივარ ამქვეყნიდან, რამდენსაც გაიმეტებ, იმდენი მომეცი“-ო. — უთხრა. „ექვსი ათასი დოლარი ეყოფა“-ო. — უფროსმა ურჩია.

თავად მიაკითხა სახლში. შეუძლოდ დახვდა, ინვა. თხუთმეტი ათასი დოლარი ჩაუთვალა... (არ დაუთვლია ავადმყოფს, გვერდზე გასწია დოლარების შეკვრა). „არ მიწადა ჯერ სიკვდილი“-ო,



— გულისწყვეტით ამოხვდა. სევდიანი ჩანდა, თითქოს ემშვიდობებოდა. „თუ საჭირო იქნება, კიდევ დაგიმატებ“-ო. შესთავაზა. ერევანში გაუკეთეს ოპერაცია. იმედიანად დაბრუნდა, თუმცა, სხეულს ან შენობას ბზარი რომ გაუჩნდება, მერე ყველაფერი გვიან არის...

დასაფლავებას დაესწრო. უფროსი ქალიშვილი ახლდა (ფილოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი) მეგობარ გოგონასთან ერთად. ყვავილების თაიგულით მივიდნენ. დიდუბის ეკლესიიდან პანთეონამდე ქუჩა გადაეკეტა ხალხს. მწერლის მეგობრები, ნიჭის დამფასებლები, სრულიად უცნობი ადამიანები მოსულიყვნენ..

პანთეონში დასაფლავეს. მერე ხალხი რომ გამოიშალა, ქალიშვილები წინ წამოვიდნენ, თვითონ დარჩა, საფლავებზე წარწერებს კითხულობდა. ბოლო წლებში გარდაცვლილებს... უმრავლესობას იცნობდა. მოეჩვენა, თითქოს ამ ხალხის ვალი ჰქონდა. საფლავებში მისი მევალები იწვნენ. დაპირდა და არ შეუსრულა. თქვენ ტომეულებს გამოცემო... (ღირსებიც იყვნენ!). პირველად ახლა იხანა, მოხუცი ბულალტრისთვის მიცემული პირობა რომ დაარღვია და წიგნის სიყვარულით მისულმა, არჩეულ გზას გადაუხვია, უღალატა, ფულს დახარბდა, იქაურობა მიყიდ-მოყიდა და წიგნის გამოცემის საპატიო საქმე ვიღაც ცხვირმოუხოცავ ბიჭებს შეაჩერა ხელში. ამიტომაც ახლა, ვაჟა-ფშაველას ნაცვლად „პარი პოტერს“ რომ სცემენ...

პანთეონიდან გამოვიდა. საკუთარ თავზე იყო განანყენებული. ერთხანს თავდახრილი იჯდა მანქანაში. ქალიშვილსა და მის მეგობრებს ელოდა. ისინიც ჩასხდნენ. მათ ჭიკჭიკს უსმინა. მწერლის მოთხრობებს იგონებდნენ. ძველ ქართულ სიტყვებს, მაღლიანებს, საგულდაგულოდ შერჩეულებს... ნაწარმოებებში საგანგებოდ რომ ჩაესახლებინა მწერალს...

პანთეონის წინ თავდახრით მდგარი მხატვრებიც შეამჩნია. თანამშრომელი ქალებიც მოსულიყვნენ. ყველანი ერთად იდგნენ, შენუხებულები, აბუზულები (ალხო არსად ჩანდა!), ჭალარა მხატვარიც მათთან იდგა, მოჩურჩულე ცოლთან ერთად, ნაცრისფერი ხალათის ფართო ჯიბეებში ხელები ჩაენყო კაცს, თავადაც შიგაპირებდა თითქოს ჩამალვას...

დარდიანი და მიუსაფარი ჩანდა.

\*\*\*

ყველა მოგონება, მკრთალი სილუეტი, სახეები თუ ხმები, ელანცურად აჭრილ თუ ასხლეტილ მინის ნამსხვრევებს რომ ახლდა, თანდათან გამთლიანდა... ერთიანი სახე მიიღო.

მანქანა რწვეით მიჰყვებოდა ქუჩას. გოგონებმა თხოვეს, სასტუმრო „ივერიასთან“ ჩამოგვსვი, თანაკურსელები უნდა ვიპოვოთო, იქ გველიანო.

დედაქალაქის ხმაურიან, ხალხმრავალ

ქუჩაზე გაიყვანა ისინი.

და საოცარი რამ მოხდა, თითქოს ცხოვრობდა ამ ქალაქში, ამ ქუჩაზე, ამ ადამიანებთან და არც ცხოვრობდა... ქუჩაში გამოსული ამდენი ადამიანიც რა ხანია არ ენახა... ტრანსპარანტებით, წარწერებით მოდიოდნენ, განანყენებული, გაავებული სახეები უჩანდათ. ფართო, გრძელ გამზირს მოჰყვებოდნენ.

რა ხდება?! თავად განზე დგომას არჩევს, ამგვარ მსგელობებში არ ერევა, არც არავინ ეძახის...

სამაგიეროდ, ქალიშვილს სურს მეგობრებთან ერთად დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღება, მათ რიგებში დგომა სწადია. ამიტომაც ასე გაფაციცებით რომ ეძებენ თანატოლებს. შეამჩნიეს, შეჰკვივლეს და მანქანის მოღებული კარიდან ისე გადაცვივდნენ, თითქოს მტრედის გუნდი აშლილიყოს.

სულ ახლოს, ჭალარა, ასაკოვანი მამაკაცები და ქალები მიაბიჯებდნენ. ყველა ერთმანეთს ჰგავდა. მათი ნელი სვლა კალაპოტიდან გადმოსული მდინარის დინებას მიახლოებდა. თავდაპირველად მდორედ რომ მოედინება, აუჩქარებლად, მერე თანდათან იმატებს. აქა-იქ შეძახილიც ისმის... მოწოდებებიც.

ერთხანს მანქანაში იჯდა. შორიდან უთვალთვალებდა, არ ერეოდა, ხმებს აყურადებდა, წარწერებს კითხულობდა: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“. სულ ახლოს მოუტანეს წარწერა. წინ ჩამოაფარეს, ლამის მზერა ჩაუხშეს. სუნთქვა გაუძნელდა...

მანქანის კარი გამოაღო და გადავიდა... პროსპექტს ბოლომდე გახედა. პირველად რაც დაინახა, მწუხარე, შოოსანი დედები იყვნენ, დაღუპული ბიჭების პორტრეტებით... სულ ახლოს დუბინკებით თუ რეზინის ტყვიებით შეიარაღებული პოლიციელები იდგნენ... რა ხდება?!

ამ დროს, მოეჩვენა თუ მართლა, უცებ! ქვა მოხვდა ბეჭზე. ტკივილი არ უგრძვნია, უბრალოდ შეცბა. ამ აქოჩრილ ტალღაში, ერთმანეთის მინამსგავს ქალებსა და კაცებში, როგორ გინდა ქვის მსროლელი იპოვო. მაინცდამაინც ის რატომ ამოიღეს მიზანში?!

თავდაცვის მიზნით შენობის კედელს აეკრა... კარგა ხანს გაშეშებულივით იდგა. მერე თავისდაუნებლიეთ ზემოდ აიხედა და... ღმერთო! ამას ნამდვილად არ მოელოდა... აქ რამ მოიყვანა?! ძველ სამსახურში, უკვე გაყიდულ შენობასთან, რკინა-ბეტონში ჩასმულ ვეება სახლთან. თითქოს სიცოცხლე ჩამკვდარიყო შიგ. არც შუქი ენთო და აღარც ფარდები ფრიალებდა. იატაკზე მტვერი, ქვიშა და ქალაღდის ნაგლეჯები ეყარა. ოდესღაც, მის მიერ გამოცემული ბუკლეტებიც იცნო. დიდი ქართველი პოეტების სურათებიც შეამჩნია: რუსთაველის, ვაჟას, აკაკის, ილიას, გალაკტიონის... ყველაფერი დაჭმუჭნული, ერთად შეგორგოლავებული შესასვლელთან ეყარა. წიგნის ყდებიც მოჩანდა, გაფანტული ფურ-



ცლებიც.

ცარიელი შენობის ღია ფანჯრები, დათხრილ თვალბივით შესჩერებოდა ქალაქს...

შენობა იყიდეს. ფასის აწევას ელიან და მალე გაყიდვას! მუშტრებიც ჰყავთ, უცხოელი ბიზნესმენები. ფიქრმა გააფუჭა. თავზე წამოშდგარ შენობას დამნაშავესავით გაერიდა. აქ სადღაც თანამშრომელი ქალების საყვარელი ჭადარი იდგა, ლადო ასათიანს უყვარდა მის ჩრდილქვეშ დგომას, გოგლა ჩამოივლიდა ღიმილით, ნონეშვილი სრულიად უცნობ ადამიანებს ხელს ართმევდა და ესალმებოდაო...

ალარსად ჩანდა ჭადარი, ძირში მოეხერხათ.

\*\*\*

უცებ, ახალგაზრდების ჯგუფი გამოჩნდა. მხიარული შეძახილით მოინევენ. ლამის ქუჩა მოჰქონდათ. ძველი ქართული დროებით, წარწერებით მოდიოდნენ: „ენა, მამული, სარწმუნოება“... „თამარ მეფეც“ მოჰყავდათ, გვირგვინით, სეფე ქალების ამალით. შორიასლო ყიზილბაშურად ჩაცმული, ნითელნალებიანი ვაჟი მოჰყვებოდათ — მოკლე ხმლით, ფართით, მაღალსა და ბეჭბრტყელს ხელოვნური უღვაშები უჩანდა.

შეჯგუფულ ადამიანებს რომ ჩაუარეს, შუაზე გაიყო ქუჩა, გზა დაუთმეს ახალგაზრდებს. ერთგან შეჩერდა ნითელნალებიანი ვაჟი, ნაცნობები იპოვა — ჭადარა ქალი და სათვალ-

იანი მამაკაცი. მხიარული მასლაათი გააბა. ერთობ გაუგრძელდა... აწრიოდნენ ქალიშვილები, მალიმალ მოხედავდნენ უკან, ხელს უქნევდნენ, — „ნამოდი, გვაგვიანდება“-ო. ვერ შეასმინეს. გოგონების ჯგუფს „თამარ მეფე“ გამოეყო, თეთრი კაბით, დიადემით, მარგალიტის ყელსაბამით. ლამაზი გოგონა იყო, ნახატივით თვალწარბი უჩანდა...

— გიო, გვაგვიანდება! — გასძახა ვაჟს. ვერ შეასმინა, ხმას აუნია.

— რუ-ქნა-დინ!..

უმალ გაერიდა ვაჟი მოსაუბრეებს. ქალისკენ წამოვიდა, თითქოს სცენაზე იყო. გრძელი, ყიზილბაშური უღვაშში ცალ მხარეს ჩამოსწეოდა, მგონი სძვრებოდა. თითით იმაგრებდა...


— ყოველი დიაცი რეგუენია და შენ გიბრძანებია ქართველთათვის, ალებად ხმალი მუსულმანთა ხოცად?! — ჩაჰკითხა ქალიშვილს.

ქალმა გადაიკისკისა, ხელმკლავი გამოსდო ვაჟს, გაიყოლა და წავიდნენ.

მათი ხილვა ეამა, ხმებიც, ჩაცმულობაც, ღიმილიც. იგრძნო, ახალგაზრდების ხმებმა, ძირში გადაჭრილმა ჭადრის ხემ თუ ყველაფერმა ერთად, რაღაც უსაშველოდ მონატრა... ახლად დასტამბული წიგნის, ყდის, ქალაღდის, წებოს ნაცნობი სუნი.

გამზირს გახედა — დიდს, ფართოს, მოტორტმანეს... აღარც „სანავარდო ადგილს“ ჰგავდა და აღარც — სასეირნოს... სასეირო გამხდარიყო.





კენი ფლოიდი

### ისტორიის ცრემლები

დრო დაეტაკა მუხლებში ხიხანს,  
დამუნჯებულა გონიოს ციხე,  
ჟამმა დასტანჯა, წვალობდა დიდხანს.  
თალხით მოსილა, სმას ველარ იღებს...

ისევ ქვითინებს დღეს მაჭახელა,  
შფოთავს და იბრძვის აჭარისწყალი,  
ჩვენთვის ვერ ბედავს დარდის გამხელას  
და ხახულისკენ უჭირავს თვალი...

გუგუნ-გუგუნით მოდის კარჩხალი,  
ლელავს, ბუტბუტებს და ვერ ისვენებს:  
დადუმებულა ოშკი, პარხალი  
დედასამშობლოს ძლივსლა იხსენებს!

სისხლით ნაბანი მღვრიე ქოროხი  
არის ჭრილობა დროის ურჩების,  
ძვლებსა და ლოდებს ათრევს როხროხით,  
მოაქვს ამბავი ჩვენი გურჯების:

ისევ მღერიან ლაზები ნანას,  
კვლავ თამაშობენ ისინი ლელოს,  
შორით უმზერენ მშობელ ქვეყანას,  
შორიდან უმზერს მათ საქართველოც...

ბევრგან ნგრეულა ციხე და კოშკი,  
ველარ გაუძლეს ჟამთასვლის ქანჯალს...  
თვალცრემლიანი შეგვცქერის ოშკი,  
სჩანს, გადაურჩა ეშმაკის ხანჯალს...

აქ წინაპართა მოსთქვამენ ძვლები,  
საჯიჯგნად ყორნებს რომ ჩავარდნიან...  
ჟანგმოდებული ოხრავენ ხმლები,  
ნაკადულები სადღაც გარბიან.

აქ რამდენ ქართველს მოკვეთეს თავი,  
ან რამდენ ნენეს ცრემლი უღვრია?!  
დროის დინებას მმუსვრელი ზვავით  
ამ ხალხის ზურგზე გადაუვლია...

შავ ზღვაში ისევ შეცურდა ნავი,  
ქარებმა ზურგით შეატრიალეს,  
ხიხანის ციხემც დახარა თავი,  
ჩვენმა ცოცხალმა მემატანიემ...

მნამს, დაგვიფარავს ჩვენ ვაზის ჯვარი,  
ტაძრის ნატიფი ყურძნის ჩუქურთმა,  
ისევ ბობოქრობს ბანასთან ქარი,  
საბა-სულხანის მას მოაქვს სუნთქვა!..

ავიღოთ ხელში ქრისტეს სანთელი,  
გავაჩირაღდნოთ მთელი ქვეყანა,  
მჯერა, გამოვა ყველა ქართველი,  
ისევ დავძახებთ ლაზურად ნანას!..

### ჰოპტის ანდერძი

*(ეძღვნება ზურაბ გორგილაძის ხსოვნას)*

ვიცი, სად ვივლი და სად არ წავალ,  
სადაც ვიქნები, იქ მოვლენ სხვებიც;  
ქართლის დიდების მზის დასაცავად  
დარჩება დრო და ჩემი ფესვები...  
წავალ, სიყვარულს წავიღებ საგზლად,  
სპეტაკ ოცნების მოგიძღვნის ტიტებს,  
გახარებული გავყვები ამ გზას  
და დაგიკოცნით ოქროსფერ თითებს!..  
თქვენს სულში იმედს დავუდებ ბინას  
და თქვენს ოცნებებს ავიტან ღმერთთან...  
ეჰ, ქართველებო, რომ მოგესმინათ  
რამდენი რამე მინდოდა მეთქვა!..  
რამდენი საქმე ვერ მოვასწარი,  
სათმელი დამრჩა მე ბევრი რამე.  
ყელზე მქაჩავდა დროის ბანარი,  
მუზებს მიფრთხობდა დარდების ღამე...  
დიდ საწნახელში სტროფებს დავწურავ,  
თქვენ დაგიტოვებთ კალამს, ჩემს ლექსებს,  
და მალე წავალ, წავალ კაცურად,  
და თქვენს გულელებში გავიდგამ ფესვებს!



ჩემი საუნჯე პოეზიაა,  
არ გამაჩნია სხვა რამ ქონება,  
ეს საგანძური თქვენთვის ღიაა,  
ინებეთ თუ რამ მოგეწონება!

### დაუსრულეპელი წერილი

ანა, სანგარში ვარ ახლა დაჭრილი და  
ალბათ, თხუთმეტ წუთში სისხლით  
დავიცლები,  
ცოტაც მოითმინე, სულ სხვა აპრილიდან,  
ერთად გაფრინდება შემზარავი წლები.

მალე იქნება თუ ცოტა უფრო გვიან,  
წლები ინამლებენ, დროის ვეზირები,  
ვკვდები შენზე ფიქრში, შიში რას მიქვია,  
როცა უკვდავებას მსხვერპლად ვენირები?!

ვიცი, მოგასკდება ცრემლის ნიაღვარი,  
თვალეებს დაგიკოცნის, მზიან ტუჩებს  
მოგბანს,  
ყველა გაჭირვებას მინა მიაყარე,  
ყველა მონატრებას — ბევრი უჩემობა.

ჰოდა, რომ გაივლის ჩემი აგვისტო და...  
(ვნება მინიერი წარსულს რაკი ძალავს...)  
სულ სხვა ჩამოგიკრეფს აპრილს ატმის  
რტოდან  
და ჩემს სამარესთან მოსვლას აგიკრძალავს.

ახლა მატთანე ჩემს ბედს ინაწილებს,  
სადღაც მიზანს ავცდი გზათა გამრუდებით...  
ტყვიამ მომაცილა, — ტყვია მომაცილებს,  
ცრემლით მივდივარ და ცრემლად  
დავ... (ბრუნდება).

### ფარცქვალა

წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა,  
ალვის ჩამონათალი,  
იმ ნაფოტებს გოგო ხეკდა,  
მარგალიტის ბადალი.

ღელი პირაჲ მევიხელთე,  
მემედ ბიძაჲ ფარცქვალაჲ,  
ჩემი ცოდვით მოსასპობი,  
ე, რამდენი მანვალა.

კეკლუცურად მომაჩერდა,  
ცით ნაზარდი ვარდქალი,  
გეიქცა და გევეკიდე,  
გულს გაჰქონდა ფართქალი.

ღელი პირზე, ხელი — პირზე,  
ყელი პირზე მადნება,  
დამასწავლა ალერსი და  
ტუჩის ტუჩში ჩატნევა.

გამოვფხიზლდი, თავზე მადგა,  
მემედ ბიძაჲ ნაჯახით,  
მითხრა, გოგოს ცოლად მეყვან,  
ან ვიყარე აჯახი.

ქვეყანაზე სად არ ვიყავ,  
ვის არ მივედ-მევედე,  
რან და იყოს, რან და იქნას,  
რა გამოლევს მემედებს.

ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე,  
ვერ ვეშვები კაჲ ქალებს,  
ლამაზ გოგოს რომ დევნახავ,  
მაინც გამაკანკალებს.

„ტინკლი ტინკლი მემედი,  
ჯამეჲს უკან გევედი,  
გადავდენე თიკნები  
და შენი სიძეი ვიქნები.“

### რატომ ვერ ვუსწორებ მზეს თვალეზს

ცოლი არ მყავს, ჩავაძინებ სინდისს,  
ცრემლში ძილის ჩავუპკურებ წამალს,  
როცა აღმართს შემოათოვს ბინდი,  
მთის გადაღმა საყვარელთან წავალ...  
ცის ფანჯრიდან გადავძვრები უმალ,  
მერე აღმართს გადავივლი ძნელად  
და ვარსკვლავებს მოვისყიდი ჩუმად,  
მზემ მთვარეს რომ დაუყენა მცველად.  
ჯერ მაკოცებს, შუქს ჩაუნევს ზეცას,  
საიმედოდ ჩაიკეტავს კარებს,  
მერე გაშლის ოკეანის ზენარს  
და ჩამინვენს — მოლაღატე მთვარე.  
შვალამისას ეღვიძება სინდისს,  
შიში მიბყრობს, ვეთხოვები მთვარეს,  
გულო, ასე რატომ შემეძინდი,  
გულო, ასე რატომ შეიყვარე.  
ყოველ ღამით მზე მორიგე არის,  
ყოველ ღამით — გადაპარვა ცაზე,  
ყოველ ღამით — შეყვარება მთვარის...  
და გრძელდება უსასრულოდ — ასე...  
მერამდენედ ვულაღატე სინდისს,  
მერამდენედ?! ველარ დავითვალე!  
ამიტომაც მზე რომ ცაზე მიდის,  
მცხვენია და ვერ ვუსწორებ თვალეზს.





თინათინ

ბიჯანიშვილი

უჩან ითახაში

ავტორისგან

სავალდებულოდ მოსასმენი მუსიკალური ნაწარმოებების ჩამონათვალი:

ბეთჰოვენი ლუდვიგ ვან – მეცხრე სიმფონია (განსაკუთრებით ოდა);

ბელინი ვინჩენცო – ნორმას არია, „კასტა დია“, ოპერიდან „ნორმა“;

ვივალდი ანტონიო – „ნელინადის დრონი“ (უფრო კი „ზამთრის ალეგრო“);

ორფი კარლ – „კარმინა ბურანა“ (განსაკუთრებით დასაწყისი „O, Fortuna“).

ამას გარდა, გთხოვთ, ამ რომანს ნუ წაიკითხავთ ისინი, ვისაც გიყვართ ნიცმე ფრიდრიჰში, ნურც ისინი, ვისაც ნიცმე არ გიყვართ. ასევე ნუ წაიკითხავენ ისინი, ვისაც უყვარს ფსიქოანალიზი და ნურც ისინი, ვისაც ფსიქოანალიზი არ უყვარს, რადგან ესაა ანტიფსიქოანალიზი და გმობა ნიცმე ფრიდრიჰის.

I თავი

პიტერ პერსონი - ორმოცდაათ წელს მიახლოებული მამაკაცი, მამრი, ლომად რომ დაბადებულიყო, ხვადი იქნებოდა და მის ლომობას სრულიად ვერ განსაზღვრავდა სასქესო ნიშნები წელს ზემოთ ან წელს ქვევით. თუმცა ამჟამად ეს განსხვავება ნათლად ჩანდა. მის შეყვითლებულ სახის კანს ნახევრად ფარავდა მოუპარსავი წვერის მიკროსკოპული ეკლები, რომელთაც სულ მალე ელექტროტალღით მომართული სიკვდილის ცელი წარბშეუხრელი სისასტიკით გაისტუმრებდა არარსებობის დამლღელ უსასრულობაში, ანუ პიტერ პერსონი წვერს მოიპარსავდა.

ბატონ პიტერს ცალ ხელში გაზეთის ფურცელი ეჭირა, მეორე ხელში მომარჯვებული პულკით თავისი ოთხკუთხა მეგობრის მართვას ცდილობდა, ხოლო იქვე მაგიდაზე უპატრონოდ მიტოვებული, ოხშივარაქოჩრილი, უდრტვინველად მოთუხთუხე ცხელი ჩაის ჭიქა ამაოდ ითხოვდა დედაბუნებისგან, მონყალება მოედო და თანამედროვე, მოუცლელი, ცხოვრებაგადატვირთული ადამიანებისთვის მესამე ხელიც ებოძა, როგორც გარდაუვალი გამონაკლისი, რადგან ისინი ყოველდღიურ საქმეებს ველარ აუდიოდნენ და მესამე ხელის გარეშე ვერ მიირთმევდნენ თავიანთ კუთვნილ ულუფას, დილის საუზმეს, ერთ ჭიქა ცხელ ჩაის.

ხომწარმოგიდგენიათ, რამოხდებოდა, ამ უტყვი ჩაის ჭიქის ნატვრა რომ ასრულებულიყო და პიტერ პერსონს მესამე ხელი მართლაც რომ გამოებოდა! აი მერე გენახათ ჩაის ჭიქის უსასოო დრტვინვა და გოდება. სადღა მოიცლიდა პიტერ პერსონი კუთვნილი ცხელი ჩაისთვის? და ამ მესამე ხელის გამობმით გამონვეული გამუდმებული დაკვირვებების და ათმაგი მოუცლელობის ფონზე მეოთხე ხელს, ამჯერად უკვე უტყვი ჩაის ჭიქის ნაცვლად, თავად მეტყველი პიტერ პერსონი ითხოვდა: „მიბოძე მეოთხე ხელი, რადგან, შენ იცი, რომ სამი ხელით საქმეს ველარ ავუდივარ!“ და მისი მუდარა სრულიად სამართლიანი იქნებოდა.

არ ვიცო თქვენ როგორ, მაგრამ მე ამ ამბიდან სასწაულებს სრულებით არ მოველი. სწორედ ამიტომ, პიტერ პერსონის მოზრდილ ფიზიონომიას მესამე ხელის გამობმით მყისიერი ევოლუცია ნამდვილად არ განუცდია, მაგრამ ჩაის ჭიქის უტყვი ვედრების არსი შესმენილ იქნა და პიტერ პერსონმა დილის საუზმედ გამზადებული ჭიქა ჩაი სვენებ-სვენებით, ყლუპ-ყლუპობით, სიამის გამომზატველი ხენეშით და ხმაურით მალევე მიირთვა.

ეს იყო ჩვეულებრივი დილა, ჩვეული ცხოვრების და ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც პიტერ პერსონს წარმოადგენაც არ ჰქონდა თავისი უთავგადასავლო სიცოცხლის შუა წლებში მოსალოდნელი თავბრუდამხვევი (ალბათ მისთვის უფრო, თორემ სხვებისთვის - ნაკლებად) თავგადასავლის დასაწყისისა. თუკი თითქმის



ორმოცდაათი წლის მანძილზე ის ყოველ დღით იღვიძებდა ისე, როგორც წინა დღეს და იძინებდა ასევე, ოღონდ შეუმჩნეველი განსხვავებით, ამ შემოდგომის მზიან დღეს რაღა ღმერთი გაუწყნებოდა, რომ იმ ძონეულიანი და ბისონიანი კაცის მსგავსად უცაბედად „ჯოჯოხეთს შინა აღეხილნა თვალნი თვისნი“?

კუპრის სიშავის აღწერას ნუ მომთხოვთ და ნურც ჯოჯოხეთური ცეცხლის ტემპერატურის გაზომვის პრეტენზიებით ამიკლებთ. პიტერ პერსონის ჯოჯოხეთს სხვა სახელი ერქვა.

მაგრამ მანამდე დავტკბეთ მისი ყოფის ჩვეულებრივობით. ვინ იცის, იქნებ ოდესმე მისივე თავგადასავლის უსწორმასწორო ნახნაგებით სულმეხუთულებს სანატრელი გავციხდეს პიტერ პერსონის ყოფის მთელი ერთფეროვნება.

სად იმალებოდა მისი თავგადასავალი? იქნებ მას ყოველდღე, როგორც დღიურ ულუფას ლუკმა-ლუკმა მიირთმევდა და ახლა სწორედ მონელების დრო დაუდგა, როცა უსარგებლო საკვების ან მოშლილი ნაწილაკების გამო შეიძლება მუცლის გვრემამ ისე შეგანუხოს, ქადაგების გარეშეც დაიჯერო, მეტიც - მთელი სისავსით განიცადო, რომ ჯოჯოხეთი არსებობს.

აი ახლაც, სწორედ ასეთი ერთ-ერთი ულუფა უნდა მიერთვა მოლაპარაკე ოთხკუთხა მეგობართან ერთად, რადგან ერთადერთი ნარეუმატებელი და უკანასკნელი ქორწინების შემდეგ პიტერ პერსონი აღარც შვილებს ახსოვდათ და აღარც ყოფილ მეუღლეს. ის მარტო იყო, თუმცა მარტოობას დიდად არც განიცდიდა. სად ეცალა ჯერ ერთი მარტოობისთვის და მერე ამას დამატებული კიდევ - მარტოობის განცდისთვის?!

ხუმრობა იქით იყოს და პიტერ პერსონი ფრიად დაკავებული მამრი გახლდათ. დღით - რედაქცია, შუადღეს - ლუდხანა, საღამოს - სპორტკლუბი და კიდევ უფრო საღამოს, თან გვიან ღამემდე - პრესა და ტელევიზორი. მაჩვენეთ სად არის აქ მარტოობა? პასუხს არ გაჩქარებთ, ჯერ კარგად მოიძიეთ. ჰოდა, ახლა მიპასუხეთ: სად არის აქ მარტოობა? არის საქმე, არის გართობა, არის ურთიერთობები, არის ალაგ ხელოვნება, ალაგ კულტურა, ალაგ სპორტი და კიდევ ალაგ მოგზაურობაც. მერე შეგიძლიათ უფრო დანვრილმანდეთ და იქვე სადმე კუთხეში აღმოაჩინოთ გასვენებები, დაბადების დღეები, ნვეულებები, სენსაციები, ინტრიგები, სიახლეები, ახალი ამბები პრესით, ახალი ამბები ტელევიზიით, ახალი ამბები ინტერნეტით, ოღონდ როდისაა ამბავი ახალი, როცა მას პირველად გაიგებთ, თუ როცა მას ასე ჰქვია? ძველი ამბებიც რომ არსებობდეს, ნეტა გუშინდელ ამბავს რას დაარქმევდნენ? ახალ ძველ ამბავს, ალბათ. და პრეისტორიულს - უძველეს ძველ ამბავს. პიტერ პერსონის ამბავი იყო ახალი ძველთა შორის და პრეისტორიული - ყველა ახალი ამბის წინამუ.

პიტერ პერსონი საგამომცემლო საქმიანობას დიდხანს ემსახურა. მრავალი კონკურენტი დაჯაბნა და ახლა მშვიდად ნეტარებდა თავისი კუთვნილი უპირატესობით. მისმა ლიტერატურულმა ჟურნალმა ადგილი ჯერ კიდევ მაშინ დაიკვიდრა, როცა ის ძალზე ახალგაზრდა იყო. იმ დღეებიდან მოყოლებული, მკაცრად განისაზღვრა მისი ჯიუტი ყოველდღიურობა, ჯიუტი ფორმით და ასევე ჯიუტი შინაარსით, ერთ ადგილზე გაჯიქებული ფერს სირცხვილისგანაც რომ არ იცვლიდა. რამდენი შედეგური შეიქმნებოდა, ფორმას და შინაარსს სინდისი რომ ჰქონდეთ და ამდენი უფორმოებით ან ამდენი უაზრობით სინდისანრიალებულნი სირცხვილის აღმურით რომ იწვოდნენ? მერე პოეტების საუბარს ასეთი ფრაზები შეემატებოდა: „დღეს ლექსი გადავაკეთე, იმიტომ, რომ შერცხვა“.

პიტერ პერსონის შემოქმედებას არ რცხვენოდა. მის ნაწერებს ერთხელაც არ გადაჰკვირათ სირცხვილის აღმური. დიდად არც პიტერ პერსონს რცხვენოდა და სწორედ ამიტომ, გთხოვთ, მას მკაცრად ნუ განესჯით.

როგორც ყველა მოკვდავს, პიტერ პერსონსაც გააჩნდა თავისი რამდენიმე სისუსტე. მათი დახარისხებისას საუკეთესო წინამძღვრად შეგრძნებების კატეგორიები გამოგვადგება. გემოვნებას არ უჩიოდა. პიტერ პერსონის თეფშზე, ფინანსური მდგომარეობის როგორი დუხჭირი ეტაპიც არ უნდა ჰქონოდა, მხოლოდ ერთი დასახელების საკვებს ვერ იპოვიდით. ყველაფერთან ერთად პიტერ პერსონი ესთეტიც გახლდათ და პირის გემოს ფერებსაც უხამებდა. მისი საუბრე ანდა სადილი ფერთა შეხამების ამ გასაოცარი უნარის გამო ჯერარდასახელებული, მაგრამ ოდესმე, ალბათ საკუთარ კუთვნილ ადგილზე უფლებებგაცხადებული ხელოვნების ქემმარტ ნიმუშს წარმოადგენდა.

აი მაგალითად, მუქი შინდისფერი და ნვრილად დაკეპილი ლანგეტის ნაჭერს გაზაფხულზე ხახხასა პომიდვრებს შემოუწყობდა, ზამთარში კი თეთრი ყველის ნაჭრებს. შემდეგ ოთხკუთხა მეგობარს, დამენვიეო, მიაძახებდა და ჯერარდასახელებული, მაგრამ ოდესმე სახელმოხვეჭილი ხელოვნების გემოვნებიან და გემრიელ ნიმუშს მადიანად შეექცეოდა.

ალბათ, გამასპინძლება უსულო მეგობარსაც ისევე სჭირდება, როგორც სტუმარს, თუნდაც მოულოდნელს, მაგრამ მაინც შენი ოჯახის და კარის ზღურბლის გადამლახველს. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩვენმა მსუნავმა პიტერ პერსონმა იმდენჯერ შესთავაზა ამ ჩვენს ოთხკუთხა მეგობარს, დამენვიეო და ეს სიტყვები ჰაერზე იმდენჯერ გაისროლა, თავისი ერთგული ოჯახის ნვრი იმდენჯერ გაანბილა და იმდენჯერ არ უწილადა მისი ერთადერთობით და გამუდმებულობით დამსახურებული კუთვნილი ულუფა თავისი ჯერარადიარებული, მაგრამ ოდესმე სახელგანთქმული ხელოვნების გემრიელი ნიმუშისა, რომ ოთხკუთხა მეგობრის უსუ-



ლო, უტყვი, მაგრამ დამლუპველი რისხვა დაიმსახურა და ერთ ჩვეულ დილას პიტერ პერსონმა „ჯოჯოხეთს შინა ალახილნა თვალნი თვისნი“.

მოგეხსენებათ, ფაქტს უშუალოდ არ შევსწრებივარ და ამიტომ დაზუსტებით თქმა გამიჭირდება, მაგრამ, როგორც ვიცი და როგორც მერე ამბობდნენ, თურმე რალაც გადაცემა ყოფილა, არა პირდაპირი ეთერით, არამედ ჩანანერი, მაგრამ მაინც ახალი ცნობებით. ძირითადად ჩვილებს აჩვენებდნენ და მშობიარე დედებს, შემდეგ მამობის გრძნობით ჯერაც არანთებული მამაკაცების შემშუმნილ სახეებს, ორმოცდაათსანტიმეტრიანი სიცოცხლე ხელში უხერხულად რომ ეჭირათ და მხოლოდ ფაქტის დასტურით რომ იცოდნენ მათი მამობა.

პიტერ პერსონი ამბობს დიდად არ დაინტერესებულა. აკი გითხარით, ამ თავის ოთხკუთხა მეგობარს იმთავითვე არ სცემდა-თქო საკადრის პატივს. დასაწყისში უბრალოდ თვალს ადევნებდა, ყურსაც, მაგრამ აზრს და გონს – არა. შემდეგ სმენა ერთმა სიტყვამ მოსტაცა და პიტერ პერსონის პრეისტორიული ამბავიც ამით დაიწყო.

ეს სიტყვა გახლდათ „მკვდრად დაბადებული ნაყოფი“ და პიტერ პერსონმა ყური ცქვიტა.

თურმე ყოფილა შემთხვევები და არაერთგზის, როცა მშობლის მგრძნობიარე ნატურით შემფოთებული ნათესავები თადარიგს იმთავითვე იჭერდნენ და თუკი ჩვილი მკვდრად დაიბადებოდა, დედას მის ნაცვლად სხვა ახალშობილს მიუყვანდნენ, ნაკლებად მგრძნობიარე და ფინანსურად ნაკლებ ძლიერი დედის მუცლიდან ნაშობს, როგორც წინასწარ თადარიგვერდაჭერილი და ვერ უზრუნველყოფილი სიცოცხლის წართმეულ უფლებას და მის სანაცვლოდ შეძენილ უთავბოლო ტყუილს.

პიტერ პერსონს ლუკმა პირთან გაუჩერდა. ასეთი შვილწართმეული დედებიდან ერთერთს ეს ამბავი როგორღაც შეუტყვია და დაადგა თავის ხანგრძლივ მოგზაურობას შვილის საძებნელ გზაზე. მოუკითხავს ყველა ბებიქალი, ყველა გინეკოლოგი, სანიტარი და დარაჯიც კი, ვინც იმ დროს ამ ავადსახსენებელ სამშობიაროში მუშაობდა, ყველაფერი დანვრილებით გამოუკითხავს და სწორ კვალზეც დამდგარა. მიუგნია იმ ქალისთვის, რომელმაც ამ ტყუილის შესახებ თავადაც არაფერი იცოდა და დარწმუნებული იყო, რომ მშობიარობის დროს განცდილი აუტანელი ტკივილი ბუნებამ ამ არაჩვეულებრივი ბავშვით აუნაზღაურა. შვილი ძალიან უყვარდა და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ეს იყო მისი ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი. ერთ მშვენიერ დღეს კი, შვიდი წლის შემდეგ, მას ვიღაც უცნობი ქალი ეჩვია და გამოუცხადა, რომ ის ბავშვი, რომელიც საკუთარ შვილად მიიჩნდა, სინამდვილეში ამ უცნობი ქალის მუცლის ნაყოფი იყო, ცხრა თვე რომ ატარა და შემდეგ ასე ვერაგულად წაართვეს მშობიარის სარეცელიდან.

მასპინძელი ქალი თავდაპირველად ამ უცხო

ქალს, რა თქმა უნდა, ეჭვის თვალთ უყურებდა. ერთი შეხედვით შეურაცხადად მოეჩვენა, ფსიქიატრიულიდან გამოპარული ავადმყოფი ეგონა, რომელიც ალბათ მუდმივად იტანჯებოდა ამ უაზრო აკვიატებით, მაგრამ, როდესაც უცნობმა ქალმა თავისი ვეება ჩანთიდან ქაღალდების და საბუთების მთელი დასტა ამოიღო, სადაც ფართული გარიგების ამსახველი ცნობები იყო დაცული, უკანონო გაშვილების დღიდან დაწყებული, მთავარი გამრიგებლის გვარით დამთავრებული ყოველი დეტალით, ქალმა ჯერ ხელმომწერის გვარი ამოიკითხა და როცა გვართან ერთად საკუთარი ოჯახის წევრის ხელწერაც იცნო, გული პირდაპირ მაგიდის კიდესთან შეუღონდა და რადგანაც სკამზე იჯდა, იატაკზე გაშხლართვის და მოსულიერების ბევრად უფრო უხერხულ პროცედურებს ამ მარჯვე შემთხვევის გამო გადაურჩა.

მასპინძელმა ქალმა გონზე მოსვლისთანავე მოითხოვა გენური ანალიზი. შვიდი წლის საწყალ ბავშვს, რომელიც სკოლიდან სულ რამდენიმე წუთის დაბრუნებული იყო და მაგიდის მეორე კუთხეში მჯდარს სადილის დამთავრებაც არ დასცალდა, ვერაფრით გაეგო, რატომ ამტკიცებდა ეს ვიღაც საბუთებიანი ქალბატონი, რომ მისი დედა იყო და რატომ შეუღონდა გული დედას, როცა ამ ფურცლებიდან ერთ-ერთს დახედა.

გადაცემაში ამ ადგილას რეკლამის დრო იყო და რეკლამის შემდეგ ამბავი ასე დასრულდა, რომ გენურმა ანალიზმა იმ საბუთებიანი ქალის სიმართლე დაამტკიცა, მაგრამ ახლა სულ სხვა პრობლემის წინაშე დადგნენ ყველანი, ვინც ამ ტრაგიკომედიაში იყვნენ გახვეულნი. მოტყუებული დედა ვერაფრით დააჯერეს, რომ ეს გენური ანალიზი სიმართლეს ლაღადებდა და კიდევ ერთი ფულადი მაქინაცით უზრუნველყოფილი ტყუილი არ იყო. ქალი დაუსრულებლად დადიოდა საკუთარი სისხლით ხელში სხვადასხვა ლაბორატორიებში და ამ საწყალ შვიდი წლის ბავშვსაც შემლილი სახით დაატარებდა. საკუთარი არსებობის ნამდვილი ფუძის დასამტკიცებლად უამრავჯერ გამოწოვილი სისხლის გამო პატარა გოგონა სულ მთლად გაყვითლებულიყო და ვინ იცის, გულში იქნებ აღარ უნდოდა არც ნაცნობი და აღარც უცნობი დედა, ოღონდ კი თავი დაენებებინათ და დაებრუნებინათ მისი უდარდელი ბავშვობა, რომელიც ასე უდიერად დაუმახინჯეს და წაართვეს.

გადაცემაში ისიც აღნიშნეს, რომ დავა ამ საკითხის გარშემო დღემდე მიმდინარეობს, თუმცა ამჯერად ნამდვილ დედობაზე ქიშპობის ასპარეზმა კვლევითი ლაბორატორიებიდან სასამართლოებში გადაინაცვლა და ახლა იქ განაგრძობენ ბრძოლას დედობანართმეული ქალები.

პიტერ პერსონი დაეჭვდა. და ვიდრე მისი დაეჭვების მიზეზს და საგანს გაგაცნობდეთ, ერთი რამ კიდევ მინდა გაუწყოთ. უკვე პიტერ პერსონის გარდაცვალების შემდეგ,



როცა მიზეზთა მოძიებას შეუდგნენ, გაირკვა, რომ ეს გადაცემა კომერციული ტელეარხისთვის მაყურებელთა მოსაზიდად ერთ-ერთი ნაცადი ხერხით დამზადებული ცრუ სიუჟეტებით გასულა ეთერში და სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა, ან თუ მომხდარა, ამის შესახებ ფაქტები და საბუთები, რა თქმა უნდა, არც არსებობდა.

პიტერ პერსონმა საუზმის დასრულება ვერ შეძლო. თითქოს გონება გაუნათდა და ყველაფერს მიხვდა, ან პირველად შეიტანა ეჭვი იმაში, რის მიმართაც კითხვა არც არასდროს გასჩენია. იქნებ არც მე ვარ დედაჩემის ნაშობი და ნაყოფი მამაჩემის თესლისგან? იქნებ ოდესმე მეც ამგვარი ცრუ გარიგების მსხვერპლი გავხდი? რა არ ხდება ამ დედამინაზე? იქნებ უსინდისო და ფულსდახარბებულმა ბებიაქალმა სულ რამდენიმე ფერად ქალაქში გაცვალა ჩემი მეობა, ჩემი ჭეშმარიტი არსი და ჩემი ფუძე?

პიტერ პერსონი სავარძლიდან სწრაფად წამოდგა, კომოდის ზედა უჯრა გამოაღო, რადგან საოჯახო ალბომი სწორედ იქ ეგულებოდა. შეცვდა, სადღაც სხვაგან ყოფილა. ბევრი ეძება, ბევრგან მიმოქექა ძველი და უვარგისი ნივთები და ბოლოს იპოვა მტვერდადებული, მივიწყებული და აქამდე გამოუსადეგარი ორი ფოტო, დედის და მამის სურათი.

სარკის წინ დადგა, სარკეში ჩაიხედა. ძალიან ჰგავდა იმ კაცს, რომლის სახეც ამ ფოტოზე იყო გამოსახული. ეს სურათი მარჯვენა ხელში ეჭირა, მარცხენა ხელის გულზე დასვენებული ქალაქის ნაჭრიდან კი სანდომიანი ქალის თვალებით მისი სავარაუდო, მაგრამ იქნებ და, ცრუ დედის სახე იმზირებოდა.

პიტერ პერსონი ისევ დაეჭვდა, მხოლოდ სახის ნაკვეთები არ წყვეტს ჩემს წარმომავლობასო.

სარკეში თავი რამდენჯერმე შეათვალიერა. ათასგზის დახედა სავარაუდო, მაგრამ იქნებ და ცრუ მამის პორტრეტს, შემდეგ კი დედის სახეს. და სულ ცოტა ხანში იგრძნო, რომ ეს სახეები ამ ფოტოებზე თვალსა და ხელს შუა გაცოცხლდნენ, განზრახვას მიუხვდნენ, ჩანვდნენ მის შემადრწუნებელ, ბნელ ჩანაფიქრს და იმქვეყნად გული შეუღონდათ.

პიტერ პერსონი იმდენად დიდ, ტვინის წამლებს და საზარელ ეჭვს შეეპყრო, რომ უფლებას თუ მისცემდით, ახლავე დაოთხილი გაიქცეოდა, ელვის სისწრაფით მიიჭრებოდა მშობლების საფლავთან, მინას გაათხრევინებდა და იმ ნაწილების, რაც მისი დედ-მამის სხეულებიდან უნდა დარჩენილიყო, გენურ ანალიზს მოითხოვდა საიდუმლო ექსპერტიზაზე საკუთარი ვინაობის დასადგენად.

იმ დღეს პიტერ პერსონი რედაქციაში ამაოდ წავიდა. თვალწინ მხოლოდ მშობლების გათხრილი სამარე და საიდუმლო ექსპერტიზის სასურველი პასუხი უტრიალებდა.

როგორი იყო მისი სასურველი პასუხი? თვითონაც არ იცოდა. იქნებ მისი სამიზნე პასუხზე

მეტად ეს კითხვა იყო: რა ერქვათ მის ბიოლოგიურ მშობლებს? ვინ იყვნენ ისინი – დედ-მამა, რომლებიც საფლავში მშვიდად განისვენებენ, თუ დედ-მამა აქამდე მისთვის უცნობი ცხოვრებით მცხოვრებნი.

სამსახურიდან დაბრუნებულმა პიტერ პერსონმა გადაწყვიტა ძალ-ღონე არ დაემუშრებინა და ამ კითხვაზე ეპოვა პასუხი.

## II თავი

ის ფაქტი, რომ პიტერ პერსონმა სამშობიარო სახლის არქივში ხანგრძლივი ქექვის შემდეგ მართლაც აღმოაჩინა ცნობა გარდაცვლილი ჩვილის შესახებ, რომელიც ზუსტად იმ წელიწადს, იმ დღეს და იმ საღამოს დაიბადა, როცა პიტერ პერსონი მოევივნა ქვეყნიერებას, ჩვენი ყოფის ერთ უცილო კანონს გულისხმობს. დედამინაზე ადგილი ნებისმიერი მახინჯი იდეისთვის მოიძებნება და არ არსებობს დედამინის იმუნიტეტი ამგვარი სიმახინჯეების მიმართ.

არ ვიცი, პიტერ პერსონი წლების მანძილზე იყო დუნედ მავალი განდიდების მანიით შეპყრობილი და ეს მხოლოდ ქვეცნობიერად ვლინდებოდა, თუ საკუთარი გამორჩეულობის შეგრძნება ნებისმიერი ფასით სურდა დაემტკიცებინა, მაგრამ ამ აღმოჩენის შემდეგ იგი ქუჩაშიც კი განსხვავებული განცდებით დადიოდა. ეს იყო მისი საიდუმლო და რაც უფრო მეტად დაისაკუთრა, მით უფრო გაიზარდა პიტერ პერსონის თვითკმაყოფილება, როგორც ამ უცნაური სიახლით მოხვეჭილი უპირატესობის პირდაპირი შედეგი.

ქუჩაში გამვლელებს შესცქეროდა, როგორც ქურდი, სულ ახლახან ხელშეუხებელ, უთვალავ განძს რომ მიაგნო და ვინ იცის, არც არასდროს უპირებდა დახარჯვას. მძელი მისი დარჩენილი ცხოვრების აზრიც ხომ ეს უნდა გამხდარიყო, მუდმივად დაედასტურებინა, მუდმივად ეძებნა და მუდმივად აღმოეჩინა თავისი სისხლის და ხორცის დაფარული საიდუმლო, გაურკვეველი წარმოშობა და გასარკვევი მომავალი.

ჯიბეში ხელი რამდენჯერმე მოიფათურა. საკუთარ შეგრძნებებსაც აღარ ენდო. ჩვილის გარდაცვალების ცნობა შეამონმა, ნუთუ მართლა დაისაკუთრა? ხომ არ ამოუვარდა, გზაში ხომ არ დაკარგა? ნუთუ ამ ბედნიერებას ბედისწერას გადააყოლებს და მის ცხოვრებაში ცხვირს ჩაყოფს მეტიჩარა შემთხვევითობა? არა, ადგილზეა მისი საგანძური, პიტერ პერსონის გამორჩევის ნივთიერი დასაბუთება.

აკი გეუბნებოდით, არ არსებობს არავითარი პრევენცია მახინჯი იდეების, ან თუ არსებობს ძალიან სუსტად და დედამინას ამის მიმართ იმუნიტეტი დიდი ხანია დაუკარგავს-მეთქი. რას ვგულისხმობ და იმას, რომ სწორედ ამ დროს, როცა პიტერ პერსონმა ჩვილის გარდაცვალების ცნობა ჯიბეში მოიქექა, სამგლოვიარო პროცესიამ ჩაიარა, შაოსნებით და თავგულებით, თანა-





მგრძობი და მწერებულებით და თანამგრძობი თავმობეზრებულებით, კუბოთი და მიცვალებულით. და პიტერ პერსონს მადა აღეძრა, იფეთქა მისმა მიყუჩებულმა უპირატესობამ, მიცვალებულის მიმართაც რომ განიცდიდა, არათუ იქ მყოფი საზოგადოებისადმი, და განცდილი კმაყოფილებით სახეზე ღიმილი გადაეფინა, სრულიად მოულოდნელი, ალბათ, შეუსაბამო იმ სანახაობისთვის, რომელიც მის თვალწინ გადაიშალა.

„მხოლოდ ერთი სიტყვა, ერთადერთი სიტყვა და ერთმანეთი სამუდამო წყევლით დაწყველეს.\* ერთადერთი სიტყვისთვის ჯოჯოხეთში გამწესებული უმწეო სულები. უფლება რომ მქონდეს „იოტას“ ძეგლს დავუდგამდი, როგორც ჭეშმარიტების სიმბოლოს. თუმცა ამაოდ. ალბათ ოდესმე ზედ საქანელას ჩამოჰკიდებდნენ, იქნავედნენ ალმა და დალმა, ან სურათების გადასაღებად გამოიყენებდნენ, როგორც საუკეთესო ფონს. სად იყო სხვა ხერხი? ჰეი, მეგობრებო, სხვა ხერხი არც არსებობდა. უბრალოდ - ხელის ერთი მოძრაობა და ხელში მახვილი. ესენი კი დგანან და დღემდე სურთ კვანძის სხვაგვარად გამოსხნა, თავი ალექსანდრეს რომ გაუტოლონ. კვანძი იყო ალექსანდრესთვის და ალექსანდრე იყო გორდიასის კვანძისთვის. მიბაძეთ ფრიგიის მეფეს. გირჩევთ რაიმე ახალი კვანძი ჩახლართოთ. იქნებ ამით მაინც გამოსტყუოთ კოსმოსს მიზეზი მეორე ალექსანდრეს გაჩენისთვის.

ყველას ანახეს თოვლი, ვისაც თოვლი არ ენახა. ვერტმფრენები თოვლის ცისტერნებით აავსეს და თოვლი აჩუქეს თოვლის უნახავ მოსახლეობას. წინასწარ იყენენ გაფრთხილებულები და თურმე იმათ ნაძვის ხეც მოურთავთ. ერთ ვერტმფრენს ზედმეტად სწრაფად მოსვლია თოვლიანი ცისტერნის გადმოპირქვაება და ეს შენი მორთულ-მოკაზმული ნაძვი შუა მოედანზე გაშხლართულა. მსხვერპლი არ არის. ვერტმფრენების ერთადერთი ხროვა მსხვერპლის გარეშე, თუ, რა თქმა უნდა, ნაძვის ხე მსხვერპლად არ ითვლება. შუაში მდგარი მარადმწვანე მცენარე, უკვდავების სიმბოლო, ედემის ხის სახსოვარი, იქ დაბრუნება რომ არასდროს დაგვაფიწყდეს.

აჰა შენ, ჩემი თირკმელი. სახსოვრად მოგიტანე დაბადების დღეზე. სხვა საჩუქარი ვერ მოვიფიქრე. მაპატიე, ჩემი მწირი ფანტაზია. წარმოსახვამ კარი გადამირაზა და ჩემზე გაბრაზებული ცხრაკლიტულშია გამოკეტილი, გამებუტა. ამიტომ მაპატიე და აჰა, შენ, ჩემი თირკმელი. შეფუთვა არ მოხერხდა, სისხლიანიო. ხვალ კიდევ ამ თირკმლის სანაცვლოდ შენი გულის მარცხენა პარკუჭი თუ მოგთხოვე, არ გაგიკვირდეს. ციმციმ მომირბენინე და დამიტოვე შენს მოსაგონრად. არა უშავს, ღორის გულის პარკუჭი გადაინერგე და ისე განაგრძე ჩემი წილი პარკუჭის გარეშე არსებობა.

რატომ ეგონა ამერიკა კოლუმბს ინდოეთი? ოქრო უნდოდა და სულაც არ ადარდებდა შენი „აღმოჩენა“. როგორი მატყუარა სიტყვაა ეს

„აღმოჩენა“ და საერთოდ, ამ ბოლო დროს ადამიანებზე მეტად სიტყვები იტყუებიან. „აღმოჩენა“ კი არა „გაცნობა“. სხვათა შორის ის ამერიკა იმ ე.წ. ინდიელებსაც მშვენივრად ჰქონდათ აღმოჩენილი და მანამდე იქაურობა მაიას ტომებმაც კარგად გადააქოთეს. მერე ესენი წავიდნენ და „ამერიკა აღმოაჩინეს“. როდის ვეჩვევით თავის მოტყუებას, როცა სიმართლეა ზომამდე მეტად მწარე, თუ როცა სიმართლემდე მისვლა გვეზარება?

ოდესმე კაცობრიობა ისე განვითარდება, რომ ერთადერთ საპროტესტო აქციას ზოოპარკის ბინადრები მოაწყობენ - ჩვენ თავისუფლება გვწყურია, გალიები თქვენთვის დაიტოვეთ, ჩვენთვის ტყეებია გაჩენილი და ტყეში განაგრძობენ თავიანთ კუთვნილ მხეცურ ცხოვრებას ველური კანონებით. მერე ჩვენც ტყეში გადავსახლდებით და დემოკრატისა მხეცებისგან ვისწავლით. გირჩევთ, ხვალვე შეიძინოთ ზოოპარკის ბილეთები, თადარიგი წინასწარ დაიჭირეთ. ვინ იცის, იქნებ ძალიან ახლოა განვითარება?!

„ხოლო იესუ ქუეყანად დადრკა და თითითა ქუეყანასა წერდა და არარას იტყოდა... ქალი ცხადად დაეპყრათ მრუშებასა... ვინ უცოდველ არს თქუენგანი, პირველად მან დაუტყვენ ქვაი მაგას ზედა. და კულად ქუე დადრკა და წერდა ქუეყანასა. ...და განწვალებაი იყო მისთვის ერსა შორის. ნუუკუე გალილეაით მოსლვად არსა ქრისტე? არა წიგნი იტყვისა, ვითარმედ თესლისაგან დავითისა და ბეთლემით დაბით, სადა იყო დავით, მოვიდეს ქრისტე?“

უმეტესად კითხვას მაშინ ვსვამთ, როცა პასუხი არ გვანყობს ან ჩვენი პასუხი გვაქვს - საკუთარი პასუხისთვის გვსურს ადგილის გამოცარიელება.

არიული სისხლი, ცისფერი სისხლი. „იაფეტი ეძებს მამას.“\* ცისფერ სისხლს ეძებს ყველა იაფეტიდი. არჩევნებში გაიმარჯვეს 1933 წელს. აიმედებდათ ერთი სიტყვა: „ვერ გაბედავს“. გაბედა. ცა გაიკვამლა ადამიანის დამწვარი ქონის გამონაბოლქვით. ადამიანებს ზოოპარკელი ბინადრების შემურდათ. მხეცობა სურდათ ზოოპარკის გალიაში. დიდი შეღავათი იყო და იმიტომ. მთავრობამ ეკლესიის დამანგრეველმა გახსნა ყველა ტაძრის კარები და ქალაქს შემოავლეს დიდი ლიტანია. ურჩხულს ნუ მოკლავ, ურჩხული დათრგუნე, თორემ ურჩხულად თავად გადაიქცევი. ჩეჩნეთის საქათმიდან ერთ ღამეს ძილში ჩამესმა ქათმის ქვითინი. კავკასია აღარ ნატრობდა გროზნოს საქათმის ბინადარი ქათმების ზედს. წინილები დარჩათ გამოსაჩეკი და იმიტომ. რა ბედნიერებაა ჩეჩენ ქათმად რომ არ დავიბადე. მაშინ ჩემი ქათმური ქვითინი ძილში სხვას ჩაესმებოდა.

მასესხეთ თქვენი კათარზისი და ორ კვირაში დაგიბრუნებთ. ტკივილს ლაოკონის დავესესხები და მერე იმასაც გავესტუმრებ. არ ვიცი, ბანკებში გახსნეს მგონი ტკივილის ანგარიში და შემძლია გადარიცხვაც გავაკეთო. თქვენ გაქვთ



ტიკვილის ორენჯბარათი? გირჩევთ შეიძინოთ. ყოველთვიურად ტიკვილს დაამატებთ მცირე პროცენტით და აღარ მოგიწევთ ლაოკონის შენახვა ტიკვილის სასესხებლად. „მწყურის“ - „აღსრულდა“.

გამოიძიეთ, გამოიძიეთ. თქვენამდე მაინც გამოიძიებულია. ისწავლეთ, თქვენამდე მაინც ნასწავლია. იცოცხლეთ, თქვენამდე მაინც ნაცოცხლია. გარდაიცვალეთ, თქვენამდე მაინც გარდაცვალია.“

ამ ფიქრებში გართული პიტერ პერსონი სახლსაც მიუახლოვდა და ზღურბლსაც კი სხვანაირად გადააბიჯა, რადგან ჯიბეში ედო ყველაფრის პასუხი - საკუთარი ეჭვის ფაქტობრივი დასაბუთება, ცნობა ჩვილის გარდაცვალების შესახებ.

რამდენი ფიქრი გაცვითა და კიდევ ეფიქრებოდა. ბოლო დროს ფიქრის ბულიმია შეეყარა. „თეატრში ვიყავი. შავი ტანსაცმელი მეცვა. უძრავად ვიჯექი, უძრავი სახით და თვალებით. ვინმეს ჩემს ტვინში რომ ჩაეხედა... გრძნობას მირევდა ყველა დაჭოუჭნილი ზენარი, რაც კი ოდესმე გადამიქელავს. მე კი შავი ტანსაცმელი მეცვა და მზერა მქონდა გაყინული.“

მას მერი ჰქვია. დედამისს - ლაიზა. კარს შევალე და გამოვუცხადებ: სინამდვილეში თქვენი შვილი არ გარდაცვლილა. ის ცოცხალია და ამ ნუთას თქვენს პირისპირ დგას. ჭურჭლის მსხვრევას გავიგონებ. ან იქნებ იმ ნუთას ხელში ჭურჭელი არც არავის ეჭიროს? გულშეღონებულს მივვარდები. რა ღირს ეს იაფფასიანი ტრაგედია? მომყიდეთ. მერე ათმა ფასში გავყიდი. მოგება დამრჩება. თეატრის მამას ტრაგედიებით ვაჭრობის უფლება წაართვეს. სამიზნეს მიაწვებეს შექსპირის სურათი და ცხრიანში არტყამენ. „ოტელო არ იყო ეჭვიანი, ოტელო გულუბრყვილო იყო“ - გეთანხმები. აი ამ ტყავზე გამოვცადე ოტელოს გულუბრყვილობა. კედლისკენ პირით დადექი, ეგრე უფრო მომნონს. არ შემოტრიალდე და აღგზნებისგან ბათქაში არ შემოგეჭამოს. მერე მე დამაბრალე კუჭის აშლილობას.

სიზმარში ვნახე, ნიჭნართმეული გენიოსი კასტრირებულ ურანოსთან ერთად გზას მიუყვებოდა. „მძიმედ კენესოდა გეა. მისი წიაღი აივსო მისგანვე შობილი შვილებით“. ღამით ქმარი ცოლის სარეცელს მიუახლოვდა. ქაფი მოიკიდა წარკვეთილმა ასომ და აფროდიტემ ფეხი შედგა კუნძულ კვიპროსზე. სახეზე არა, მკერდზე. ადვილად ჩამოინმენდს. ყურად არ იღო მისი გაფრთხილება და პირი შემოეწუნა.

ერთადერთი გენიოსი სრული სუბლიმაციით.\* ტრანსფორმირებული ჰომოსექსუალობა. მისი მწირი ბიოგრაფია იტყობინება, რომ ძერა დაესიზმრა, რომელიც პირში ნისკარტს უყოფდა. დიაგნოზისთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა. მან ეს წინასწარ იცოდა. ეგეთებს გაუღიმა ხუთი საუკუნით ადრე.

იმდენჯერ გადაათეთრა, რომ შეზიზლდა და მატარებლის ქვეშ შეაგდო. „არ შეიშლებოდი,

მზე რომ დასავლეთიდან ამოვიდეს?“ ... ფუნჯის გენია არ ეყო. „მაშინ ვიტყოდი, რომ თავად მზე შეიშალა“.\*

ეკიმი დადის კარდაკარ, ფუნქციადაკარგული ვაქცინით.\* მაინც. სიბნელეში ფერი ვერ გავარჩიე. ფერი სინათლის საკუთრება ყოფილა. გაიქეცი ორესტე, გაიქეცი! ნუთუ ასე გიღირს შურისძიება?! ფრთებმეკვცილიმა იფრინე, თორემ მოვლენ და ფრთებს სულაც მოგაჭრიან.

მივალ, კარს შევალე და ვიტყვი: „თქვენი შვილი არ გარდაცვლილა, ის ცოცხალია და აი ამ ნუთას ის დგას თქვენს წინაშე. ჭურჭლის მსხვრევას გავიგონებ, ან მსუბუქ შეკვივლებას. სცენა იაფფასიანი ტრაგედიის. თეატრის მეფეს წაართვეს საავტორო უფლება. თეატრი შენს საკუთრებად რატომ არ გაიფორმე? ყოველთვის გჭამდა სიღარიბე. გაიქეცი, ორესტე, გაიქეცი! ხომ აღარ გწყურია შურისძიება?“

პიტერ პერსონი მეორე დღეს მერისთან სტუმრობას აპირებდა. მერი გარდაცვლილი ჩვილის და იყო, ორმოცს მიტანებული ქალწული და დედასთან ერთად ცხოვრობდა.

### III თავი

რედაქციაში გაკვირვებას ვერ მალავდნენ, მთავარი რედაქტორის უეცარი მეტამორფოზის შემხედვარენი, თუმცა კითხვა ვერ გაებედათ, ვერც მიზეზის გამოძიება. სტატიებს ისევ ისინი წერდნენ, ვინც - მანამდე. განსახილველი თხზულებებიც ისევ იმათ მოჰქონდათ, ვისაც - მანამდე. პიტერ პერსონმა ჟურნალი გულს გარეთ დატოვა, თავის სტატიებიან-თხზულებებიან-კორექტურულშეცდომებიანად. და შემდეგ ჩაეცინა. თურმე რამდენი ხანია ფუნქცია ჰქონია დაკარგული. ფუნქციას რგონებდა და ამ მოგონილ ფუნქციაში ფულსაც კი უხდიდნენ. იერი მაინც საქმიანი უნდა ჰქონოდა. კუჭი და ფილტვები მაინც თავისას ითხოვს. „მოსანონზე“ ამბობდა, რომ მოსანონია და „წუნთანზე“ ამბობდა, რომ წუნთანია. შუადღეს მიირთმევდა თავის წილ სამხარს და იმ საღამოს ვახშმობას მერი სტიუარტის სახლში გეგმავდა.

შემოდგომას უხაროდა. ეს ჩანდა მისი მზიანი დღით და თბილი ჰაერით. წესით დარდი დიდი ხნით არ ეწერა. ნოემბრამდე. პიტერ პერსონმა გაიხურა რედაქციის კარები და გეზი ტაუერ-პილისკენ აიღო. მერი და ლაიზა იქვე ცხოვრობდნენ.

პირველად სათქმელი სიტყვები გონებაში ათასჯერ გადაათამაშა. მერის სურათს რომ დახედა, მოეწონა. სწორი ცხვირი, თხელი ტუჩები, ვინრო თვალები, მუქი ნაბლისფერი თმა და მაღალი ყელი. მერის გარეგნობა დიდად არც ადარდებდა, მაგრამ სიახლესთან შეხვედრისას შთაბეჭდილებას ვერც გაექცევი, ძალიანაც რომ მოინდომო. ლაიზას სურათი არ ჰქონდა, თუმცა ყველაზე მეტად სწორედ მისი ნახვა სურდა -



მოხუცი დედის, რომელმაც არაფერი იცოდა საკუთარი შვილის არსებობის შესახებ.

სახლს მიუახლოვდა. ოთხკუთხა ზარის ღილაკი. „ნეტავ მრგვალი ყოფილიყო.“ – გაიფიქრა გულში და თითი მიაჭირა. ერთი და ორი. მესამედ კარი გაიღო. მერი მაღალი ყოფილა. სახეზე გაკვირვება გამოეხატა, მაგრამ სასიამოვნო გაკვირვება, რადგან უცნობი მამაკაცი საკმაოდ მეტად წარმოსადეგი გახლდათ.

- გამარჯობა.
- დღე მშვიდობისა.
- მე გახლავართ პიტერ პერსონი.
- „ლიტერატურული დრონი“-ს რედაქტორი?! რა სასიამოვნო სიურპრიზია. არ ვიცოდი, თქვენს მკითხველებს ოჯახში თუ აკითხავდით.

- იცით, თქვენ ჩვენს ინტერნეტ გვერდზე გათამაშებაში მოიგეთ.

- უკაცრავად?..
- ინტერნეტ გვერდზე ერთგვარ აზარტს მივეციტ გასაქანი. მკითხველებს შეეძლოთ გამოეგზავნათ საკუთარი ინტერნეტ მისამართები და გათამაშების შემდეგ გამარჯვებულს ჟურნალის მთავარ რედაქტორთან შეხვედრით ვაჯილდოვებთ. თქვენს მეილზე უკვე გადმოიგზავნა შეტყობინება, ნუთუ არ მიგიღიათ?

- პირველად მესმის. ალბათ ჩემმა მეგობრებმა იხუმრეს. არანაირ ინტერნეტ გათამაშებაში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ მაინც სასიამოვნოა და დიდი სიხარულია. ღმერთო ჩემო, თავად პიტერ პერსონი გვეწვია. ზღურბლთან რას გაჩერებულხართ, შემობრძანდით.

სტუმარმა შესვლისთანავე ლაიზას სურათებს მოჰკრა თვალი და სავარაუდო მამის, რომელიც ცოცხალი აღარ იყო, პორტრეტებიც შეათვალიერა. ნუთუ საკუთარ ოჯახში შეაბიჯა?! რა მძიმეა ბედის ირონია?! – სტუმრის სტატუსით. მოხუც ქალს გულმა უნდა უგრძნოს. „ნუთუ არ არსებობს სხეულის მეხსიერება? სისხლის მეხსიერება? ნეტავ რას იტყვის? იქნებ თვალთ აკლია და კარგად ვერც შემათვალეროს. გამარჯობა, თქვენი შვილი არ გარდაცვლილა, ის ცოცხალია და ამ წუთას დგას თქვენს პირისპირ. ნეტავ, რომელი ჭურჭელი დაიმსხვრევა? იტალიური მინა თუ ჩინური ფაიფური? მიბაძეთ ფრიგიის მეფეს. რა გრძელი კიბეა. თუ ასე მე მჩვენება? სტუმრად მოვედი საკუთარ ოჯახში და დედას უცნობი მამაკაცის სახელით უნდა გავეცნო. მოხუცი ქალი ამ დღეს მთელი ცხოვრება ელოდა. დღეს გაიხარებს მისი სხეული და არა - ცნობიერება. დრო დამჭირდება, რომ ცხადად გაიგოს თავისი სხეულის უტყვი სიხარული. სხეული მიცნობს, გონება - ვერა. სხეული მიცნობს სისხლის მეხსიერებით. მიბაძეთ ფრიგიის მეფეს – გორდასს.“

პიტერ პერსონი მეორე სართულზე ფართო სასტუმრო ოთახში შეიპატიჟეს. მოხუცი ლაიზა იქ არ იყო. საძინებელ ოთახში ისვენებდა და არც არაფერი იცოდა სტუმრის შესახებ. მერი მამაკაცს მისაღებში შეუძღვა და სავარძელზე

მიუთითა. მისი სტუმრობის მიზეზი აბსურდად მოეჩვენა, თუმცა დიდად არც ადარდებდა მიზეზის აბსურდულობა. მის წინ შესაშური გარეგნობის მამაკაცი იდგა, ცნობილი ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი და თუ მეხსიერება არ დალატობდა, ის ოდესღაც ცოლს გაეყარა. მერი სიამოვნებას ვერ მალავდა ვერც განათებული თვალებით და ვერც ფართო ღიმილით, რომელიც სახიდან ვერ ჩამოიშორა და ეს მეტ უხერხულობას უქმნიდა. სულ მალე მერიმ მიივიწყა ინტერნეტ გათამაშების თითიდან გამონოვლილობა და ეჭვადაც არ ჰქონდა უცხო მამაკაცის სტუმრობის მისთვის უცნობი, მაგრამ ჭეშმარიტად აბსურდული მიზეზის შესახებ.

- ნინა ნომერში ჯეინ კრამერის რომანის დასასრული გამოქვეყნდა, არა?

- დიახ. მოგწონთ ჯეინ კრამერი?
- რა თქმა უნდა, საინტერესო ავტორია.

- თავად თუ წერთ?
- ყველა წერს და მეც ვწერ. – მერის გაეცინა.

- ჩაის ინებებთ, არა?
- სიამოვნებით.

- ტელმა დედას ეხმარება. როცა მე სამსახურში ვარ, მომვლელი სჭირდება. მარტო თავს ველარ პატრონობს. დღეს სახლში შემთხვევით ვარ, თორემ წყალში ჩამეყრებოდა ჩემი ინტერნეტ გათამაშების წარმატებები. – მერიმ გაიღიმა, ოღონდ ამჯერად ღიმილთან ერთად სახეზე გამომცდელმა მზერამ გადაურბინა. საქმე ის გახლდათ, რომ მერიმ უკვე მოასწრო ამ მცირე დროის მანძილზე გასაქანი მიეცა საკუთარი ფანტაზიისთვის და პიტერ პერსონი მომავალ სატრფოდ წარმოედგინა, რომელმაც, ალბათ, სადღაც, როგორღაც შეამჩნია მერი სტიუარტი და მიზნად მისი გაცნობა, შემდეგ შეყვარება და სულ ბოლოს ცოლად შერთვაც კი გადაწყვიტა. მერი სტიუარტი უკვე პირველი შვილის სახელზე ფიქრობდა.

ტელმამ ჩაი მოიტანა და პიტერ პერსონმა სურათები ისევ შეათვალიერა. მერის ეს არ გამოეპარა და სახლის კუთხეებში გამოფენილი ფოტოები სტუმარს სიამოვნებით დაათვალიერებინა. პიტერ პერსონს სიხარულით თვალები გაუნათდა და მერიმ ეს თავისი ოცნების სქემის შესატყვისი მნიშვნელობით ახსნა.

ლაიზა ახალგაზრდობაში ზუსტად ისეთი ყოფილა, როგორც მერი. პიტერ პერსონს ყოველ ფოტოსთან ცარიელი ადგილი ეგულებოდა, რომელიც მას ამ ორმოცდაათწლიანი ლოდინის შემდეგ უნდა შეეცნო. ოდესმე აქაურობას მისი სურათიც დაამშვენებდა. ოჯახში დაბრუნდა პიტერ პერსონი. დაკარგულმა შვილმა სახლს მიამურა. მან საბოლოოდ დაიმკვიდრა წართმეული ადგილი, კუთვნილი სამყოფელი. ახლა საშიში აღარაფერია, თუნდაც მოკვდეს. საკუთარ ადგილზე მყოფს სიკვდილისაც არ ეშინია.

- აი ეს დედაა სამშობიაროში. პირველი შვილი გაჩენისთანავე გარდაეცვალა. აქ ჯერ კიდევ არაფერი იცოდა. მშობიარობამდე გადაულეს.



დღემდე უჭირს ამის გახსენება. რა გემართებათ? რა მოგდით? ტელმა, წყალი! ტელმა, ექიმი გამოიძახე!

ცნობის დაკარგვამდე პიტერ პერსონმა ხელი ბროლის ლარნაკს გაჰკრა და ჭურჭელი დაიმსხვრა. მერის ენიშნა, შემთხვევა ისევ თავისი ოცნების სქემას მორაგო და გულში გაიფიქრა, ჭურჭლის უცაბედი მსხვერვა ბედნიერების ნიშანია და სანამ გონდაკარგული პიტერ პერსონი იატაკზე გაშხლართული იწვა, დამსხვრეულ ბროლის ლარნაკს მერიმ სურვილი ჩურჩულით ჩაუთქვა: „ბედნიერების, ბედნიერების!“

ტელმა ბევრად უფრო გამოცდილი გამოდგა და პიტერ პერსონი წამსვე მოასულიერა. ჩაი გაუცივდათ და სტუმარს თავიდან მორთვეს. ალბათ, სამუშაო დღემ თუ დაგლალათო. – უთხრა მერიმ და პიტერ პერსონს ჩაი ხელმეორედ შესთავაზა. დღეისთვის საკმარისიაო, – გაიფიქრა სტუმარმა და გულუხვ მასპინძელს გაცივება სთხოვა.

- ვწუხვარ. ალბათ, რადიოაქტიური მზე მოქმედებს. დედა ვერ გავაცანით. ამ დროს სძინავს ხოლმე. ექიმი მეთვალყურეობს, ასე აქვს გამოწერილი. იმედი მაქვს კიდევ გვესტუმრებით. სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა.

პიტერ პერსონი მხოლოდ თავს უქნევდა. საუბარი აღარ შეეძლო. დასამშვიდობებელი სიტყვა ძლივს ამოღერდა, ნახვამდისო, მიაძახა და ქუჩაში გააბიჯა. ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, რომ პირში სული ედგა. გასეირნება გადაწყვიტა. შთაბეჭდილებებით დახუნძლულს ახლა ეს თუ უშველიდა.

„მომეცით მელანი და გათლილი კალმის პირი. თითებზე მელანს ველარ მოვიშორებ. ქათქათა პერანგი დამეთხვრება. ქებას აღვუვლენ ტექნიკურ პროგრესს ჩემი პერანგი მელნით დათხვრას რომ გადაარჩინა. „გრცხვენოდეს, რომ პითია ხარ.“\* ყველა გაიხრწნებით, ყველა გაიხრწნებით! – ხმაშეცვლილი კიოდა სახემანჭული ორაკული. „ღმერთსაც აქვს თავისი ჯოჯოხეთი. ღმერთის ჯოჯოხეთი ადამიანია“\* – ერთხელ ასე მითხრა ზარათუშტრამ.

გულიც თავად შემიღონდა და ჭურჭელიც თავად დავამსხვრიე. ნეტა, კარგად დამეხედა, რა იყო? ჩინური ფაიფური, ვენეციური მინა თუ ჩეხური ბროლი? დონატელოს დავითიდან მიქელანჯელოს დავითამდე მხოლოდ ასი წელიწადია. ხუთი მეტრი და ოცდაორი სანტიმეტრი. კენჭიანი შურდული გოლიათის წინააღმდეგ. დაავადეთ ოქრო და მიჰყევით კენჭების შეგროვებას.

„ელეგანტურ ქალს ცხვირი საერთოდ არა აქვს.“\* – ვეთანხმები, გალას ცხვირი არც არასდროს მომწონდა. თქვენს სიმაგრეში არ სჭირდებათ მინის მოზომვა? ბაზრის მოედანზე დგას ძვლადქცეული სანახაობა\* – ოსტატი მოშიმშილე, თუ მშიერი ოსტატი? გაიქეცი, ორესტე, გაიქეცი! ისევ გინდა შურისძიება? მიბაძეთ ფრიგიის მეფეს – გორდიასს.

ბორკილებს ჭედავს კოჭლი ვულკანი. აფროდიტეს შეუსწრეს ადონისთან. ქვის მეძავი. მუზეუმების სტრიპტიზიორი ქანდაკება. ხელები მოკვეთეს, მუდარით რომ არ გამოეშვირა: – „ჩამაცვით!“ – ოლონდ არა იმიტომ, რომ სიშიშვლის რცხვენოდა – მუზეუმებში უმეტესად ცივა ხოლმე. გაყინული აფროდიტე. შენს კუროს გულღვიძლს გამოფატრავს ტახად ქცეული არესი. გაზაფხულს დაელოდე. ადონისი გაცოცხლდებო.

მარია კიურის პატარა უღვაშები ჰქონდა, ოღნავ შესამჩნევი. კოსმეტიკურ სალონებში მაშინ არ იყო ელექტროეპილაცია. ნილს ბორი მისთვის გვარია. ლეონარდო და ვინჩი – ორი სახელი. მერე რა მოხდა, ჩემთვის ლეონარდოს მდედრის სახელი ჰქვია, ფრანჩესკო დელ ჯოკონდოს მეუღლის - ჯოკონდა. გამიღიმე, ლეონარდო, გამიღიმე. სურათი უნდა გადაგიღო. ღიმილი მეექვსე საუკუნეა ვიხდება.

გიორგი გურჯიევმა ტვინს დაარქვა „კუნდაბუფერა.“\* – რა უბედურებაა, სომხურის, ბერძნულის და რუსულის ნაზავი. „სიკეთეცა და ბოროტეცა კუნდაბუფერას გამონაგონიაო“. გამოდის, უტვინო წყალმცენარეებს სიკეთისა და ბოროტების მიღმა უნევთ არსებობა. მათ ხომ არა აქვთ „კუნდაბუფერა“ სიკეთისა და ბოროტების გამოსაგონად?! როგორც ჩანს, გურჯიევს სურდა ყოფილიყო ლურჯმწვანე წყალმცენარე, ცხოვრება კი ნახევარულვაშიანი ფიურერის პედაგოგად დაასრულა და სხვათა შორის მაგ ნახევრადმოპარსულ უღვაშს სულ სხვა ეტრფოდა\*. ის, ვინც აიგრისა თავისი უღვაშის ორი ვეება წვერი. როგორ ალაგზნებდა ჰიტლერის მსუქანი სხეული.

ცელი მოიქნით. ყანა ამაზე ოცნებობს. რა გახდა ერთი პრიალა ალესილი ცელი. ცელი მოიქნით, სანამ ყანა მზეზე გადამხმარა.

უკრაინის ზღვისპირა ქალაქის ქუჩებში დადიან პოდიუმის მოდელები, ისეთებიც კი, რომელთაც არასდროს გაუვლიათ პოდიუმზე, მაგრამ მოუხდებოდათ. ხუთი საუკუნის წინ ფლორენციის ქუჩებშიც ასევე მრავლად მიმოდიოდნენ, ოლონდ გენიოსები.

მიბაძეთ ფრიგიის მეფეს – გორდიასს. კაცობრიობამ უნდა დაძლიოს სამარცხვინო შიში... „უნდა შეიგნოს, რომ ყველა გრძნობათაგან შიში ყველაზე სამარცხვინო გრძნობაა.“\* „ნეტავ შეგვეძლოს ქმნა რაიმე შემზარავისა!“\* და მაინც... ინცესტის მსხვერპლმა თავი მოიკლა\*.

ამოირეცხე, კუჭი ამოირეცხე! მაგას სჯობდა არ გეჭამა ნახევრად უმი ტაფამწვარი. უღვაშს ნახევრად იპარსავდა. მე პირადად ის მხოლოდ მაგისთვის შენტიპატიურება. კაცი რომ უღვაშს ნახევრად მოიპარსავს, ტფუი! არადა ეს მოპარსული უღვაში როგორ ალაგზნებდა ჩემს უსაყვარლეს სიურეალისტს.

ხელოვან ქალებს რომელმა მამრმა მუზამ მიანყველა მეძავობა? გახელებულმა მუზამ მამრობით სქესში. ანას ემოსა თეთრი პენუარი\*.



სახლში კი ქმარი შემთხვევით შემობრუნდა. ერთ ლექსში ყოფილ საყვარელს ნიშნობის ბეჭდით ემუქრება.

ნეტავ რომელი ჭურჭელი დავამსხვრიე: ჩინური ფაიფური, ვენეციური მინა თუ ჩეხური ბროლი? ახალ ლარნაკს ვიყიდი და მეორედ სტუმრობის მიზეზიც მექნება. მიბაძეთ ფრიგიის მეფეს – გორდიასს. ყველა აყვიას პირი ამოუკერეთ, ოღონდ პირდაპირი გაგებით. მერე რა მოხდა?! ზოგი პირს საკუთარი ნებით იკერავს. არაცნობიერი ლტოლვა პირსინგისადმი. ეტყობა, ოდესღაც ტუჩის გახერხება აუკრძალეს და მერმისში აისრულა: პირი ამოიკერა სიმართლის სახელით. ჰოდა, მადლი ჰქენით და პირი თავად ამოუკერეთ!

გულიც თავად შემიღონდა და ჭურჭელიც თავად დავამსხვრიე. „მე შენ გიყურებ, როგორც ცხოველს და შენ მე მიყურებ, როგორც შემლილს“\*. ექიმს უბრალოდ გული გაუსკდა, ისიც ხალხმრავალ ტრამვაიში\*. ფანჯრები უნდა გაეღოთ. მანამდე პოეტს ახსოვდა თვრამეტი წლის გოგონა ტრანსპორტში უხმოდ როგორ მიცივალა\*, იმდენადაც კი, რომ დედამისს გულწასული ეგონა და მოსასულიერებელ წამლებს პირში ჯიუტად სტენიდა. საგარაუდოდ, გოგონა მანამდეც ავადმყოფობდა, რადგან დედას აბები აღმოაჩნდა. ანდა სულაც კეთილმა მგზავრებმა მიანოდეს. რილკეს ლურჯი ან მწვანე თვალები ჰქონდა. შავთეთრ სურათზე აშკარად ჩანს ღია თვალები, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, ლურჯი თუ მწვანე. აბები კეთილგანწყობილმა მგზავრებმა მიანოდეს. „და კეთილი გამვლელები კვლავ წამოაყენებენ“\*, „ქალაქში, მტკვერში რომ წაიქცა ბავშვი“. რამდენი ფერი აქვს სიტყვას? რამდენი ადამიანიცაა დედამიწაზე.

მის სიტყვას ჰქონდა ათასი ფერი. შენი ენა რომ ფრანგული ყოფილიყო მაინც ჭყვიშელი ჭაბუკი იქნებოდი თუ არა? იქნებ და შენს მზეს მთელი ევროპა დაიფიცებდა? ხო, მაგრამ ნიკორწმინდას ველარ იხილავდი, ვერც გურიის მთებს. იქნებოდი მათ გარეშე ჭყვიშელი ჭაბუკი? გეძახის ედგარი მესამედ. შენს ხიდზე ჩავიარე და ფოტოაპარატმა ვერ აღბეჭდა ქალწულთა სუიციდი\*. სად წაიღე შენი ფოტოკამერა? როცა მიდიხართ, კეთილი ინებეთ და ცოტა ჩვენც დაგვიტოვეთ.

რომელი ჭურჭელი დავამსხვრიე: ჩინური ფაიფური, ვენეციური მინა თუ ჩეხური ბროლი?”

- ბატონო? რამე მითხარით? რა უნდა დაამსხვრიოთ? ჩვენი მაღაზია ისეა დაცული, მაგას არ გირჩევთ.

- აი ის ლარნაკი მომანოდეთ, გეთაყვა. ლარნაკების მსხვრევა იდიოტების პრეროგატივაა\*. გამოდის იდიოტი ვყოფილვარ. მე კი სხვაგვარად ვფიქრობ. მიმანია, რომ სამყაროს სილამაზე გადაარჩენს.

- რუსი სიკვდილმისჯილი გყვარებიათ.

- დიახ, დიახ, გამოიცანით. მე კი მეგონა, რომ

მას არასდროს კითხულობდნენ ბროლის ჭურჭლის მაღაზიის გამყიდველები.

- როგორ გეკადრებათ, ჩემი აზრით, ივან კარამაზოვმა თავად დოსტოვესკის გადააჭარბა. განა „დიდი ინკვიზიტორი“ შედეგურთა შედეგური არ არის? დოსტოვესკი კი მაგის ავტორობას ვერ დაიბრალებს. ეგ ივან კარამაზოვმა დაწერა\*. პირველობა საკუთარი გმირისთვის არ უნდა დაეთმო, მაგრამ ხომ იცით, შვილი რომ უნდა სჯობდეს მამას. ლარნაკი შეგიფუთოთ?

- დიახ, გეთაყვა. თანხა აი, ამ ბარათის ანგარიშიდან მოაკელით. სახლში რომ მიბრძანდებით, დოსტოვესკი მომიკითხეთ.

- აუცილებლად. წამოსვლისას თაროზე დაეტოვე და რა ვიცი. სიკვდილი მესამედ თუ არ მიუსაჯეს, ცოცხალი დამხვდება. აბა, კარგად.

- მშვიდობით.

პიტერ პერსონი სახლში შეფუთული ლარნაკით დაბრუნდა და ეცადა ლუკმა-ლუკმა ეღებო მთელი დღის შთაბეჭდილებები.

„გავიხედე და ცხოვრების წლები თითებშუა შემომიფცქვნა. ღერა-ღერა დავითვალე ჩემს სახეზე ყველა ნაოჭი. ამაზე დიდი სასჯელი რა უნდა ყოფილიყო?! სარკეში ხედავ, როგორ მიმგზავრება შენი სხეული მინისკენ. და ამას ხელს ვერ შეუშლი. კვდომის პირველი ნიშნები ახალშობილსაც აღენიშნება. სიკვდილში ვიბადებით, რომ უკვდავებაში მივიცვალოთ.“

ის იდგა ჩემს წინ ისეთი ლამაზი და ახალგაზრდა. მე კი მის ოდესმე მისახრწნელ სხეულზე ვფიქრობდი. მაინც არ მჯეროდა, რადგან ცხადზე ცხადი იყო მისი სილამაზე. მერე ველურმა ჟინმა შემიპყრო და კიდევ ერთხელ ვწინააღმდეგობა ადრე დაბერების სველი მიზეზი. წაკითხული წიგნების და ოფლიანი ზენრების მეხსიერება – გამისუფთავეთ!

არის რაიმე ისეთი, რაც ცხოველმა ან მცენარემ ჩვენზე უკეთ იცის? რა თქმა უნდა. ფოთოლზე უკეთ ფოტოსინთეზი ათასი წელიც რომ ვიცოცხლო, არ გამომივა და ვერც მგელზე უკეთ დავიყმუვლებ, თუმცა ვინ იცის, ვინ იცის? იქნებ ოდესმე მგელზე უკეთაც დავიყმუვლო?!

მთავარი კი ის არის, რომ შენ მიიცვალე, როგორც ალფონსო კიხანა, რადგან დონ კიხოტობის მამაშენსაც არ სჯეროდა ოდესმე. არადა, ერთი ბერძენი ჭაბუკი ფრთებშეტრუსული გადმოენარცხა და ამის შემდეგ სიმალლიდან ქვემოთ ზღართანი მოდაში შემოიღეს. ძირს გადმოევა პატარა გონებაჩლუნგი მედეას ქვეყნიდან\* და გზაზე ერთი კაცი მიდიოდა...

ხვალ მივალ და დამსხვრეული ლარნაკის ნაცვლად ახალს შევთავაზებ. იქნებ არ ვიჩქარო და ერთი დღის შემდეგ ვენვიო. ვახშობის შემდეგ დიდხანს დავრჩები და მოხუც დედასთან შეხვედრა მეღირსება. სისხლი თუ უგრძობს? ან სხეული? ხომ არსებობს სისხლის მეხსიერება? ჭურჭელი კიდევ რომ დაიმსხვრეს? ჰოდა, ყოველთვის ახალს ვიყიდი დამსხვრეულის სანაცვლოდ და სახლშიც ისე მივალ. საბრალო მოხუცი



დედა, დიდხანს ელოდა შვილთან შეხვედრას. სული კბილებით უჭირავს, სულთმობრძავია თითქმის და უფლის ახალგაზრდა ტელმა. „ტელმა, ფეხები დამითბილე!“ „ტელმა, მოხარშე შერიის ფაფა?“ „ტელმა, ნაყენის ორთქლი უნდა შევისუნთქო!“ „ტელმა, გეთაყვა, სხვა არხზე გადამირთე!“ „ტელმა, ოდესღაც მე შვილი დამელუპა, გაჩენისთანავე!“ „ტელმა, არ დაუშვა, რომ შენმა შვილმა შენზე უნინ იგემოს მიწის სიცივე! სულერთია, სითბოს სამუდამოდ გამოეთხოვე. გარდაცვლილი შვილის სიკვდილი გცივა.“ „ტელმა, გეთაყვა, ფეხები დამითბილე!“

ძვირფასო ტელმა, რატომ არ შემოძლია შენი მაგივრობა? მე უნდა წარვსდგე მოხუცი დედის წინაშე და გამოვუცხადო: - თქვენი შვილი არ გარდაცვლილა. ის ცოცხალია და ამ წუთას ის დგას თქვენს პირისპირ.

ერთი, ორი, სამი... ერთი, ორი, სამი... ჰარი ჰალერი ცეკვას სწავლობს\*. ჩემი ერთ-ერთი გოგონა კარგად ცეკვავდა. ჩემს სხეულზე უყვარდა მოქნილი ტრიალი, გაზნეილი მოძრაობა. ერთი, ორი, სამი... ერთი, ორი, სამი... ჰარი ჰალერი ცეკვას სწავლობს. ამოქოლეთ ყველა ჭურჭრუტანა, ყველა სორო და ყველა ხვრელი. კარი ჩამიკეტეთ, მარტო დამტოვეთ, ფანჯრები ამიჭედეთ და აქ სიკვდილი ვერასდროს შემოვა. ხვრელიც კი არ არის, რომ შემოიპაროს. მანამდე კი მშვიდად დავიძინებ. მას კი სიკვდილი ძილში მიეპარა, სიზმრიდან შეუძვრა და მისი ცხედარი, გაქვავებულიც კი, ოდნავ ილიმოდა. როგორც ჩანს, სიკვდილს ღიმილით შეეგება. სიზმარში ვინმე ახლობელი ეგონა, ალბათ და იმიტომ.

ბუზები დაჰყვება იუპიტერს, ბუზები ეხვევა გახრწნილ რომაულ ღვთაებას.\* გაიქეცი, ორესტე, გაიქეცი! თქვენ კი გორდიასს მიბაძეთ, ფრიგიის მეფეს.

განა დათვალე ამ ტბაზე იხვები?!\* ბუზების თვლას იხვების თვლა ყოველთვის სჯობია. მენდელევის ცხრილში ორი ადგილი თავისუფალია. ნამო, შევავსოთ. მოხალისეებს ელიან. მე კი მესამეც მომწონს, მეხუთეც და მერვეც, თუმცა მეცხრეს ჰქვია ნოვაცია\* - რეფორმა ქორალით. „მაპატიეთ, რომ დაგინიკლეთ!“\* მითებში უმეტესად ჭარბობს ზოოფილია. ფანტაზია რეგრესს ევოლუციის საფეხურების მიხედვით განიცდის, ალბათ.

ტელმა, ნადი და მოხუც დედას ფეხები დაუთბილე. არ გესმის? შვილის სიკვდილი სცივა. თქვენი შვილი არ გარდაცვლილა. ის ცოცხალია და ამ წუთას დგას თქვენს პირისპირ. მერი, ჩემო დაიკო, ნუთუ არ იცი, შენი უფროსი ძმა ვარ. სახლში მიმიღეს, როგორც უცხო წარმოსადეგი მამაკაცი. მე კი შინ დავბრუნდი, მოხუც დედასთან.

დიდი სიმეტრია: აქეთ - ლეონარდო, იქით - მიქელანჯელო და შუაში - რაფაელი. სქოლიოების გარეშე არ მენდობიან, მე კი ნამუსის უღვაში მქონდა ხელსახოცში გახვეული. ჩემზე მეტად პოეტი ჩემი მეზოვეა\*. თქვენ მას არ იცნობთ.

ხვალ არა და ზეგ უნდა მივიდე მათთან შეფუთული ლარნაკით. და მაინც ნეტავ რა დავამსხვრიე: ჩინური ფაიფური, ვენეციური მინა თუ ჩეხური ბროლი? კაცი კი საყვარლის საფლავს ეძებდა, დაკარგულს. „ამოდი, კინჩ, ამოდი, საზარელო იეზუიტო!“\* „იაფეტი ეძებს მამას!“ მე კი გეუბნები: ცისფერ სისხლს ეძებს ყველა იაფეტიდი. მობრძანდით, ჩაიტარეთ ვენის გადახსნის მარტივი და ჰიგიენურად უზრუნველყოფილი პროცედურა. იქნება თქვენი ძარღვებიდან ცისფერმა სისხლმა ამოფეთქოს. დავაკონსერვებთ და წვეთნვეთობით გადავუსხამთ რჩეულ რასას. პირობას გაძლევთ, მას ვერ გაეკარება რომელიმე ნავთობზე მჯდომი ბარბაროსი სპარსეთის ყურიდან. სპარსეთის ყურეს აქეთ მოსდევს ვრცელი კავკასია. ამ ცისფერი სისხლის კონსერვანტს ვერ იხილავს ვერც ერთი კავკასიელი. ბოდიშს მოვუხდით აფრიკის ქვეყნებს, რადგან იქ ზოგიერთ ადგილებში ადამიანის სისხლს დღემდე საკვებად იყენებენ და სად არის მათი შესასრუბი ცისფერი სისხლის კონსერვი?! პირობას გაძლევთ, მას მხოლოდ წვეთ-წვეთად გადავუსხამთ რჩეულ რასას. თქვენ კი მიბაძეთ ფრიგიის მეფეს, გორდიასს.

ის კი იყო ძე „იოსებისა, ელისა, მატათანისა, ლევისა, მელქისა, იანესა, იოსებისა, მატათისა, ამოსისა, ნაომისა, ესლისა, ნაგესა, მათისა, მატათისა, სემისა, იოსებისა, იუდაისა, იონანისა, რესაისა, ზორობაბელისა, სალათიელისა, ნერისა, მელქისა, ადდისა, კოსამისა, ელმოდადისა, ერისა, იოსისა, მატათისა, ლევისა, სვიმონისა, იუდაისა, იოსებისა, იონანისა, ელიაკიმისა, მელეაისა, მაინანისა, მატათანისა, ნათანისა, დავითისა, იესესა, იობედისა, ბოოსისა, სალმუნისა, ნაასონისა, ამინადაბისა, არამისა, ესრომისა, ფარეზისა, იუდაისა, იაკობისა, ისაკისა, აბრაჰამისა, თარაისა, ნაქორისა, სერუქისა, რავაგისა, ფალეგისა, ებერისა, სალაისა, კაინანისა, არფაქსადისა, სემისა, ნოესა, ლამექისა, მათუსალაისა, ენუქისა, იარედისა, მალელეილისა, კაინანისა, ენოსისა, სეითისა, ადამისა და ღვთისა.“\*

#### IV თავი

მერი სტიუარტს თავისი ცხოვრების მამაკაცთან შეხვედრა ყოველთვისაც ასე წარმოედგინა. ზუსტად იცოდა, რომ ოდესღაც გაალებდა საკუთრი სახლის კარს და ზღურბლთან დახვდებოდა „ის“. პიტერ პერსონიც სწორედ მის ზღურბლთან იდგა, უცნობი და საოცნებო მამრის გარეგნობით, და რა მნიშვნელობა ჰქონდა მისი სტუმრობის მიზეზს?

მერი სახელმწიფო ორკესტრთან არსებულ კაპელაში მღეროდა, როგორც სოპრანო. განსაკუთრებით ხიზლავდა თავისი პარტია „კარმინა ბურანადან“. სამემოდგომო კონცერტები ყოველთვის კარლ ორფით იხსნებოდა და მათ საზეიმოდ აგვირგვინებდა „მეცხრე“. სწორედ ამიტომ პირველ დღეებში ალგზნებისა და სიამოვნები-



სგან მერის თითქმის არ ეძინა, რადგან „კარმინა ბურანა“ იყო მისი ცხოვრების ფალოსი.

განსაკუთრებით პირველი სიტყვა „O, Fortuna“. რატომ ჰგონიათ ფალოსი მამრების საკუთრება? გამოკითხვა რომ ჩატარდეს, სპონტანურ პასუხში არაცნობიერი ტენდენცია ამოტივტივდება და აღმოჩნდება, რომ მამრების უმეტესობა ფალოსს მამაკაცის საკუთრებად მიიჩნევს. სასაცილოა. როგორ უნდა უნოდო მას მამაკაცის საკუთრება, როცა ყოველ ქეციან ძაღლს ნებისმიერი ქუჩის მოსახვევთან, ანდა მოზვერს - სოფლის ორღობეში, ზედ ატყვია მისივე საკუთარი ფალოსი, ყველანაირი გამოკითხვის და არაცნობიერი ტენდენციების გარეშე. მეტიც, მერი სტიუარტის ფალოსი იყო მუსიკა, ერთადერთი და განუყრელი პარტნიორი, მისი სხეულის მესაიდუმლე, ჭეშმარიტი ფავორიტი და მუდმივი საყვარელი მისი ცხოვრების სინამდვილეში. ჰოდა, ასეთი ფალოსი იმდენაირია და იმდენგანაა, რომ დიდი უსამართლობაა, როცა მამაკაცები მას თავიანთ საკუთრებად მიიჩნევენ და ეს მტკაველნახევარი ხორცის ნაჭერი ასე ურცხვად გადაუქცევიათ ბინძური ვაჭრობის და სქესთაშორისი გარიგებების ფულზე ან ოქროზე მეტად სარგებლიან საგნად.

მამრებს რომ უფლება მისცე, ფალოსების გამოფენასაც მოაწყობდნენ, კონკურსი იქნებოდა მისი სიგრძე-სიგანის მიხედვით შესაჯიბრებელი. აქ კი ჩარხს უსინათლო ფორტუნა დაატრიალებდა და ამ იშვიათ ექსპოზიციაზე საღაც შემთხვევით ნაპოვნი რომელიმე იხტიოზავრის ან ტირანოზავრის ჩონჩხის მიხედვით აღდგენილ გრანდიოზულ ფალოსს წარმოადგენდნენ. მისი ზომებით გაოგნებული ჟიური და დამთვალეირებელთა სიმრავლე, რა გასაკვირია, რომ ერთხმად აღიარებდა ამ პრეისტორიული ფალოსის უდავო უპირატესობას, ხოლო საგამოფენო და საკონკურსო ჯილდოს კი დროის მანქანით გაუგზავნიდნენ პრეისტორიული ხანის მამრ დინოზავრს, ასეთი მასშტაბური ფალოსის მფლობელობისა და ისტორიის წინაშე დამსახურებული შეუფასებელი ღვაწლისთვის.

რას დაარქმევდნენ ამ პრემიას? „საუკუნოვანი ჯილდო დიდი და განუმეორებელი ფალოსისთვის“. რა საბედისწერო იქნებოდა ჟიურის ეს გადაწყვეტილება. მსოფლიოს ახალი წარღვნა დამუქრებოდა: განდიდებული ფალოსის მანიით შეპყრობილთა ფარული თუ ცხადი მოძრაობა. ფალოსის სიგრძის ეტალონი - იხტიოზავრის ვებერთელა სასქესო ორგანო. გადაულახავი თამასა, მიუნვდომელი ფორმები, დაუძლეველი სიგრძე-სიგანე. მაგრამ რა უხვია თანამედროვე საუკუნე. განა არ არის უსაზღვრო მისი შესაძლებლობები?! და თუკი ქალის უსახური მკერდი ქირურგიული ჩარევის შემდეგ არნახული ზომებით შეიძლება გაიზარდოს, ამგვარი პოტენციალის პირობებში რატომ უნდა იყოს წარმოუდგენელი რომელიმე თანამედროვე ახალგაზრდა მამაკაცი თავისი საამაყო ფალოსით, რომელსაც

ყოვლისშემძლე ქირურგიულმა ჩარევამ იხტიოზავრის ან ტირანოზავრის მასშტაბები არგუნა.

ამის შემდეგ ბედის რჩეულს მანქანაში ცალკე საბარგულის დამონტაჟება მოუწევდა, საკუთარი ფალოსის სატარებლად. მის შემხედვარეს შური ნალეკავდა სრულიად სამამრეთს, ხოლო დედამინა ქვის ხანას დაიბრუნებდა, იხტიოზავრის ფალოსით.

ყველაზე წმინდა სიყვარულს, ალბათ, სქესი არა აქვს, არც ჯიში, არც სისხლი და არავითარი პირობა. მერი სტიუარტს მუსიკა აი ასეთი უსქესო სიყვარულით უყვარდა, უჯიშოდ, უსისხლოდ და ყველა პირობის გარეშე.

ახლა კი მის ცხოვრებაში ასე უცაბედად შემოიპარა ეს საზარელი დისონანსი, ყურისმომჭრელი დისჰარმონია, ვერანაირი პარტიტურა რომ ვერ დაიტევს. მუსიკის ნაცვლად ერთ მშვენიერ დღეს მისი სახლის ზღურბლთან აღიმართა არა რომელიმე ანტონიო ან ლუდვიგ ვანი, არამედ მამრი ჩვეულებრივი კაცობრიული ზომებით, ისიც ნაცნობი სახე ქალაქის წამყვანი ლიტერატურული ჟურნალიდან - ვინმე პიტერ პერსონი.

იმ შემოდგომას „კარმინა ბურანა“ პირველად იმღერა მთელი სხეულის თავბრუდამხვევი ალგზნების გარეშე. შინ მისული კი უნაზესი და უთბილესი სიტყვებით ბროლის ლარნაკის იმ ნამსხვრევებს ეფერებოდა, რომელიც პიტერ პერსონმა დაუტოვა, როგორც თავისი პირველი, უცაბედი და დაუპატიჟებელი სტუმრობის ცხადი სახსოვარი.

პიტერ პერსონი შეჰპირდა, რომ გამოუვლიდა. მერიც ელოდა. თუმცა ამას ლოდინი არ ერქვა, რადგან მომლოდინე ითმენს, ის კი ვერ ითმენდა და ყოველ წუთს თავისი სახლის ზღურბლთან ასვეტილი პიტერ პერსონი ელანდებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს მისი სახლის ზღურბლთან ისევ აისვეტა პიტერ პერსონი. მერის გონებაში კი ეს მამაკაცი სამუდამოდ შეერწყა მისი ცხოვრების ერთადერთ ფავორიტს, უზადო საყვარელს, უნაზეს და უზადლო პარტნიორს, ცხოვრების ერთადერთ მეგზურს და მუდმივ თანამეცხედრეს - მუსიკას.

**O For-tu-na ...** ამოინვართა პირველი ოთხი ბგერა, მერისთვის - ოთხი ნოტა, რადგან პარტიტურას თვალწინ ხედავს და გულში მღერის.

სალამო მშვიდობისა, მერი, ხომ არ მოგაცდინეთ? - უღიმის პიტერ პერსონი და ხელში რაღაც დიდი და შეფუთული უჭირავს.

**Ve-lut Lu-na ...** ისევ ის ოთხი ბგერა, მხოლოდ სხვა სიტყვებით, პირველი ხმოვანი ყველაზე ხანგრძლივად ჟღერს, მერიმ თვალელები მინაბა. პიტერ პერსონი ვერაფერს ხვდება, ქალი ნამძინარევი ჰგონია, ის კი ალგზნების პიკს განიცდის:

**Sta-tu va-ri-a-bi-lis ...** განგამის პირველი ნიშნები, ქვემოთ და ზემოთ მოძრავი ორი ბგერით ატეხილი ჩურჩული მოსალოდნელი სიგიჟის შესახებ, საზარელი საიდუმლო, რომელიც სულ რამდენიმე აკორდში თავს დაგატყვება.



ბატონო პიტერ, რა სასიამოვნოა! მობრძანდით.

სტუმარი ისევ ვერაფერს მიხვდა. ზღურბლს დაბნეულმა გადააბიჯა და ქალს უკან მორჩილად აედევნა. დედის პირველი მშობიარობის ამბავი დღეს დანვრილებით უნდა გამოჰკითხოს. იქნებ ნელ-ნელა სხვა რამეც დასცინცლოს, მანამდე კი დამხმარე გეგმის განხორციელებას უნდა შეუდგეს. ჯერ ამ ლარნაკით მოხიბლავს, შემდეგ კი გაათმაგებულ ყურადღებას შესთავაზებს, ოღონდ კი გამოსტყუოს მოხუცი დედის საზარელი საიდუმლო.

მერი კიბეს ზომაზე მეტად ნელა მიუყვებოდა. გონებაში ერთმანეთს ისევ ის ორი ბგერა ცვლიდა, მოსალოდნელ განგაშს ჩურჩულით რომ იუნყებოდა:

*semper crescis, aut decrescis, vita detestabilis...* მერიმ ხელით დირიჟორს მიბაძა და გონებაში აზანზარებული მელოდია ჰაერში თითებით მოხაზა: *nunc obdurat et tunc curat ludo mentis aciem...* მერი შეტორტმანდა, მაგრამ თავი შეიკავა, ჯერჯერობით.

„რომელმა ჭკუათმყოფელმა ააგო ამხელა კიბე?!“ – გაიფიქრა პიტერ პერსონმა. „ნუთუ არ შეიძლება ამდენი ხნის უნახავ მშობელს უფრო მოკლე გზით შეეყარო?!“ – ბუზღუნებდა თავისთვის ფიქრებში და მოთმინება დაკარგული ნებისყოფის უკანასკნელ წვეთებს ებლაუჭებოდა, ხავსს ეჭიდებოდა, რადგან მან არ იცოდა, რას გაჰკიოდა მერის გონების აკაპელა. ქალს კი აღგზნებისგან ლამის გული შეუღონდა, რადგან კიბის ბოლო საფეხური სწორედ მაშინ აიარეს, როცა მელოდის ოკეანემ უნდა დანთქას ირგვლივ ყოველი: ორმაგი ფორტე, მუსიკის ტაიფუნის, ბგერების ცუნამი, ყველა მდებრივი ქარიშხალი წიაღის ცოფით სნეული, ყბადაფჩენილი საშოს ტუჩებით სამყაროს შესრუტვას რომ უპირებს და *con bacchette di timp* – მერიმ მარჩბივ სიამოვნებას ველარ გაუძლო და ამჯერად ქალმა ცნობა დაკარგა.

როგორც ჩანს, ერთმანეთს ბაძავდნენ, ანდა ეჯიბრებოდნენ ცნობის დაკარგვასა და გულშეღონებულის მოსულიერებაში. გარდა ამისა, ვიდრე ჩვენი განცდადი ქალბატონი ოცნების მამაკაცის მკლავებში მიესვენებოდა, წინა დღეებში უნებური ზარალის ასანაზღაურებლად ნაყიდმა ლარნაკმა ორი დღის წინ დამსხვრეული ჭურჭლის ბედი უდრტვინველად გაიზიარა, ყველანაირი „*O, Fortuna*“ ან მსგავსი დრამატული შეძახილების გარეშე.

ზოგჯერ არ გვანწყენდა, არა, ნივთებს მივემსგავსოთ. რა თვისებით? – ყოვლისმომცველი მდუმარებით.

არადა, არ დასცალდა ამ უიღბლო მამაკაცს უნებურად მიყენებული ზარალის ანაზღაურება, დანაშაულის გამოსყიდვა, პატიოსანი გადსახადი უნებლიეთ დაშვებული შეცდომისთვის. მერი სტიუარტის ზეგრძნობადი ბუნება ამის საშუალებას არ იძლეოდა და პიტერ პერსონი

არაერთგზის დარწმუნდა, რომ ამ ახალგაზრდა ქალბატონის ცხოვრების კვანძში თავის გახლართვით დიდ უბედურებებს მისცა დასაბამი. ქალმა ასევე უნებურად გააღვიძა თავისი შინაგანი ბუნების ჭკუასუსტი პანდორა და ჭირვარამთა სკივრს თავი ახადეს.

ყველაზე მეტად ღიმილის მომგვრელი კი ამჯერად ის იყო, რომ პიტერ პერსონი ამ უხერხული გარემოების გამო სახლში იმ საღამოსაც დაუფეგმავი სისწრაფით დაბრუნდა, ყველანაირი გულითადი საუბრის გარეშე, ხოლო მერი სტიუარტს ამ ხელმეორედ დამსხვრეული ლარნაკის სახით ახალი მოსაფერებელი ობიექტი გაუჩნდა და ახლა ძილის წინ უკვე თავად პიტერ პერსონის ხელით ნაყიდი ბროლის ჭურჭლის ნამსხვრევებს ეალერსებოდა.

პიტერ პერსონი სახლისკენ მიმავალ გზას გაუყვა მოქანცული, განცდებით ნაცემი და შთაბეჭდილებებით გაღაზული. ეს უკვე მეორედ. აბა, რა ეგონა? ლანგრით ვინ მიაერთმევდა მოხუცი დედის საზარელ საიდუმლოს? შეუცნობლის ძიებას გარჯა სჭირდება. პიტერ პერსონი კი მზად იყო თავგანწირვისთვის. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ საღამოს, არც მეტი, არც ნაკლები, ბროლის ლარნაკი ხელახლა იყიდა. გამყიდველმა გოგონამ იცნო სასიამოვნო მოსაუბრე, გაუღიმა და ჰკითხა:

- ამჯერად რას ინებებთ?
- ისევ ლარნაკს.
- აი, ამგვარს ხომ არ შეიძენდით?
- არა, ისევ იმავეს.
- ნება თქვენია.
- სამწუხაროდ, ნება სულ ბოლომდე ჩემიც არ არის.

- და თქვენ ეგ უბედურება გგონიათ?  
- არ ვიცი ზოგადად როგორ, მაგრამ ამჯერად მაუბედურებს.

- სინამდვილეში ყველანაირი კომფორტი და სიამოვნება საკუთარ ნებასთანაა გაიგივებული, ყველანაირი დისკომფორტი და უსიამოვნება კი სხვის ნებასთან. ოდნავ მეტად თუ დაფიქრდებით, შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ნება ორივე შემთხვევაში ჩვენია.

- გეთანხმებით, მაგრამ ციხეში საკუთარ თავს ხომ არ ჩავსვამ, ან ჩემსავე თავს ხომ არ გავასამართლებ? რა მოვუხერხო საკუთარ ნებას? მასწავლეთ, იქნება გქონდეთ იმგვარი ჭურჭელი, ჩემსავე ნებას შიგ რომ ჩავუძახებ, თავს მოვუკრავ, მოვხუფავ და მერე ძირს დავანარცხებ, რომ ზემოდან ვუყურო, როგორ იქცევა ჩემივე ნება ნამსხვრევებად. იქნებ ეს ცხოვრება მერე უფრო გამიადვილდეს.

- ნების მოხუფვის რა მოგახსენოთ, მაგრამ იქნებ სხვანაირი ლარნაკი გეყიდათ?

- არა, გამორიცხულია. ამ რალაც ბროლის უსახურობამ როგორ უნდა შემამინოს?! ერთხელ როგორ ვერ უნდა მივიტანო დამსხვრევის გარეშე? პრინციპის ამბავია. ზუსტად ისეთი ლარნაკი მიბოძეთ, იმავე ფორმის და იმავე ზომის,



ფასიც იგივე, თუ შეიძლება.

- ნება თქვენია. - უპასუხა გამყიდველმა გოგონამ.

- გთხოვთ, ამ სიტყვებს ნულარ მიმეორებთ. მტკივნეულ ადგილს ნუ შეეხებით. თქვენ ძალიან კარგად მოგეხსენებათ, რომ სწორედაც ნება ჩემი არ არის, ამჯერად, რასაკვირველია.

- როგორც გენებოთ. აი თქვენი ლარნაკი და თანხას აღარ შეგახსენებთ, ისედაც კარგად მოგეხსენებათ. - ჩაეცინა ონავარ მოვაჭრეს და შეფუთული ლარნაკი გაუნოდა.

პიტერ პერსონმა მორჩილად აიღო თავისი რიგით მეორე ფუთა, რიგით მესამე ავბედითი ლარნაკი და შინისკენ გასწია.

„ბავშვს მიაჩნჩეს სათამაშო კონსტრუქტორი. მან თავისი ხელით უნდა ააწყოს სრულყოფილება. ჩვენი ასაგები სამყარო. ჩვენი მოსახლასი სრულყოფილება. ჩვენი ასაშენებელი ქვეყანა. ჩვენი შესაქმნელი ოჯახი. ჩვენი დასანგრევი ურთიერთობები. ჩვენი დასარღვევი კავშირები. ჩვენი დასანგავი ხიდები, ჩვენი უკან მოხედვა.“

მეორედ დავლენით. რა საჭიროა ჭურჭელი, თუკი ის მაინც უნდა დაიმსხვრეს? ნუთუ სათითაოდ მოაგროვებ და ახლა ამ ნამსხვრევების შენებებას ცდილობს? ნეტავ ნაგავში თუ გადაყარა? ხელში მიჭირავს მესამე ლარნაკი. გული მიგრძნობს, რომ ამასაც იგივე ბედი ეწევა, მაგრამ ავია ბედისწერა, მყეფარე ძალღვივით ავი და გზას ვერ ავუხვევ. თავისთან მიხმობენ სკილა და ქარიბდისი. დაე, დაიმსხვრას, მესამედ ვიყიდი. მაინც არ გვაგახარებ ამ უსახურ ბროლის სიმახინჯეს, რაღაც გამჭვირვალე არარას. როგორ მეზიზღება.

„- რას ელოდებით, პოლკოვნიკო?“

- აი ვზივარ და ვუცდი, როდის ჩაივლის სამგლოვიარო პროცესია ჩემი ცხედრით.”\*

ძილი დამიფრთხო ორმა კუზიანმა: ერთი - კეთილშობილი, სატრფოს გვამს რომ შეახმა და მეორე - ბოროტი ურჩხული, მსხვერპლად რომ შეენირა საკუთარ სიმახინჯეს.

ეგვიპტეს გასცქერის ტანმორჩილი კორსიკელი და სურს დუელში გამოიწვიოს ორმოცი საუკუნე. ორასი წლის შემდეგ მე შენ გმირს გეძახი, შენ, პირსისხლიან მაცყუარას, ტახტზე ასვლაც რომ მოინდომე.

არაბ სარდალს კი სრულყოფილების ამბიცია მუდამ სტანჯავდა, ყველგან, ყოველთვის... მაგრამ გამოქვაბულის უფლისწულს სრულყოფილება უყვარდა - უწყალო, ვითა ჯიქია, ტახტის მემკვიდრე და ერთადერთი კონკურენტი.

მე კი ლარნაკი მეორედ ვიყიდე. წყეული ბროლის ნამცეცი. გული მიგრძნობს, რომ ამასაც იგივე ბედი ეწევა. იქნებ ამგვარი ლარნაკი შევუკვეთო, ოღონდ ისეთი ბროლით, რომელიც არ იმსხვრევა. არსებობს ისეთი ბროლი, რომელიც არ იმსხვრევა? თუ არ არსებობს, მაშინ დავიღუპე. გამოდის, ასეთი ბროლის ლარნაკების ყიდვა უსასრულოდ მომიწევს, რადგან ზუსტად ვიცი, მათ არც ერთ ჯერზე არ ასცდებთ წვრილ

ნამცეცებად დანაკუნება. ამასაც დავამსხვრევთ, ალბათ. საკითხავი სხვა რამეა: ვინ დაამსხვრევს ბროლის ლარნაკს?

უბედურება თავის წილ მემკვიდრეობას ითხოვს და სამუდამო წილს მთელი შენი ან სხვისი ცხოვრების მანძილზე. რა მოუხერხოთ ამ ავბედით მემკვიდრეობას? სად ამოვიჩქნოთ დედამინის სანაგვე? დაე, იქ მოიძიონ წილი ყველანაირი უბედურებისთვის.

როგორ დამცინა ლარნაკის მოვაჭრე ქალბატონმა. ქალი კიბეს აუყვავა, ქალი გრძელ კიბეს აუყვავა, ქალი გრძელ კიბეს აუყვავა ტანის ნაზი მოძრაობით, ქალი გრძელ კიბეს აუყვავა ტანის ნაზი მოძრაობით და კიბის ბოლოში ცნობა დაკარგა, გული შეუღონდა, რადგან ზურგს უკან მამაკაცი ეგულეობდა. ნეტავ რას იზამდა კიბის ბოლოს რომ არ ყოფილიყო არც დასამსხვრევი ლარნაკი და არც სასურველი მამაკაცის ძლიერი მკლავ-ლონე?

ქალებს უყვარდათ სტავროგინი\*. ქალებს სტავროგინები უყვარდებოდათ. რა ვქნა, თავი როგორ გავისტავროგინო? ბედმა არ მარგუნა სტავროგინობა. მე ლარნაკების მსხვრევაში გავინაფე. დამგონი, ვიპოვე თანამოაზრე, მოკავშირე ამ საძაგელი ლარნაკების მსხვრევაში.

„ოდნავ გვერდზე მიდექ, თუ შეიძლება. მზეს მიჩრდილავ.“ კასრში მცხოვრების შემურდა. მერე გაიხსენა ვინც იყო და გადაიფიქრა. მოკვდა ოცდაცამეტი წლის ასაკში\* და მანამდე უყვარდა, ოღონდ მამრი, ჰეფესტიონ.

კაცის ფსიქიკა სუფთა დაფაა. კაცის ფსიქიკა - ინსტინქტების საუფლო. კაცმა მორალი შეიძინა, ჰქონდა ინსტინქტები. კაცმა ინსტინქტი შეიძინა, ჰქონდა მორალი. კაცს არც მორალი ჰქონდა, რადგან ინსტინქტი არ გააჩნდა სამორალე. კაცი სუფთა იყო უინსტინქტოდ და უმორალოდ, როგორც პირველი თოვლი.

მეორედ მივალ შეფუთული საჩუქრით და ჩვენს ცხოვრებას მოგვინამლავს რიგით მესამე ლარნაკი. გთხოვთ, შეისმინოთ ჩემი მუდარა, გამოიგონეთ ბროლი, რომელიც არ იმსხვრევა და მიბოძეთ მისგან დამზადებული ლარნაკი.”

პიტერ პერსონმა მერისთან შეხვედრა რამდენიმე დღით გადადო, მანამდე რედაქციაში მოუწვევდა დიდხანს ყურყუტი, რადგან საქმეები იქაც ბლომად დაუგროვდა და მათი მოგვარებისთვის უნდა ეზრუნა.

**კომენტარები:**

„ერთმანეთი სამუდამო წყევლით დანყველეს“... იგულისხმება 1054 წლის საეკლესიო განხეთქილება რომისა და კონსტანტინეპოლის ეკლესიებს შორის. ეკლესიის ისტორიის მიხედვით განხეთქილების მიზეზი გახდა რომის ეკლესიის მიერ მრწამსში ჩამატებული ერთი სიტყვა „და ძისაგან“ ანუ „ფილიოკვე“.

„იაფეტი ეძებს მამას“ - ფრაზა ჯეიმს ჯოი-



სის რომანიდან „ულისე“.

...„სრული სუბლიმაცით“ – იგულისხმება დასკვნა ზიგმუნდ ფროიდის ფსიქონალიტიკური ეტიუდიდან „ლეონარდო და ვინჩი“.

...„თავად მზე შეიშალა“ – რემინისცენცია სალვადორ დალის „ერთი გენიოსის დღიურიდან“.

„ექიმი დადის კარდაკარ...“ – რემინისცენცია ალბერ კამიუს რომანიდან „შავი წირი“.

„გრცხვენოდეს, რომ პითია ხარ!“ – ფრაზა პოლ ვალერის აზრების კრებულიდან „სულის კრიზისი“.

„ღმერთსაც აქვს თავისი ჯოჯოხეთი...“ – რემინისცენცია ფრიდრიჰ ნიცშეს ფილოსოფიური ტრაქტატიდან „ესე იტყოდა ზარათუშტრა“.

„ელეგანტურ ქალს ცხვირი საერთოდ არა აქვს“... – ფრაზა სალვადორ დალის „ერთი გენიოსის დღიურიდან“.

„ბაზრის მოედანზე დგას ძვლადქცეული სანახაობა“ – რემინისცენცია ფრანც კაფკას მოთხრობიდან „მოშიშმული“.

„გიორგი გურჯიევმა ტვინს დაარქვა კუნდაბუფერა“ – რემინისცენცია ჯორჯ გურჯიევის ვრცელი ფილოსოფიური ნაშრომიდან „საუბრები ბელზებელისა შვილიშვილთან“.

„მაგ ნახევრადმოპარულ უღვაშს სულ სხვა ეტრფოდა“ – რემინისცენცია სალვადორ დალის „ერთი გენიოსის დღიურიდან“, სადაც ის ირონიით საუბრობს ფიურერის აღმგზნებ სხეულზე.

...„შიში ყველაზე სამარცხვინო გრძობაა“ – უილიამ ფოლკნერის სიტყვა სტოკჰოლმში, როგორც ნობელის პრემიის ლაურეატისა.

„ნეტავ შეგვეძლოს ქმნა რაიმე შემზარავისა!“ – ფრაზა უილიამ ფოლკნერის რომანიდან „ხმაური და მძვინვარება“.

„და მაინც, ინცესტის მსხვერპლმა თავი მოიკლა...“ – იგულისხმება უილიამ ფოლკნერის რომანის „ხმაური და მძვინვარება“ მთავარი პერსონაჟის კვენტინის სუიციდი.

„ანას ემოსა თეთრი პენუარი“ – იგულისხმება ეპიზოდი ანა ახმატოვას რეალური ცხოვრებიდან, რაც ანა ახმატოვას და ნ. გუმილიოვის განშორების მიზეზი გახდა.

„მე შენ გიყურებ, როგორც ცხოველს და შენ მე მიყურებ, როგორც შეშლილს!“ – ფრაზა პოლ ვალერის აზრების კრებულიდან „სულის კრიზისი“.

„ექიმს უბრალოდ გული შეუღონდა...“ – რემინისცენცია ბორის პასტერნაკის რომანიდან „დოქტორი ჟივაგო“.

„ტრანსპორტში უხმოდ მიიცვალა“ – რემინისცენცია რაინერ მარია რილკეს რომანიდან „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანანერები“.

„და კეთილი გამვლელები კვლავ წამოაყენებენ.“ – რემინისცენცია გურამ დოჩანაშვილის მოთხრობიდან „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

„ქალწულთა სუიციდი“ – რემინისცენცია გალაკტიონის ლექსიდან „თოვლი“.

„ლარნაკების მსხვერვა იდიოტების პრეროგატივაა...“ – იგულისხმება გრაფ მიშკინი და ეპიზოდი თ. დოსტოევსკის რომანიდან „იდიოტი“.

„დიდი ინკვიზიტორი“ – რემინისცენცია თ. დოსტოევსკის რომანიდან „ძმები კარამაზოვები“, კერძოდ, ივან კარამაზოვის „დიდი ინკვიზიტორი“.

„ძირს გადმოეშვა პატარა გონებაჩლუნგი მედეას ქვეყნიდან...“ – რემინისცენცია ოთარ ჭილაძის რომანიდან „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“.

„ჰარი ჰალერი ცეკვას სწავლობს“ – რემინისცენცია ჰერმან ჰესეს რომანიდან „ტრამალის მგელი“.

„ბუზები დაჰყვება იუპიტერს, ბუზები დაჰყვება გახრწნილ რომაულ ღვთაებას!..“ – რემინისცენცია ჟან პოლ სარტრის პიესიდან „ბუზები“.

„განა დათვალე ამ ტბაზე იხვები?“ – რემინისცენცია ჯერომ სელინჯერის რომანიდან „თამაში ჭვავის ყანაში“.

„მეცხრეს ჰქვია ნოვაცია – რეფორმა ქორალით“ – იგულისხმება ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია, რომელიც იმდენადაა ნოვატორული, რამდენადაც ბეთჰოვენმა სიმფონიაში ქორო გამოიყენა, რაც მანამდე სიმფონიის ფორმისთვის უცხო იყო.

„მაპატიეთ, რომ დაგინწკლეთ!“ – რემინისცენცია ა. ჩეხოვის მოთხრობიდან „მოხელის სიკვდილი“.

„ჩემზე მეტად პოეტი ჩემი მეეზოვეა.“ – იგულისხმება ავტორის ნოველა „მეეზოვე“.

„ამოდი, კინჩ, ამოდი, საზარელო იეზუიტო!“ – ფრაზა ჯეიმს ჯოისის რომანიდან „ულისე“.

...„ადამისა და ღვთისა.“ – ლუკას სახარება, თავი მესამე, 23-38.

„რას ელოდებით, პოლკოვნიკო?“ – რემინისცენცია გაბრიელ გარსია მარკესის რომანიდან „მარტოობის ასი წელი“.

„ქალებს უყვარდათ სტავროგინი“ – რემინისცენცია თ. დოსტოევსკის რომანიდან „ემმაკნი“.

„მოკვდა ოცდაცამეტი წლის ასაკში“ – იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი და მისი შეხვედრა დიოგენესთან.

გაგრძელება იქნება





# აქრონოსული ინჰიტენსია

## უარყოფილი ლექსი

ძველ ნაწერებს კრძალვით ვეაღერებ, უნდა ჩემი გასაჭირი ვახარო. დღეს არავის არ სჭირდება ლექსები, სულ სხვა ზრუნვით ავსებულა სამყარო.

გაზაფხულზე მავანთა და მავანთა ბედი სულ სხვა მიზნებისკენ აქეზებს. ჩემთვის დიდად პატივცემულ მამათა სხვა ღიმილი დაჰფენიათ სახეზე.

მე მზისაკენ ხელგაშლილი მოვრბოდი, გულუბრყვილო, სასაცილო ბავშვივით. შემეფეთა ეს ღიმილი ბოროტი. სული, როგორც როიალი აშლილი

ვეღარ გალობს შემოდგომის რეჟიემს, დაეშვება შეღამების ფარდები. ბნელი სიზმრით ვეღარ გამოვერკვიე, არეული უპასუხოდ ვმთვარდები.

ამ ამღვრეულ ამინდებს მინდობილი მონყენილან ბელურები ბუდეში.

მოლოდინი – ჩემი ძველი დობილი თავთან მიზის უცნაური ნუგეშით.

მაგრამ ახლა რაღა უნდა მახაროს და თვალეები წვიმის ნამით ევსება სხვა საფიქრი გასაჩენია სამყაროს და დღეს უკვე არავის ელექსება.

## გაზაფხული

გაზაფხული მოვიდა როგორც თავის მართლება და დაიძრა შორიდან საოცარი ნათება: დღეები — ენძელებად, ღამეები — იებად და აღარ მეძნელება ყველაფრის პატიება.

## ქარში

ქარში მივდივარ სახეშეშლილი, ძახილით მომდევს გაუხედნავი მზეების ჯოგი და ჩემი ჩრდილი სასაცილო და გაუბედავი. იქნებ გავექცე ჩემს სხეულს – მიწას, თუ ბედისწერა ქარებში ჩამკლავს. (გუშინ ხომ მთვარე ზეცასთან იწვა და სხვათაშორის კოცნიდა ვარსკვლავს). გარეთ ღამენი დაძრწიან შიშით, დროის სუნთქვა შეჩერებული, ადგილის დედა, სადაც მე ვიშვი დანყველილი და შეჩვენებული. მე დავიბადე გამთენიისას და სიხარულით გარდავიცვლები. ეს სადღეგრძელო იყოს იმ მზისა, გადაუყარეთ მიწას ეს ძვლები. მე ვარ ბალახის პატარა ღერი, არარაობა და ზეცისტოლა. ყველა ღმერთების ჯინაზე ვმღერი მზემ მილალატა და მიმატოვა. მე შენ მოგიტან მინდვრის ყაყაჩოს, დაღამებამდე თუ მოგისწარი. ახლა მე ღამაზ ზღაპარს ვთამაშობ, გარეთ მიცდის და მეძახის ქარი. ქარში მივდივარ სახეშეშლილი, ძახილით მომდევს გაუხედნავი მზეების ჯოგი და ჩემი ჩრდილი სასაცილო და გაუბედავი.



## ალილუია

დაბინდულია სავალი სივრცე,  
დაბინდულია.  
შენ უნცი, ვისაც რა უნდა მისცე,  
ალილუია!  
ტაძარი ისევ  
იარებს ივსებს,  
გული კი თითქოს გაყინულია.  
შენ უნცი – ვინაც სიყვარულს მისწვდეს  
— ალილუია, ალილუია...

\*\*\*

სულში ფოთლები შემოთოვა და  
შეშლილ სიზმართა ახდა ვნებანი.  
ალბათ გაშინებთ შემოდგომათა  
დაისისფერი აღსარებანი.  
გაუხედნავი ცხენივით ლალი  
ქარია ასე თავისუფალი.  
გათელილია სიშიშვლით ბალი  
და მოწყალეა მაინც უფალი.  
შემოქმედი და დიდი პოეტი  
ასე გვძერწავდა სილას ნულისად.  
ნუთისოფელთა უდაბნოეთით  
ჩანდა ბილიკი სინანულისა.

## უბრალოდ

ზეცა თავის უარყოფელს  
გულგრილ ქარებს მადრიდა.  
მეც ვესტუმრე ნუთისოფელს  
ჩემი ცოდვა-მადლითა.  
სტუმარი და მასპინძელი  
ხომ ერთმანეთს ვუხდებით.  
ცოტაც კიდევ გამიძელით,  
ასე ნუ შენუხდებით.  
საგზლად ერთი ლექსიც მყოფნის,  
სევდით ვივლი ხვალ ისევ.  
მე უბრალოდ, თქვენთან ყოფნით  
გული გავიხალისე.

## გ. ტაბიკას

ზეცაზე აენთო სანთელი —  
სინათლე ავიდა დაბლიდან.  
სიტყვას ვერ იტევდა სათქმელი,  
ლექსებმა სხეული დაფლითა.  
დიოდა სურნელი საკმევლის,  
სიმწვანე ელავდა დაფნიდან;  
მან უცებ შეალო სარკმელი  
და სილაჟვარდემი გაფრინდა...

## ხალხური მოტივით

ტკივილით როდი მყოფიდა  
მარილმოყრილი იარა.  
ჩვენ რას წავიღებთ სოფლიდან  
ან ვის რა წაუღია რა?  
მთვარეა დედიშობილა,  
სული სიზმრებით ამევსო.  
სიყვარულისთვის ვშობილვართ,  
ერთმანეთს მივუაღერსოთ.  
თორემ სიცოცხლე ჩიტივით  
შორეთში გაგვიფრინდება...  
ამაოებას მივტირით,  
უფრო და უფრო ბინდდება.

## აღემატება

მსურდა ამეგო ლექსის სხეული  
როგორც საოცარ მზეთა ტაძარი.  
გრძნობა გულიდან გადმომსხვრეული  
სიტყვის ჩუქურთმად უკვე დავძარი  
და უცებ მივხვდი გათენდა როცა,  
შემოემატათ თვალებს ნათება  
„მამო ჩვენო“ ნათქვამი ლოცვა  
ლექსთა ყოველთა აღემატება.

## სიყვარულის გარდა

სიმარტოვე მეავდრება  
ჩემი ქოხის კართან.  
არაფერი მედარდება  
სიყვარულის გარდა.  
თუნდაც იყოს რაც არ იყო:  
მზე — ბნელეთის ასული...  
სიზმარიყო, ნაცარიყო  
შფოთიანი წარსული.  
სადღა უნდა დავვიანდე  
დასასრულის ფარდა?  
ყველაფერი ქარს მივანდე  
სიყვარულის გარდა.

## უპატრონო მიცვალებული

რა უცნაური დარი მოვიდა,  
მზე თეთრ ნისლეტში დავასამარეთ.  
შემოგვთავაზა ბედმა შორიდან  
ზღაპართ მხარეთა უცხო სავანე.

ტკივილად იქცა ქართული მიწა,  
ჰორიზონტამდე მართალი ზეცა  
სიმშვიდის უცხო კუბოში იწვა  
და გულგრილობის სუდარა ეცვა.





# მამუკა ვაშაყიძე

## იანეთის ბაქანზე ლახ ჩახლება მახახვანი

სერიიდან „ჩემი კოსროული“

„სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“.  
გალაკტიონი

კობიტნარს რომ ჩაუვლის მატარებელი, ტამბურში გასული მამაჩემი ფილტრამდედაყვანილ სიგარეტს მოისვრის ფანჯრიდან და კუბეში ბრუნდება. „აბა, დროა ახლა, ჩაიცვით, გაემზადეთ, ხო იცით, იანეთში დიდხანს არ აჩერებს“. რალა გაღვიძება გვინდა მე და ჩემს დას, რიონის სადგურს რომ გამოვცილდით, იმის მერე ვცქმუტავთ. ყველაზე მძიმე ჩანთებს მამაჩემი წინასწარ გაიტანს ტამბურში, მერე მე მივყვები, შემდეგ ჩემი და თავისი უზარმაზარი თვლებფახულა თოჯინით, რომელსაც ყველგან თან დაატარებს, ბოლოს დედაჩემი. „რამე არ დაგრჩეთ“, — გამოგვძახებს მამა.

გუბისწყლის რკინის ხიდს რახრაბითა და დანდგარით გადაუვლის მატარებელი და შორს, ცაში ატყორცნილი ალვის ხეების იქით, ჩემი სოფელიც გამოჩნდება. სლოკინ-სლოკინით ჩერდება იანეთის ბაქანზე მატარებელი, გამ-

ცილებელი პირველი ხტება ვაგონის კიბიდან და ჩასვლაში გვეხმარება. „აბა, ბედნიერად დაისვენეთ! იცოდეთ, ბიჭო, სამი თვის მერე ჩემი ვაგონით უნდა წაგიყვანო თბილისში, ხომ მაძლევ სიტყვას“, — მემშვიდობება ხმელი, ჭალარა უღვაშებიანი „პრავადნიკი“ და ხელს მიქნევს.

„მამი, აგერ გურამიას მანქანა“, — თითს იშვერს ბაქნისგალმა გზისპირისკენ ჩემი და. ყველას გვეცინება მის იმერულზე. იანეთის ბაქანთან ვტოვებთ ჩვენს თბილისურ კილოს და სამი თვე იმერულად, ქვემოიმერულად უნდა ვუქციოთ ენა. „საიდან გახსოვს გურამიას მანქანა, შე ეშმაკის ფეხო?“, — იცინის მამა.

„ა, ჩამეყვანე ხო ბაღნები, აბა ოლიფანტე ამ საღამოს დამპატიჟებს, ამ ჩაჩნებს რომ მივუყვან. ერთი კვირაა, ყოველდღე ვადმოდის ჩემსას და მაფრთხილებს, დილას სადგურზე გეიარე, ბაღნები ჩამოდიანო. რაღა გეიხარებენ, ჭიშკართან რომ სიგნალებს ავტეხავ. აი, რამხელა გაზრდილა, წყალს გისხამდნენ, ბიჭო?“ — ენას არ აჩერებს გურამი ბიძია და საბარგულში აწყობს ჩვენს ბარგს. გაუმართლა, მამა ისე არ გაუშვებს, ხუთი მანეთი რომ არ მისცეს, საღამოს კი ჩვენთან სუფრის თავში ადგილი გარანტირებული აქვს.

„რავალი ამინდებია დედაქალაქში?“ — ისე, ყოველი შემთხვევისათვის ეკითხება მამაჩემს და ხალათის ჯიბეებს ხელით ისინიჯავს, ვითომ სიგარეტს ეძებს. იცის, მამაჩემმა უნდა მისცეს მაინც.

„პაპიროსი თუ გინდა, აგერ მაქვს“, — ხვდება გურამიას ოინს მამაჩემი და გაუხსნელ „სტალინის“ კოლოფს აწვდის — „შენ გქონდეს“.

„აუ, ავი სადიდკაცო სიგარეტია, აჩია, „პრიმაზე“ შეჩოვილმა რაღა მოვნიო, დამახველებს“, — იცინის გურამი, მამაჩემის ნაჩუქარ სიგარეტს საგულდაგულოდ ინახავს ჯიბეში და მეორე ჯიბიდან გაღუნული „პრიმის“ ღერს იღებს, „აბა, ნავედით“.

„დააჟალტამა ყოლიფერი წვიმებმა, — ინყებს გურამი და ოსტატურად არიდებს მანქანას შარავზის გუბეებს, — ჯერე იყო, ზენამ გამარგლული სიმინდი მინაზე დაანვინა, მერე წვიმებმა ჩაალპო. რა იქნება მოსავალი, არავინ იცის, ფუთ სიმინდას ალბათ ექვს მანათად გაყიდოან. ხეხილი ქე გადარჩა. ასეა, ბიძია, ვშრომობთ, წელში ვწყდებით, შაბათი ჩვენ არ ვიცით და კვირე, წამოუბერავს მერე ავი ზენა და გაგიოხრებს მოსავალს“.

თავს გვაცოდებს „გურამია შოფერი“, თორემ კარგად იცის მამაჩემმა, რომ ცხოვრებაში თოხი არ დაუჭერია ხელში — ხან კოლექტივის მანქანას დაახრიგინებდა და ჩაი გადაჰქონდა კანტორაში ასაწონად, ხან თავის დანგრეული, კულაშელი ურისაგან ნაყიდი „პობედით“ დაქროდა აღმა-დაღმა.

„აქანა გადოუხვიოთ?“ — მეკითხება გურამია და სულ სხვა გზას მაჩვენებს.



„აქანა რაი გვინდა, გურამია ბიძია, აქეთ ენ-  
რის გზაია, ჩვენ იანეთის მალაზიას რო გავცდევ-  
ბით, ნიგვზებში უნდა გადავუხვიოთ“, — ვუქ-  
ცვე კობროულურად მეც.

„ა, რაია ფუძე, აჩია?! — მიუბრუნდება მამა-  
ჩემს გურამი. — ნელინადია არ ყოფილა ბალანა  
და ყოლიფერი ახსოვს, აბა, ჩემი ბიჭი ჭიშკრი-  
დან რომ გადავა, სალამომდის ჩემმა ოჯახობამ  
თუ არ მეიძია, სახლს ვერ მოაგნებს. რამოდნის  
ხარ ახლა შენ?“

„შვიდის“, — ამაყად ვპასუხობ მე.

„მაღადეც!“ მოგესწრო ბიჭი, აჩია, მოგესწ-  
რო. არადა, შენი ბალნობა ხუთი თითივით მახ-  
სოვს“.

ხუთ წუთში ჭიშკართან ჩერდება მანქანა.  
შიგნიდან მანქანის კარი არ იღება და ველოდე-  
ბით, როდის გაგვიღებს „გურამია შოფერი“. ის  
კი არ ჩქარობს, პირველი გადადის და კარის გა-  
ღების ნაცვლად ჭიშკართან ყვირის: „ოლიფან-  
ტე, ოლიფანტე, ბალნები ჩამოგიყვანე, გამოი,  
გამოი!“

ემშაკია, მახარობლობა და ოფიციალური  
დაპატიუება უნდა.

ატმებით, ვაშლებითა და ალუბლებით და-  
ბურულ ეზოში ჩვენი სახლი არც მოჩანს. ბებია  
გამოდის სამზადიდან, ხელს მოიჩრდილავს და  
ეს ზოზროხა ქალი ისე გამოექანება ჭიშკრის-  
კენ, თითქოს ცხოვრებაში არც ნელი ტკენია და  
არც წნევას შეუნუხებია არასოდეს.

„თქვენ შემოგველეთ, სადა ხართ, ბებია,  
ამდონ ხანს?! — ძახის და თავზე ნაკრული  
თავშლის ბოლოთი ცრემლებს ინმენდს. — შენ  
აგაშენა, გურამია, ღმერთმა, სულ ასე გახარე-  
ბულმა იარე, როგორც ამ დილას გამახარე“, —  
ისე ლოცავს „გურამია შოფერს“, თითქოს თბი-  
ლისიდან ჩამოვეყვანოთ თავისი მანქანით.

მერე...

მერე ინყება მთავარი. ბაბუა გადმოდის  
უკანა ეზოდან, თოხს ისე მოისვრის, ვითომც  
აწი აღარ იყოს მისი ხელში ამღები, დევივით კა-  
ცი არ ერიდება გადმობურულ ხეებს, როგორმე  
ბებიას რომ გადმოუსწროს და პირველმა აგვი-  
ტაცოს ხელში. „მაინც მომატყვილა შენგელი-  
ხეს ქალმა, ყანაში გამაგზავნა უთენია, ჯერე არ  
ჩამოვლენო, თვარა მაგი მომასწრებდა თქვენს  
დახვედრას?“ — ბუზღუნებს ბაბუა და ხელში  
გვიტაცებს მე და ჩემს დას.

ახლა ზეპირად ვიცი. სანამ ბარგს ეზოში ჩა-  
იტანენ და მიაღაგებენ, ბაბუამ ეზო უნდა მომა-  
ტაროს. გამოცდა უნდა ჩავიბარო — რა მოინია,  
რა გააკეთა, რა ააშენა.

„აგი, ბაბუა, მაისის ატამია, ხედავ რავაა  
დაზურგული? აგერ ქვიშას რამდონი აბია,  
ვაშლი ცოტა ჩამოყარა ქარმა, მარა ხეზე ქვა  
თქვენი სამყოფი შერჩენილი, თხილი გვაქვს,  
ბაბუა, თხილის უნახავს გაგზდის, აბა, მენლე-  
ურმა მსახლმაც გეგიჟა თავი, ქვეყნის ვაჭრე-  
ბი მოდიან, მოგვეციდო. არ ოუდგათ გვერდები,

თქვენზე კაი ვინ შეჭამს მაგ მსხალს. რაც დარ-  
ჩება, დავჩერქვოთ და ჭურში ჩავყაროთ, ოტკა  
იცის გადასარევი“.

დავყავარ ეზოში და ყურს არ უგდებს ბე-  
ბიას ძახილს: „გაანებე ბალანას თავი, გამეც-  
ვალოს, ცვარია ჯერე, დოუსველდება ფეხები“. არადა ბაბუა მაგის ჩიტია ახლა, მანამდე გამიშ-  
ვას, სანამ ყველაფერს არ მომატარებს? მერე  
აივანზე უნდა ამიყვანოს, კედელთან მიმაყენოს  
და ლურსმანით დანიშნოს ჩემი სიმაღლე. „აუ,  
ტკაველა მოგიმატებია“, — ბაბუაჩემი, შარშან  
ზაფხულს მიჭედებულ ლურსმანს კედლიდან  
აძრობს და მტკაველით მალა აჭედებს.

„სულ გამოთაყვანდი, კაცო, არ შეიძლება  
ბალანის გაზომვა!“ — ჩხუბობს ბებია, მაგრამ  
ბაბუაჩემი ყურადღებას არ აქცევს. იცის შენ-  
გელიხეს ქალმა, ვერაფერს გააგებინებს ბაბუას  
და ახლა თვითონ ინყებს გამოცდის ჩაბარებას  
დედაჩემ-მამაჩემთან.

უყვება, რამდენი წინილა დავგახვედრა,  
რამდენი ვარია, რამდენი დედალ-მამალი, რამ-  
დენი გოჭი, რამდენი ქილა კომპოტი მოხუფა და  
რამდენი სამლიტრიანი „ვიშნოვკა“ დააყენა.

ბოლო აკორდი წუნუნით უნდა ჩაამთავროს.  
„სამი წინილა გამიჭყლიტა ოლიფანტემ, ფეხე-  
ბი აქვს, ტაშტში არ ეტევა, იმხელა. თვალს რო  
დააკლდა, ისე აბიჯებს წინილებს, საცოდავები  
გაქცევას ვერ ასწრებენ“. „ქუნხაში არ მინახავს  
მე წინილები, ეზოში უნდა გაყავდეს“. — პასუხი  
მომზადებული აქვს ბაბუას.

„აჩია, წვიმა ჩამოდის ზალის კუთხეში და  
ტაშტი მაქვს შედგმული, — სუფრას აწყობს ბე-  
ბია და თან, ყოველ შემთხვევისთვის, ამბობს,  
— ქე მითხრა მამაშენმა, ტყვილი რავა დავნა-  
მო, ავალ და გავაკეთებო, მარა ერთ კრამიტას  
რომ გაასწორებდა, ათს დამინტროვდა და არ  
გოვუშვი. ისე პატარა ხვარაა, გული კი ერჩის,  
მარა სამოცდაათს გადააცილა“.

„შენ ხო მყევხარ ხუთმეტი წლის“, — იცინის  
ბაბუა და თვალს მიკრავს.

„ახლა არ მოგწონვარ, თვარა ატალახებუ-  
ლი ქონდა ყოველ კვირას ჩვენი ჭიშკარი. თბი-  
ლისიდან რომ ჩამოდიოდი და კულაშელ ბიჭებს  
ცახცახი გოუდიოდათ შენს დანახვაზე, რავალი  
იყო, ახლა არ მოგწონვარ? მეგვეყანა ქალაქელი  
ქალი და გეყოლებოდა ახლა ზალის კედელზე  
შავ ჩარჩოში გაჯგიმული. რაც მე შენი ხუმტუ-  
რებისა და ქეიფებისა გამიძლია, ბარე ათი ქალი  
ვერ გაგიძლებდა, — თავს ინონებს ბებიაჩემი,  
— მაგ ლაპარაკს, გირჩევნია, შემა შემეიტანო,  
სანამ სადილს გავაკეთებ, ჩაი დავალევიოთ  
ბალნებს, მერე გოდრის ქვეშ დაბმული ქათმები  
დამიკალი“.

არც ტყუოდა შენგელიხეს ქალი. ივანე შენ-  
გელიას ათი ქალ-ვაჟი მართლაც სილამაზით  
იყვნენ განთქმულნი მთელ იმერეთში. მკაცრი  
მამა და ხუთი ძმა ხუთ დას ეზოს გარეთ არ უშ-  
ვებდა. შეძლებულმა ივანე შენგელიამ სახლში



უქირავა თავის ქალიშვილებს მასწავლებლები და იმ დროისათვის მართლაც უცნაური განათლება მიაღებინა. ყველას უკვირდა, სად ნახა ბაბუაჩემმა ბებიაჩემი, როგორ შეაყვარა თავი და თბილისში როგორ წაიყვანა. ოთხმოცდაექვსი წლის იყო ბებია, როდესაც გარდაიცვალა, ბოლომდე არ დაუკარგავს თავისი სილამაზე და მშვენიერება. სიცოცხლის ბოლომდე ეჭვიანობდა ბაბუაჩემზე, რომელსაც, მიუხედავად თავისი ვაჟკაცური გარეგნობისა და მომხიბვლელი ბისა, ერთხელაც არ უღალატებია მეუღლისათვის. ბაბუა რომ გარდაიცვალა, მაშინ წამოცდა ბებიას — ვიცოდი, ათასი ქალი უფუფუნებდა თვალებს, მაგრამ ყოველთვის ჩემი ერთგული იყო. ერთ წელიწადში შენგელიას ქალმაც მიაბარა უფალს სული. ორივენი 1903 წლის პირველ მაისს იყვნენ დაბადებულნი.

„გოდრის ქვეშ დაბმული ქათმები დამიკალი“, — ყველაზე მტკივნეული და ძნელად შესასრულებელი დავალება იყო ბაბუაჩემისთვის. „კაცს შეჭამს ცოცხლად ოლიფანტე ვაშაკიძე და საკლავს ნუ დააკვლევინებო“, — იტყოდნენ სოფელში. მართლაც ეს დევივით კაცი ისეთი გულჩვილი იყო, რომ ყველაფერზე ცრემლი ადგებოდა თვალზე. ვიცოდი, უკანა ეზოში გადასული ბაბუაჩემი მეზობლის ბიჭს დაუძახებდა ჩუმად, ალაგზე გადაიყვანდა და ქათმებს იმას დააკვლევინებდა, მერე ბებიაჩემს გამოსძახებდა — მიეიტანე, ქალო, ტაშტი და წეილე ეს საცოდავებო.

დედაჩემს თავისი გემოვნებით უნდა მიეღებინა ჩვენი ოთახი, მამაჩემს ცოტა დაესვენა, ჩემი და ბავშვებში გაქცეულიყო თავისი თოჯინის საჩვენებლად, მე და ბაბუ კი... ბაბუას აუცილებლად უნდა მოემიზებებინა — შაქარი და პურია მოსატანი, ზეთიც გამოგვლევიაო და სოფლის კოოპერატივში უნდა წავსულიყავით. ეს იყო მისი უდიდესი სიამოვნება. მაღაზიამდე იმერული წესით ყველას შორიდან უნდა მისალმებოდა, მაგრამ ცოტას ყოვნიდებოდა ყველა ჭიშკართან, რატომ?

„უი, ოლიფანტე, მამუკა ჩამევიდა? რამხელა გაზრდილა, ბოშო, რავა შენ დაგმსგავსებია სიმალეში, რავა ხარ, ბებია?“ — ხან ერთი ჭიშკრიდან მომაცხებდნენ, ხან მეორე ეზოდან და ბაბუას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

\*\*\*

მაშინ, როდესაც იმ ბავშვობის მოგონებებიდან ოცდათხუთმეტი წელი გავიდა, ზუსტად ისე მეღვიძება, კოპიტნარს რომ გასცილდება მატარებელი, ზუსტად ისე ვცქმუტავ, იანეთის ბაქანს რომ მიაკვლევს გუბისწყლის რკინის ხიდზე გადასული ელმავალი. შორს, ცამდე აწვდილი ალვის ხეების იქით მიყუჟულ ჩემს სოფელს რომ გავხედავ, ის გრძნობა მეუფლება, „გურამია შოფერმა“, სანამ სახლში მიმიყვანს, ქვეყნის ამბები უნდა გამომკითხოს, მოსავალ-

ზე დაინუნუნოს, „სტალინკა ხალათის“ ჯიბეში გაღუნული, თუთუნაფშენილი „პრიმის“ ლერი მოძებნოს და ბებია-ბაბუაჩემს ჭიშკართან პირველმა ახაროს ჩემი ჩასვლა.

არადა, აღარ არიან ბებია და ბაბუა, არც მამაჩემი, აღარც „გურამია შოფერია“ ცოცხალი. იანეთის ბაქანზეც არ ჩერდება მატარებელი... ასეთი ბედი ჰქონია პატარა ბაქანს...

## თუთა

თუთა დამნიფებულა, შავი თუთა. იასამნისფერი სკორეთი მოუჭრელებით თუთასდახარბებულ ლაბუა ჩიტებს მამაჩემის საფლავი. აჟივილებულა თუთა. ჩემი ბიჭები, უკვე ვაჟკაცობაში შესულნი, თხრიან საფლავზე მომძლავრებულ ბალახს. გაშავებით ბალახებში ჩაცვენილი თუთისგან თითები.

„ბჟოლას ხელებიდან, ბაბუ, ისევ ბჟოლის ფოთოლი ან კუხე ბჟოლა მოგაცლის“ — სადღაც შორიდან ჩამესმის ბაბუაჩემის ხმა.

მეც ასე ვთხრიდი ბალახს ბაბუის მამის საფლავიდან თავის დროზე. ცერად გავხედავდი ხოლმე ქვის სვეტს, რომელზეც მიკრული ფაიფურიდან უღვამებაპრეხილი, წვეროსანი ვაჟკაცი შემომყურებდა.

მაშინაც დიდი იყო თუთა.

მოვრჩებოდი თუ არა საფლავის განმენდას, ბაბუა ხელში ამიტაცებდა და თუთის ტოტზე შემომსვამდა.

„ჭამე, ბაბუ, ბჟოლა, მამაჩემის ძვლებზეა ამოსული“.

დაფრთხებოდნენ ჩიტები. მერე კოლია ბაბუა გადმოვიდოდა, ბაბუაჩემის ბიძაშვილი და განაყოფი. დაეყრდნობოდა რკინის რიკულს. მამამისის საფლავი იქვე იყო, უზარმაზარი, ხავსმოდებული, ასწლოვანი ცაცხვის ქვეშ მიყუჟული. მოხდიდა ბაბუაჩემი თუთის ძირში მიდგმულ დოქს ნაქურჩალს, წელში გამოყვანილ ჭიქებში ჩამოასხამდა ადესას. ერთ ჭიქას კოლია ბაბუას მიანვდიდა. გახედავდა მზის შუქზე ჭიქას კოლია ბაბუა, ფერს შეუმონებდა ღვინოს, თითქოს გუშინსალამოს არ დაეღიოს ბაბუაჩემთან ერთად. მერე ფლატუნით შემოვიდოდა შემოლობილში.

— ეჰ, რა ვაჟკაცი იყო მაქსიმელა! თხუთმეტი კაცი ვერ დაუდგებოდა გვერჩი. ამ ბალანას ხელა ვიყავი, — ჭიქიან ხელს გამოიშვერდა ჩემსკენ, — ბაბუაჩემიდან რო მოვდიოდი, გრიშაია ოსმანას დეენიძლავა. ჩარდახიანი ურემი უკნიდან ანია და ხარებს ისტე გამოყვა. აყვირდა გრიშაია, ნუ დამიხოცე ხარები, მაქსიმელა, ვკისრულობ პურ-მარილსო! იანეთის გადასახოვთან რო დუქანი იყო, იქანა იქიფეს. ბალანა ვიყავი და პირდაფრენილი მივჩერებოდი მთასავით კაცს, აჰა!

შვექცეოდი თუთას და მერამდენედ ვის-



მენდი ჩემი დიდი ბაბუის ვაჟკაცობის ისტორიას. მერე... მერე ბაბუაჩემის საფლავიც მიემატა მაქსიმე ბაბუას საფლავს. მე და მამაჩემი მოვდიოდით, ბალახისა და ჩამოყრილი თუთისგან ვასუფთავებდით სასაფლაოს. მოვრჩებოდით და კოლია ბაბუას ბიჭიც გადმოვიდოდა, მამამისზე ხმელი და მამაჩემის თანატოლი. შეავსებდნენ თლილ ჭიქებს. ჩემით ავძრებოდი თუთაზე, დავაფრთხოვდი ჩიტებს და ვჭამდი ცერისისხო შავ თუთას.

— რა კაცი იყო ოლიფანტე, ეჰ, ათი კაცი ვერ დოუდგებოდა გვერჩი. მაგი, რომ ფაეტონით გამეივლიდა... ეჰ... ფუთ ღვინოს სვამდა, არღანზე უყვარდა ნამეტნავად ქეიფი. ქორნილში წინასწარ აძლევდნენ შამფურზე წამოცმულ გოჭს, მაინც ოლიფანტემ უნდა წელიოსო და...

— აბა, სადღა არიან ახლა ეგეთი ვაჟკაცები, — გახედავდა ბაბუაჩემის სურათიან საფლავის ქვას მამაჩემი.

ახლა მე ვდგავარ მამაჩემის, ბაბუაჩემისა და დიდი ბაბუის საფლავთან. გავყურებ თუთის ხეს ჩემი წინაპრების ძვლებით ნასაზრდოებს. ჟივილ-ხივილით სხმარტალებენ ლაბუა ჩიტები ფოთლებში. იქვე ჩემი ბავშვობა მიყუჟულა. ბიჭები მორჩნენ საფლავის განმენდას, წელში

გასწორდნენ, თუთას ახედეს.

— ორივეს გაგვიძლებს? — გადმომხედა უფროსმა.

— გაგიძლებთ, შვილო...

მათი ჟივილი მიფრთხოვს ბავშვობის მოგონებას.

კოლია ბაბუას შვილიშვილი გადმოდის. ჩემსავით შეჭალარავებია თმა. დოქიდან წელში გამოყვანილ ჭიქებში ვასხავ კოოპერატივში ნაყიდ ღვინოს. ველარ მოვუარე მამა-პაპისეულ ვენახს. ბაბუამისივით გახედავს მზის შუქზე ჭიქას კოლიას ბადიში. ახლა ღვინოს უკვე აღარ ინუნებენ და არც ფერს სინჯავენ, მაგრამ მაინც წესად შემორჩა.

— ეჰ, სადღა არიან ეგეთები.

ჭრიალებს ბიჭების სიმძიმისაგან მოხუცი თუთა, ჩემი წინაპრების ძვლებზე გაზრდილი და მათი საფლავების დარაჯი.

გავა დრო, ალბათ, ჩემები ჩემს შვილიშვილებს მოიყვანენ აქ, დააფრთხოვენ თუთაზე შემოსეულ ჩიტებს. გადმოვა კიდეც კოლია ბაბუას ნაშიერი, შეავსებენ ჭიქებს და...

ერთი ღმერთო, ის გამაგონა, რას იტყვიან ჩემზე...





# სკოლე ბენიძე

## ომის პალადა, ანუ ჩემი ჯარისკაცი ქმარი

1.  
 რაც შენ ნახვედი, მე ვსვამ ყავას შენი  
 ოინჯნიდან,  
 მაშინებს ყველა ქედმაღალი გადმოსახედი,  
 გაქაფულ ჭურჭელს ნიჟარასთან ვანყობ  
 მიჯრით და  
 ვტოვებ. დამჩემდა გულგრილობა, რაც შენ  
 ნახვედი.

რაც შენ ნახვედი, მე დავდივარ შენი მანქანით  
 და შენებურად ვასიგნალებ თავგამეტებით,  
 ამეკვიატა უძილობა, ხელის კანკალი  
 და უსაშველოდ შევიძულე სენტიმენტები.

რაც შენ ნახვედი, მე ვიძინებ სწორედ იმ  
 მხარეს  
 შენ რომ გეძინა ჩვენს საწოლში და იმ  
 მანძილებს,  
 ჩვენ რომ გვაშორებს, დიდი ხნის წინ როგორც  
 მითხარი,  
 ვამოკლებ ფიქრით და ტკივილებს ჩვენსას  
 ვაძინებ.

რაც შენ ნახვედი, მანუხებენ ჩუმი შოშები,  
 რომ სახლში ვილაც დააბიჯებს და მემალება,

ზოგჯერ მგონია (არ ვაჭარბებ), ისე ვიშლები,  
 რომ ვერც კი ვხვდები. დავიღალე, ვიქვეც  
 თვალებად.

რაც შენ ნახვედი, ამინდების ცვალებადობა  
 პირობითია და ჩვენს სახლში ქრიან ქარები,  
 ჩემი თვალები დაინწყებენ ცრემლად დადნობას  
 მალე და ცრემლებს მერე არსად შეიფარებენ.

რაც შენ ნახვედი, ჯობით დამაქვს შენი დანა და  
 ჩემთან მერცხლები დაბრუნებას აგვიანებენ,  
 მიჭირს, მჯეროდეს, რომ რატომღაც, მუდამ  
 ავად ვარ  
 და არ მიხდება შენი შავი რეიბანები.

რაც შენ ნახვედი, მე ვარ ორი, ასე მგონია  
 და თან, ჯამი ვარ ამქვეყნიურ სიმარტივეთა,  
 იქით, საითაც მარტოობა და სიშორეა,  
 არ შემიძლია, მაპატიე! ვერ მივიხედავ!

და გელოდები, სასაკლავო სუნით  
 გაყუდენთილს,  
 შენი სიცოცხლის და სიკვდილის ჩუმი  
 მხლებელი,  
 ნაუკითხავად მაგიდაზე დაგრჩა გაზეთი  
 და ახლა ისიც გელოდება ხელუხლებელი.

მე ისიც ვიცი, გესიზმრება ჩვენი ოთახი,  
 რომელსაც მთვარე მოკრძალებულ შუქით  
 ანათებს,  
 ვზივარ და ვფიქრობ, ჩემს ნაკვალევს როდის  
 მონახავ,  
 თმიდან მდის წყალი და მაცვია შენი ხალათი.

რაც შენ ნახვედი, შეიცვალა მთელი სამყარო  
 და ჩემს ბილიკებს აეკიდა ყველა თავხედი,  
 მე კი, უბრალოდ, გამოგტყდები და გაგახარებ,  
 რომ უფრო მეტად შემეყვარდი შენ, რაც  
 ნახვედი.

2.  
 ვხედავ,  
 ზეციდან ანგელოზები ცვივიან,  
 ფრთხილად!  
 სიკვდილებს ახლოს ფუთფუთი სჩვევიათ!  
 მე და  
 შენ გადავრჩებით. მიწა ისეთი ცივია,  
 ვერ მიგაბარებ, შენი სიცოცხლე ჩემია.

არა,  
 ცხედრებთან ნუ შეჩერდები მდუმარედ!  
 ფრთხილად!  
 სიკვდილმა არ მიგიტყუოს უჩუმრად,  
 მოვალ სიზმრებში, ვით სასურველი სტუმარი,  
 დავინწყებული გაზაფხულების ჩურჩულად.



ვხედავ,  
ინვიან მიტოვებული სახლები,  
ვხედავ,  
ტირიან შვილებმოკლული დედები,  
მე ყოველ დილით შენს მოლოდინში ვახლდები  
და ყოველ ღამით მარტოობაში ვბერდები.

ვხედავ,  
კვდებიან ფარაჯიანი ბიჭები,  
მინდორს დანაღმულს შიშით გვერდს უქცევს  
მდინარე,  
ვიღაც ეცემა,  
ვიღაც გარბის და იჭრება,  
არ მოიხედო!  
ნუ შეჩერდები!  
იარე!

3.  
ღმერთო,  
მაპატიე ჩემი ქალური უძლურება,  
ჩემი ტკივილები ჩემსავე სიზმრებში დაატიე,  
ღმერთო,  
ამომივსე ხახამშიერი უფსკრულები,  
და წამიერი გულისთქმანი მაპატიე.

ღმერთო,  
დააპურე ჩემი მშიერი სარეცელი  
და დამიბრუნე ის, ვინც არასდროს მომწყინ-  
დება,  
ჩემკენ ჭორები თვალებს უსირცხვილოდ  
აცეცებენ,  
მერე მზე მოდის და ჩემს სიზმრებზე ქორწინ-  
დება.

4.  
შემოდი.  
ღამეს მიაბარე შენი ფარაჯა,  
და ფეხაკრეფით მოეახლე ნანატრ სარეცელს,  
მწუხარებაში სიხარულის ცრემლიც  
დავხარჯე,  
და მოცახცახე ხელს გაშველებ, რომ არ დაეცე.

შემოდი.  
ისევ მხურვალეა ჩემი ტუჩები  
და უძილობა — ჭლექზე უფრო განუკურნელი,  
როცა ტყვიებს და მოჩვენებებს გადაურჩები,  
უფრო ტკბილია გრძელ ღამეში მიტკლის  
სურნელი.

შემოდი.  
შავბნელ მოგონებებს „არა“ უთხარი,  
ჩუმად შეგაბამ ჩემს შელოცვილ  
ხატ-ავგაროზებს,  
ნუ ფიქრობ მათზე, ვისაც მინა ამოუთხარე

საკუთარ ხელით გუშინ ძმათა სასაფლაოზე.  
ნუ ფიქრობ მათზე, ვინც ვერაფრით  
გადაარჩინე,  
ვინც მხოლოდ უფალს და ქარიშხალს  
ემახსოვრება,

მომენდე,  
ჯერაც არარსებულ სიზმარს გაჩვენებ,  
იქნებ როგორმე შეგაყვარო ისევ ცხოვრება.

მოდი.  
ძალღვივით აგილოკავ ყველა ჭრილობას,  
და შევებმები შენს თვალებში მბორგავ  
ქარიშხლებს,  
და თუ შენს ღიმილს დაუბრუნდა  
გულახდილობა,  
ბედნიერ დღეებს ერთს ათასად ვიანგარიშებ.

შემოდი.  
ჩვენს სახლს ვერ მოაგნებს ომი წყეული,  
ვერც სატანჯველი,  
ვერც შიმშილი,  
სროლა,  
ბრძოლები,  
დაე, უკუნმა მიიბაროს ჩემი სხეული,  
ქმრად მექცეს მინა, თუკი გვერდით არ  
მეყოლები.

ჩემი მკლავები შენთვის მტკიცე არის სანგარი,  
დღისით და ღამით,  
ყოველ დილით,  
ყოველ დილაღამე,  
შეჩერდი წამით,  
ტკივილებმა თუკი დაგლაღეს,  
მოდი  
და თავი საიმედო სანგარს მიანდე.

შემოდი.  
სისხლში ამოსვრილი შენი ფარაჯა  
ისევე მიყვარს, როგორც შენი კანი უხეში,  
იძინე მშვიდად, მთელი ღამე დაგიდარაჯებ,  
შენს ამოხვრას შევიფარებ ფრთხილად  
უბეში.

შემოდი.  
ცეცხლი ნაცრად იქცა, კარგა ხანია,  
და ბალიშს დასწვდა ოქროსფერი ჩემი საყურე,  
წავიდნენ სხვები, იყვნენ, მაგრამ აღარ არიან,  
შენ კი დაბრუნდი და მიინარეს ჩუმად  
დამყურებ.

შემოდი.





გიგა  
რაბინსკის

„მოკითხვა პატიმართა...“

ეს ლექსები რუსთავის მე-2 სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან მოვიდა. ამ ლექსების ავტორი პატიმარი და ჭეშმარიტი პოეტია... პოეტები ხომ ულამაზესი ხილვებისა და მუხების პატიმრებიც ვართ...

უფალი იყოს მისი შემწე!

ვაჟა ოთარაშვილი

ვაკიტაფია

ჰეი, შენ მგზავრო, მოდი, შესვი ჩემი წყაროდან,  
და ამისრულე მინიერი ბოლო სურვილი,  
მეც ვიცოცხლე და გავემგზავრე ამ სამყაროდან,  
დავტოვე წყარო, რომ დაგეცხრო გამვლელს წყურვილი!

შესვი სიცოცხლით გაყინული წყალი ანკარა და ჩემი სულით შეივსები, დალიე, მიდი, ყოჩაღ! მე ახლა სამარეში გამაკანკალა, ღმერთი გფარავდეს! გაიხარე! მადლობა დიდი!!!

სხვისი არ გეგონოს!

სხვისი არ გეგონოს, სწორედ რომ შენია, ამ ცოდვილ სტროფებში შთანთქმული გენია, მითხარი სიცოცხლე, ნუთუ არ გტკენია? ნუთუ არ გწყენია? ნუთუ არ გრცხვენია...

ვერაჟინ ჩასწვდება შენს გარდა სრულიად ამ სევდას უჩუმრად რამდენი უვლია, რამდენი რთულია, რამდენი თქმულია, რამდენი წყლულია და რარიგ რთულია...

ირწმუნო, როგორაც ვირწმუნე გაგებით, მე შენი სიმართლის ზღაპრული ჰანგები!

როგორც და ვინჩი უმზარს „ჯოკონდას“...

მხოლოდ იმ ერთ ქალს ვეტრფი პირადად, მარად უჭკნობი გრძნობის საკადროდ, მან ერთგულება შემომწირა და, უერთგულება როგორ ვაკადრო... მე დავიჭირე დემონი კუდით და მივანყვიტე ღირსების კედელს, მანდილოსნებო, თუ ვინმეს გსურდით, ვერ ეღირსებით ვერც ერთი შედეგს!!!

ძვირფასო!

ჩემო ძვირფასო, სად გამირბი?! რად მეურჩები?! გულით მწადას უსასრულო ტრფობა გაჩუქო. მომანდე შენი სანუკვარი მარწყვის ტუჩები, რომ უწრფელესი, ცხელი კოცნით დაგასაჩუქრო!  
რატომ უხეშობ?! რისთვის მებრძვი?! რამ გაგაცივა?!  
ნუთუ გგონია გულისძახილს რისხვით მოცდები,



მერნმუნე, ავი სიკაპასე მინც გაგცვივა  
და სამუდამოდ გულით - გულზე  
შემიხორცდები!

კიდევ რომ მომკლა, მრისხანების თეთრო  
ალმასო,  
მე საიქიოს მომსახურე აღარ გავხდები,  
სხეულს მივაგდე უდარდელად, ჩემო  
ლამაზო,  
და ჩემი სულით შენს სხეულში  
ჩაგისახლდები!

მინც იქნება ტრფიალება ჩვენი დაცული,  
რადგან შეიგრძნობ შინაგანად ვნებებს  
მალულებს,  
როს მიწიერი უხეშობით გადაქანცული,  
ჩვენი სულები შენს სხეულში ისიყვარულებს!

დამნებდი ტურფავ, ნუ გამირბი, ნუ  
მეურჩები,  
გავუბათ გულებს უწმინდესი გულის ძაფები,  
მაჩუქე შენი სანუკვარი მარწყვის ტურჩები  
და უწრფელესი უკვდავებით დაგენაფები!!!

## მეგაღე

შენ ბალი ხარ სამოთხისა ციურო,  
მე მეგაღე ედემისა შენისა,  
სილამაზევ არა ამქვეყნიურო  
და ოცნებავ ყველა ქვეყნიერისა!

გესტუმრება ყოველ დილით ბულბული  
და გიმღერებს დამდაგავად სულისა,  
ნუ მოგხიბლავს მისი გულის დუდუნი,  
გნამდეს მხოლოდ ჩემი სიყვარულისა!

## რამდენიც გინდა ილაპარაკონ!

ზუზუნებს ქარი, თრთიან ხეები,  
და ფოთოლცვენა ხარობს მღვერობით,  
იკარგებიან დროში დღეები,  
უმორჩილესი თანმიმდევრობით...

სევდიანია რწმენის კარავი,  
ვხედავ, მე განა ვყვები განაგონს  
და არც არავის იცნობს არავინ,  
რამდენიც გინდა ილაპარაკონ!

## შენ ხარ

შენ ხარ ოცნება ჩემი გულის  
მანათობელი,  
ჩემი ტკივილის მათრობელი უტკბესი  
ლხინი,  
ჩემი სიმწარის ნეტარებით  
დამატკბობელი  
და ჩემი ტრფობის ერთადერთი ოქროს  
გვირგვინი!  
შენ ხარ სიკეთე ზეციური  
სინმინდის დარი,  
ჩემი სიცოცხლის ჯადოსნური  
ნატვრისთვალი ხარ,  
შენ ხარ სინმინდე მიწიერი სპეტაკი  
ქალის  
და მარადიულ ერთგულების  
სანინდარი ხარ!  
სრულყოფილებას უსასრულო  
ტრფობას გთავაზობ,  
მდაბლად გიმღერის მონატრული  
გულის ფიქრები,  
მე შენ მიყვარხარ, ჩემო თეთრო, ჩემო  
ლამაზო  
და სიკვდილამდე მხოლოდ შენი  
ტრფობა ვიქნები!

## როდესაც ღმერთი სამყაროს ქმნიდა

როდესაც ღმერთი სამყაროს ქმნიდა,  
მან სიყვარული აიღო ხელში,  
შთაბერა სული უკვდავი, წმინდა  
და მოათავსა ის საძირკველში!

ზედ დააშენა სამყარო ვრცელი,  
შექმნა დრო-ჟამის მშვიდი დინება,  
შექმნა ხატებად სიცოცხლე გრძელი  
და უსასრულო სრულყოფილება!

შექმნა გონება და დედაენა,  
შვილი, ტრფილის უკვდავ ნაყოფად,  
შექმნა სიკეთე, გვიბოძა რწმენა,  
სრულყოფილების უკვდავსაყოფად!

საძირკველშია ცხოვრების ფასი  
და სანუკვარი ღვთიური გრძნობა,  
უსიყვარულოდ სიცოცხლის არსი,  
სისულელეა და უაზრობა!





მ' ჰენრი

## საქმით ბათონბაილი ბიოხაიის ჟოხინიანების აბაჯი

ჰარვი მაქსველის ოფისის საიდუმლო კლერკი — ფითჩერი, ჩვეულებისამებრ სახის უსიცოცხლო გამომეტყველებით იჯდა. ცხრის ნახევარზე, კომპანიის მფლობელმა კარი მარდად შემოაღო, ახალგაზრდა სტენოგრაფისტ ქალბატონთან ერთად სწრაფად შემოვიდა და მისასალმებელი სიტყვები აჩქარებით წარმოთქვა: — „დილა მშვიდობისა, ფითჩერ“. მერე მზერა სამუშაო მაგიდას სტყორცნა, თითქოს ერთი სული ჰქონდა მაგიდაზე დახვავებული წერილებისა და დეპეშების გროვამი თავით გადაშვებულყო და ჩაეყვინთა.

ახალგაზრდა ქალბატონი ერთი წელია მაქსველის სტენოგრაფისტად მუშაობდა. ის ისეთი ლამაზი იყო, მის სტენოგრაფისტობას ვერაფრით წარმოიდგენდი. ეცვა ღია ნაცრისფერი ლაბადა, ვინრო კაბა კი ქალის ფიგურას გამოჰკვეთდა და საოცრად უხდებოდა. ეხურა კოხტა, ოქროსფერ-მონაცრისფრო ფრთით მორთული ჩალის ქუდი. ამ დილით მის იერში თითქოს სიმორცხვე შეპარულიყო, თვალები კი მეოცნებე ქალიშვილივით გაბრწყინებოდა და ლოყებზე ახლად აყვავებული ატმის ყვავილის ფერი დას-

დებოდა. ძალზედ ბედნიერად გამოიყურებოდა. თან თითქოს რაღაცაზე ჩაფიქრებულიყო.

ფითჩერმა ქალში ცვლილება შენიშნა, იმის მაგივრად რომ გვერდით ოთახში გასულიყო და სამუშაო მაგიდას მისჯდომოდა, ქალი თითქოს დროს განგებ აჭიანურებდა და ერთხანს მაქსველის სამუშაო მაგიდასაც კი მიუახლოვდა.

„მექანიკური მოწყობილობა“, რომელიც სამუშაო მაგიდას შეზრდოდა, კარგა ხანია საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა — აღარც ის ახსოვდა, რომ მამაკაცი იყო. საქმით გადატვირთული ნიუ-იორკელი ბროკერი ფეხების ნაცვლად, თითქოს ბორბლებზე შემდგარიყო და რობოტიკით დადიოდა.

— ეს რა არის, სიახლეა? — იკითხა მაქსველმა მკაცრი ტონით. მის სამუშაო მაგიდაზე ისე ეყარა გახსნილი წერილები, თითქოს მაგიდას კიდებზე თოვლს ჩამოებარდნა. მზერაში რაღაც უნდობლობა შეჰპარვოდა.

— არა, არაფერი, — უპასუხა სტენოგრაფისტმა და ფითჩერისკენ ღიმილით გადაინაცვლა, — მისტერ ფითჩერ, მისტერ მაქსველს ახალ სტენოგრაფისტზე გუშინ არაფერი უთქვამს?

— დიახ, მითხრა, — დაუდასტურა ფითჩერმა, — მითხრა რომ ახალი სტენოგრაფისტი სჭირდება. სააგენტოს შევატყობინე, რომ კანდიდატები დღეს დილისთვის გამოეგზავნათ. აი, უკვე ათს თხუთმეტი აკლია და თვალითაც არავინ მინახავს.

— სანამ ჩემს ადგილს ახალი სტენოგრაფისტი დაიკავებს, საქმეს ძველებურად მივხედავ, — თქვა ახალგაზრდა ქალბატონმა, სამუშაო მაგიდასთან მივიდა და ოქროსფერ-მონაცრისფრო ფრთით დამშვენებული ჩალის ქუდი ჩვეულ ადგილზე დაკიდა.

საქმეში ყელამდე ჩაფლულ ბროკერს ხანდახან თავისუფალი დროც გამოერევა, მაგრამ ელვისუსწრაფესად მქროლავი წუთები და წამები ბროკერს ხელებით ებლაუჭებიან, ბოჭავენ და თავის დაძვრენის საშუალებას არ აძლევენ. ეს დღეც ჰარვი მაქსველისთვის ერთი ქანცამცლელი დღეთაგანი იყო. ტელეგრაფის აპარატიდან დეპეშები ხვეულად ცვიოდა, თითქოს ხორცსაკეპ მანქანაში ხორცს ატარებენო. სამუშაო მაგიდაზე ტელეფონი წუთითაც არ გაჩერებულა და ქრონიკულად ზრიალებდა. თანამშრომლები დეპეშებითა და წერილებით წინ და უკან საქმიანად, გამალებით მიმოდიოდნენ. მდივნები ისე ფაცაფუცობდნენ, როგორც შტორმისას მეზღვაურები. მათ შემყურეს ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა, თითქოს გრიგალს, მენყერს, ზვავს, ვულკანებს და მსგავს მყუდროების დამრღვევ ბუნებრივ მოვლენებს ერთიანად მოეყარა თავი ბროკერთა ოფისში. მაქსველმა გორგოლაჭებიანი სკამით კედლისკენ ისეთი მოძრაობით ჩაიჩოჩა, როგორიც ბალერონებს სჩვევიათ. მერე ტელეგრაფის



აპარტიდან ტელეფონს გადასწვდა, სამუშაო მაგიდიდან კი ელვის უსწრაფესად კართან გაჩნდა.

დაძაბულობა და მუშაობის ტემპი ოფისში უფრო და უფრო მატულობდა.

— აი, ქალბატონი სტენოგრაფისტო სააგენტოდან ჩვენს შეთავაზებას გამოეხმაურა! — თქვა ფითჩერმა.

მაქსველი სკამიანად შემობრუნდა, ხელები ქალაღდებით და ტელეგრაფის ლენტებით ჰქონდა სავსე.

— რა აინტერესებს? — იკითხა მაქსველმა ნარბშეკვრით.

— სტენოგრაფისტის თანამდებობა, — უპასუხა ფითჩერმა, — გუშინ მითხარით, რომ სააგენტოში დამერეკა. აი, ერთი უკვე გამოგვიგზავნეს.

— ნუ მაგიჟებ, ფითჩერ! ასეთ რამეს რატომ დაგავალდებინა? — გაიკვირვა მაქსველმა, — მის ლესლი ამ საქმეს შესანიშნავად ართმევს თავს და სანამ იგი აქ ყოფნას მოისურვებს, სტენოგრაფისტის თანამდებობა მას ეკუთვნის. ფითჩერ, ახლავე გააუქმე მითხოვნა!

ახლადმოსულმა ქალმა ოფისი დატოვა. ფითჩერმა შესაფერი მომენტი მონახა და ბუღალტერს გადაუღალაპარაკა:

— „მოხუცი კაცი“ სულ უფრო და უფრო დაბნეული და გულმაფინი ხდება.

ოფისში საქმეს საქმე ემატებოდა. მაქსველის კლიენტები მსხვილი ინვესტორები იყვნენ. აუარება შეკვეთას იღებდნენ — მერცხლებით გადაჭედნილ ცაზე რამდენი ფრინველიცაა, სწორედ იმდენს. მაქსველი კი მექანიკურ მანქანასავით მუშაობდა — თავბრუდამხვევი სიჩქარითა და გასაოცარი სიზუსტით. გადანყვეტილებებს ნამში იღებდა, შეცდომას არასოდეს უშვებდა და მუშაობისთვის მუდმივად მზადყოფნაში იყო. საქმე საათის მექანიზმივით დალაგებული და აწყობილი ჰქონდა. სესხი, დაგირავება, უსაფრთხოება — მოკლედ, აქ ტრიალებდა მსოფლიოს ბიზნესი. ეს ქარბორბალა მხოლოდ ნახემსებისას ჩაცხრა.

მაქსველი სამუშაო მაგიდასთან იდგა, ხელები სავსე ჰქონდა დეპეშებით და ჩანანერებით, შუბლზე თმა უწესრიგოდ ეყარა და მარჯვენა ყურზე კალამი ჩამოედო. ღია სარკმლიდან ეზოში მეეზოვე მოჩანდა, ჰაერში ზაფხულის სითბო ტრიალებდა და დროდადრო ტკბილი, იასამნის მივიწყებული არომატი შემოდიოდა, რომელმაც ბროკერს წამით მოძრაობა წაართვა. ეს საოცარი სურნელი, გვერდით ოთახში, მარტოდ-მარტო მყოფი მის ლესლისგან მოდიოდა და ქალს თითქოს სიცოცხლით ავსებდა. ფინანსების სამყაროდ ქცეული ოფისი, მცირე ხნით უმნიშვნელო გახდა. ახლა მაქსველი ქალზე ფიქრობდა. ლესლი კი მაქსველისგან სულ რაღაც ოციოდე ნაბიჯით იყო დაშორებული.

— ახლავე ვკითხავ, — თქვა მაქსველმა ხმა-

მალა, — რა ხანია ამას ვაპირებ, მაგრამ მოუცლელობისგან ვერაფრით მოვახერხე.

მაქსველი აჩქარებით გაემართა სტენოგრაფისტის მაგიდისკენ.

ქალმა ღიმილით ამოხედა მაქსველს. ლოყები ვარდისფრად შეჰფაკვლოდა, თვალები კი სიკეთით უბრწყინავდა. მაქსველი იდაყვით დაეყრდნო ქალის სამუშაო მაგიდას. ორივე ხელში კვლავ ქალაღდები ჰქონდა ჩაბლუჯული, კალამი კი ყურზე მოკალათებულიყო.

— მის ლესლი, — დაიწყო მან აჩქარებით, — აი, როგორც იქნა თავისუფალი წუთი გამოვნახე. რაღაც უნდა გითხრათ, ახლავე. თანახმა ხართ ჩემი ცოლი გახდეთ? მე არ შემიძლია გრძნობების სხვების მსგავსად გამოხატვა, მაგრამ გპირდებით, მთელი სულით და გულით მიყვარებით. სწრაფად მიპასუხეთ, თორემ შესვენება იწურება.

— ღმერთო ჩემო, რაზე საუბრობ?! — ვერ მიმხვდარიყო ახალგაზრდა ქალი და გაოცებისგან თვალებგაფართოებული შეჰყურებდა მაქსველს.

— ნუთუ ვერ ხვდები?! — უთხრა მაქსველმა დაჟინებით, — მინდა რომ ცოლად გამომყვეთ. მის ლესლი, მე თქვენ მიყვარხართ! ამის თქმა დიდი ხანია მინდოდა. ვილაც ტელეფონზე მირეკავს. ფითჩერ, უთხარი ერთი წუთით დამელოდონ! მის ლესლი, თქვენს პასუხს მოუთმენლად ველი.

სტენოგრაფისტი ერთხანს გაოგნებული იჯდა, შემდეგ განცვიფრებული თვალებიდან ცრემლი ჩამოუგორდა, გაელიმა და მაქსველს კისერზე მოეხვია.

— ახლა კი ვხვდები, — ქალის ნათქვამში საოცარი სითბო იგრძნობოდა, — ეს შენი ცხოვრების წესია, — მხოლოდ საქმე, საქმე და არაფერი საქმის გარდა. თავიდან ეს მაფრთხობდა, ძლივს შევეგუე. ნუთუ მართლა აღარ გახსოვს? ჩვენ ხომ გუშინ, საღამოს რვა საათზე, კუთხის პატარა ეკლესიაში დავინერეთ ჯვარი.

ინგლისურიდან თარგმნა  
სოფიკო დაუშვილა



1983 წელი



მას  
მოცხოვენი

## ჭაბუა აშიხაჯიბი – ხოლოსი ჩვენი ზნაობიობისა

შეიძლება ითქვას, რომ სულ ახლახან დავემშვიდობეთ XX საუკუნეს.

დიახ, ისტორიის ანალებში გადაინაცვლა მრისხანე, უსასტიკესმა, სისხლიანი კატაკლიზმებით აღსავსე საუკუნემ, პოეტმა შელამებათა საუკუნე რომ უწოდა.

გაივლის ხანი და როდესაც ჩვენი შორეული შთამომავალი შეკითხვით მიმართავს ამ საუკუნის საქართველოს, თუ რა შესძინა მან ცივილიზებულ სამყაროს, რითი გაამდიდრა მსოფლიო მწერლობა და ხელოვნება, რა სახელები შემატა კაცობრიობას, იმ მცირედთა შორის, ვისი სახელებითაც ჭეშმარიტად შეგვეძლება თავის მონონება, უეჭველად დასახელდება ჭაბუა ამირეჯიბი და მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

ჭაბუა ამირეჯიბი!

მწერალი და პილიგრიმი, რომელიც საოცრად ამართლებს ამირეჯიბთა საგვარეულო გერბზე გამოსახულ გოლგოთაზე აღმართულ ჯვარს — სიმბოლოს რომ წარმოადგენს სამშობლოსათვის, სარწმუნოებისათვის მონამებრივი თავგანწირვისა.

დიახაც რომ ასეა. ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრება სამშობლოს უებრო მსახურების ერთი უბადლო მაგალითია, სამშობლოსი, რომელსაც შესწირა ყველაფერი — საკუთარი ახალგაზრდობა, ოცნებები და ზმანებანი, დაუფიქრებლად შესწირა გმირი ვაჟიშვილი, რადგანაც იცოდა: ერთადერთი ჭეშმარიტება, ყველაზე დიდი და ყოვლისმომცველი ჭეშმარიტება სამშობლოა — სულზე უტკბესი და უნეტარესი ჭეშმარიტება და მხოლოდ მისთვის ღირს სიცოცხლეცა და სიკვდილიც.

სამშობლოს უძღვნა საკუთარი სულიერი ღალადისიც — სწორუპოვარი პროზა, რომელიც მკითხველს მასშტაბურობითა და, შეიძლება ითქვას, ბიბლიური სიბრძნით ხიბლავს. რა გასაკვირია. თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე განგებამ მწერალს არაერთი განსაცდელი მოუვლინა. იმ სისხლიანმა კალომ, რომელმაც დაუნდობლად გადაუარა მეოცე საუკუნის საქართველოს, არც ჭაბუა და მისი ოჯახი დაინდო. ამდენ უბედურებას, ამდენ ტკივილსა და განცდას თითქოს უნდა მოეტყება და დაეუძღურებინა, მაგრამ იგი დღესაც ქედუხრელია, დღესაც შეუდრეკელია, დღესაც რწმენითა და იმედითაა აღსავსე. ეს რწმენა და იმედი ჩვენც უნაპირო ოპტიმიზმით გვაკლებს და გვაიმედებს.

ჭაბუა ამირეჯიბმა არა მარტო გაამდიდრა





ქართული მწერლობა, არამედ განვითარების ახალ საფეხურზეც აიყვანა.

სწორედ ამის დასტური გახლავთ მარადიული ნიგნი-რომანი „დათა თუთაშხია“, რომელსაც საყოველთაო-სახალხო სიყვარული ხვდა წილად. ეს რომანი სამაგიდო ნიგნად იქცა ნებისმიერი ასაკის, ნებისმიერი გემოვნების მკითხველისთვის. „დათა თუთაშხია“ საგაა ქართველი კაცის ვაჟკაცობის, ჭირთათმენის ნიჭზე, საქართველოს უკვდავებაზე. ამ მრავალპლანიან, კომპოზიციურად უაღრესად საინტერესო, პროფესიული ოსტატობით შექმნილ რომანში დიდი ძალმოსილებითაა გაშუქებული ურთულესი ზნეობრივ-ეთიკური პრობლემატიკა. მკითხველმა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში თავისი სულიერი, ზნეობრივი მოთხოვნილებების ხორცშესხმად მიიჩნია რომანის მთავარი გმირი, დათა, მარად მაღალეიძარე სინდისის რაინდი, სიკეთისა და სამართლიანობის დაუცხრომელი ქომაგი, რომელმაც ჩვენს თვალწინ დაუბრკოლებლად გადალახა მისი მშობლიური საქართველოს საზღვრები და ახლობელი გახდა სხვადასხვა ეროვნების ადამიანებისთვის.

მას შემდეგ თითქმის მეოთხედი საუკუნე ელოდა საქართველო მწერლის მეორე რომანს და გუმანმა მართლაც არ გვიმტყუნა. „გორა მბორგალი“ ეპოპეა გამოდგა XX საუკუნის საქართველოსი, უაღრესად რთული და ტყეადი ნაწარმოები, რომელიც საბრალდებო დასკვნას წარმოადგენს ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ქვეყანაში არსებული ტოტალიტარული რეჟიმებისა. ამ რომანით მწერალმა ქართული ლიტერატურისთვის მანამდე ხელუხლებელი ყამირის გატეხვა განიზრახა და ჩინებულადაც გაართვა ამოცანას თავი. შექმნა ეპოქის მხატვრული მატრიანე, დიდი ხელოვნებით დაგვიხატა საბჭოთა იმპერიის არსი, გაამიშვლა მისი ნამდვილი სახე. ამავე დროს, „გორა მბორგალი“ დაღუპული ქართველი ინტელიგენციის რეკვიემს წარმოადგენს, რადგანაც მასში მთელი სისავსითაა ნაჩვენები ერის ამ წარმმართველი ფენის სულიერი სიმტკიცე და შეუდრეკელობა.

სრული პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა განვაცხადო, რომ „დათა თუთაშხია“ და „გორა მბორგალი“ ქართველი ხალხის ზნეკეთილობის, მისი სულიერი სიმტკიცის სიმბოლოდ იქცა და ასე შემოაბიჯა XXI საუკუნეში.

ჭაბუხას ეს ორი უპირველესი ლიტერატურული გმირი საოცარი ძალით ავსებენ ერთმანეთს და ქართველ ერს მხნეობისაკენ, სულიერი სიმტკიცისაკენ, სულიერების პრიმატის ქადაგებისკენ მოუწოდებენ. ვის ვის და ჭაბუხა ამირეჯიბს კარგად მოეხსენება, რომ ძლიერი სული, ძლიერი ადამიანები, ძლიერი ერი ქვეყნის განუყოფლობის, მისი ერთობის, გონიერებისა და ქედუხრელობის საფუძველია. ეს ის ტრიადაა, რომელიც ქვეტექსტურად გასდევს მთელ მის შემოქმედებას.

XXI საუკუნეშიც მისთვის ჩვეული ენერგიით იღვწის. სულ ახლახან ახალი რომანით გაამდიდრა ქართული ლიტერატურა. „გიორგი ბრწყინვალე“ ის ნაწარმოები გახლავთ, რომელშიც მწერალმა მისთვის ჩვეული ძალმოსილებით დაგვიხატა ერის ბედზე მზრუნველი მეფის მონოლითური სახე, რომლის სიბრძნემ და გონიერებამ თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში შვება და თავისუფლება მოუპოვა ქრისტიანული ჯვარცმულ ქვეყანას. მწერალმა შეძლო შეექმნა იმ მეფის სრულფასოვანი პორტრეტი, რომელსაც, გულზე ხელს თუ დავიდებთ, არც ერთი დიდი ბრძოლის მოგებით არ უსახელებია თავი და მშობელმა ხალხმა მაინც ბრწყინვალე უწოდა და სრულიად სამართლიანადაც.

ჭაბუხა ამირეჯიბის, საქართველოს ბედისწერის მემკვიდრის, შემოქმედების მთავარ თემად, რაზეც არ უნდა წერდეს იგი, ყოველთვის იყო და რჩება მორალური ურთიერთობანი, მორალური პასუხისმგებლობა, მორალური სინმინდე. იგი მუდამ ერის სრულ და ზუსტ ზნეობრივ სურათს გვიხატავს სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე და, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ერთგვარად გუშაგიც კია იმ ზნეობრივი ღირებულებებისა, რომელმაც დღევანდლამდე მოიყვანა ჩვენი ტანჯული ქვეყანა. საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ მწერალია არა ის, ვისაც საინტერესო ცხოვრებით უცხოვრია, არამედ ის, ვისაც ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც დაუნახავს ეპოქისა და დროის ნიშნები, ეპოქის და დროის ტკივილები. ჭაბუხა სწორედაც რომ იმგვით გამოჩინავს წარმოადგენს ამ ჭეშმარიტებისა. მას რომ უნახავს, მას რომ გამოუცდიდა, მას რომ განსაცდელისთვის გაუძლია, იმას ბარე ორი ნაღდი შემოქმედი ინატრებდა.

ჭაბუხა ამირეჯიბს ღვაწლი დაუფასდა. მინიჭებული აქვს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო, საქართველოს სახელმწიფო, სსრკ სახელმწიფო პრემიები. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლისა და ღირსების ორდენებით. არის თბილისის საპატიო მოქალაქე.

ახლა მას 88 წელი შეუსრულდა. თითქოს ეს თარიღი საიუბილეო თარიღების რიგს არ განეკუთვნება, მაგრამ ჩვენთვის, მისი ნიჭის თავგანისმცემლებისთვის, ზენაარისგან ჭაბუხასთვის ნაჩუქარი ყოველი დღე უკვე საიუბილეო თარიღს წარმოადგენს და ჩვენც მორჩილად მუხლმოდრეკილნი შევთხოვთ არსთაგამრიგეს — დიდხანს, ძალიან დიდხანს გვაჩუქოს მისი სიცოცხლე, აჩუქოს საქართველოს, რადგანაც ჭაბუხა ამირეჯიბი ასე ძალიან სჭირდება მის სამშობლოს, მისი ქვეყნის დღევანდელობას და, რაც მთავარია, მომავალს.

მრავალუამიერ, ბატონო ჭაბუხა, დიდო მწერალო, დიდო მამულიშვილო, დიდო კაცო!



დაგნი იული



საქართველოს  
საგარეო საზღვარების  
სამსახური

## ხილავ ჩიხაი „ბიანე ოხაიის“ სისხლიანი ღიამის შესახებ

სკანდალებს დანაფებული ქართული პრესა და ტელევიზია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ხოლმე ერთ დამაინტრიგებელ საუკუნოვან ისტორიას, რომელიც თბილისის ყოფილ სასტუმრო „გრანდ ოტელში“ მომხდარ ტრაგედიას უკავშირდება. მკითხველი მიხვდება, რომ საქმე ეხება ცნობილი ნორვეგიელი ქალის — დაგნი იულის მკვლელობას, რომელიც სიცოცხლეშივე ევროპელ მოდერნისტ ხელოვანთა სათაყვანებელ მუზად იქცა. ისიც ცნობილია, რომ დაგნის მკვლეელი — მისი თანამგზავრი, პოლონელი ახალგაზრდა ვლადისლავ ემერიკი იყო, რომლის მამა კომერსანტობას ეწეოდა საქართველოში. ამ ისტორიაში ფიგურირებს დაგნის ხუთი წლის ვაჟი ზენონი, რომელიც დედას თან ახლდა მოგზაურობაში. ეს მისტიური მოგზაურობა პარიზში დაიგეგმა და ამ გეგმის მიხედვით — დაგნის და მის პოლონელ თანამგზავრს მოგვიანებით პრშიბიშევესკიც უნდა შეერთებოდა თბილისში...

ემერიკმა იმავე სასტუმროში და იმავე ოთახში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, მანამდე კი ორი წერილი დატოვა —

ერთი დაგნის ქმრისთვის — მწერალ სტანისლავ პრშიბიშევესკისთვის, მეორე — დაგნის ვაჟის — მცირეწლოვანი ზენონისთვის, რომელიც მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გააცნობიერებს ოჯახის ისტორიას. მკვლელობის მიზეზად ხან ემერიკის მამის გაკოტრება სახელდება და ხან ფინანსური პრობლემები, რაც იმ პერიოდში განსაკუთრებით ანუხებდათ დაგნი იულს და მის მეუღლეს — სტანისლავ პრშიბიშევესკის, რომლის პიროვნებას ნაკლებად მოიხსენიებენ ამ ისტორიაში, თუმცა, ერთ-ერთ მოტივაციად ექვანიობაც სახელდება. როგორც ცნობილია, დაგნი თბილისიდან სასონარკვეთილი ტონით წერილებს წერდა მეუღლეს, სთხოვდა მას, რომ მისთვის და პატარა ზენონისთვის პასპორტი გამოეგზავნათ თბილისში; დამწუხრებული დაგნი იმასაც წერდა, რომ ის „გზას აცდა...“, ალბათ, ნანობდა ამ მოგზაურობას... დაგნის წერილები უპასუხოდ დარჩა, რადგან სკანდალური ქმედებითა და ავანტიურული თავგადასავლებით ცნობილი პრშიბიშევესკი ამ დროს სხვა ქალებთან ურთიერთობით იყო დაკავებული...

ამჯერად, მკითხველის ყურადღებას (სწორედ) სტანისლავ პრშიბიშევესკის პიროვნებაზე შევაჩერებთ. მისი სახელი თითქმის მივიწყებულია მშვენიერი და ტრაგიკული დაგნის მშფოთვარე და ბოჰემური ბიოგრაფიის ფონზე.

ლიტერატორები აღნიშნავენ, რომ მოდერნიზმის ეპოქაში იშვიათად მოიპოვება ისეთი სკანდალური პიროვნება და უჩვეულო ფილოსოფიური იდეებით შეპყრობილი მწერალი, როგორც იყო სტანისლავ პრშიბიშევესკი.

პარადოქსია, რომ ერთ დროს ღრმად რელიგიური ადამიანი და ორთოდოქსი კათოლიკე შემდგომში მეამბოხე რევოლუციონერად და მგზნებარე ნიცშეანულად ჩამოყალიბდა, ოღონდ, მხოლოდ სკანდალური თეორიებისა და მისტიციზმით გამსჭვალული თხზულებების დონეზე. მან შეძლო გადატრიალება მოეხდინა თანამედროვე პოლონურ ლიტერატურასა და ხელოვნებაში — ძლიერი ნებისა და დემონური ძალისხმევის ამ პიროვნებამ კარდინალური ზემოქმედება მოახდინა არამხოლოდ პოლონური მოდერნიზმის ფორმირებაზე, არამედ, იმ პერიოდის გერმანულ და აღმოსავლეთ ევროპის ლიტერატურულ პროცესებზეც. მისი თაოსნობით პოლონეთში ყალიბდება ლიტერატურული მიმდინარეობა „ახალგაზრდა პოლონეთი“, რომელმაც მძლავრად „შეარყია“ სენკევიჩის ნაწარმოებზე აღზრდილი საზოგადოების ტრადიციული გემოვნება და შეხედულებები, უხეშად დაარღვია ლიტერატურაში გაბატონებული კონსერვატორული სტილი და რეალიზმის ჩარჩოები.

მწერალი, დრამატურგი და თეორეტიკოსი სტანისლავ პრშიბიშევესკი პოლონეთის პრუსიულ ნაწილში, სოფლის მასწავლებლის





დაგნი იული ვაჟიშვილთან ერთად

ოჯახში დაიბადა და ადგილობრივ გიმნაზიაში განათლებას გერმანულ ენაზე ეუფლებოდა. კათოლიკური ეკლესიის ტრადიციებზე მკაცრად აღზრდილი ყმანვილი საეკლესიო სიმღერებისთვის ტექსტებს წერდა. შემდეგ კი სწავლის გასაგრძელებლად ბერლინში გაემგზავრა. არქიტექტურის ფაკულტეტზე სწავლის დროს მისი ინტერესის საგანი ფსიქოლოგია ხდება, პროფესიულ განხრას იცვლის და სამედიცინო ფაკულტეტზე აგრძელებს სწავლას. პრშიბიშევსკის ადამიანის ფსიქოლოგიისადმი ღრმა ინტერესი, უპირველესად, დრამებსა და ფილოსოფიურ ესეებში გამჟღავნდა.

გერმანიაში „პოლონეთის გენიად“ წოდებული პრშიბიშევსკი ზიგმუნდ ფროიდზე არანაკლები ინტენსივობითა და მიზანსადახულობით იკვლევდა ადამიანის ქვეცნობიერ შრეებს, სულიერ მდგომარეობას, სკანდალური და ეპატაჟური ფსიქოანალიტიკური თეორიებით იხვეჭდა სახელს — მისი ფსიქოლოგიური თუ მისტიური დრამების არაორდინალური, ექსცენტრიული პერსონაჟები მუდამ ბოზოქარ, ცეცხლოვან ვნებათა ჭიდილში არიან და საბედისწერო თამაშში ჩართულნი, საბოლოოდ სიკვდილის გზას ირჩევენ და იღუპებიან. მათთვის სახასიათოა ალოგიკური, ექსტაზური ქცევა, ბოჰემური არტიზმი, თვითგვემისკენ და თვითმკვლევობისკენ დაჟინებული მისწრაფება. დანაშაული და მკვლევობა, ფატალიზმი და ეროტიზმი პრშიბიშევსკის დრამების ნამყვანი მოტივები ხდება, რაც მის შემოქმედებაში განსაკუთრებით „გამძაფრდა“ დაგნის

სიკვდილის შემდეგ. უცნაურია, რომ დაგნის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები (ფატალურად) მოგვაგონებს პრშიბიშევსკის ექსცენტრიულ დრამებს — თითქოს ყველაფერი მისი დრამის კანონებით წარიმართა — ამ „დრამის“ პერსონაჟები თითქოს, ფატალიზმისა და დემონური ძალების ტყვეობაში აღმოჩნდნენ, მათთვის ერთადერთი გამოსავალი სიკვდილი ან თვითმკვლევობა დარჩა....

„გრანდ ოტელში“ დატრიალებული სისხლიანი დრამა შეიძლება დავუკავშიროთ მწერლის ახირებულ, პარადოქსალურ ფილოსოფიურ კონცეფციას „გაშიშვლებულ სულზე“, რომლის მიხედვით ადამიანი ევოლუციური ჯაჭვის ნაწილია (ამება, თევზი, ფრინველი, ცხოველები); ადამიანის აზრებსა და სურვილებს წინასწარ განსაზღვრავენ ინსტინქტები და ბუნების ბნელი ძალები. სიყვარული, რომელიც ბუნების ძალების მიერ იმართება, ინდივიდზე დამამცირებლად მოქმედებს და მხოლოდ ბიოლოგიური თვითგადარჩენის ინსტინქტითაა განპირობებული, ამიტომ ადამიანის ქვეცნობიერ სამყაროს ცხოველური ინსტინქტები მართავს. ამავე კონცეფციით, „შიშველ სულს“ „ფიზიოლოგიური მეხსიერება“ გააჩნია და თვითგამოვლენას ანომალურ ფსიქიკურ მდგომარეობაში ახდენს, მაგალითად, როგორცაა ისტერია, ჰალუცინაციები, შეშლილობა. სტანისლავ პრშიბიშევსკი მაგალითისთვის იხმობდა შუა საუკუნეების ეპოქას, როცა სული „შიშვლდებოდა“ დემონიზმით, ჯგუფური ფსიქოზით შეპყრობილ ადამიანებში და საიდუმლო რიტუალების დროს. სექსუალურ ლტოლვას იგი დემონურ გამოვლინებად მიიჩნევდა. „მოდერნიზმის შამანად“ წოდებული მწერლის ნაწარმოებიდან



ვლადისლავ პრშიბიშევსკი და დაგნი იული




გამოირჩევა მისი დრამა „თოვლი“, რომელიც დაგნის სიკვდილის შემდეგ დაინერა. მასში გამოძახილი ჰპოვა ავტორის ფსიქოანალიტიკურმა თეორიებმა დანაშაულისა და თვითმკვლელობის შესახებ.

სტანისლავ პრშიბიშევსკი ახალგაზრდობიდანვე ორიენტირებული იყო გერმანულ კულტურასა და ფილოსოფიაზე, რამაც გადაწყვეტად იმოქმედა მის ესთეტიკურ შეხედულებებზეც. აღსანიშნავია, რომ მას, როგორც გერმანულ მწერალს უფრო მეტად აფასებდნენ და იცნობდნენ გერმანიის ლიტერატურულ ნრეებში, ვიდრე საკუთარ სამშობლოში. გერმანულ ენაზე გამოიცა მისი ნაწარმოებები: „სატანის შვილები“ („Homo Sapiens“), „ინდივიდის ფსიქოლოგიისთვის – შოპენი და ნიცშე“ და სხვ.

აშკარად გამოხატულმა გერმანოფილმა სტანისლავ პრშიბიშევსკიმ XIX საუკუნის 90-იან წლებში სამწერლო კარიერა ბერლინში გერმანულ ენაზე შეთხზული ფილოსოფიური ესეებით, თეორიული წერილებითა და ფსიქოლოგიური დრამებით შეიქმნა. ზედმეტად ემანსიპირებული და თავისუფალი სიყვარულის მომხრე დაგნი იული პრშიბიშევსკიმ გერმანიაში გაიცნო, პირველ მუელლეს და ცილდა და მასზე დაქორწინდა. დაგნის მეშვეობით დაუახლოვდა იგი ბერლინის ბოჰემურ საზოგადოებას, სადაც სკანდინავიის გამოჩენილი და არანაკლები სკანდალურობით გამოჩენილი პიროვნებები ტრიალებდნენ — ნორვეგიელი მხატვარი ედვარდ მუნკი, შვედი მწერალი და დრამატურგი ავგუსტ სტრინდბერგი, ეს უკანასკნელი ამავდროულად, მოდერნისტული მიმდინარეობის „ახალი სკანდინავიის“ ლიდერი ხდება.

პრშიბიშევსკის სოციალ-რეფორმისტული და ულტრანაციონალისტური იდეების გამოხატველად იქცა მისი რედაქტორობით გამოცემული „მუშათა გაზეთი“, რომელიც ბერლინში პოლონელ ემიგრანტთა წრეებში ვრცელდებოდა.

თავის ცნობილ თეორიაში „Confiteor“, პრშიბიშევსკი ირონიულად და მისთვის ჩვეული სარკაზმით განიხილავდა ცნებას „ხელოვნება ხალხისთვის“. მისთვის მიუღებელი იყო ის ხელოვნება, რომელიც პატრიოტული გრძნობების აღზრდას, გართობას, მორალურ თუ საზოგადოებრივი მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა — ის გამეხებით გამობდა ხელოვნებას, რომელიც მორალიზატორისა და განმანათლებლის ფუნქციას ასრულებდა. მისი აზრით, ხელოვანი არ უნდა იყოს ხალხის მსახური და აღმზრდელი, ის არ ეკუთვნის არც ხალხს და არც საზოგადოებას, ის მაღლა დგას სამყაროზე, ცხოვრებაზე, ყოველგვარ კანონსა და შეზღუდვებზე. პრშიბიშევსკი არასოდეს განსჯის თავის პერსონაჟებს, რომლებსაც „ზეადამიანებს“ უწოდებს (ნიცშეანული



ედვარდ მუნკი

მოტივი) და მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამორალურები, ლოთები, ქალის მაცდურები, ფსიქოპათიით, ნევრასტენიით შეპყრობილნი არიან. მათ არ გააჩნიათ მორალური ნორმები, არც შებრალების უნარი. ისინი ძლიერი, შეუპოვარი ბუნებისა და იმპულსური ქმედების ინდივიდები არიან, რომლებიც ცზად ყველაფერს ანგრევენ, ერთდროულად ცხოველური ინსტინქტები ამოდრავებთ და სიყვარულის ფატალური ვნებითაც იტანჯებიან.

პრშიბიშევსკი მიიჩნევდა, რომ ჭეშმარიტმა შემოქმედმა უნდა ასახოს მხოლოდ „გრძნობები, აზრები, შთაბეჭდილებები და სიზმრები, უნდა აღბეჭდოს ის, რაც უშუალოდ ჩნდება სულში, ლოგიკური თანმიმდევრობის გარეშე...“ მისი „თეორიები“ ასევე ეხებოდა მამაკაცური ბუნების უპირატესობას ქალურ ბუნებაზე.

ორი ძლიერი ინდივიდის თანაყოფობა და თანაცხოვრება თავისთავად განწირულია ოჯახური დრამისთვის, თუმცა „გრანდ-ოტელში“ დატრიალებული სისხლიანი დრამა ბევრად გასცდა ოჯახური თუ სასიყვარულო დრამის ფარგლებს — მასშტაბურობა შეიძინა და საუკუნოვანი ისტორიის მიუხედავად, მაინც არ კარგავს იდუმალებას და მისტიურ საბურველს.

პრშიბიშევსკი დიდი ხნის განმავლობაში განიცდიდა დედის გავლენას, რომელსაც თავის ავტობიოგრაფიაში მოიხსენიებდა, „არაჩვეულებრივად მუსიკალურ და წმინდა ადამიანად“. ალბათ, ქვეცნობიერად დაგნისაც თავის დედას ამგავსებდა — დაგნი პროფესიით მუსიკოსი იყო, შესანიშნავად უკრავ-





ვლადისლავ პრშიბიშევესკი

და, ქმარმა მას უმაღლესი იდეალი, წმინდანი და სული უწოდა, მუწკმა კი თავის ერთ ნახატში — მადონა.

1898 წლიდან პრშიბიშევესკი დაგნისთან ერთად პოლონეთის ძველ დედაქალაქში — კრაკოვში გადასახლდა, სადაც ასევე რედაქტორობდა ლიტერატურულ-მხატვრულ გამოცემას „ახალ ცხოვრება“-ს. ცოლ-ქმარს ორი შვილი გაუჩნდა — ზენონი და ივა. ამ პერიოდში ოჯახის ფინანსური მდგომარეობა საგრძობლად გართულდა... დაგნის ორი შვილის გაზრდაზე უნდა ეზრუნა, ქმარი კი უსახსრობის გამო იძულებული იყო გაზეთი დაეხურა. შესაძლოა, ამ ოჯახური კრიზისიდან გამოსვლის მიზეზი ახალგაზრდა ემერიკთან დაახლოებაც იყო — მამისგან ფინანსურად უზრუნველყოფილი, თავპარიანი, ყმანვილური ენერგიითა და ძლიერი ვნებებით დამუხტული ემერიკი პოლონელ-ნორვეგიელი ოჯახური წყვილისთვის ერთგვარი გარანტია იქნებოდა, რომ მატერიალური სიდუხჭირის ჩიხიდან გამოვიდოდა. საინტერესოა, რომ დღეს არსებული ფოტოებიდან, სადაც დაგნის პორტრეტებია აღბეჭდილი, მათში ადვილად ამოიკითხავთ მარტოსული, ფატალური ქალის ტრაგიზმს და ძლიერ სულიერ დრამას, რაც ერთგვარ წინასწარმეტყველურ განცდებთან არის შერწყმული — გარეგნულად ცივი, დინჯი და ინტელექტუალური ქალის სახეზე ნაღვლიანი მზერა და ძლიერი შინაგანი ვნებებიც იკითხება. ერთადერთი ფოტო, სადაც დაგნი ბედნიერია და ხალისიანი, ეს მისი დედობის პერიოდის ფოტოა — პატარა ზენონით ხელში. ეს ფოტო მიგვანიშნებს, რომ დაგნის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყებოდა — ის მზად იყო

გამიჯნოდა თავის ძველ ბოჰემურ გარემოს, თავიანთი მცემელი მამაკაცების კამპანიას, (მათგან ზოგიერთი ოკულტიზმის იდეებითაც იყო გატაცებული, მათ შორის სტანისლავიც) რაც ასე მუდმივად ახლდა მას. ის იყო ამ ბოჰემური გარემოცვის (პრშიბიშევესკის ჩათვლით) უმაღლესი იდეალი, „წმინდანი“, და ამასთანავე, მუდმივი ეჭვის, განხეთქილებისა და ფატალური ვნების ობიექტი. მხატვარი ედვარდ მუნკი დაგნის ყოველთვის თავაზიანად მიმართავდა და ლედის ეძახდა, რაოდენ ნასვამ მდგომარეობაშიც არ უნდა ყოფილიყო იგი. დაგნი კი აბხენტის სმით გაბრუებული საზოგადოების „სული“ იყო.

მნიშვნელოვანი რამდენიმე მომენტი, რაც დაგნის გარდაცვალებამდე ფიქსირდება — რამდენიმე ხნით ადრე საიდუმლო ვითარებაში გარდაცვალა პრშიბიშევესკის პირველი ცოლი მარტა, რომლისგანაც მას სამი შვილი ჰყავდა. ყოფილი ცოლის სიკვდილი პრშიბიშევესკის დაბრალდა და ამის გამო ის ციხეშიც ჩასვეს, თუმცა, მკვლელობა არ დაუმტკიცდა, რის გამოც გაათავისუფლეს; არსებობს ვერსია, რომ ქალი გაზით მოინამლა. საგულისხმოა, რომ ბერლინიდან პარიზში დაბრუნებული სტრინდბერგი ალქიმიკური ექსპერიმენტებით იყო გატაცებული და ედვარდ მუნკს — მისი საზოგადოების მუდმივ თანამგზავრს, მისი გაზით მოინამვლის მცდელობაში ადანაშაულებდა. შავი მაგიითა და ოკულტური რიტუალებით გატაცება უცხო არ იყო საზოგადოებისთვის, რომლის აქტიური წევრი თავად პრშიბიშევესკიც იყო.

90-იანი წლების ბოლოს, დაგნისაც აქვს პრეტენზია მწერლობაზე, მას არ აკმაყოფილებს იყოს მუდამ „ვნებისა და ეჭვის ობიექტი“, მუნკის ნახატების მუდმივი პერსონაჟი, მას არ შორდება ფატალური და საბედისწერო ქალის იმიჯი... დაგნიმ რამდენიმე ლექსი და ნოველა დაწერა, თუმცა, გენიალური ადამიანების ჩრდილში, მან ლიტერატურული ნიჭის რეალიზება ვერ მოახდინა. მით უმეტეს, იმხანად პრშიბიშევესკის ირგვლივ ნამდვილი ბუმი გაჩაღდა, ქმრის გვერდით კი დაგნი მხოლოდ ქალი, დედა, მეუღლე და „უმაღლესი იდეალი“ იყო. რევოლუციურად მოაზროვნე პრშიბიშევესკი კი ნიჰილისტური და ცინიკური იყო ოჯახური ტრადიციებისა და ეთიკის მიმართ.

როდესაც გერმანიიდან პოლონეთში დაბრუნებულმა პრშიბიშევესკიმ საცხოვრებლად ქალაქი კრაკოვი აირჩია, დაგნიმ გული აიცრუა მისთვის უცხო და პროვინციულ გარემოზე. როდესაც თბილისში მყოფი დაგნი ქმართან დაბრუნებას და თბილისიდან გამგზავრებას ლამობს, ამ დროს პრშიბიშევესკის ირგვლივ სკანდალური ამურული ისტორიები ვითარდება — მას ერთდროულად ორ ქალთან აქვს სასიყვარულო რომანი, ერთი მათგანი მისი მეგობრისა და პოეტ-მოდერნისტის



იან კოსპროვიჩის მეუღლე იადვიგაა, მეორე კი ცნობილი პოლონელი მხატვარი – ანელი პაენკი, რომლისგანაც მას გაუჩნდა შვილი – ვლადისლავა. ასე რომ, ამ სკანდალური და ბოჰემური პიროვნების ცხოვრებაში ახალი მუზები ჩნდებიან — მისი სათაყვანებელი იდეალი და „სული“ — დაგნი კი თანდათან ქრება მისი ცხოვრების არაელიდან, თუმცა, მხოლოდ დროებით...

ვლადისლავა პრშიბიშევსკაია მამის კვალს გაჰყვა — ის დრამატულ ნაწარმოებებს წერდა, თუმცა ყოველგვარი წარმატების გარეშე. იგი გასული საუკუნის 30-იან წლებში გარდაიცვალა — დაახლოებით იმ ასაკში, რა ასაკშიც დაგნი დაიღუპა. ვლადისლავას სახელი მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გახდა ცნობილი. მისი დრამის „დანტონის საქმის“ მიხედვით ცნობილმა პოლონელმა რეჟისორმა ანჟეი ვაი-დამ გადაიღო ფილმი, სადაც დანტონის როლს ჟერარ დეპარდიე – ფრანგული კინოს ვარსკვლავი ასრულებს.

დაგნის სიკვდილის შემდეგ პრშიბიშევსკის დრამებში „ოქროს საწმისი“ (1901) და „თოვლი“ (1903) მართლაც გააქტიურდა ბედისწერისა და ფატალიზმის მოტივები. ცოტა ხანში ამ მწერლის შემოქმედების მიმართ ინტერესი საგრძნობლად ცხრება, მალე კი დავიწყებასაც მიეცემა. მეუღლის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ მისი პიროვნული მეტამორფოზაც კი ხდება — I მსოფლიო ომის დროს ის გერმანიის აქტიურ მომხრედ და მისი პოლიტიკის ქომაგად გამოდის, ერთი პერიოდი გერმანიაში ცხოვრობს, განსაკუთრებით ნეგატიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ბოლშევიკური რევოლუციისა და კომუნისტური იდეოლოგიის მიმართ — რადიკალურად ემიჯნება პროლეტარიატის მასებს, ამაოდ ცდილობს შეინარჩუნოს ღრმა ინდივიდუალისტიკისა და მოდერნისტული მსოფლმხედველობის, მემამოხე ესთეტიკის ტიტული. დეკადენტური და აპათიური ლიტერატურიდან პრშიბიშევსკი პოლიტიკაში გადაეშვა — ის გერმანია-პოლონეთის ალიანსის გულშემმატივარი, გერმანიის მგზნებარე აპოლოგეტი ხდება, თავისი პატრიოტული წერილებით პოლონეთს გერმანიასთან კავშირისკენ მოუწოდებდა „წმინდა ომში“. სულიერად დეგრადირებული, თვითმკვლელობისკენ მიდრეკილი, ცოდვით დაცემული, მისტიციზმითა და ეროტიზმით შეპყრობილი მისი ლიტერატურული პერსონაჟები კი ომში მსხვერპლმწივრით, ზნეობრივი განწმენდით გამოისყიდნან თავიანთ დანაშაულებს.

20-იანი წლების დასაწყისში ფსიქოლოგიურად და მორალურად დამძიმებული, გადაღლილი პრშიბიშევსკი პოლონეთში დაბრუნდა. სახელმწიფო თუ ფილისტერული საზოგადოების ინსტიტუტების წინააღმდეგ ერთ დროს ოპოზიციურად და რევოლუციურად განწყობილი პრშიბიშევსკი მოულოდნელად,

ლოიალურ და შემრიგებლურ პოზიციას იჩენს ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ; ერთ დროს მისი ერთ-ერთი სკანდალური დრამის — „სატანის შვილები“ პერსონაჟები გამეხებით ანგრევდნენ საზოგადოების ეთიკურ თუ მორალურ სისტემას, რევოლუციური ალტკინებით გამოდნენ დაკანონებულ ნორმებს, არ ცნობდნენ ოჯახურ „ბორკილებს“. მაგრამ მოდერნიზმის დიდი ეპოქა დასრულდა... სიცოცხლის ბოლო წლებში პრშიბიშევსკი ჩვეულებრივ ჩინოვნიკად მსახურობდა რკინიგზისა და ტელეგრაფის დანესებულებებში, პრეზიდენტის კანცელარიაშიც, ასე დასრულდა სკანდალური მწერლის კარიერა და მშფოთვარე ცხოვრებაც.

1926 წელს, ავტორის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე გამოიცა პრშიბიშევსკის დაუსრულებელი მემუარები „ჩემი თანამედროვენი“, რომლითაც ის კიდევ ერთხელ წარმოჩინდა, როგორც გერმანული მოდერნიზმის ფუძემდებელი და მისი აქტიური პროპაგანდისტი.

ერთ დროს სკანდალური და ეპატაჟური მოქმედებებით ცნობილი მწერალი პოლონეთის ერთ პატარა, მიყრუებულ სოფელში — იარონტოვოში გარდაიცვალა. ის მოკვდა ყველასგან მივიწყებული, როგორც უბრალო ჩინოვნიკი და სახელმწიფო მოხელე. ამბობენ, რომ ღრმა სინანულის შემდგომ იგი დაუბრუნდა კათოლიკური ეკლესიის წიაღს. ღრმა სინანულის საფუძველი კი ერთ დროს მისი სატანიზმით და შავი მაგიით გატაცება იყო, რასაც ის არასდროს უარყოფდა, პირიქით, ეს უფრო მეტ ლეგენდარულ, იდემალების საბურველს სძენდა მის პიროვნებას.

ედვარდ მუნკმა პრშიბიშევსკის ერთი უც-







მუნკი

ნაური პორტრეტი დახატა — თითქოს დაუსრულებელ ტილოზე მამაკაცის მოჭრილი თავია გამოსახული — ნითელთმიანი და ჟღალწვერა „კაცუნას“ ფიგურა პატარა დემონს უფრო ჰგავს (აქ ის მართლაც ჰგავს „მოდერნიზმის შამანს,“ როგორც მას უწოდებდნენ), რომლის სული და სხეული სურათის სივრცეში ჩაკარგულა და სიბრტყეზე მხოლოდ ადამიანის ჩონჩხის ნაწილებს — შავი მაგიის „დეტალებს“ ამოიცნობთ. კაცის ფიგურა, თითქოს საიდუმლო რიტუალის მონაწილეა და სადაცაა გაუჩინარდება, გაჰქრება თეთრ ტილოდან. თუ დავაკვირდებით, ის ქრისტეს სრული ანტიპოდი — დემონურ ძალებთან ასოცირებული ფიგურა. ჩემი აზრით, მუნკმა იკონოგრაფიულად გავრცელებული, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საპირისპირო — ანტიქრისტეს სახეხატი შექმნა.

1899 წელს ცნობილმა პოლონელმა პუბლიცისტმა ანდრეი ნამოვესკიმ პრშიბიშევსკის უწოდა „სკანდალის თეორეტიკოსი“. თავისი წერილებიდან ის პირდაპირ მიმართავდა პრშიბიშევსკის, როგორც ამორალურ პიროვნებას, რომელიც ბილწავდა ყოველივეს, რასაც ის შეეხებოდა — მის მფარველობის ქვეშ მყოფ ყმანვილებსა და ქალბატონებს, რომლებთანაც ურთიერთობდა, ლიტერატურულ მიმდინარეობას, რომლის ქურუმად საკუთარ თავს წარმოაჩენდა: „შენ შებილწე მწერლის ღირსება, თავს მოახვიე პუბლიკას შენი პირადი ცხოვრების საიდუმლოებები, შენი მანიფესტებით ხელოვნებიდან მოისროლე სიტყვა — ეთიკა“ — ასეთი განაჩენი ნაუყენა მას ცნობილმა ლიტერატორმა და პუბლიცისტმა დავნის სიკვდილამდე ორი წლით ადრე...





შოთა რუსთაველის ძეგლი მოსკოვში  
მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი

თენგიზ  
ყიფიანი

ჩუბინაძე – 800

„ბოროტსა სძლია კეთილმან,  
არსება მისი გრძელია“

„საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის პრემიერას ოქსფორდის თეატრის 2500 მაყურებლიანი დარბაზი აღფრთოვანებული ხვდება...“

გამოჩნდნენ თუ არა ქართულ ჯავშნებში ჩამსხდარი ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, ტაშმა იგრიალა. ვერცხლის ბექთარის ფერადი ანარეკლების ათინათი მაყურე-

ბლებით გადაჭედული პარტერისაკენ სხივდება და ჰეროიკულ სურათს ზღაპრულ ელფერს მატებს.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები რაინდული მანერებით უახლოვდებიან „ქაჯეთის ციხის“ კარიბჭეს...

სცენაზე შემოდიან საუცხოო კოსტიუმებით შემოსილი ნესტანი და თინათინი — ულამაზესი ასულები...

პარტერი სულგანაბული შეჰყურებს თენგიზ უთმელიძის ტარიელს. აი, მან მოითათბირა მეორე გმირთან — ავთანდილთან (თენგიზ სუხიშვილი), ფრიდონის როლი მინდობილი აქვს ფრიდონ სულაბერიძეს... და თუ ამ სამ გმირს დავუმატებთ ნესტან-დარეჯანის (ლატავრა ფოჩიანი) ნარნარ სიკვკლუცეს, თინათინის (ნინო კირვალიძე) ღვთაებრივ ჰაეროვნებას და ასმათის (მანანა აბაზაძე) მომხიბვლელობას, გასაგები გახდება, რატომ ჩაახშო მუსიკა ტაშის გრიალმა და ხმა რატომ მოუმატა მუსიკოსების მიკროფონებს შემფოთებულმა გუგული ყიფიანმა.

„ქაჯეთის ციხის აღებით“ ანსამბლმა ინგლისელ მაყურებელთა დარბაზი აიღო... ეს იყო სრული სენსაცია, სრული ტრიუმფი“.

ქართლოს კასრადე  
(ნიგნიდან „ტრიუმფით მსოფლიოს გზებზე“)

1966 წელს, სრულიად საქართველომ, მთელი მსოფლიოს პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად დიდი ზეიმით აღნიშნა გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილე.

ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას საყოველთაო რეზონანსი მიეცა. საქართველოს პარტიისა და მთავრობის საგანგებო დადგენილების შესაბამისად, რუსთაველის საიუბილეო ღონისძიებებისათვის მზადებაში აქტიურად ჩაერთვნენ კულტურისა და ხელოვნების დარგების წარმომადგენლები: თეატრისა და კინოს მოღვაწეები, კომპოზიტორები და მხატვრები, მეცნიერები და მწერლები, წამყვანი პროფესიული ფოლკლორული კოლექტივები, გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლები...

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლს ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით, ზემდგომმა ორგანოებმა საგანგებო და მეტად საპასუხისმგებლო მისია დააკისრეს: ანსამბლს საიუბილეოდ უნდა მოემზადებინა მუსიკალურ-ქორეოგრაფიული დადგმა „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე.

აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდისათვის უკვე საქვეყნოდ აღიარებული ცეკვის აკადემიური ანსამბლი თავისი შემოქმედების ზე-



ნიტში იმყოფებოდა და მაღალი საერთაშორისო რეპუტაციით სარგებლობდა. ქართველ მოცეკვავეთა ტრიუმფალურ გამოსვლებს მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში პრესა არნახულ შეფასებას აძლევდა. ამგვარ შთაბეჭდავ ნარმატებებს, რა თქმა უნდა, განაპირობებდა ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის დიდი ტალანტი და ძალისხმევა, 60-ანი წლების ლეგენდარული ანსამბლის ნიჭიერ მოცეკვავე-მსახიობთა უძლიერესი შემადგენლობა, რომელთა შორისაც გამოირჩეოდნენ დახვეწილი ტექნიკისა და ინდივიდუალური ხელნერის მქონე ბრწყინვალე სოლისტები...

გადაწყდა, რომ ანსამბლი რუსთაველის საიუბილეოდ მოამზადებდა ქორეოგრაფიულ-მუსიკალურ კომპოზიციას „ქაჯეთის ციხის აღება“.

ბევრისთვის ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თემას სხვადასხვა დროს არაერთმა ბალეტმაისტერმა მიმართა და განხორციელდა სხვადასხვა დადგმები როგორც ჩვენში, ასევე რიგი ქვეყნების სცენებზე. რუსთაველის უკვდავი ნაწარმოების მიხედვით რაიმეს შექმნა კი ქართული ეროვნული ქორეოგრაფიის საშუალებით, პირველი მცდელობა იყო და განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე აყენებდა ანსამბლის მთელ კოლექტივს.

უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ცეკვის აკადემიური ანსამბლის შემოქმედებითი ცხოვრება იმუამად მეტად აქტიური და ნაყოფიერი იყო: იქმნებოდა ახალი ცეკვები, მდიდრდებოდა რეპერტუარი, იხვეწებოდა ტრადიციული დადგმები. ამჯერად კი ანსამბლი ფრიად საპატიო, თუმცა საკმაოდ რთული ამოცანის გადაწყვეტის წინაშე დადგა.

მას შემდეგ, რაც ზემდგომ ორგანოებთან საბოლოოდ შეთანხმდა ანსამბლის ხელმძღვანელთა ჩანაფიქრი (იმ დროს ეს, როგორც წესი, აუცილებლობას წარმოადგენდა), დაიწყო მოსამზადებელი ეტაპი. ანსამბლის ყველა წევრი მლელვარებით ველოდით ახალ დადგმაზე მუშაობის დაწყებას.

და აი, დადგა ეს დღეც. ანსამბლის ხელმძღვანელებმა მთელი შემოქმედებითი დასი სარეპეტიციო დარბაზში შეგვკრიბეს. ილიკო სუხიშვილმა მისთვის ჩვეული ემოციურობით გაგვაცნო „ქაჯეთის ციხის აღების“ სცენარი, კომპოზიციის ცალკეული სცენების თანმიმდევრობა, სხვა დეტალები. ახალ დადგმაში მონაწილეობას მიიღებდა ანსამბლის აკადემიური დასის მთლიანი შემადგენლობა. ილიკო სუხიშვილის, ნინო რამიშვილისა და სოლიკო ვირსალაძის ერთობლივი გადაწყვეტილებით მთავარი პარტიების შემსრულებლებად დაინიშნენ: ლატავრა ფოჩიანი — ნესტან-დარეჯანი, ნინო კირვალაძე — თინათინი, მანანა აბაზაძე — ასმათი,



მარცხნიდან: თენგიზ სუხიშვილი, თენგიზ უთმელიძე და ფრიდონ სულაბერიძე





მარცხნიდან: მანანა აბაზაძე, ლატავრა ფოჩიანი და ნინო კირვალაძე

თენგიზ უთმელიძე – ტარიელი, თენგიზ სუხიშვილი – ავთანდილი, ფრიდონ სულაბერიძე – ფრიდონი.

კოსტიუმების მომზადება და სასცენო დეკორაციების შექმნა ითავა გამოჩენილმა თეატრალურმა მხატვარმა, ანსამბლის უცვლელმა დიზაინერმა და ერთგულმა მეგობარმა სოლიკო ვირსალაძემ. კომპოზიციის მუსიკალური გაფორმებისათვის მოიწვიეს პოპულარული კომპოზიტორი რევაზ ლალიძე, ცალკეული სცენების დამდგმელად კი ცნობილი ბალეტმაისტერი ილია არბატოვი.

თითქმის თვენახევარი გრძელდებოდა

ინტენსიური და შრომატევადი მუშაობა. იხვენებოდა მასობრივი სცენებისა და საცეკვაო კომპოზიციების ნახაზები, მოცეკვავეთა საშემსრულებლო ტექნიკა და სამსახიობო ოსტატობა. უდიდესი შრომა გასწია სოლიკო ვირსალაძემ, რომელმაც, მისთვის ჩვეული რუდუნებითა და მაღალი პროფესიონალიზმით, მოკლე დროში შექმნა რუსთაველის ეპოქის შესატყვისი ეფექტური კოსტიუმები და შთამბეჭდავი სასცენო დეკორაციები.

როდესაც „ქაჯეთის ციხის აღებაზე“ დაძაბული და, ამასთან ერთად, შემოქმედებითად საინტერესო მუშაობა დასასრულს მი-





ნესტან-დარეჯანი — ლატავრა ფოჩიანი

უახლოვდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ქართული ცეკვის ანსამბლის ახალი ნამუშევრის სამთავრობო გასინჯვა დანიშნა. გასინჯვას ესწრებოდნენ ზემდგომი ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები, მეცნიერების, კულტურის, მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

გასინჯვის შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ხალხური ცეკვის აკადემიური ანსამბლის ახალმა ნამუშევარმა — „ქაჯეთის ციხის აღებამ“, ოფიციალური პუბლიკის აღფრთოვანება გამოიწვია. აღნიშნა დადგმის ორიგინალური ქორეოგრაფია, ეფექტური სასცენო კომპოზიციები, მთამბეჭდავი მუსიკალური თანხლება, ანსამბლის მოცეკვავეთა მაღალი პროფესიონალიზმი და, რა თქმა უნდა, სოლიკო ვირსალაძის მიერ უზადო გემოვნებით წარმოდგენილი ბრწყინ-

ვალე მხატვრობა. დამსწრეთა შეფასებით ეს იყო ახალი სიტყვა ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში.

სამწუხაროა, რომ ეს ულამაზესი ქორეოგრაფიული სპექტაკლი რატომღაც არ არის გადაღებული კინოფირზე. შემორჩენილია მხოლოდ ფოტოსურათების მწირი რაოდენობა.

ვეცდები მკითხველისათვის აღვიდგინო და შეძლებისდაგვარად მოკლედ აღვწერო ამ ისტორიული დადგმის თანმიმდევრობა:

„სცენა გაფორმებულია „ჩამქრალი ოქროსფერი“ (ამგვარ გამოთქმას იყენებდა სოლიკო ვირსალაძე) ფარდებით, რაც მდიდრულად და ეფექტურად გამოიყურება. სცენაზე, სხვადასხვა ადგილას ჩამოშვებულ, თასის ფორმის ვერცხლისფერ კანდელებში „ცეცხლი გიზგიზებს“. უკანა ფარდის ფონზე კი, შუქ-ჩრდილებით, მიუვალი ციხე-სიმაგრის სილუეტი იკვეთება.

კომპოზიცია წყნარი, მელოდირი






თენგიზ უთმელიძე და ლატავრა ფორიანი

მუსიკით იწყება. სცენის სიღრმეში, მალე კვარცხლბეკზე, გრძელ მოსასხამებში, თავზე ვერცხლისფერ, მბზინავ ჩაჩქანებში, შეაბჯრული და ფარხმლიანი „ვეფხისტყაოსნის“ გმირები — ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი დგანან, „ქაჯეთის ციხეს“ გაჰყურებენ და „თათბირობენ“.

ეს სცენა გამოჩენილი უნგრელი მხატვრის, მიხაი ზიჩის მიერ შექმნილ ცნობილ ფერწერულ ტილოს აცოცხლებს.

შთამბეჭდავია რევაზ ლალიძის მუსიკა კინოფილმიდან „ხვეისბერი გოჩა“, რომლის საბრძოლო და დინამიური რიტმის თანხლებით, მეომარი რაინდები, განუმეო-





რებელი „ხორუმის“ დახვეწილი ილეთე-ბითა და მოძრაობებით დაზვერვის სცენას განასახიერებენ. მათ „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირები უერთდებიან.

მომდევნო სურათი „ქაჯეთის ციხის“ მცველთა — საბრძოლო კვერთხებით შეიარაღებულ, ე.წ. „ქაჯთა“ რიტუალურ ცეკვა — კომპოზიციას ეთმობა. მკვეთრი წითელი განათების ფონზე, მუქი ფერის კოსტიუმებში შემოსილი ნიღბებიანი მოცეკვავეების მოძრაობები უჩვეულოა, ძალზე დინამიური და სრულდება ვირტუოზულად.

შემდეგი სცენა „რაინდთა“ და „ქაჯთა“ შეუპოვარ შერკინებას ასახავს. ეფექტური განათებისა და რევან ლალიძის ცეცხლოვანი „საჭიდაოს“ ფონზე მოცეკვავეთა მიერ მაღალტექნიკურად შესრულებული წარმოდგენა კულმინაციას აღწევს.

„დიდი ბრძოლა“ რაინდთა ბრწყინვალე გამარჯვებით მთავრდება.

შემდეგ იწყება გამარჯვების ამსახველი მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია, რომლის პირველი ნაწილი „ქაჯეთის“ ტყვეობიდან გამოსხნილ ნესტან-დარეჯანთან შეხვედრის სურათს წარმოადგენს.

გულშიჩამწვდომად უღერს კომპოზიტორ არჩილ ჩიმაკაძის ჩინებული მუსიკა „შენ გიგალობ“. ორ რიგად ჩამწკრივებულ რაინდებს მხრებზე ფარები აქვთ გადადებული, რაც პეროიკულ კიბეს წარმოსახავს. მასზე დედოფლური სიამაყით გადმოაბიჯებს ღვთაებრივი ნესტან-დარეჯანი... ეს, ენით აღუწერელი, ულამაზესი სცენა, შეიძლება ითქვას, მთელი კომპოზიციის მშვენიერებაა.

დაბოლოს, კომპოზიციის დასკვნითი, საზეიმო ნაწილი: გამარჯვებულ, ბრვე რაინდთა შორის, გრაციოზულად და-

გოგმანებენ ტანწერწეტა, ულამაზესი ასულები. მოძრაობათა მრავალფეროვანი გამა, ორიგინალური და დახვეწილი ქორეოგრაფიული ნახაზები და თვალის-მომჭრელი ბრწყინვალე გასაოცარ თეატრალურ ეფექტს ქმნის...

იმარჯვებს სიკეთე, მეგობრობა, სიყვარული....“


„ქაჯეთის ციხის აღება“ პირველად შესრულდა 1966 წლის სექტემბერში, შოთა რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილ გრანდიოზულ საიუბილეო საღამოზე, რომელიც თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა. ახალმა დადგამმა ქართულ მყურებელთა და საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნიდან მოწვეულ სტუმართა საერთო აღტაცება გამოიწვია. სპეციალისტებმა და პრესამ მაღალი შეფასება მისცეს ქართული ხალხური ცეკვის აკადემიური ანსამბლის ახალ ნამუშევარს.

1966 წლის ოქტომბერში რუსთაველის საიუბილეო დღეებმა მოსკოვში გადაინაცვლა. გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ საბჭოეთის დედაქალაქიც ამ დიდი მოვლენით ცხოვრობდა. ეს იგრძნობოდა ყველგან. საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის ფასადს, სადაც დასკვნითი საიუბილეო საღამო იყო დანიშნული, რუსთაველის უზარმაზარი პორტრეტი ამშვენებდა წარწერით — 800.

საიუბილეო დღეს, 25 ოქტომბერს, მოსკოვის ერთ-ერთი ცენტრალური მაგისტრალის „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ლამაზ სკვერში საზეიმოდ გაიხსნა შოთა რუსთაველის ძეგლი, რომლის ავტორია გამოჩენილი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი. ძეგლის გახსნას ესწრებოდა სკკპ მთელი პოლიტიბიურო ლ.ი. ბრეჟნევის მეთაურობით.



## ლატავრა ფოჩიანი, თენგიზ უთმელიძე



იმავე დღეს, დიდ თეატრში დასკვნითი საიუბილეო საღამო გაიმართა. მას სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის პირველი პირები დაესწრნენ, აგრეთვე მოსკოვის კულტურისა და ხელოვნების, მეცნიერების, მწერლობის მთელი ელიტა, მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ქართული კულტურის თაყვანისმცემლები. ჩვენთვის განსაკუთრებით საამაყოა, რომ ამ დაუეიწყარ და ისტორიულ დღეებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მიერ მომზადებულმა ახალმა ქორეოგრაფიულმა კომპოზიციამ „ქაჯეთის ციხის აღება“, რომელიც, შეიძლება ითქვას, რუსთაველის საიუბილეო დღეებს გვირგვინად დაედგა თავზე. „ქაჯეთის ციხის აღებამ“ მყარად დაიმკვიდრა ადგილი ანსამ-

ბლის რეპერტუარში. საგულისხმოა, რომ იგი წარმატებით სარგებლობდა საზღვარგარეთ, კერძოდ, ინგლისში, შოტლანდიაში, იტალიაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში და სხვა.

თამამად შეიძლება ითქვას: საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მიერ 1966 წელს დადგმული ახალი ქორეოგრაფიული ნამუშევარი „ქაჯეთის ციხის აღება“, მიძღვნილი რუსთაველის 800 წლისთავისადმი, განსაკუთრებულ ნიშანსვეტად იქცა ანსამბლის შემოქმედებით ცხოვრებაში და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული კულტურისა და კერძოდ, ეროვნული ქორეოგრაფიის უმდიდრეს მატ-იანეში.





გიო ხუციშვილი და ნათია ქოროლიშვილი

# მართამ ქორიქოლაძე

## სიბლუჩაა მთელი ჩემი სხოპხება...

ნათია ქოროლიშვილთან ოჯახურ გარემოში შეხვედრისას, დაუფერებლად მოგეჩვენებათ, რომ ეს მშვენიერი გოგონა ორი მოზრდილი შვილის დედა და ის მომღერალია, რომელმაც 2006 წლის „ჯეოსტარის“ მაყურებელი შეძრა „კახეთოს“ და „ლალეს“ განსაკუთრებული შესრულებით.

ნათია ქალაქ გურჯაანში დაიბადა და გაიზარდა. მისი მამა, გურჯი ყოჩაშვილი (ქოროლიშვილი ნათიას მეუღლის გვარია), კახეთის რეგიონში ცნობილი ლოტბარი, განსაკუთრებით კახური სიმღერების გამორჩეულად შემსრულებელი გახლავთ.

პატარა ნათია ბავშვობიდან ეზიარა ქართული ხალხური სიმღერის სიღრმეებს

და სამუდამო კვალი დატოვა მასში. მუსიკალობითა და გარეგნობით გამორჩეული ქ. გურჯაანის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ცეკვავდა სოლო პარტიებს და არაერთი კონკურსის ლაურიატიც გახლავთ, როგორც ქორეოგრაფიის, ასევე ვოკალის განხრით.

ადრეულ ასაკში გათხოვებას და ორი შვილის დედობას ხელი არ შეუშლია ნიჭიერი გოგონასათვის გაეგრძელებინა მოღვაწეობა, როგორც საესტრადო მომღერალს. „ჯეოსტარში“ მონაწილეობა კიდევ ერთი გამოცდა იყო საკუთარ ძალებში დასარწმუნებლად. ახალგაზრდა შემსრულებელი ყოველ წამს გრძნობდა მაყურებლის სიყვარულსა და მზარდაჭერას, რაც ნებისმიერ ჯილდოსა და პრიზზე მეტია ადამიანისთვის, რომელსაც სცენაზე უნევს გამოსვლა.

საბედნიეროდ, ნათიას შვილებს — ლელასა და აკაკისაც გამოჰყვათ დედისა და პაპის მუსიკალური გენები. ოჯახურმა ტრიომ, (მამა, შვილი, შვილიშვილი) 2006 წელს, ხალხური შემოქმედების კონკურსზე „ბანი“, რომლის ჟიურიშიც ისეთი მეტრები იყვნენ მინვეულნი, როგორებიც არიან: ანზორ ერქომაიშვილი, ჯემალ ჭკუასელი, გომარ სიხარულიძე და სხვები, „გრან პრი“ მოიპოვა. მაშინ ლელა 5 წლის იყო. ოჯახური საბჭოს



გადაწყვეტილებით სწორედ მას გადაეცა ფულადი პრიზი 3000 ლარის ოდენობით.

ნათია აქტიურად არის ჩაბმული ქართულ შოუ-ბიზნესში, აქვს უამრავი საინტერესო გეგმა, რომლის განხორციელებაშიც განსაკუთრებულ მონაწილეობას იღებს მისი მეუღლე — გიორგი ქოროლიძე. გიორგისათვის ნათიას წარმატება ზუსტად იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც თავად მომღერლისთვის.

ნათიასათვის „სიმღერაა მთელი მისი ქონება“. და ეს არამხოლოდ ინსტინქტურად წამოსროლილი სიტყვებია, არამედ სასცენო ცხოვრების მიზანიც. შეიძლება ითქვას, რომ ის სიმღერით დაიბადა და სიმღერაშივე იზრდება.

ვფიქრობ, ადამიანი, ვისაც სიმღერის სიყვარული შეუძლია, არ შეიძლება იყოს ბოროტი. სიმღერა ომისა და მშვიდობის, ბედისა და უბედობის, სიყვარულისა და უსურვილობის ნაწილია. ქართველი — სიმღერით იბადება და სიმღერითვე აცილებენ ბოლო გზაზე. ალბათ, გასაკვირი არ არის, რომ მსოფლიო მეტრებმა ჯაზის აკვნად გურული სიმღერა მიიჩნიეს. ის ფაქტი, რომ კოსმოსში დედამიწის გზავნილი „ჩაკრულოა“, ნამდვილად საამაყო ჩვენთვის.

ნათია ქოროლიძე ხალხური სიმღე-

რის ფესვებზე გაიზარდა და ფიქრობს, რომ თუკი ადამიანს შეუძლია ქართული სიმღერის კარგად შესრულება, ის ნებისმიერი ქვეყნისა და ჟანრის სიმღერას შეასრულებს.

ნათიასთვის ოჯახი და სიმღერა ერთი ფენომენია. მან არცკი იცის, სად იწყება ოჯახური სიყვარული და როგორ გადადის სიმღერაში. მისი მეუღლე არა მხოლოდ საყვარელი ადამიანი და შვილების მამაა, არამედ მისი სიმღერების პირველი შემფასებელიც გახლავთ. ის ყველაზე მეტად ნერვიულობს და განიცდის, როდესაც ნათია ახალ სიმღერაზე იწყებს მუშაობას. „მინდა გითხრათ, რომ გიორგის ენთუზიაზმი იმდენად გადამდებია, ისეთი სტიმულია ჩემთვის, რომ არაფრით არ შემიძლია მისი იმედების გაცრუება,“ — ამბობს ახალგაზრდა მომღერალი.

კონკურსი „ჯეოსტარი“ პირველი სერიოზული წარმატებაა. ამ პროექტში პირველად დადგა დიდ სცენაზე და ოთხეულშიც გავიდა. ალბათ, მთელი ცხოვრება გაჰყვება ის სიყვარული, რომელსაც მთელი „ჯეოსტარის“ განმავლობაში გრძნობდა.

ნათიასათვის მისი და გიო ხუციშვილის დუეტი: „არ დამტოვებ“, რომელიც კომპოზიტორ ლილიკო ნემსაძეს ეკუთვნის, ფეხბედნიერი გამოდგა და მას, ალბათ, უფლება არა აქვს ამაზე ნაკლები სიმღერებით წარსდგეს



ნანა ცინცაძე, გივი სიხარულიძე და ნათია





დუტა სხირტლაძე და ნათია

მსმენელისა და მაცურებლის წინაშე.

დღეს ქართულ რადიოსივრცეში უკვე ტრიალებს რამდენიმე სიმღერა ნათიას შესრულებით, ხოლო საახალწლოდ იქნება ორი სიმღერის პრემიერა: დათო არჩვაძის ხალხურ მოტივებზე შექმნილი „ნუ დამიძახებ დასაო“, ანსამბლ „მოძახილთან“ ერთად და საესტრადო ჟანრის სიმღერა, რომელიც კომპოზიტორ ჯუმბერ ამანათაშვილს ეკუთვნის.

სამოხაოდ, ნათიას თაყვანისმცემლებს განსაკუთრებული სიურპრიზი ელოდებათ. პირველად აჟღერდება დუეტი მის ქალიშვილ ლელასთან ერთად. სიმღერა, რომლის სახელწოდებაცაა „რა ხდება“, კომპოზიტორ გია მაჭარაშვილს ეკუთვნის.

ნათია ლექსების ავტორს განსაკუთრებით გამოყოფს ხოლმე. ყველა მისი სიმღერის ტექსტი ნანა ცინცაძეს ეკუთ-

ვნის. ნანა არა მხოლოდ ნათიას სიმღერების ტექსტების ავტორი, არამედ მისი ოჯახის ექიმი და უახლოესი მეგობარია.

ნათიასსამომავლო გეგმებში შედის კიდევ რამდენიმე სიმღერის ჩანერა და აუდიო-ალბომის გამოცემა, რომელშიც აუცილებლად შევა მსმენელისათვის უკვე ცნობილი, მომღერლის მიერ ადრე შესრულებული სიმღერები: ნუნუ დულაშვილის „კახეთო“, ხალხური „ლალე“ და ქალაქური სიმღერების პოპური, რომელსაც ქსოვრელებთან ერთად ასრულებს. ფიქრობს ერთ-ერთ სიმღერაზე ვიდეორგოლის გადაღებასაც.

დაბოლოს, ნათია მადლობას უხდის უფალს და ყველა იმ ადამიანს, ვინც სიყვარული ასწავლა, ვინც მაგალითია მისთვის და ვისთვისაც ნამდვილად ღირს სიმღერა.





პოლონეთის პოზნანის თეატრი.  
სპექტაკლი „ქარიშხალი“

# ნეცა ბაღდავაძე

## თეატრალური შთაბეჭდილება

წლებიანი თბილისური შემოდგომა ეგზომ საინტერესო და მრავალფეროვანი აღმოჩნდა, როგორც თეატრალურობის, ასევე უბრალოდ თეატრის მოყვარულთათვის, თეატრალური ფესტივალი 26 სექტემბრიდან 18 ოქტომბრის ჩათვლით ქალაქის თითქმის ყველა სცენაზე ფართოდ გაიშალა. ფესტივალის მიმართ ინტერესი მხოლოდ რეკლამებისა და გაშუქების ხარჯზე არ ყოფილა, სხვადასხვა ჟანრისა და სტილისტიკის მრავალფეროვანი რეპერტუარის სპექტაკლების ნახვის შესაძლებლობამ უამრავ მაყურებელს მოუყარა თავი. თან ისეთი რაოდენობით, რომ ხანდახან საათნახევარი ფეხიდან ფეხზე დაკიდული როგორღაც სცენისთვის თვალის დევნება დიდ მიღწევად ჩაითვალა, გასასვ-

ლელ კიბეზე მოკალათებულ ახალგაზრდებს ხომ სანუნუნო არაფერი ჰქონდათ, სხვებმა დარბაზში შესვლაც ვერ მოახერხეს. და მაინც, რის ხილვას ელოდნენ ჩვენი თანამოქალაქენი, ჩვენი მსახიობები, რეჟისორები — ცნობილები და უცნობები, კრიტიკოსები, სტუდენტები, ჩვენი თითქმის 160 წლოვანი თეატრის, ასეთი დიადი მსახიობებისა და, ბოლოს და ბოლოს, მსოფლიო მასშტაბის რეჟისორის რობიკო სტურუას თანამედროვენი. ველოდით დაგვენახა უკვე უცხოური თანამედროვე თეატრის სახე. ქართველი მაყურებლის სამსჯავროზე წარსდგა 14 უცხოური სპექტაკლი, ვისთვის როგორი ან რამდენად საინტერესო აღმოჩნდა თეატრის ეს თანამედროვე სახე, ნამდვილად მსჯელობის საკითხია, ჩვენ კი ვეცდებით მხოლოდ სამი სპექტაკლიდან მიღებული შთაბეჭდილების გაზიარებას.

### პოლონური ნევროზი

პირველი სპექტაკლი, რომელიც ვიხილე, იყო პოლონელების „ქარიშხალი“. აბა,





პოლონეთის პოზნანის თანამედროვე სპექტაკლი „ქართული“

შექსპირის პიესა იყო და როგორ არ მენახა. თანაც, ასე ვთქვათ, ყმანვილობიდან შექსპირზე გაზრდილი, რუსთაველში სხვების სტუდენტული ათასჯერ შეპარული, შექსპირის ყველაზე დიდი დამდგმელის — სტურუას წარმოდგენებით განებივრებული, რომ არ წავსულიყავი, არ შემეძლო. ჰოდა, მივედი ერთი საათით ადრე (მართალია, ეს შემთხვევით მოხდა) მარჯანიშვილის თეატრთან, თუმცა იმდენი ხალხი მოვიდა, მივხვდი, პარტერში მაინც ვერ მოვხვდებოდი. მაყურებელთა ნაწილი ზედ სცენაზე განათავსეს, მის სიღრმეში დადგმულ სკამებზე. მოქმედება ხომ სულებით დასახლებულ კუნძულზე ხდება, სადაც სხვადასხვა ჯურის ხალხი ხვდება, ამ სულების წარმმართველი პროსპერო კი მთავარი პერსონაჟია. მაყურებლებმა სცენის დიდი ნაწილი შეავსეს, მსახიობებს სათამაშოდ შედარებით მცირე სივრცე დარჩათ. ასე აღმოვჩნდი „შექსპირის“ კუნძულზე მოხვედრილი. ერთ-ერთი მორჩილი სულივით მოკვალათი კუნჭულში და შევუდექი სცენის მტვერის ღრმად შესუნთქვას, ანუ მოვემზადე შექსპირის სურნელის დასაჭერად.

თვით პიესის ქვეტექსტი იმდროინდელი კოლონიალიზმის თემა, ვფიქრობ, ავტორმა პოლონეთის უახლეს ისტორიას თუ დაუკავშირა. ეს არც არის გასაკვირი, შექსპირის პიესები ყველა დროში მშვენივრად ერგებიან სოციალურ თუ პოლიტიკურ ფორმულებს. ა-

მას გარდა, პიესაშიც და სპექტაკლშიც, არსებობს დანაშაული, დიდი ხნის წინ ჩადენილი, რომელიც პერსონაჟებში ცხადდება უკვე პირველი სცენებიდან. არის სიყვარული და მიტევება, რომელიც უნდა გახდეს გამოსავალი ამ დანაშაულებრივი და ცოდვებით დამძიმებული არსებობისგან. კუნძულის თემა, შექსპირისეული ქვეტექსტის გარდა, არსებობს როგორც გლობალისტური იდეა სხვადასხვა ხალხის თანაცხოვრების შესახებ. პერსონაჟებიც თავიანთი ტიპაჟურობით, განსხვავებულობით ერთიმეორისგან ამართლებენ ამ აზრს. მათი განსხვავებულობა, სხვადასხვა კონტექსტიდან ამოგლეჯილი პიერების განცდას ბადებს. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ კუნძულზე დრო სხვანაირად მუშაობს, პერსონაჟები ახლა კი არ მოხვდნენ აქ, ისინი დიდი ხანია კუნძულზე ცხოვრობენ, იმდენი ხანია რომ უკვე სულებად იქცნენ. სულები, მართალია, არ არიან მთავარი გმირები, მაგრამ სპექტაკლის საერთო ხასიათსა და სახეს ქმნიან. ისინი წარმოგვიდგებიან დათრგუნულ და დაკნინებულ არსებებად, დიდი ცოდვით დამძიმებულნი ისე მოძრაობდნენ, თითქოს ამ ცოდვაში ფეხები ებლანდებათ. როგორც ჩანს, ის დანაშაული რალაცნაირად მათზეც პროვოცირდება, მით უფრო, თუ დანაშაულში თუნდაც უნებურ თანამონაწილეობას გრძნობენ.

ისინი „გლოვობენ დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ სამყაროს“, — ასე განმარტავდა



პირველ სცენას წინდანი ფოიეში დარიგებული ბუკლეტი, ერთადერთი ქართულენოვანი წყარო. რა თქმა უნდა, ამ ბუკლეტს, სრული განმარტება არ მოუცია იანუშ ვიშნევსკის, მართლაც საინტერესო და პოპულარული ავტორის სცენარის გაგებასა და უამრავ მონოლოგ-დიალოგთა წყობისა და გაშიფვრის საქმეში. სუბტიტრების აპარატიც არ ჩაირთო. აბა, წარმოიდგინეთ, მართლაც განწირული ვიგრძნობდი თავს, რომ არა თეატრის მტკვერი.

მაყურებლებს ტექსტის სრული იმპროვიზაციის საშუალება მოგვეცა. იმპროვიზაციის სირთულე იმაშიც მდგომარეობდა, რომ ეს ვიშნევსკისეული ქარიშხალი იყო და მისი სცენარი მოიცავდა თავის თავში შექსპირის, ელიოტის, ოდენის, იენჩიკისა, და (პირველის წერით) სახარების ტექსტებს. (ღრმად მორწმუნე ელიოტის შეგონებანი, ოდენის განწირულობის შეგრძნებებით გამსჭვალული პოეზია, იენჩიკი არ ვიცი და სახარების ტექსტი მნიშვნელოვანი იქნებოდა, ასე ვფიქრობ) ტექსტის შინაარსი რომ გამეგო, ჩემთვის ნაცნობ ენაზე, შევეცდებოდი განმემატა, როგორ იყო შეზავებული ესოდენ განსხვავებული ტექსტები ერთმანეთში. პროსპეროს მონოლოგების შინაარსზეც ვერაფერს ვიტყვი, მხოლოდ ფოიეში დარიგებული ბუკლეტიდან ამონაწერს მოვიშველიებ, მისი წინასწარმეტყველებანი, მსუბუქად რომ ვთქვათ, არცთუ ისეთი იმედისმომცემია, როგორც დრამის მონაწილეთა, ისე საკუთარი თავის მიმართ! ერთი ნათელია, რომ შექსპირის სურნელი ამჯერად სხვა ქარებს გაეფანტა, ნუთუ სულ მარტო უნდა ვყოფილიყავი? ვეცადე, საერთო სახე დამეჭირა, ეს წუხილი შენდობითა და განახლებით უნდა დასრულებულიყო. ვისთვის უნდა ყოფილიყო ეს განახლება ან, თუ გნებავთ, კვანძის გახსნა, არ ვიცი. შეიძლება, იმ ფარსული ტიპაჟებისთვის, ვინც თამაშს განაგრძობდა, მიუხედავად სამყაროს გარდაცვალების საყოველთაო გლოვისა. არც მთავარი პერსონაჟები ყოფილან იმედიანად, არც მათ ძალუძთ რაიმეს შეცვლა, ისინიც ჩართულნი არიან იმ რიტუალურ ქმედებებში, რომელთაც დანარჩენები აწარმოებენ. განახლება შეიძლებოდა ახალგაზრდა წყვილის სასიყვარულო სცენაში გამოვლენილიყო, თუმცა მათი ქორწინებაც ჯამბაზების ქორწინებადაა წარმოდგენილი, თან უკიდურესად გროტესკულად, როგორც სხვა დანარჩენი სცენები. თითქოს რომანტიკული ნიშნით გამავალი მირანდასა და ფერდინანდის ურთიერთობა, თავიდანვე დაჩრდილულია ფერდინანდის წარმოდგენებით არსებობის ამაოებაზე, მის გონებასაც სიკვდილი იპყრობს. პროსპეროც თავის აღ-

სასრულს წინასწარმეტყველებს, ესეც ბუკლეტში ამოვიკითხე. სულები ისეც განაგრძობენ შფოთიანი არსებობის გამოსატყვას დაუსრულებელ წრებრუნვაში სცენაზე და სცენის გარშემო, ალბათ, იმ პრინციპით, რომ ქმედება ჯობია უმოქმედობას, თუნდაც დიდი ხნის წინ გარდაცვლილი სამყაროს პირობებში. სცენების გროტესკულობა ამაოების შეგრძნებას ტოვებს, იქნებ, ეს ამაოების შეგრძნებაა ის, რაც პერსონაჟებს ერთმანეთთან აკავშირებს. ჩივილი, გლოვა და განსაცდელია ის, რითაც ერთმანეთს ეპოტინებიან. მათი ჩივილი ისევე ამაოა, როგორც, ოთხი ბრმა კაცის წინსვლა, რომლებსაც წინამძღოლად ბრმა აურჩევიათ. იმედია, ეს ამაოების შეგრძნება მთლიანად მაყურებელზე არ გადასულა და სპექტაკლის ხილვაც ამაო გარჯად არ ჩაუთვლია.

დარწმუნებული ვარ, სპექტაკლის ავტორებს იმ საგულდაგულოდ დაყოფილ თითოეულ სცენაში გარკვეული სახელწოდებებითა და მოკლე „შინაარსით“ თავიანთი ჩანაფიქრები და დასახელებული ავტორების ნაწარმოებების ინტერპრეტაციებზე მეტად, ამ ტექსტების საკუთარ კონცეფციაზე მორგება ჰქონდათ ჩადებული. თანამედროვე თეატრის პირობითი სახე უკვე დიდი ხანია არ მოითხოვს რეჟისორისგან პიესის სრულად გადმოტანას სცენაზე, რაც ქართულ თეატრში გაცილებით ხშირად ხდება, ვიდრე სხვაგან. მრავალგვარი ინტერპრეტაციებისა და კონცეფციების (კულტურული ზენოლის) პირობებში, რეჟისორი თავის პირობითობას ამკვიდრებს, სუბიექტური აზრით თამაშობს გამოცდილების დახმარებით. ალბათ, რთულია ზუსტი აზრის გამოტანა ტექსტის არარსებობის შემთხვევაში, თუმცა განწყობილება ამ წარმოდგენამ ყველაზე ერთნაირი დატოვა. სცენას, რომელიც განსაკუთრებით დამამახსოვრდა, სიცილის გაკვეთილი ქვია, სადაც ტრაგი-ფარსულ მოხეტიალე პერსონაჟ-სულებს თვითკმაყოფილი მასწავლებელი სიცილში და ხარხარშიც ამეცადინებს. ვფიქრობ, ეს მასწავლებელი პროსპეროს ტახტიდან ჩამომგდები ალალი ძმაა, სიცილში მეცადინეობა უფრო თავისთვის ჭირდება, გამანადგურებელი ცოდვისაგან თავის დასაღწევად.

ქართულ პუბლიკაში დიდი კმაყოფილება ვერ შევნიშნე, სცენიდან ლამის მსახიობებზე კარგად ვხედავდი მათ ემოციებს, ეს შეიძლება იგივე გაუგებრობის გამო, რაც თარგმანს უკავშირდება, ან იქნებ სპექტაკლში საყოველთაოდ გამოცხადებული მწუხარებისა და გლოვის გამო, ადამიანთა სისუსტეების ჩვენების გამო, რაც პოზნანის თეატრს თავიანთი ქვეყნის დღევანდელი ან გუშინდელი



შიშებისა და კომპლექსების გამოსარკვევად თუ დასჭირდებოდა. ან იქნებ, უფრო გლობალურ, აპოკალიფსურ შეგრძნებებზე სურდათ პედალორება, ასეთი შეგრძნებების გამოსანვევად, ალბათ, რამდენიმე მიზანსცენაც უნდა ყოფილიყო საკმარისი. ასე ვარაუდებით გამოვდივარ და სუბიექტური წარმოსახვით ვანყობ სცენას, რომლის გაგებაც ვერ გასცადა ზოგადი ფორმულირების ჩარჩოებს. ჩვენ რამდენად გვჭირდება თუნდაც საკუთარი შიშების მკაფიოდ დანახვა, ვერ გეტყვით, საკუთარი თავის დანახვა ყოველგვარი დიდაქტიკური შუქის, ბურუსისა და ფილტრების გარეშე. ჩვენ ხომ ისედაც უამრავ მწუხრნატარები საზოგადოება ვართ, სხვისი ნევროზები აღფრთოვანებაში არ მოგვიყვანს. ახლა თუ ვიშინევსკისეული „ქარიშხლის“ ტექსტულურ და ფილოსოფიურ სიღრმეებში არ შევცურავთ (ან ვერ შევცურავთ), შეიძლება ითქვას, რომ პოლონელი მსახიობების, როგორც უსხეულო ნიღბების თამაში, იქ მჯდომი უამრავი მსახიობისთვის ბოლომდე ახლო და გათავისებული არ აღმოჩნდა. რაც შეეხება ფილოსოფიას, ბოლო სცენაში, უეცრად და პირველად სპექტაკლის მსვლელობის მანძილზე გამოჩნდა „თანამედროვე ბოროტების“ სახე - ჟღალთმიანი კალიბანი, ფარებანთებულ მანქანაზე ამხედრებული, ნიცშეს ციტირებით. როგორც ჩანს, შექსპირის მოუთვინიერებელი მხეცი მოთვინიერებულა და ძალაუფლებაც შეუძენია, ისევე, როგორც მანქანები და უგემოვნო, მაგრამ ჭრელაჭრულა სამოსი. ამ ფინალურმა აკორდმა ნამდვილად მრავალსართულიანი აპლოდისმენტები გამოსტყუა ქართველ მაყურებელს, ყველანაირი გაზვიადების გარეშე გიმხვლთ. როგორც ჩანს, მანერულმა და დაუნდობელმა, ხმაურიანმა და უეცარმა კალიბანმა განსაკუთრებული ემოციები გამოიწვია.

თუ მაინც პიესის შინაარსიდან გამოვალთ, კუნძულზე სხვადასხვა ხალხია შეკრებილი, როგორც პოლონელებმა სხვადასხვა ტექსტების შეზავებით იპოვეს თავიანთი სატკივარი, ან შეეცადნენ პოვნას — მე შევეცადე მეპოვა სახე, რომელიც რაღაცნაირად მაინც ახლოს იქნებოდა ჩვენთან. ყველაზე ახლოს ფეხმძიმე ქალი მივუსადაგე, რომელიც დაუსრულებელ ხეტიალში სულ უკან რჩებოდა და ნარჩენ პერსონაჟებს. ჩემოდნებაკიდებული ველარ ენეოდა მათ, მაინც გამწარებული მისდევდა, ცდილობდა დანეოდა პროცესიას. რა ედო ამ ჩემოდნებში, თავისი წარსული ლამაზი კაბები, თუ რა? რაღაც ისეთი, რაც ხელიდან არ უნდა გაეშვა, არაფრის ფასად. შემდეგ სცენაში ექიმებმაც გასინჯეს ფეხმძიმე, მაგრამ მალევე მიატოვეს სამშობიარო

მაგიდაზე, როგორც ემაფოტზე, მარტო დატოვეს. ესეც გაუგებრობა იყო და ექიმების უპასუხისმგებლობა. როცა უპასუხისმგებლობის გამო, მხოლოდ საჩვენებლად, ამოქმედებებს ჩავდივართ, ეტყობა მამინ დგება ბოლო ჟამი და განკითხვის დღეც მოდის, კომიკურად ველური კალიბანის სახით.

მეც ძველ ტექსტებს მოვიშველიებ და საკუთარი ინტერპრეტაციით დავწერ: ყველა ქმედება — არის შრომაში: ადამიანს არ ძალუძს ყველაფრის ბოლომდე გადმოცემა და გადმოლაგება: არ გაძლება ჩვენი თვალი ერთი შეხედვით და არ აივსება ყური ჩვენი ერთი მოსმენით. იქნებ, შეიძლებოდა სხვა არაფერი დამეწერა, მხოლოდ ამ ფრაზით გადმომეცა მარჯანიშვილის თეატრიდან გამოსული, მის მისადაგომებთან მდგარი გაუგებრობაში დატოვებული ადამიანების სახის გამომეტყველება.

### ფრანგული სიგიჟეები ანუ სასწაული

გრიბოედოვის თეატრის მცირე სცენამ ფრანგული თითების თეატრის სპექტაკლი აჩვენა. წარმოდგენას ორჯერ დავესწარი, მეორედ ყურებისას ნამდვილად გემო ჩავატანე (ალბათ, იმიტომ, რომ ცალ ფეხზე დგომა აღარ მომიხდა), არც ინტერესი დამიკარგავს, რაც ზოგიერთი სპექტაკლის ზედიზედ ნახვისას ხდება ხოლმე. იმასაც გეტყვით, რომ ერთადერთი არ ვყოფილვარ, ვინც მეორედ მოვიდა ამ ფსიქო-ზღაპრულ სანახაობაზე. სიტყვა სანახაობას ყველა მნიშვნელობით ვგულისხმობ, რადგან ფრანგები შეეცადნენ, რაც კი შეეძლოთ ყველაფერი ენახვიანათ, თან თავისებურად, ფრანგულად, ანუ „კომპლექსების“ გარეშე. ვიცი, სიტყვა კომპლექსის ბრჭყალებში ხსენებაზე ზოგიერთ მკითხველს ფროიდისეული ათასჯერ გაშიფრულ-გამოყენებული უკვე ბებერი, ოიდიპოსის კომპლექსი გაახსენდება, და კარგიც არის, რომ გაგახსენდებათ, ფრანგებიც ხომ მანდ არიან. უფრო სწორად, ფილიპ ჟანტი და მისი კომპანი, რომლებმაც კომპლექსებზე და მათ დაძლევაზე სერიოზულად იმუშავეს. ისე, ფრანგული თეატრი, მოგეხსენებათ, გაცილებით მსუბუქი, ფრივოლური, კომედიური, დამცინავი (თავის თავის მიმართაც) და იოლად აღქმადი აღმოჩნდა, თუმცა ეს სიმარტივე ასეთ შემთხვევებში უფრო მოჩვენებითია ხოლმე. ეს შემთხვევა, მაინც რაც არ უნდა იყოს, „ზიგმუნდის ოინებს“ შეეხებოდა. ეს სპექტაკლი პირველად წინა საუკუნის ოთხმოცდამ წლებში დაიდგა. მისმა ავტორმა ფილიპ ჟანტიმ თოჯინების თეატრის წარმოდგენები გაცილებით ადრე, ორმოცზე





ფრანგული სპექტაკლი „ზიგმუნდის ოინები“

მეტი წლის წინ დაიწყო, როცა საკუთარი ავტომობილით მოგზაურობა გადანწყვიტა და ასე თამაშ-თამაშით მსოფლიო მოიარა. განათლებით მხატვარი ფილიპ ჟანტი უკვე კარგა ხანია მცირე თეატრის ჟანრში ყველაზე მრავალფეროვანი ნარმოდგენების დამდგმელად და ავტორად ითვლება.

„ზიგმუნდის ოინები“ თავისი ეკლექტურობით, მრავალმხრივი შიფრებით ადამიანის გაუცნობიერებელ თუ ქვეცნობიერ სამყაროებს შორის კონფლიქტების, თვითიდენტიფიკაციისა და პიროვნების გაუცხოების თემებზეა. აქ დანაწევრება და გაუცხოება პირდაპირი მნიშვნელობითაა გადმოტანილი: თავის, ხელებისა და სხვადასხვა საგნების სუბიექტური თვისებების მქონე დამოუკიდებელ არსებებად წარმოჩენით. აქ მარჯვენა ხელი მარცხენას უპირისპირდება, ორივე ერთად კი თავის თავს გაურბის, ამასაც ორივე პირდაპირი მნიშვნელობით აკეთებს, გაპიროვნდება და დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს. „ოინები“ ისეთ ნარმოდგენათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელზეც იტყვიან, ეს საკუთარი თვალით უნდა ნახო, თან შეიძლება თავიდან ორი თვალი და ორი ყური არც გვეყოს ყველაფრის დასანახად და გასაგონად, ზოგიერთმა ეს იგრძნო და წინა დღით მოსულ მაყურებელს, მეორე დღეს უკვე მეგობრებიც თან მოჰყავდა.

ფ. ჟანტის მრავალფეროვანი სიუჟეტი აგებულია გაქცევაზე და მოგზაურობაზე, რომელშიც „მთხრობელის“ სახელით მოხსე-

ნიებული მარჯვენა ხელი მარცხენა ხელის ანუ „დეტექტივის“ დევნის გამო გადაეშვება. თავიდან გგონია, რომ მოგზაურობა უნებურია და საფრთხისაგან გაქცევით არის განპირობებული, ზოგადად ადამიანები მოგზაურობენ, როცა საკუთარ თავს გაურბიან ან საკუთარი თავის შეცნობის სურვილი ამოძრავებთ. სპექტაკლის შემთხვევაში ეს ორივე ვარიანტი მიღებულია და დაშვებულია. პერსონაჟი, პიესის ავტორისაგან განსხვავებით, მსოფლიოს გარშემო კი არ მოგზაურობს, არამედ თავის ქვეცნობიერში იკარგება. ოღონდ რომელი თავის ქვეცნობიერში? იმ თავის, რომელსაც მოსწყდა, მოშორდა თუ საკუთარი თავის, რომელიც ჯერ არ უპოვნია? მაგრამ, როგორ არ უპოვნია? ის ხომ უკვე იქ არის, ან ჯერ გზაშია, მაგალითად მიფრინავს ან მყვინთავი უნიტაზით მიცურავს, ან „ოცნებების მატარებლით“ მიდის, საიდანაც კონტროლიორი ჩამოაგდებს უბილეთობის მიზეზით. წარმოიდგინეთ, თურმე რა მრავალფეროვანი საშუალებებით შეიძლება საკუთარ თავში მოგზაურობა, ეს მარტო საშუალებები და... თვით თავში რა დაგხვდება, მაგას ნულარ დამანერინებთ. რამხელა აბსურდი და გაუგებრობაა, მაგრამ ესეც საკუთარი თავის ბრალია, ყველაფერი ზუსტად მისგან დაიწყო, მისი გამოისობით მოხდა, როცა მსახიობმა ერიკ დე სარიამ, თავისი თავი ყუთში გადამალა, ყუთი გულთან მიიბჯინა, და ასე უთავოდ წარსდგას ცენაზე. არ გაგიკვირდეთ, თავიც რომ დამოუკიდებლად არსებობს სხ-



ეულის გარეშე. ამ სურეალისტურ სამყაროში დანარჩენი პერსონაჟებიც: რვათითა ხელი, მოლაპარაკე ასოები, უდროობაზე მონუნუნე საათი და სხვა გაცოცხლებული საგნები თუ სხეულის ნაწილები თავიანთი ხასიათითა და პრობლემებით სრულიად ბუნებრივად თანაარსებობენ. ნარმოდგენა საკმაოდ სახალისო აღმოჩნდა ქართველი მაყურებლისთვის მისი ათასგვარი ფანდებით, გაქცევ-გამოკიდებებით, აფრენ-დაფრენებითა და აფეთქებებით, თავისი ფერადოვნებითა და უჩვეულო, სასაცილო პერსონაჟებით, თუმცა მხოლოდ ინფანტილური ხუმრობები არ ყოფილა, რაღაც ვთქვათ გამუდმებულ ორაზროვან თამაშებზე მაყურებელთან და საკუთარ თავთან, თამაშებზე პირობითობისა თუ პერსპექტივის განსაზღვრებებთან, იუმორით გაჯერებულ დამაბნეველ დიალოგებზე ფსიქონალიტიკური ტერმინოლოგიით, პაროდიას ყველაფერზე, რისი გამარყვბაც შეიძლება. ოიდიპოსის კომპლექსის შესაშურად მარტივი განმარტებაც შარჟია: კარზე მიკრული მინანერი „მამა“, მის ფონზე წარსულის აჩრდილივით გამოცხადებული სათვალისანი თავი მთხრობელი პერსონაჟის ხორციელ სურვილთა დამთრგუნველი და ხელისშემშლელი. ჰოდა, ისევ ეს თავი, მეორედ, როგორც კვლევის ობიექტი, როგორც მეხსიერების წყარო, (არა როგორც ამკრძალავი) მოგონებათა გასახსენებლად, ორ ნახევარსფეროდ გაყოფილი და ისევ შეკერილი. სპექტაკლის დიალოგები სავსეა კომიკურ აფსურდული ფრაზებით, როგორც ამბობენ, ეს ფილიპ ჟანტის ინგლისური იუმორით გატაცების შედეგია, თუმცა, შეიძლება ერთგვარი ხერხია „გონიერი“ სამყაროს მიმართ ავტორის დამოკიდებულების გამოსახატავად. მიუხედავად სტილისტიური ეკლექტიურობისა, ფ. ჟანტის კომპანიმ ერთ

ჩარჩოში შეკრული სპექტაკლი აჩვენა, უხეში ამოვარდნებისა და გადასვლების გარეშე. ამ მრავალფეროვნებაში ყველაზე ნიშანდობლივი, მეოცე საუკუნის ყველაზე იდუმალი სტილის სურეალიზმის გავლენა გამოვარჩიე, ადამიანის სხეულის ნაწილების და ცალკე ნივთების სიმბოლოებად წარმოჩინება და მათი სხვადასხვა აზრით დატვირთვა. ბევრი ფიქრობს, რომ მეოცე საუკუნის სიგიჟეები, ნაწილობრივ ფროიდის ფსიქონალიზმა და მისმა პოპულარობამ განაპირობა. როგორც განკაცებული, ანუ რაღაც უფლებებმინიჭებული ხელი წვავს საკუთარი მამის სახლს, თუმცა თავისი ვნების დაკმაყოფილებას ვერ ახერხებს. წინა საუკუნის ავანგარდისტ-სურეალისტებიც ჭრიდნენ კავშირებს წინა თაობის ხელოვნებასა და თავიანთ რეალობას შორის, წვავდნენ წინა თაობათა წარმოდგენებს ხელოვნების ნიმუშებზე, თვითონ ასახავდნენ თავიანთ სიზმრებს, ქვეცნობიერის წარმოდგენებს. როგორც მ. დიუშანმა საგამოფენო დარბაზში პისუარი ჩამოკიდა, ისე ჟანტიმ მოგონებათა ოკეანეში უნიტაზი ამოგზაურა.

მოკლედ, წარმოდგენა სახალისო აღმოჩნდა ქართველი მაყურებლისთვის, ისეთი, როგორსაც ჩვენი გონება მხოლოდ ღრმა სიზმარში თუ ნახავს. ყველაფერ ამის გარდა ბიბლიურ-მორალური კითხვა ისმის, რომელსაც მთხრობელი საკუთარ თავს უსვამს „როგორ შეგიძლია გიყვარდეს მოყვასი თუ საკუთარი თავი გეზიზღება?“ აქაც საკუთარ თავში რამდენიმე გაპიროვნებული არსება იგულისხმება. როგორც ჩვენ გვიყვარს ეს ორი სათაური, მრავალფენიანი ქვეტექსტები ფრანგებსაც ჰყვარებიათ. როგორც მიხვდით, ფროიდი მხოლოდ გამართლება იყო იმ სიგიჟეებისა, რაც ორმა ფრანგმა მსახიობმა სცენაზე მათ ხელთ არსებული ყველა საშუალებით დაატრიალა.

აღბათ, გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ ამ მრავალფეროვან და თვალუნვდენელ ქვეცნობიერის სამყაროში ჩვენთვის ახლობელი თემებიც აღმოვაჩინე-მეთქი. დანანევრებული პერსონაჟი თავის დაუსრულებელ მოძრაობაში საკუთარი თავის სისრულეს ვერ პოულობს. სისრულე, თუ შვების შეგრძნება მხოლოდ მეორე ხელთან შეერთებაში მოიპოვება, რაც გულისცემის აღდგენას, დანანევრებული მთელის თავიდან გამთლიანებას გულისხმობს. იმედი მაქვს, ჩემი პარალელები იპოვის მაყურებლისა თუ მკითხველის ცნობიერში თავის გამართლებას.

### კორეული სამკუთხედი

რა თქმა უნდა, კორეული თეატრის ნახ-



სპექტაკლიდან „ზიგმუნდის ოინები“





კორეული დასი. სპექტაკლი „ვოიცეკი“

ვა აუცილებელი და სავალდებულო თუ არა, საინტერესო მაინც იქნებოდა ჩვენთვის. კორეული თეატრი მოძრაობის თეატრი აღმოჩნდა, უფრო სწორად, რალაც გაურკვეველი ნაზავი მოძრაობისა და მეტყველებისა. ამას პირადად ჩემი აღფრთოვანება არ გამოუნვევია, რასაც რუსთაველის თეატრის აპლოდისმენტებით სავსე დარბაზზე ვერა და ვერ ვიტყვი. უკვე რამდენიმე სერიოზულ და ექსპერიმენტულ სპექტაკლგავილილი საზოგადოება, შეიძლება ითქვას, რამდენიმე დღეში თვალეხსნილი და თანამედროვე თეატრალურ მიმდინარეობებში ასე თუ ისე გარკვეული, რით მოხიბლა კორეულმა წარმოდგენამ, გადმოცემა გამიჭირდება.

ისე, გულწრფელად ვიტყვი, რაც შეეხება აპლოდისმენტებს, აქმეც შევცდი, უფროსწორად, ჩემი ხელები სხვის ხელებს აყოლილი რამდენჯერმე შემოვცხე ერთმანეთს, თუმცა ეს ტაში ჩემს თავში, როგორც წესი და რიტუალი, ისე გავამართლე. ეტყობა, რუსთაველის თეატრის მაცურებლებს ეს დაუსრულებელი ტაში და „ბრავო, ბრავოს“ ძახილი, ჩვევადა გვაქვს გადაქცეული. ეს ჩვევა თავისთავად ცუდი არ არის, თუმცა ხანდახან შეიძლება დაირღვეს, თუ სცენაზე მომხდარი ამას ხელს უწყობს.

კორეელებმა გეორგ ბიუჰნერის „ვოიცეკი“ წარმოადგინეს. სცენაზე მსახიობები და მათი სკამები უნისონში მოძრაობდნენ. თითოეულ მსახიობს თავისი სკამი დაჰქონდა, ამით თავიანთ პლასტიკას, ეტყობა, მეტ დატვირთვას ანიჭებდნენ. როცა ვოიცეკი უსკამოდ დარჩა, სხვების დაცინვისა და ქილიკის საგანი გახდა, მივხვდი სკამები პერ-

სონაჟების სოციალური სტატუსის მანიშნებელი უნდა ყოფილიყო. მოგეხსენებათ, სტატუსი კორეელებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

სპექტაკლში სასიყვარულო სამკუთხედა ნაჩვენები. ქალი, მსხვერპლია ამ სამში, რომელსაც სტატუსდაკარგული ვოიცეკი კლავს ფინალში.

როგორც პლასტიკით, ისე მუსიკით მსახიობები ცდილობენ გაამძაფრონ სცენა, თანაგრძნობა მოჰგვარონ მაცურებელს. მაგრამ ნამდვილი სანახაობა, რასაც თეატრი ქვია, როგორ ფორმებშიც უნდა იყოს, სხვაგვარ თანაგრძნობას, და საერთოდ, სულ სხვა ემოციებს იწვევს, ვიდრე ამ მოძრაობის თეატრმა ჩემში გამოიწვია. მოძრაობის თეატრს, როგორც ჟანრს, არ ვერჩი, როცა მას შეუძლია თავისი მოცემულობით, საინტერესო ფორმის პოვნა.

საბოლოო დასკვნისთვის ვიტყვი, რომ წლევანდელი შემოდგომის თეატრალური ფესტივალი ნამდვილად მოსავლიანი გამოდგა. ამ ოპტიმიზმს, იმედია, გაამყარებს მომავალი წლების უფრო ფართო რეპერტუარი, სხვა მრავალი თეატრის კლასიკური და ექსპერიმენტული სპექტაკლების ჩამოტანით, რადგან ჩვენს თვლებს კიდევ ბევრი რამ დარჩათ დასანახი და ყურებს გასაგონი.





თაძარ

მკვდარი

ჯვარი – ქართული  
ხანისაგან საფასადო  
ხეობა

V-XI (საუკუნეები)

ტრადიციულ სიმბოლოებს შორის ჯვარი უმნიშვნელოვანესია. მისი ფენომენი ისეთივე უძველესია, როგორც თავად კაცობრიობის ისტორია დასაბამიდან დღემდე. ჯვარი უნივერსალური სიმბოლური ფორმაა, რომელიც გამოხატავს ყოფიერებაში ღვთიურობის ყოველისმხრივ განფენას — ვერტიკალურად ე.ი ზეცისაკენ და ჰორიზონტალურ სივრცეშიც. ეს არის ღვთებრივი ცენტრი, საყრდენი სამყაროს მთლიანობისა. ეს უნივერსალური კოსმიური სიმბოლო გამოხატავდა ქვეყნიერების ოთხ მხარეს, წელიწადის ოთხ დროს, სტიქიის ოთხ ელემენტს. ცხოვრების ხეს და განზოგადებულად სამყაროს ოთხსაწყისიანობას.

აღსანიშნავია, რომ ქრისტიანობის უმთავრეს სიმბოლოდ ჯვარი მხოლოდ IV საუკუნეში იქცა, მას შემდეგ, რაც 328 წელს ბი-

ზანტიელმა დედოფალმა ელენემ (კონსტანტინე დიდის დედამ) გოლგოთას მთაზე სამ ჩამარხულ ჯვართაგან სასწაულებრივად გამოარჩია მაცხოვრის ჯვარი „ჯვარი პატიოსანი“. ათასწლეულების მანძილზე ჯვრის მრავალნაირი ფორმა გამოიკვეთა. ჯვრის ამ ძირითადი სახეობებიდან 70-ზე მეტი ვარიაცია მომდინარეობს, კონფეციური, ისტორიული თუ ნაციონალური სპეციფიკიდან გამომდინარე თითოეულს ამ მრავალრიცხოვან ჯვართაგან უკვე თავისი წარმომავლობის ისტორია აქვს და, რა თქმა უნდა, შესაბამისი სიმბოლიკა.

ჯვრის სახისმეტყველებაზე საუბრისას აუცილებელია ვახსენოთ ქართული „ჯვარი ვაზისა“. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საწყისი პერიოდიდანვე ჯვრის სამი სახე დამკვიდრებულა: ანდრია პირველწოდებულის მიერ მოტანილი ჯვარი, შემდეგ ჯვარი ვაზისა, რომლის „სახე“ ანუ „ხატი ჯვრისა“ ღვთისმშობელმა გადასცა წმინდანინოს და ბოლნური ჯვარი ანუ წრეში ჩახატული სწორმკლავებიანი ჯვარი (ჯვარი მედალიონში).

როგორც მართლმადიდებლური სარწმუნოების სიმბოლოს, ჯვრის გამოსახვას დიდი ადგილი უჭირავს ტაძრებში. თითოეული ტაძრის რელიეფში ჩვენ განსხვავებულ ჯვრის სახეებს ვხვდებით, რომელთაც როგორც სიმბოლური, ასევე დეკორატიული მნიშვნელობაც გააჩნდათ. აღსანიშნავია, რომ ჯვრის გამოსახვამ ტაძრის ფასადებზე გარკვეული ეტაპები გაიარა. თავდაპირველად მას არ ჰქონდა ის დატვირთვა, რაც შემდგომ საუკუნეებში შეიძინა.

ჯვრის გამოსახვას ტაძრის ფასადებზე და მის ინტერიერში პირველად ვხვდებით



ბოლნისის სიონში. ეს ტაძარი ბაზილიკური ტიპისაა, თარიღდება 478-493 წლებით. მისი ფართო კედლები მოპირკეთებულია გათლილი ფირუზისფერი ტუფით. მთელი ბაზილიკა მასიურია, სახურავი დამრეცი კალთებით არის გადახურული. კედლების სისქე შესასვლელებსა და ღია ლუნეტებში ჩანს. ბოლნისი არა მარტო თავისი ხუროთმოძღვრებითაა საინტერესო, არამედ აქ პირველად ვხვდებით სკულპტურული და ორნამენტული სამკაულის გამოყენებას, ეს სამკაული უმეტესად მოქცეულია ტაძრის შიდა სივრცეში (რაც ადრექრისტიანული პერიოდის ნიშანია) სხვა დეკორატიულ სამკაულთან ერთად, როგორც აღვნიშნე, ბოლნისი შემკულია ბოლნური ჯვრების სხვადასხვა ტიპის რელიეფებით. თითოეულ ამ რელიეფზე სწორმკლავიანი ჯვარია გამოსახული, რომელიც მუდამ ჩასმულია წრეში.

მედალიონები, რომლებშიც ჯვრებია ჩასმული შედგება ან გლუვი ორმაგი წრეებისგან, ან სამკუთხედებისგან, რომლებიც შეადგენენ განუწყვეტელ ზიგზაგს, ხანდახან ზიგზაგების ორმაგ მწკრივსაც. ბოლნისის სიონში ჯვრები შეიძლება ვიხილოთ სამხრეთ ფასადზე, აბსიდზე, ჩრდილოეთის გალერეაში, პილასტრებზე და ცალკეულ სვეტისთავეებზე. ისინი განსხვავებულია ერთმანეთისგან, თუმცა ძირითადად 5 ტიპის ჯვარს ვხვდებით: 1. უბრალოდ წრეში ჩასმული ბოლნური ჯვარი, რომელიც უფრო მრავლადაა ტაძარში; 2. მეორე ტიპი ჯვრისა ესაა, ორი წყება სამკუთხედით მოჩარჩოებული წრე და მასში ჩასმული ჯვარი; 3. მესამე ტიპი ესაა, ერთი წყება სამკუთხედით მოჩარჩოებული წრე და მასში ჩასმული ბოლნური ჯვარი; 4. მეოთხე ტიპი ჯვრისა ძალზედ განსხვავებულია სხვა დანარჩენისგან, მას ვხვდებით ეკლესიის შიდა სივრცეში მესამე ბურჯის დასაწყისში, ჩრდილოეთ მხარეს. ეს გახლავთ წრეში ჩასმული ოთხმკლავიანი ბოლნური ჯვარი, ფოთლებთან ერთად (აღსანიშნავია, რომ ფოთლების ფორმა არის წვეტიანი, რაც დამახასიათებელი იყო სასანიდური ირანისათვის) რაც შეეხება ფოთლების გამოსახვას ჯვართან ერთად, ეს სიმბოლოურად შეიძლება მივიჩნიოთ, ანუ ფოთლები, როგორც სიცოცხლის სიმბოლო; 5. მეხუთე ტიპი ჯვრისა მოთავსებულია სანათლავში, სამხრეთ სვეტისთავეზე. ეს არის ხარის რქებს შუა მოთავსებული ჯვარი და მათ გვერდებზე ფარშევანგები. ეს გამოსახულება საყოველთაოდ გასაგები უკვდავებისა და აღდგომის სიმბოლოა პირვანდელ ქრისტიანობაში. საერთო ჯამში, ბოლნისის სიონში ჩვენ ვხვდებით 11 ბოლნურ ჯვარს, როგორც ტაძრის

შიდა, ასევე გარე სივრცეში. აქვე აღვნიშნავ, რომ თითოეული ეს ჯვარი არ არის გამოსახული ტაძრის ფასადზე ისე, რომ ძალიან თვალსაჩინო იყოს. თუმცა ეს განპირობებულია იმით, რომ ბოლნისის სიონია პირველი ტაძარი, სადაც იყო მცდელობა გამოესახათ ჯვრის რელიეფები.

ჯვრის გამოსახულების განვითარების მომდევნო ეტაპი, შეიძლება ვიხილოთ მცხეთის ჯვრის ტაძარზე. აქ გამოსახული ჯვარი წარმოდგენილია უკვე, როგორც კომპოზიციის ნაწილი, რომელიც ტაძრის მთავარი შესასვლელის კარის თავზეა მოთავსებული და თვალისათვის ადვილად შესამჩნევია.

მცხეთის ჯვრის ტაძარი 586-604 წლებით თარიღდება, იმ ადგილზე, სადაც ამჟამად მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარია, ხის მაღალი ჯვარი იყო აღმართული. VI საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის ერისმთავარმა გუარამმა ჯვრის გვერდით პატარა ეკლესია ააშენა, ხოლო VI საუკუნის მიწურულსა და VII საუკუნის დასაწყისში გუარამის ძემ სტეფანოზ ერისთავმა მცირე ტაძრის გვერდით ააგო დიდი ტაძარი. ტაძრის ინტერიერში ოთხივე მხარეს სარკისებურად მეორდება აფსიდები, აფსიდებს შორის ჩადგმული კუთხის ოთახები ჯვრის ფორმას ხაზავს. სამივე მხარეს მეორდება ანალოგიები და ამიტომ ტაძარს კუთხისოთხებიანი ტეტრაკონქი ეწოდება.

ჯვარი მნიშვნელოვანია თავისი რელიეფებით, რომელთა განაწილებაც ტაძარზე ჰარმონიულია. სხვა დეკორატიულ ელემენტებთან ერთად ჯვრის ფასადებზე არის აგრეთვე რელიგიური შინაარსის გამოსახულებებიც. ერთ-ერთი ასეთი და ძალზედ მნიშვნელოვანი რელიეფი მოთავსებულია სამხრეთით, ტაძრის შესასვლელი კარის თავზე. ეს არის კომპოზიცია ჯვრის ამალლებისა, ამალლებული ჯვარი არის ბოლნური







ჯვრის მსგავსი ოთხი მკლავით, ის მოთავსებულია ტიმპანის ნახევრად მრგვალ არეში ისე, რომ გამოსახვის ზემოთ რჩება ცარიელი სეგმენტი. მთელი ეს რელიეფი მოთავსებულია ერთ ქვაზე, რაც სრულიად შეგნებულად არის შესრულებული. აქ ანგელოზთა სხეულები დანყობილია ირიბად ზემოდან ქვემოთ და არა ჰორიზონტალურად, ესაა განმეორება ტიმპანის მთავარი სახის. მოცემული წრის ფორმა დიდი არაა, მაგრამ წრის ცენტრულობის შთაბეჭდილება მაინც სრულად არის მიღწეული, მისი რელიეფობით და თავისუფალი დაყენებით წრეში. ამალლების ორივე ანგელოზის ნაკვეთი მოცემულია სიმეტრიულად, ისინი თითქოს აჩვენებენ ამალლებულ ჯვარს, რომლიდანაც ქვემოთკენ წრის ფარგლებს იქით გამოდის ორი დიდი გასტილიზებული ფოთოლი.

ქართულ ეკლესიათა რელიეფურ დეკორში ადრიდანვე გვხვდება ქრისტიანული თემატიკის სიმბოლური ფორმით გამოხატვა. ასეთია ჯვარცმის სიმბოლურ კომპოზიციათა ნიმუშები, რომელშიც შინაარსი მინიშნებითაა გამოსახული ჯვარცმულ ქრისტესა და ავაზაკების ფიგურების გარეშე, მხოლოდ სამი ჯვრის ერთად განთავსებით. ასეთი „ჯვარცმა“, როგორც იკონოგრაფიული თემა პალესტინაში შეიქმნა, შემდეგ კი სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში გავრცელდა. სხვადასხვა პერიოდში აგებული ქართული ეკლესიების ამ სახის რელიეფები გვიჩვენებს თემის განვითარებისა და მისი განხორციელების მრავალფეროვნებას.

ჯვარცმის ასეთი სიმბოლური კომპოზიცია წარმოდგენილი იყო დვანის წმ. გიორგის ეკლესიის ფასადზე, ამჟამად ეს რელიეფი დას. ფასადზეა მოგვიანებით აღდგენილი კედლის ნყობაში გვერდულად ჩაყოლებული. ქვა, რომელზეც ჯვრის გამოსახულებებია შესრულებული, მუქი ფერისაა, მოღვინისფრო ტონით, მოხაზულობით კი წარმოადგენს სიმალეში აქცენტირებულ სწორკუთხედს ფრონტონისებრი დაბოლოებით. კომპოზიცია შედგება ქვედა მკლავებით ერთ ხაზზე დანყობილი სამი ჯვრისაგან. მათგან შუა ჯვარი გაცილებით დიდია, მთელი ფილის სიგანისა და სიმაღლის მომცველი. მის განივ მკლავთა ქვეშე შედარებით მომცრო ჯვრებია ჩასმული. შუა ჯვარი, გარდა თავისი ზომისა მკლავთა ფორმითაც გამოიყოფა: მისი მკლავები ბოლოებში გაგანიერებულია და სამკუთხადაა „ჩაჭრილი“. სამივე ჯვარი აგებულიების პროპორციული თანაფარდობით მსგავსია: იკვეთება გრძელი ქვედა მკლავები, მკლავთა გადაკვეთის ადგილი კი წრეებითაა აღნიშნული. კომპოზიციას ქვის ფილის კონ-



ტურის გაყოლებაზე სადა მოჩარჩობა აქვს. ლ. რჩეულიშვილის გამოკვლევით, საქართველოში ჯვარცმის სიმბოლური კომპოზიციის არსებობის არეალი ფართოა, ადრეული შუა საუკუნეებიდან (კერძოდ V საუკუნიდან) განვითარებულ შუა საუკუნეებამდე. ამ ხნის განმავლობაში ეს თემა გარკვეულ კომპოზიციურ და სტილისტურ ცვლილებებს განიცდის, ამასთანავე ჩანს ქრონოლოგიური თანმიმდევრობაც. „ჯვარცმის“ იკონოგრაფიულ-სიმბოლური კომპოზიციის შესწავლილმა ქართულმა ნიმუშებმა ლ. რჩეულიშვილს შესაძლებლობა მისცა გამოეყო განვითარების ეტაპები. უადრეს ჯგუფში შევიდა ის კომპოზიციები, რომელშიც სამი თანაბარი ზომის ჯვარი ფრიზულად ერთ ხაზზე ლაგდება. ასეთია ბოლნისის სიონის (V ს) გალერეის კაპიტელის დეკორში ჩასმული სამი ჯვარი. ამდაგვარი, მაგრამ მცირედ სახეშეცვლილი კომპოზიცია თელოვანის ჯვარპატიოსანის ეკლესიის (VIII ს) კარის არქიტრაზზეც გვაქვს, აქ ჯვრების ფრიზულად დანყობის პარალელურად, შუა, ანუ ქრისტეს ჯვრის კომპოზიციური აქცენტირებაც ჩანს — ის განსხვავებული ფორმისაა და წრეშია ჩასმული. თელოვანში თავჩენილი შუა ჯვრის გამოყოფის ტენდენცია განსაზღვრავს ამ თემის შემდგომ განვითარებას.

აღნიშნული სახის მეორე ტიპის კომპოზიციებს (VIII-X ს) განსაზღვრული ადგილი უჭირავს ფასადზე — ის სარკმელთან თავსდება. ჯვრები, რომელთაგან შუა გამოყოფილია პირამიდულადაა განლაგებული სარკმლის ნახევარწრიულ დაბოლოებაზე. ეს უკანასკნელი კი გოლგოთას მთის სიმბოლოდ გაიზრება. X საუკუნიდან სარკმლის გარშემო განლაგებული ჯვრების გააზრება დეკორატიულ ელფერს იძენს.

X საუკუნის II ნახევრიდან სამი ჯვრის კომპოზიცია მთელ ფასადზეა გაშლილი. ამ მხატვრული ძიების თვალსაზრისით, ძალზედ



მნიშვნელოვანია გურჯაანის ყველანმინდა. ძეგლის აღმოსავლეთი ფასადის ნაწილი გადაკეთებულია. თავდაპირველი სახით კი ფასადის გვერდითი ნაწილები მორთული იყო ბრტყელი ნიშებით, ორ-ორი ყოველ მხარეს. შუა სარკმელს საკმაოდ მასიური სათაური ამკობს, ამ სათაურის თავზე აღმართული იყო ძალიან მაღალი ჯვარი, გავრცობილი ფრონტონის არეზე, რომელსაც დიდი თალი ჰქონდა გადავლებული (ახლანდელი ორმაგი თალები გვიანდელია). ადგილზე შერჩენილია ჯვრის ქვედა მკლავის ნაწილი, ხოლო გვერდითი მკლავების კვალი კედლის წყობაში შეინიშნება.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ გურჯაანში მკვეთრად განსაზღვრულია აღმოსავლეთი ფასადის აგებულების სქემა — შუა მაღალი თალი დიდი ჯვრით სარკმლის თავზე და თაღოვანი ნიშები გვერდით ნაწილებზე. ამასთან, გურჯაანის ხუროთმოძღვრის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია ის, რომ მან პირველმა ცალკეული ელემენტებისგან შექმნილი კომპოზიცია ფასადის მთელ სიბრტყეზე გაშალა. გურჯაანის ყველანმინდის ფასადის ეს კომპოზიცია ამ მიმართულებით ვითარდებოდა, სანამ ბოლოს სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის სახით (XI ს.) ახლებური სიმბოლიკით დატვირთული ნარმოგვიდგებოდა.

სამთავისის საეპისკოპოსო ტაძარი 1030 წლით თარიღდება. ეს ძეგლი საყურადღებოა არა მარტო განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებით — პროპორციულ შეფარდებათა საკვირველი ჰარმონიულობით, ვირტუოზული ბრწყინვალეობით შესრულებული მორთულობით, არამედ იმითაც, რომ აქ თავს იჩენს ზოგი თავისებურება, რომელიც საფუძვლად დაედო შემდგომ განვითარებას. აღმოსავლეთ ფასადის დამუშავება, რომელსაც ხუთთაღოვანი სისტემა უდევს საფუძვლად, რთულ დეკორაციულ კომპოზიციას ქმნის: საკურთხევის მთავარი სარკმლის თავზე გაჩნდა უზარმაზარი მოჩუქურთმებული ჯვარი, სარკმლის ქვეშ — კუთხით დაყენებული და აგრეთვე ჩუქურთმით შევსებული ორი კვადრატი. კვადრატებს შიგნით კოპებია მოთავსებული. ეს ელემენტები, რომლებიც ფასადის შუა ღერძზეა ასხმული, ერთმანეთს უკავშირდება მომჩარჩოებელი ლილვით — ზემოთ იგი მთავარ თალებს ებმის, ქვემოთ კი კედლის ძირამდე ჩადის. კომპოზიცია, შუა თალის ორ მხარეს დამატებულ თალებსა და ლილვებთან ერთად, ქმნის პლასტიკურად პროფილირებულ ხაზების უწყვეტ, უაღრესად დინამიკურ დინებას. საკურთხევის დიდი ჯვრის ორივე გვერდზე თითო პატარა

ჯვარია გამოსახული — ამ ტოლმკლავა ჯვრების შიგნით მოქცეულია ერთნაირი მოხაზულობის მქონე ოთხი ფოთოლი. თითოეული ფოთლის ერთი ღერო ცენტრიდან ამოდის, ხოლო ორი გარედან. ცენტრალურ ჯვართან ეს ჯვრები კონტრასტულად გამოიყურება, რადგან პირველზე მთავარია ჩუქურთმათა არშია, ხოლო მეორეზე მხოლოდ ლილვი. ამიტომ ხშირად ფასადის მორთულობის საერთო ანსამბლში ეს ჯვრები ფოთლოვან ორნამენტად აღიქმება.

სამთავისის ხუროთმოძღვარი ფასადების მორთვისას ჰაეროვან თალებს, მრავალ დიდ-პატარა დეკორატიულ ელემენტს ამატებს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს აღმოსავლეთ ფასადის ცენტრალური ღერძი. სწორედ აქ გამოყენებული კომპოზიცია პოვებს გავრცელებას XII – XIII საუკუნეებში და არაერთ საინტერესო მაგალითს იძლევა, არა მარტო გუმბათიანი ეკლესიების ფასადებზე, არამედ დარბაზულ, მოკრძალებული ზომის ეკლესიებზეც.

ამრიგად, მე შევეცადე წარმომედგინა განვითარების ის გზა, რომელმაც ქართული ხუროთმოძღვრება XI საუკუნის დასაწყისში სამთავისის ბრწყინვალე კომპოზიციამდე მიიყვანა. აქვე აღვნიშნავ, რომ მომდევნო შემოქმედებით ძიებებს მოჰყვა საინტერესო და თავისებური გამოვლინებები.

ყველა ის ჯვარი, რომლის გამოსახულებაც თან სდევდა ჩვენს ისტორიას, ქართველი კაცისათვის მორიგი განსაცდელიდან თავის







გუგუა  
ამაყული

### ლილი ფაჩხაიძე

ბოლო წლებში ცისფერ გალერეაში მონ-  
ყობილ ქართველ მხატვართა გამოფენებს  
შორის, ილია პატაშურის ნამუშევრები იყო  
რალაც განსაკუთრებული. მე არ ვიტყვოდი,  
რომ ეს იყო მოულოდნელი, რადგან ილიას  
შემოქმედებას მე დიდი ხანია ვიცნობ. ვიც-  
ნობ, როგორც ნიჭიერს, შრომისმოყვარეს,  
მაგრამ, თუ ის დღეს დღევანდელ პირობებში  
ამდენს შეძლებდა, ეს იყო ჩემთვის მოულოდ-  
ნელი და, რა თქმა უნდა, საოცრად სასიხარ-  
ულო.

პატაშური სწორედ 60-იანი წლების  
ერთ-ერთი შესანიშნავი ნიჭიერი მხატვარია,  
რომელიც ყოველთვის თავისი ფერწერით,  
საკუთარი შემოქმედებით იპყრობს ყურა-  
დლებას. ის საინტერესოა, არა როგორც

კარგი აკადემისტი მხატვარი, რომელიც  
ყველა პროფესიულ საშუალებას ფლობს,  
ყველა მხატვრისთვის რომ საჭიროა, არამედ  
თანდაყოლილ შინაგან ხმას, იმ შინაგან  
აუცილებლობას, რომლის შემდეგ იწყება  
დიდი მხატვრობა, აი, ეს გამოჩნდა კიდეც. მას  
შემდეგ, რაც დამოუკიდებელი დაიწყო შემო-  
ქმედებითი მოღვაწეობა, ვხედავ, რომ ილია  
პატაშური არის მართლაც საოცარი მოვ-  
ლენა, რადგან იმ შინაგან ხმას, იმ თვითმო-  
ფადობას, რომელიც უზენაესმა მას მიანიჭა,  
თან ერთად შრომისმოყვარეობაც. მხატვარი  
ამ ყველაფრით იქცა ჭეშმარიტ, ნამდვილ  
შემოქმედად, დიდ შემოქმედად.

მისი შემოქმედება არის ბრწყინვალე  
პოლიფონიაზე აღმოცენებული მშვენიერი  
მუსიკა, რომელიც არ ღალატობს თავისი



კუთხის, თავისი მზის, მთების სიმართლეს.  
საკუთარი ტილოებით ის უმღერის სამშობ-  
ლოს, რაც განსაკუთრებით დღეს, ალბათ,  
ყველა შემოქმედისათვის შესაშურია.





ქეთევან  
 წინწარსმული

## ფეხებთან ახთან ოსნება

ილია პატაშურის სახელოსნოში ფერები ფეთქავს, სუნთქავს კედლებზე. აქ ცოცხლობს ფერი, როგორც მატერიალური და არამატერიალური ფენომენი, — ფერი, როგორც პიგმენტი და ფერი, როგორც სინათლე.

ილია პატაშური დუშეთის რაიონის სოფელ ხევშაში დაიბადა და მშობლიური მხარის მშვენიერი ბუნებაა მისი შემოქმედების ძირითადი წყარო. მას უყვარს საუბარი საკუთარ წარმომავლობაზე, პატაშურების გვარზე, მის გენიალოგიაზე, გვარის, ფესვების სიყვარული კვებავს და აცოცხლებს მის ფანტაზიას.

საქართველოში ბევრი მხატვარია, მაგრამ კოლორისტი ბევრი არ არის. ილია პატაშური მონოდებით კოლორისტია, მაშინაც,

როცა ობიექტიდან ამოდის, კონკრეტულ პეიზაჟს ან თუნდაც პორტრეტს ხატავს, მისთვის მნიშვნელოვანია არა იმდენად გამოსახვის საგანი, რამდენადაც ფერი. ფერია მისი სიყვარულის, კვლევის, გამოსახვის ობიექტი. მეორე მხრივ, ილია პატაშური ბოლომდე არასოდეს წყვეტს კონტაქტს საგანთან. მე მეჩვენება, რომ ის პრინციპულად წინააღმდეგია უსაგნო ფერწერის. მას ფერთან საკონტაქტოდ ესაჭიროება თემა — საგანი, იქნება ეს ბუნების სურათი, ადამიანის სახე თუ ნითელი ბურთი, ან ბრონეული. მერე შეიძლება ობიექტი სულ დაიკარგოს, ფერმა შთანთქას, როგორც მის „კრწანისის ყაყაჩოებში“. იმპულსის მომცემი მაინც საგანი, ობიექტია. ამგვარად, საგანში მის თვალს ფერი იზიდავს, ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ მხატვარი ძალიან ბევრს მუშაობს ფერზე, იგი არ აწვალვს მას. ფერი მასთან ინარჩუნებს (ან იძენს) სიმხურვალეს, მღელვარებასა და სინათლეს.

„დიდგორის ბრძოლა“ (2001წ.) პატაშურის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ზომით (140X200) ფერთა და ფერწერული ამოცანების სირთულით. ეს ისტორიული თემა მისთვის სიღრმისეულად ახლობელია, როგორც საქართველოს გამირული წარსულის ფურცელი (მას სადიპლომო ნამუშევარიც ამ





თემაზე აქვს შექმნილი). აქ განსაკუთრებით კარგად ჩანს მისი, როგორც ფერმწერის ოსტატობა. ზუსტად არის მოძებნილი საომარი სიტუაციის შესატყვისი ფერადოვნება. სურათი წითელ და მოვერცხლისფრო ფერებშია გადაწყვეტილი, სრულიადაც არ არის მრავალფერი, მაგრამ ტილო ტონალურად ძალზე მდიდარია. ელფერთა მრავალფეროვნება ქმნის პლანების მონაცვლეობას, სათანადო მლელვარებას. დაძაბულობასა და საზეიმო შეგრძნებას. ეს ერთ-ერთი საუკეთესო ბატალური სცენაა ქართულ ფერწერაში.


ფერების მონაცვლეობა ილია პატაშურის ნამუშევრებში სივრცის უსაზღვრობის განცდას ბადებს. მან იცის, თუ როგორ უნდა შეცვალოს ერთი ტონალობა მეორით, სად გაანათოს სასურათე სიბრტყე, რათა შექმნას სიღრმე, თვალი მიიზიდოს, ტილოს ზედაპირი გაარღვიოს. ამას კოლორისტის ფაქიზი განცდა და ღრმა სიყვარული, ამასთან, შრომით მოპოვებული ცოდნა სჭირდება. ის ზეიმს ატარებს მუდამ თან, ფერის ზეიმს... და მაყურებელს უზიარებს მას.

პატაშურის ნამუშევრების უმრავლესობის ცქერისას მზერა მაღლა, ცისკენ მიიღტვის და არა მიწისკენ. ეს მთიანი პეიზაჟის ახლო წერტილიდან განცდით მოდის, სადაც თვალთან ახლოა ფერდობები და თვალი ზე-

ცისკენ ასრიალდება, სინათლისაკენ იკვლევს გზას. მხატვარს აქვს ფერწერული ორგანიზმის საიმედო ინტუიცია, რომელსაც შეუძლია თამამად დაეყრდნოს, სურათში „გაზაფხული“ (1995წ.). მარცხენა ზედა კუთხეში ყვითლების მონაცვლეობა საოცარ გამჭირვალობასა და სინათლის შეგრძნებას ბადებს. მაგრამ, რომ არა ნარინჯისფერის გაელვება ლურჯ ხეებში და მარჯვნივ ხეების ძირთან დაცემული სხივები, აგრეთვე სურათის წინა პლანზე აფეთქებული ფერები, ეს კუთხე ვერ იქნებოდა ამდენად გამომსახველი. ასეთ ნიუანსებს ადვილად ვერ მიაღწევ, მათ დაკვირვება სჭირდება და შემდეგ მუშაობა საკუთარი განცვიფრების ან აღტაცების გამოსახატად.

„გუდაურის პეიზაჟში“ (1997წ.) რუხი და ვერცხლისფერები, რომლებშიც შერეულია მუქი მწვანე და ღია ყვითელი, ისეთ შეგრძნებას ბადებს, თითქოს სურათს გამჭირვალე ყინულის ფენა აქვს გადაკრული. სურათში „წვიმა“ (1998წ.) ტილოს ზედაპირზე სისველის რეალური შეგრძნება იქმნება...

პატაშურთან ფიგურები სათანადოდ მყარია. კონსტრუქციულად სიმტკიცე არ აკლიათ, თუმცა სულ ფერით, მონასმით ნაგებს ჰგავს და არის კიდევ. ამის გამო მათ გარკვეული ეფემერულობა ახასიათებს.







იგი სინათლით და ფერებით ხატავს. არ ვიცი, ხელმძღვანელობს თუ არა თეორიებით ფერის დარგში. მე მაინც მგონია, რომ უფრო ინტუიციით, ბუნებისა და ფერების მძაფრი შეგრძნებით აღწევს ამ შედეგს და ეს უშუალოდ ფერებზე მუშაობით, მათზე ფიქრით მათთან ერთად ოცნებით ხდება.

შობასთან ადამიანის ყველაზე სანუკვარი ოცნებებია დაკავშირებული და ამ თემაზე შესრულებული ნაწარმოები, ალბათ, ყველაზე მეტად უნდა გამოხატავდეს ადამიანის პიროვნულ ხასიათს, მის დამოკიდებულებას გარე სამყაროს მიმართ. ილია პატაშურის „შობა“ ნათელი მონასმებით არის შესრულებული. პალიტრა ხალისიანია, სადა და მდიდარი.

ილია პატაშური სამხატვრო აკადემიის

პროფესორია. ის ხელმძღვანელობს პეიზაჟის სახელოსნოს და მნიშვნელოვანია, რომ თავის ცოდნას, საკუთარი პროფესიის მიმართ სიყვარულსა და პატივისცემას სტუდენტებს გადასცემს.

ბოლო ათწლეულშიც კი, როდესაც საქართველოში გაღერებიდან თითქმის გაქრა ფერი, არა იმდენად ეროვნული თვისებების, არამედ ყოფითი სირთულეების, სიტუაციის გამო, ილია პატაშურმა შეინარჩუნა ფერის ჟღერადობა და სიმკვრივე. ამაშია მისი პიროვნული და პროფესიული ძალა. მან შეძლო ეცხოვრა ფერით, მისგან მინიჭებული სიხარულით. ამიტომ არის, რომ მის სახელოსნოში ფერი, როგორც ემოცია, იჭრება ადამიანში...





მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე, გიგა ლორთქიფანიძე და ხელოვნების მუშაკები სტუმრად ილია პატაშვილთან სახელოსნოში

### ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:  
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;  
„ელვასერვისი“, იოსებბიძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია“- ტელ: 93-64-72,  
99-01-37 და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43  
6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დიზაინერ-დამკაბადონებელი  
ლექსო ოთარაშვილი

კორექტორი:  
მანია კიქაია

ოპერატორი:  
თამარ ტყაბლაძე

რედაქციის მისამართი:  
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4  
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.  
Web: [www.litandart.com.ge](http://www.litandart.com.ge)

[litandart@yahoo.com](mailto:litandart@yahoo.com)

[vaja.otarashvili@yahoo.com](mailto:vaja.otarashvili@yahoo.com)

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში





ილია პატაშვილი

ნათია წითელ კაბაში





ქართული  
ლიბრელო

ISSN 1512-3189

ფანი 3 ახი



3-